

ნანა ცეცხლაძე  
მზის ხახულიშვილი

# სტრიქონი

(სახელგადაცველო)  
II გადამუშავებული გამოცემა

თბილისი  
2014

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის, მასწავლებელთათვის, ფილოლოგებისათვის, უურნალისტებისა და საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. ნაშრომის თითოეულ თავს ერთვის ცოდნის შესამოწმებელი კითხვები, სავარჯიშოები და ტესტები.

რედაქტორი: მამია ფალავა  
 რეცენზინგზები: მერი ცინცაძე  
 ნათია ფარტენაძე

გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2014.

ISBN - 978-9941-9297-4-8

## შესავალი----- 7

თავი I. ზოგადი სტილისტიკა	9
§1. სტილისტიკის ისტორიიდან -----	9
§2. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარჩი. სტილისტიკის საგანი, ყოაროვაბი და ამოცავები ----- 13	13
2.1. სტილის რაოდა ----- 16	16
§ 3. სტილისტიკის დარჩი ----- 19	19
§ 4. სტილისტიკის კავშირი მომიჯნავა დარჩაბთან ----- 20	20
§5. სტილისტიკის შესახვების თაორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ----- 24	24
§ 6. სტილისტიკური და ენობრივი ნორმა ----- 24	24
§ 7. ენობრივი სტილის გაგება. სუბიექტური და ობიექტური სტილი ----- 28	28
7.1. სტილის ცენტრ ----- 28	28
7.2. სუბიექტური და ობიექტური სტილი ----- 31	31
§ 8. სტილისტიკური მინიმუმი და მაქსიმუმი ----- 32	32
ცოდნის შესამოხევებელი კითხვები ----- 34	34

## თავი II. ფუნდაციური სტილისტიკა

§ 1. ფუნდაციური სტილის გაგებისათვის ----- 35	35
§ 2. ფუნდაციური სტილი - ენისა თუ მატყველების სახესავაოება ----- 38	38
§ 3. მატყველების ფორმა და სტილი ----- 39	39
§4. ფუნდაციური სტილის სახეები ----- 39	39
§ 5. სტილის სახეობათა სართო და განვითარებები ----- 44	44
ცოდნის შესამოხევებელი კითხვები ----- 45	45
II.1. სამაცნეო სტილი ----- 46	46
ცოდნის შესამოხევებელი კითხვები ----- 54	54
II.2. ოფიციალურ-საქმიანი სტილი ----- 58	58

ცოდნის შასამოხებელი კითხვები	68
II. პუგლიცისტური სტილი	70
ცოდნის შასამოხებელი კითხვები	78
II. 4. მხატვრული ლიტერატურის სტილი	78
ცოდნის შასამოხებელი კითხვები	81
II. 5. სასაუკრო სტილი	82
ცოდნის შასამოხებელი კითხვები	86

### თავი III. ლექსიკური სტილისტიკა

§1. სიცონიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	95
§2. ანტონიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	106
§3. ომონიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	112
§4. არქაიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	113
§5. ცეოლოგიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	115
§6. ლიალიტიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	117
§7. ჰარგარიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	120
§8. ნასასხები ციტყვები და მათი სტილისტიკური ფუნქციები	121
§9. ფრაზოლოგიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია	123
§10. ადეაზა და მისი სტილისტიკური ფუნქციები	132
§11. აფორიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქციები	134
§12. ეკვივიზმი და ტაქტი; მათი სტილისტიკური ფუნქციები	135
§13. ქარგონი და არგო; მათი სტილისტიკური ფუნქციები	139
§14. ვულგარიზმები და მათი სტილისტიკური ფუნქციები	140
ცოდნის შასამოხებელი კითხვები	145

### თავი IV. გრამატიკული სტილისტიკა

§1. მორფოლოგიური სტილისტიკა	146
§2. სიტერაქსური სტილისტიკა	162
ცოდნის შასამოხებელი კითხვები	181

### თავი V. მხატვრული სტილისტიკა

V.I. სტილისტიკური კატეგორიები	182
§1. მაღარება	183
§2. ეპითეტი	189
§3. მატაფორა	191
§4. გაპიროვება (გასულიარება, გარსონიურიაცია)	193
§5. სიმბოლო	195
§6. ალეგორია	198
§7. პერიფრაზი	198
§8. მატონიობა	200
§9. სიცეკვენე	202
§10. ჰიპერენტია	203
§11. ლიტორალი	205
V.II. სტილისტიკური ფიგურები	206
§1. ელიფსი	206
§2. გრადაცია	207
§3. ანტითეზა	208
§4. პარალელიზმი	210
§5. ინვერსია	211
§6. გამეორება	212
§7. პარონომაზია	214
ცოდნის შასამოხებელი კითხვები	223

### თავი VI. ტიკონიციი შეცდომას

VI.1. სიტყვათხერება არაზუსტი მნიშვნელობით	224
VI.2. სიტყვის (პროგლობა, დუატი, ავტორი, სტარტი, ფინიში) მნიშვნელობის გაფართოება	233
VI.3. პარონიმია	240
VI.4. ფრაზოლოგიზმთა პარონიმია	249
VI.5. დარღვევები ფრაზოლოგიზმთა მნარებისას	249
VI.6. დარღვევები სიცონიზმთა მნარებისას	252

VI.7. „ყურებადი“ ტიპის ფორმები	254
VI.8. დარღვევები შეარცებულსა და	
რთულ ცინადადებები	259
შემაჯამებელი ტასტი	260
VI.9. პლარნაზები	264
VI.10. ტავტოლოგია	267
VI.11. შტამპი	273
VI.12. პალკი	275
VI.13. ატროვია	281
VI.14. პარაზიტი სიტყვები	284
ცოდნის შესამონებელი კითხვები	296
გამოყენებული ლიტერატურა და ცყაროები	297
შემოკლებათა გამოარტებანი	308
SUMMARY	310

## შესავალი

სტილისტიკა მეტად აქტუალური ფილოლოგიური დისციპ-  
ლინაა, დარგია ენათმეცნიერებისა, რომელსაც დღემდე არ  
დაუკარგავს ღირებულება. პირიქით, რაც დრო გადის, მეტად  
გვჭირდება იგი, გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება „უკ-  
ეთესად თქმის ხელოვნებას“, რადგან სტილისტიკურ ხარვე-  
ზებს ვხვდებით სხვადასხვა ასაკის თუ პროფესიის ადამიანთა  
მეტყველებაში. განსაკუთრებით თვალში საცემი და დასანანია  
უურნალისტთა მეტყველების გაუმართაობა. დასანანია იმდე-  
ნად, რამდენადაც ამას ანტიკური ეპოქიდანვე ექცეოდა საგან-  
გებო ყურადღება, დღეს კი მეორეხარისხოვანია. ასეთი პათო-  
სითაა გამსჭვალული წინამდებარე წიგნი, რომელიც ერთგულ  
სამსახურს გაუწევს ყველას, ვინც დარწმუნდება, რომ სტილის-  
ტიკის ცოდნა მეტად აუცილებელია მეტყველების კულტურის  
ასამაღლებლად, კომუნიკაციის გასაიმლებლად და მიზნის ად-  
ვილად მისაღწევადაც. იგი დაეხმარება აბიტურიენტსაც, სტუ-  
დენტსაც და მასწავლებელსაც.

**„სტილისტიკა“** მრავალმხრივი დანიშნულების წიგნია. პირ-  
ველ თავში განხილულია ზოგადი სტილისტიკის საკითხები: სტი-  
ლისტიკის მოკლე ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, საგანი  
და წყაროები, მიმართება სხვა დისციპლინებთან. აქვე გარკვე-  
ულია სტილის რაობა, მისი თავდაპირველი და თანამედროვე  
მნიშვნელობანი; მოცემულია ენობრივი სტილის ბუნების გარკვე-  
ვის ცდა; განსაზღვრულია ენობრივი და სტილისტიკური ნორმა,  
სტილისტიკური მინიმუმი და მაქსიმუმი.

II თავი ეთმობა **ფუნქციური სტილის** დიფერენციაციის აუც-  
ილებლობას და სტილთა აღრევას; სტილის სახეობათა დახასი-  
ათებას სტილური ნიშნებითა და ხარვეზებით.

III თავში განხილულია **ლექსიკურ საშუალებათა** (სინონიმის,  
ანტონიმის, დიალექტიზმის, არქაიზმის თუ სხვათა) გამომსახვე-  
ლობითი ფუნქციები, სტილისტიკური დანიშნულება ქართულში.

IV თავში მოცემულია გრამატიკული სტილისტიკის საკითხები:

პარალელურ მორფოლოგიურ და სინტაქსურ საშუალებათა გა-  
მოყენება მეტი გამომსახველობის მისაღწევად.

V თავში განხილულია **მხატვრული სტილისტიკის** საკითხები:  
ტროპის სახეების სტილისტიკური ფუნქციები; სტილისტიკური  
ფიგურები და მათი გამოყენება.

VI თავი ეთმობა ტიპობრივი შეცდომების ანალიზს. ცალკეული  
საკითხი განხილულია სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში,  
ასენილია მათი გამომწვევი მიზეზები და დასახელებულია თა-  
ვიდან აცილების გზები; მოცემულია თანამედროვე ქართული  
სალიტერატურო ენის აქტუალური საკითხები, რომლებშიც გან-  
ვიხილავთ არსებულ მდგომარეობასაც და ვავითარებთ ჩვენეულ  
თვალსაზრისაც.

ნაშრომის თითოეულ თავს ერთვის მრავალფეროვანი სავარ-  
ჯიშოები, ცოდნის შესამოწმებელი კითხვები, ტესტები და დასა-  
მუშავებელი ლიტერატურის ჩამონათვალი.

საილუსტრაციო მასალა აღებულია ქართველ კლასიკოსთა  
შემოქმედებიდან, უურნალისტთა მეტყველებიდან, ტელეგადა-  
ცემებიდან, ქართული პრესიდან. რაც შექება ქართველ კლასი-  
კოსთა ნაწერებს, ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინე-  
ბელია რამდენიმე გარემოება: ჯერ ერთი, გაუმართლებელია თა-  
ნამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით  
გასული საუკუნის ნაწერების შეფასება; მეორეც, ამგვარი ფორ-  
მები ტექსტში შეიძლება საგანგებო დანიშნულებისა იყოს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას ვუხდით პროფესო-  
რებს: მ. ცინცაძეს, მ. ფალავას და ნ. ფარტენაძეს ნაშრომის გულ-  
დასმით წაკითხვისა და საგულისხმო შენიშვნებისთვის.

წიგნი, ბუნებრივია, დაზღვეული ვერ იქნება შეცდომებისგან,  
ამიტომ ნებისმიერ საქმიან შენიშვნას მადლიერებით მივიღებთ.

ავტორები.

## თავი I. ზოგადი სტილისტიკა

### §1. სტილისტიკის ისტორიიდან

სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი, XIX საუკუნ-  
ის II ნახევარში ჩამოყალიბდა, თუმცა სტილზე ჯერ კიდევ ჩვენს  
ნელთაღრიცხვამდეც მსჯელობდნენ.

ანტიკურ ეპოქაში **სტილი** ზემოქმედების, დარწმუნების უმ-  
თავრესი საშუალება იყო. ძველ საბერძნეთსა და რომში ყველა  
საზოგადოებრივი საკითხი წყდებოდა სახალხო კრებებზე, სადაც  
ნამყვანი როლი ორატორს ეკისრებოდა. მისი საუბრის დამაჯე-  
რებლობაზე იყო დამოკიდებული საკითხის გადაჭრა. მთავარი  
იყო არა იმდენად შინაარსი, რამდენადაც მოხდენილობა. ორატ-  
ორის მიზანი იყო სათქმელის საინტერესოდ და მიმზიდველად  
გადმოცემა.

მოკლედ, ადამიანზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის სა-  
ჭირო იყო სათანადო ენობრივი საშუალებების ძიება. არსებობდა  
სპეციალური ორატორული კურსები, რიტორიკული სკოლები,  
სადაც მჭევრმეტყველებას ასწავლიდნენ. რიტორიკის მამამთა-  
ვარი იყო **დემოსტენე** (384-322), თეორეტიკოსები კი – **არისტო-**  
**ტელე** (384-322) და მისი მოწაფე **თეოფრასტე** (372-287).

აზრის კარგად გამოთქმის ცოდნა განსაკუთრებით ცუდად  
მოწყობილ სახელმწიფოშია საჭირო, სადაც იმარჯვებენ არა ის-  
ინი, ვის მხარეზეც სიმართლეა, არამედ ისინი, ვინც კარგი ლაპა-  
რაკი იციან, - ნერს არისტოტელე „**რიტორიკაში**“. იგი დიდ მნიშ-  
ვნელობას ანიჭებს სათქმელის ნათლად და მოხდენილად გადმო-  
ცემას: „სათქმელის ღირსებაა, იყოს ნათელი, მაგრამ არა ტლან-  
ქი“ (არისტოტელე 1979:194). „თუ სათქმელი შედგება მეტაფორე-  
ბისაგან, გამოცანაა, თუ უცხო სიტყვებისგან – ბარბარიზმია“, –  
აზუსტებს ის (იქვე:196). სტილის უმთავრეს თვისებად არისტო-  
ტელე მიიჩნევს გრძნობების გამოხატვისას ზომიერების დაცვას,  
ნაკლად კი – მაღალფარდოვან ფრაზებს, აზრის ბუნდოვნებას.

„შესაბამისობა და ზომიერება- აი, ორი არსებითი მნიშვნელობის მოთხოვნა, რასაც ის უყენებს მეტყველების სტილს“, – წერს გრ. კიკნაძე (კიკნაძე 1957: 1-9).

**თეოფრასტეს** შრომაშ „სტილის შესახებ“ მხოლოდ სხვათა ნაშრომებში შემონახული ციტატების სახით მოაღწია. ავტორს ყველანაირი სტილისთვის აუცილებელ მოთხოვნად მიაჩნია სიცხადე, სათქმელთან შესაბამისობა და მოხდენილობა.

ძველ რომში რიტორიკა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ციცე-რონმა (106-43). ის მჭევრმეტყველად იმას მიიჩნევდა, ვინც ფო-რუმებსა და სამოქალაქო პროცესებზე ისე იღაპარა კებდა, რომ ასიამოვნებდა, დაარნმუნებდა და დაატყვევებდა კიდეც მსმე-ნელს. ამნაირი სტილის დაუფლება შესაძლებელი იყო.

შუა საუკუნეებში მჭევრმეტყველება ღვთისმეტყველებამ შეცვალა. ეკლესიას ხალხის დარწმუნება კი არ სჭირდებოდა, არ-ამედ იგი მორჩილებას მოითხოვდა. რიტორიკას ის წარმართები-სა და მწვალებლების წინააღმდეგაც იყენებდა. ამრიგად, ორატ-ორულმა ხელოვნებამ საეკლესიო წრეებში სქოლასტიკურ-ფორ-მალური და დოგმატიკური ხასიათი მიიღო.

თანდათანობით **რიტორიკამ** ლიტერატურაზეც მოახდინა გავლენა. ჯერ კიდევ ანტიკურ რიტორიკაში გამოიკვეთა მიმარ-თულებანი, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედო სტილისტი-კის დამოუკიდებელ დისკიპლინად ჩამოყალიბებას.

ორატორულ ხელოვნებას საქართველოშიც დიდი ხნის ისტო-რია აქვს. რომაელ ისტორიკოსს, **ტაციტუსს** (55-120), შემოუნახ-ავს იბერთა მეფის – **ფარსმან I-ის** სიტყვა, წარმოთქმული ბრძო-ლის დაწყების წინ (I ს.).

IV საუკუნეში მოღვაწეობდა ქართველი ფილოსოფოსი და ორ-ატორი, **ბაკური**. IV საუკუნეშივე კოლხეთში, ფოთის მახლობ-ლად, ყოფილა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც უცხოელებიც სწავლობდნენ თურმე. IV საუკუნის რიტორი და ფილოსოფოსი, თემისტიოსი პროვინციელ ახალგაზრდას სწერს (ამ უკანასკნელს მისთვის სწავლის მისაღებად სატახტო ქალაქში დასასახლებლად დახმარება უთხოვა): „მეც, ჩემო კარგო, რიტო-

რიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელისურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალო-იდან წამოსულმა, დაისადგურა - რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ - და ცამ იგი აღიტაცა. და აი, ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნეში და სათხოებამ გახადა ელინური და აქცია მუზების ტაძრად; იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავ-ლიდა არა ისართ ტყორცნას და ჰოროლთ სროლას ან ჯირითს მეზობელ ბარბაროსთა წესების მიხედვით, არამედ იმას, თუ რო-გორ გაიწვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრნყი-ნავდა ელინთა დღეობებზე“ (ხიდაშელი 1988: 33).

შ. ხიდაშელის აზრით, ზემოხსენებული სასწავლებელი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხა-დებამდე დაარსებულა: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნული სკოლა ბევრად უფრო ადრე უნდა ყოფილიყო დაარსებული და თუ III საუკუნის მიწურულში არა, ყოველ შემთხვევაში, IV საუკუნის პირველ ათეულ წლებში მისი არსებობა უეჭველ ფაქტად უნდა მივიწიოთ“ (ხიდაშელი 1988:34).

რიტორიკის განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი ქართული კულტურის ისეთმა კერძომა, როგორებიცაა: იერუსალიმის (IV ს.), ათონის ივერთა (X ს.), სინას მთის (X ს.), პეტრიწონის (XI ს.) მო-ნასტრები.

რიტორიკა ისწავლებოდა დავით ალმაშენებლის მიერ დაარ-სებულ გელათის აკადემიაში. რიტორიკის თეორიის საკითხები განხილულია იოანე პეტრიწონის შრომაში - „განმარტებად პროკ-ლესათვის დიადოხოსისა და პლატონისა ფილოსოფიისათ-ვის“, ანტონ I-ის „წყობილისიტყვაობასა“ და იოანე ბატონიშვი-ლის „კალმასობაშიც“. 1828 წელს კი სოლომონ დოდაშვილმა გამოსცა რიტორიკის სახელმძღვანელო. მეტად მნიშვნელოვანია უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკა გინა მჭევრმეტყველება“. იგი „ხელად სახმარი“, პრაქტიკული დანიშნულების წიგნია, რო-მელიც კონსტანტინეპოლიში პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ და-არსებულ მონასტერში დაუბეჭდავთ 1879 წელს.

წინასიტყვაობაში წერია: „დღემდინ არ ყოფილა რიგიანი ხელად სახმარი მჭევრმეტყველების წიგნი დედანაზედა და რომ არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რათა საზოგადოებას მისცემოდა რაიმე საშვალი სწავლის გაადვილებისა“.

აქვე დასმულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, პირიქით, ის მთელი სიმწვავით სწორედ ახლა დგას, მაგრამ იგი XIX საუკუნის ბოლო-საც ანუხებდათ ქართული ენის გულშემატკივრებს. დღესდღეობით ძლიერია უცხო ენით გატაცება მაშინ, როცა ქართველმა ქართული რიგიანად არ იცის. ქართველი კაცის დამაბრკოლებელი დაწინაურებაში გახლავთ ის, რომ მან არ იცის თავისი ენის გრამატიკული კანონები, რიტორიკა და ლოგიკა.

ამრიგად, რიტორიკამ, როგორც გამომსახველობითი მეტყველების, ორატორული ხელოვნების თეორიამ განვითარების დიდი გზა განვლო, მაგრამ „ამ პერიოდში სტილი უმთავრესად ეს-მოდათ, როგორც მხოლოდ ლამაზი მეტყველება, ე. ი. როგორც მხოლოდ გარეგნული მხარე“ (ბასილაია 1991: 8-9). რიტორიკაში ენის კულტურის ყველა ნიშანს განიხილავდნენ, მათ შორის, განსაკუთრებულ ენობრივ შესაძლებლობებსაც.

შუა საუკუნეებში რიტორიკა აგრძელებდა ანტიკურ ტრადიციებს. XVIII საუკუნის დასაწყისში იგი ლიტერატურის, პოეტიკა კი ანტიკური რიტორიკის გავლენის ქვეშ მოექცა. პოეტური ხელოვნების დაუფლება თითქმის შეუძლებელი იყო, ამიტომ რიტორიკას დარჩა მხოლოდ ზეპირი მეტყველება.

მოკლედ, შუა საუკუნეებში და შემდეგაც სტილისტიკა მეტნილად სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშებს შეისწავლიდა, ამიტომაც მიიჩნევდნენ მას მხატვრული ნაწარმოებების ენის შემსწავლელ მეცნიერებად. „პოეტური ენა“, მეტყველების განსაკუთრებული შესაძლებლობები კი თანდათანობით პოეტიკის კვლევის საგნად იქცა.

„პოეტიკამ შთანთქა სტილისტიკა, როგორც ენის გამომსახველობით საშუალებათა შემსწავლელი დარგი“, - წერს ალ. გვენცაძე (გვენცაძე 1971:16). მკვლევრის აზრით, „ე. წ. „პოეტური ენის“ ყველა საკითხი უნდა განიხილებოდეს სტილისტიკაში; ენის სა-

კითხებმა ადგილი უნდა დაიკავოს ენათმეცნიერებაში. ეს თვით პოეტიკისთვისაც სასარგებლობა (იქვე).

XIX საუკუნის I ნახევარში რიტორიკისგან პოეტური სტილის ცალკე გამოყოფის შესახებ მსჯელობდნენ მ. ბელინსკი (1811-1848) და მისი თანამოაზრები. XIX საუკუნის II ნახევარში პოეტური სტილისტიკა უკვე გამოეყო რიტორიკას.

პოეტური სტილისტიკის საგანი მხატვრული, გამომსახველობითი ხერხები იყო, ხოლო ენათმეცნიერული სტილისტიკა ამ პერიოდში ჯერ კიდევ ყალიბდებოდა (ა. პოტებნია, ოვსიანიკოვკულიკოვსკი). მისი ღრმა შესწავლა დაიწყო XX საუკუნეში ბ. ტომაშევსკის, ვ. ვინოგრადოვის, ნ. ბულახოვსკის, ა. გვოზდევის, დ. როზენტალის, მ. მიხაილოვისა და სხვათა შრომებით.

როგორც აღვნიშნეთ, ანტიკურ საბერძნეთში სტილისტიკა (იგივე „პოეტიკა“), არსებითად მხატვრული ენის სპეციფიკაში შეისწავლიდა, ხოლო სალიტერატურო (საერთო-სახალხო) ენის გამოყენების პრაქტიკულ სფეროს - რიტორიკა. დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გაფართოვდა სალიტერატურო ენის ფუნქციონირების არები. „ცალკეულმა მეცნიერებებმა თავისთავადი სახე მიიღო, რაც პირველ რიგში ამ სფეროების ენობრივ თვითმყოფადობას გულისხმობს. შესაბამისად, უფრო ხელშესახები გახდა ის საზღვრები, რომლებიც ერთი მხრივ, მხატვრული ენისა და სტილის პრობლემატიკას ასახავდა, ხოლო მეორე მხრივ, სალიტერატურო ენის გამოყენების ცალკეული სფეროების, ცალკეულ ფუნქციურ არეთა სპეციფიკას განსაზღვრავდა“ (არაბული 2005:188-189).

## დ2. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგი. სტილისტიკის საგანი, ცყაროები და ამოცანები

სტილისტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის გამომსახველობითი საშუალებების სტილისტიკურ ფუნქციებს.

იმდენად, რამდენადაც სტილისტიკა ენის იმავე მხარეებს მოიცავს, რომლებშიც სხვა ლინგვისტური დისციპლინები, ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მას საგანი არ აქვს. სინამდვილეში იგი კომპლექსური დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ლექსიკური, გრამატიკული, ფონეტიკური და საერთოდ ენობრივი საშუალებების შერჩევის პრინციპებს სხვადასხვა სიტუაციაში აზრების და ემოციების გადმოსაცემად.

სპეციალურ ლიტერატურაში სტილისტიკის სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს. კირიონ არქიმანდრიტისა და გრიგოლ ყიფშიძის „სიტყვიერების თეორიაში“ (1898) ვკითხულობთ: „ის ნაწილი სიტყვიერების თეორიისა, რომელიც გვასწავლის, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენი ენა და წერა-ლაპარაკი, ჩვენი სიტყვა-პასუხი, სტილი იყოს კანონიერი და ლაზათიანი, არის სტილისტიკა“.

არნ. ჩიქობავას განმარტებით, „გადმოსაცემი შინაარსისა (სათქმელისა) და გადმომცემი ენობრივი საშუალებების (თქმულის) ურთიერთობა - ესაა სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სტილისტიკა შეისწავლის ენობრივ საშუალებებს მათს მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან“ (ჩიქობავა 1952:312).

აკად. ა. შანიძის მიხედვით, ენათმეცნიერება შედგება სამი დარგისაგან: ლექსიკოლოგია, გრამატიკა და სტილისტიკა. ეს უკანასკნელი „სწავლობს ლექსიკური მარაგიდან და გრამატიკულ ფორმათაგან ამა თუ იმ საჭიროებისათვის უფრო შესაფერისი მასალის შერჩევისა და გამოყენების ხერხებს“ (შანიძე 1980: 5).

ენობრივი ერთეულები განიხილება გრამატიკის სხვადასხვა დარგში – მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკოლოგიაში, სემა-სიოლოგიაში და ა. შ., მაგრამ მათ სტილისტიკურ თვისებებს მარტო ენათმეცნიერების ის დარგი განიხილავს, სტილისტიკა რომ ენოდება. მაშასადამე, ენას ფონეტიკურ, ლექსიკურ და სხვა დონეებთან ერთად აქვს სტილისტიკური „დონე“, გაცილებით მაღალი, ვიდრე დანარჩენია. სტილისტიკა ენას შეისწავლის სტრუქტურის ყველა ჭრილში.

გ. ვინოკურის აზრით: „სტილისტიკაზე გადავდივართ არა ფონეტიკიდან, გრამატიკიდან, სემასიოლოგიდან, არამედ ამ სამივე დისციპლინიდან, რომლებიც მოიაზრება, როგორც ერთიანი მრთელი“ (ვინოკური 1959:224). ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ სტილისტიკას ლინგვისტურ დისციპლინებს შორის განსაკუთრებული ადგილი მივუჩინოთ.

გ. ვინოკურისავე აზრით, სტილისტიკას აინტერესებს არა საკუთრივ ენის ბერითი შემადგენლობა (ან სიტყვა, ან წინადადებები), არამედ მათი სტილისტიკური გამომსახველობა, „სტილისტიკური ელფერი“.

სტილისტიკის ამოცანაა არა მარტო თავიდან აიცილოს ენობრივი შეცდომები, დაიცვას ენის სიწმინდე, არამედ მიაღწიოს ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, ნათქვამს მიანიჭოს ემოციური ელფერი.

სტილისტიკა ერთმანეთს ჰპირისპირებს ენის პარალელურ შესაძლებლობებს, იკვლევს მათ შორის განსხვავებებს ემოციური ელფერის მიხედვით, მას ამიტომაც უწოდებენ მეტყველების დამატებითი შეფერილობების, ექსპრესიულ-გამომსახველობითი საშუალებების შემსწავლელ მეცნიერებას. ენაში მსგავს შესაძლებლობათა არსებობა წამოჭრის პრობლემას, სინონიმთა და ვარიანტთაგან რომელი შეესატყვისება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციასა და მიზნებს.

ა. გვოზდევის მიხედვით, „სტილისტიკა განიხილავს ენობრივ მოვლენებს მნიშვნელობისა და ექსპრესიის მხრივ, თუ როგორ შეიძლება ენაში მოცემულ საშუალებათა უკეთესად გამოყენება; აფასებს, რამდენად გამოსადეგია ისინი აზრის ზუსტად, ცხადად და ნათლად გამოსახატავად“ (გვოზდევი 1955:11).

შ. ბალის მოსაზრებით, „სტილისტიკა სწავლობს ენობრივი სისტემის ექსპრესიულ ფაქტებს მათი ემოციური შინაარსის თვალსაზრისით. ე.ი. მეტყველებაში გრძნობათა სფეროს მოვლენების გამოხატულებას და ენობრივი ფაქტების გრძნობებზე მოქმედებას“ (ბალი 1961: 33).

ამრიგად, სტილისტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რო-

მელიც შეისწავლის სტილის რაობას, სახეებს; ენის გამომსახულობითი საშუალებების განსაკუთრებულ შესაძლებლობებს და კონკრეტულ სიტუაციაში მათ სწორად შერჩევა - გამოყენებას აზრის ზუსტად, ლაკონიურად და ექსპრესიულად გადმოსაცემად.

## 2.1. სტილის რაობა

ტერმინი **სტილისტიკა** უკავშირდება **სტილს** (ბერძნ. stylos, ლათ. Stylus). „**სტილი**“ ძველ საბერძნეთში ერქვა რკინის პატარა ჯოხს, რომლითაც ქაღალდის გამოგონებამდე ბერძნები და რომაელები წერდნენ გასანთლულ დაფაზე. წვეტიანი თავით წერდნენ, ბლაგვით კი შლიდნენ, რათა პალიმფსესტი ხელმეორედ გამოყენებინათ.

„განვითარების მომდევნო საფეხურზე **სტილი** ლამაზ ხელს, ნაწარმოების კალიგრაფიულ ხასიათს აღნიშნავდა, რითაც ცნობდნენ, ასხვავებდნენ ამა თუ იმ პირის ხელნაწერს“ (შამელაშვილი 1975). შემდგომში იგი აღნიშნავდა წერის ხერხებს და მხოლოდ წერითი მეტყველებით შემოიფარგლებოდა.

ჰორაციუსი ავტორებს ურჩევდა, „ხშირად ეტრიალებინათ სტილი“, ანუ წაეშალათ დაწერილი, არ დაკმაყოფილებულიყვნენ პირველად გამოხატული აზრით, დახვეწათ გამოხატვის ხერხები, ე. ი. სტილზე ემუშავათ. ლათინურ ენაში გაჩნდა **სტილის** მეტონიმიური მნიშვნელობაც – „წერის მანერა, გადმოცემის საშუალება“ (გადმოცემის უნარი). შემდეგში ეს სიტყვა ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შესრულების ხერხს გამოხატავდა. „ყველგან, სადაც არის საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგად იქმნება ფორმა, მიღებულია **სტილის** გაგებაც“, – წერს ვ. კაიზერი (კაიზერი 1958:7).

XVIII საუკუნიდან „**სტილის**“ მნიშვნელობა გაფართოვდა. იგი მიემართებოდა ლიტერატურას, ხელოვნებას, მუსიკას და ამიტომაც გაჩნდა გამოთქმები: **ტანსაცმლის სტილი, ცეკვის სტილი**,

ლი, სახვითი ხელოვნების სტილი, მსახიობის თამაშის სტილი, მეტყველების (ენის) სტილი... მუსიკაში განარჩევენ საეკლესიო და საოპერო სტილს, ფერწერაში - ისტორიულსა და უანრული ფერწერისას.

**როკოკო** არის არქიტექტურული და დეკორატიული სტილი, რომელიც წარმოშვა XVIII საუკუნის საფრანგეთში. მას ახასიათებს რთული და ნატიფი ფორმები. **ბაროკო** XVI- XVIII სს. ევროპული ხელოვნების (განსაკუთრებით არქიტექტურის) მხატვრული სტილია, რომელიც გამოირჩევა დეკორატიული წვრილმანების სიჭარბით. ყველანაირ სტილში იგულისხმება თავისებურებანი, რომლებითაც საგანი განსხვავდება იმავე რიგის სხვა საგნებისაგან.

XIX საუკუნის ბოლოს აქტუალური გახდა ტერმინი **მოდერნი**, არქიტექტურისა და გამოყენებითი ხელოვნების დეკადენტური მხატვრული სტილი, რომელსაც მანერულობა და ეკლექტიზმი ახასიათებს. ამ ტიპის რამდენიმე ნაგებობა ბათუმშიცაა (თოჯინების თეატრი, აჭარის ტელევიზიის ნაგებობა, ყოფილი ეროვნული ბანკის შენობა).

რესულ ენაში ომონიმური მნიშვნელობით გამოიყენებოდა „**სტილი**“ და „**შტილი**“ (ამ უკანასკნელს ლომონოსოვი იყენებდა). პირველად სიტყვა „**სტილი**“ გამოიყენა ცნობილმა მღვდელთმსახურმა – იონიკი გალიატოვსკიმ 1659 წელს კიევში გამოცემულ პომილეტიკურ ტრაქტატში. სიტყვა „**შტილი**“ (გერმ.) პეტრეს ეპექაში გაჩნდა.

მოკლედ, „**სტილი** წარმოადგენს ერთი რიგის საგანთა და მოვლენათა მკვეთრად განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობას“ (გვენცაძე 1974: 4). რომ არა მკვეთრი განსხვავება, მაშინ სტილზე არც შეიძლებოდა გვესაუბრა. როცა ამბობენ, ვიმუშაოთ ახალი სტილითო, ეს იმას ნიშნავს, რომ გადავიდეთ ახალ რეჟიმზე, რაღაც განსაკუთრებული შევიტანოთ მუშაობაში.

ამრიგად, ერთი რიგის საგნების ან მოვლენების დაპირისპირებისას თუ გამოვლინდა რაიმე განსაკუთრებული ნიშანი, შეგვიძლია ვისაუბროთ სტილურ ნიშნებზე და დავადასტუროთ სტილის არსებობა.

უ. ლ. ბუფონის აზრით, „**სტილი თვით ადამიანია**“ [Le style c'est l'home même]. ამ გამოთქმის მიხედვით, **სტილი** ეწოდება საერთოდ სუბიექტის თავისებურებას, რომელიც ვლინდება მისი გამოთქმის წესში, მის მეტყველებაში, ქცევაში და ა. შ.

ფონ რუმორი (იტალიური გამოკვლევები I) პირიქით, ცდილობს **სტილი** ახსნას, როგორც „მასალის ჩვეულებად ქცეული დამორჩილება შინაგანი მოთხოვნებისადმი, მასალისა, რომელშიც მოქანდაკე თავის ფიგურებს ნამდვილად აქანდაკებს, ხოლო ფერმწერი მას გამოავლენს“ (ვიმოწმებთ ჰეგელის მიხედვით) (ჰეგელი 1973: 340).

ქეგლ-ში მოცემულია **სტილის** რამდენიმე მნიშვნელობა. ის აღნიშნავს: 1. ხელოვნებაში ამა თუ იმ ქპილის, ერის, მიმართულების ან ცალკეულ შემოქმედთა დამახასიათებელ გამომსახველობით ხერხთა, მხატვრულ თავისებურებათა ერთობლიობას, რაც შეპირობებულია იდეური საზოგადოებრივ-ისტორიული შინაარსის ერთიანობით;

**2. ენობრივ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, უანრს;**

**3. გადატანით: ქცევის ან მოქმედების თავისებურებებს, მანერას** (მუშაობის სტილი; თამაშის სტილი);

**4. წელთაღრიცხვის სისტემას** (ძველი სტილი იულიუსის კალენდარს მიჰყვებოდა, ახალი კი გრიგორიანულია) (ქეგლ).

დღეს **სტილის** მნიშვნელობა გაფართოვდა, „მაგრამ ამ სიტყვასთან რაღაც განსაკუთრებულის გამოხატვა მაინც არის დაკავშირებული“ (გვენცაძე 1974: 3). მისი ასეთი ფართო გამოყენება აძნელებს მეტყველების სტილის განსაზღვრას. სიტყვა „**სტილი**“ თანდათან მეტყველების სფეროს საკუთრება ხდება. ამას ისიც ადასტურებს, რომ სტილისტიკის ცნებაში ძირითადად საენათმეცნიერო დისციპლინის შინაარსია ჩაქსოვილი. სწორედ ამან განსაზღვრა სტილისტიკის, როგორც ენათმეცნიერების დამოუკიდებელი დისციპლინის ჩამოყალიბება. XX საუკუნის II ნახევრიდან გაჩნდა ტერმინი **ლინგვისტური სტილისტიკაც (ლინგვოსტილისტიკა)**.

უცნობი ავტორის „მოკლე რეტორიკაში“ **სტილი** ასეა განმარტებული: „შესახედაობა სიტყვისა, აზრისაებრ შეფერებული და მოწყობილი, არის სტილი“.

„**სტილი** ნაწარმოების სისხლიცაა, კალაპოტიც და შემოქმედის, ასე ვთქვათ, თითის ანაბეჭდიც“, - წერს ჯ. ქარჩხაძე (ქარჩხაძე 2005: 96).

6. ბასილაის მიხედვით, „**სტილი**“ არის თავისებურ ენობრივ საშუალებათა ერთიანობა, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ადამიანთა მეტყველებას სხვადასხვა სიტუაციასთან, საგანთან, მოვლენასთან, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებთან დაკავშირებით. სხვაობას ქმნის განსაკუთრებული ლექსიკა, სწორად შერჩეული გრამატიკული ფორმები, სათანადო გამომსახველობითი ენობრივი ელემენტები და ამ საშუალებათა გამოყენების თავისებური ხერხები. ზეპირი მეტყველების დროს აღნიშნულ ენობრივ საშუალებებს ემატება ინტონაცია (ზოგჯერ მიმიკა და უესტიც)“ (ბასილაია 1991: 27).

### დ 3. სტილისტიკის დარგები

სტილისტიკის დარგებად გამოყოფენ:

**1. ფუნქციურ სტილისტიკას**, რომელიც განიხილავს ცალკეული სტილის (სამეცნიერო, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული ლიტერატურის, სასაუბრო) სპეციფიკურ ნიშნებს.

**2. ლექსიკურ სტილისტიკას**, რომელიც შეისწავლის სიტყვების შერჩევას მნიშვნელობის მიხედვით. აქ განიხილება სინონიმის, ომონიმის, ანტონიმის, ბარბარიზმის, დიალექტიზმის, უარგონიზმის და სხვათა სტილისტიკური ფუნქციები.

**3. გრამატიკულ** (მორფოლოგიურსა და სინტაქსურს) **სტილისტიკას.**

მორფოლოგიური სტილისტიკა სწავლობს ენის მორფოლოგიურ საშუალებათა, მეტყველების ნაწილთა სინონიმური გრამატი-

კული ფორმების (ბრუნვების, აფიქსის, თხზვის, ულლების, დროის, კილოს, მწვრივის და ა.შ.) შერჩევა-გამოყენებას. სინტაქსურ სტილისტიკაში განიხილება სიტყვათა შეკავშირება, წყობა, წინა-დადებათა სახეები, ბუნებრივი თქმები, სხვათა ნათქვამისა და სი-ნონიმური სინტაქსური კონსტრუქციების შერჩევის საკითხები.

**4. მხატვრული ენის სტილისტიკას,** რომელიც შეისწავლის ტროპის სახეებსა და რიტორიკულ ფიგურებს (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, მეტონიმია, ალეგორია, ჰიპერბოლა, ლიტოტესი).

შ. ბალი გამოყოფს **ზოგად** (განიხილავს საერთო ენობრივ საშუალებებს, სტილის რაობას) და **კერძო** სტილისტიკას (სწავლობს კონკრეტული ენის სტილურ საკითხებს და ცალკეული პიროვნების მეტყველების ექსპრესიულ თავისებურებებს) (ბალი 1961:17).

ვ. დერიაგინი გამოყოფს **გრამატიკულ, ფუნქციურ და ტექ-სტილისტიკას.**

ვ. ვინოგრადოვის მიხედვით, სტილისტიკა სამი სახისაა: 1. **სტრუქტურული (ფუნქციური სტილი);** 2. **მეტყველების, რომ-ლის საგანია სხვადასხვა უანრის სემანტიკური და ექსპრესიულ-სტილისტიკური მეტყველების სახეები;** 3. **მხატვრული ლიტე-რატურის.** ამ უკანასკნელში შეისწავლება ლიტერატურული ნა-ნარმოების, მწერლის სტილის, ლიტერატურული მიმართულების თავისებურებანი (ვინოგრადოვი 1963:5-93).

არნ. ჩიქობავა გამოყოფს **პოეტიკურ და ენათმეცნიერულ** (არაპოეტური ენა) სტილისტიკას (ჩიქობავა 1952: 313).

#### § 4. სტილისტიკის კავშირი მომიჯნავე დარგებთან

სტილისტიკა არაა განყენებული მეცნიერება, იგი მჭიდროდ უკავშირდება ენის სტრუქტურის შემსწავლელ დარგებსაც და პუმანიტარული ციკლის ბევრ სხვა დისციპლინასაც: პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას, ლოგიკას, ესთეტიკას, განსაკუთრებით კი პოეტიკას (ლიტერატურის თეორიას) და რიტორიკას.

სტილისტიკა შეისწავლის ენის სტრუქტურის მიმართულების, მათი გამოყენებისა და ფუნქციონირების თავისებურებებს, შესაბამისობას ამა თუ იმ სიტუაციასთან, ემოციურობასა და ექსპრესიულობას.

რომლებსაც გრამატიკა, თუმცა ის სწავლობს მეტყველებაში მათი გამოყენებისა და ფუნქციონირების თავისებურებებს, შესაბამისობას ამა თუ იმ სიტუაციასთან, ემოციურობასა და ექსპრესიულობას.

**ა) ფონეტიკასთან კავშირი.** ფონეტიკიდან სტილისტიკას უმ-თავრესად აინტერესებს მეტყველების ევფონიის საკითხები. პო-ეზიაში ლოგიკური მახვილი, კეთილბმოვნება, ჰარმონიულობა, რითმი, რიტმი, და საერთოდ, მუსიკალობა ემოციის გასაძლიერებ-ელი საშუალებებია. ისინი სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება.

**ბ) მორფოლოგიასთან კავშირი.** მორფოლოგიურ სინონიმიკა-ში განიხილება მორფოლოგიური ინვენტარი, სახელურ და ზმნურ კატეგორიათა პარალელური ფორმანტები (ბრუნვის, რიცხვის, ზმნის პირის, კონტაქტის, გვარის, აბსტრაქტულ, მქონებლობის, უქონლობის სახელთა თუ მიმღეობათა მარამოებლები), რომ-ლებიც ხშირად სხვადასხვა სტილისტიკურ ელფერს ატარებს.

**გ) სინტაქსთან კავშირი.** სტილისტიკა უკავშირდება სინტაქ-სსაც. სტილისტიკა განსაზღვრავს კონკრეტულ ენობრივ სიტუ-აციაში სათქმელის გადმოსაცემად მარტივი წინადადება უმ-ჯობესია თუ რთული, პარატაქსი თუ ჰიპოტაქსი, აქტიური კონ-სტრუქცია თუ პასიური და სხვა. სტილისტიკური დანიშნულებით შეიძლება სიტყვათა რიგიც შეიცვალოს და სასვენი ნიშნების ხმა-რების წესებიც.

**დ) მეტყველების კულტურასთან კავშირი.** სტილისტიკა მჭიდროდ უკავშირდება მეტყველების კულტურას. ორივე მათგა-ნი აფასებს მეტყველებაში სიტყვებისა და გრამატიკული ფორმე-ბის გამოყენების შესაძლებლობებს, მაგრამ პირველს აინტერე-სებს მათი მიზანმიმართული გამოყენება და გამომსახველობის ხარისხი, მეორეს კი - მათი ენობრივი გამართულობა.

სტილისტიკა უაღრესად აქტუალური მეცნიერებაა. ენის გან-საკუთრებულ შესაძლებლობათა ცოდნა და მათი მარჯვე, მოხ-დენილ გამოყენება ამდიდრებს ადამიანის მეტყველებას, აად-ვილებს კომუნიკაციას და მიზნის მიღწევასაც კი. მეტყველების კულტურა საერთო კულტურის შემადგენელი ნაწილი და ადამი-ანის სულიერი სამყაროს სრულყოფის აუცილებელი პირობაა.

**ე) სალიტერატურო ენის ისტორიასთან კავშირი.** სტილისტიკა უკავშირდება სალიტერატურო ენის ისტორიასაც. ის გვიადვილებს სტილისტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარების საფეხურების გარკვევას, ამა თუ იმ პერიოდის ენობრივი სტილის შესწავლას.

სალიტერატურო ენის ისტორია გვიქმნის წარმოდგენას მშობლიური ენის განვითარების ისტორიული ხაზის, მისი ნორმალიზაციის, თანამედროვე ენობრივი ტენდენციების შესახებ, რაც აღვივებს მისი შესწავლის ინტერესს; აყალიბებს და ზრდის სტილისტიკაში მიღებული ცოდნის რეალიზების პასუხისმგებლობას.

**ვ) ტექსტის ლინგვისტიკასთან კავშირი.** სტილისტიკა უკავშირდება ტექსტის ლინგვისტიკასაც. „თუ ეს უკანასკნელი იკვლევს ტექსტის არსას, ფუნქციას, სტრუქტურას, პარამეტრებს, საზღვრებს, ტექსტის სტილისტიკა, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, არკვევს, თუ სად და როგორ ფუნქციონირებენ ტექსტის კატეგორიები და პარამეტრები, როგორ შეასრულა ტექსტმა თავისი ფუნქცია სხვადასხვა უანრსა და სტილში“ (სერგია 1989:28).

**ზ) ლექსიკოლოგიასთან კავშირი.** სტილისტიკა ახლოს დგას ლექსიკოლოგიასთან. ორივე დარგის ამოსავალია ლექსიკური ერთეულები, მაგრამ თუ ლექსიკოლოგიას აინტერესებს მათი პირდაპირი მნიშვნელობანი, სტილისტიკის საგანი ექსპრესიულობის მისაღწევად სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებაა; თუ ლექსიკოლოგიაში შეისწავლება სინონიმის, ომონიმის, ანტონიმის რაობა, მათი სტილისტიკური ფუნქციები ლექსიკურ სტილისტიკაში განიხილება.

სტილისტიკა კვლევა-ძეგლისათვის იყენებს ენათმეცნიერების სხვა დარგების მონაცემებსაც, მაგრამ იგი დამხმარე დარგიცაა ისეთი დისციპლინებისათვის, როგორებიცაა: კრიტიკა, ლიტერატურის თეორია (პოეტიკა), ესთეტიკა, რიტორიკა და ა.შ.

**თ) ლიტერატურის თეორიასთან და პოეტიკასთან კავშირი.** ანტიკური ეპოქის საბერძნეთსა და რომში, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი ყურადღება ექცეოდა „უკეთესად თქმის ხელოვნებას“,

ამიტომაც განიხილებოდა ენის განსაკუთრებული შესაძლებლობანი რიტორიკასა და პოეტიკაში, ის გვიან გახდა ენათმეცნიერების შესწავლის საგანი. სტილისტიკური კატეგორიები შეისწავლება ლიტერატურის კურსშიც, რამაც წარმოშვა დავა, თუ რომელი მათგანის კვლევის ობიექტია იგი. სტილს სწავლობს ლიტერატურათმცოდნებაც (პოეტიკა). „თუ ის აღნიშნავს მხატვრული სახის რაობას, სტილისტიკა არკვევს, რომელი სტილისტიკური კატეგორიაა აქ გამოყენებული გამომსახველობით საშუალებად“ (გვენცაძე 1974: 9).

**ი) სტილისტიკის, რიტორიკისა და პრაგმატიკის ურთიერთმიმართება**

„კარგად თქმის ხელოვნებას და კარგად თქმის მეცნიერებას“ პრაქტიკული დანიშნულება აქვს. შესაბამისად, სტილისტიკისა და რიტორიკის პრობლემები პრაგმატიკის სფეროშიც შედის. **პრაგმატიკა** (ბერდ. Pragmatics – საქმე, მოქმედება) შეისწავლის ენობრივი ნიშნების ფუნქციონირებას მეტყველებაში. ის არის „მეცნიერება ენის გამოყენების შესახებ“.

რიტორიკა, სტილისტიკა და პრაგმატიკა ერთმანეთში გარდამავალი მეცნიერებებია. რიტორიკული ამოცანა სტილში რეალიზდება, პრაგმატიკას ორივე აინტერესებს (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ბარბაქაძე 2003).

**„მოკლე რიტორიკაში“** დასმულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც - ჯერ გრამატიკა უნდა ვისწავლოთ და შემდეგ კი რიტორიკა და ფილოსოფია, რომ შეგვეძლოს „მშვენიერი და გამკვეთი ლაპარაკი“, რომ გავარჩიოთ სიცრუე ჭეშმარიტებისგან და სიმართლე დავამტკიცოთ. აქვე იკვეთება გრამატიკის მიმართება რიტორიკასა და ფილოსოფიასთან. მოკლედ, ვერც მჭევრმეტყველი და ვერც ფილოსოფიის გრამატიკის უცოდინრად ვერ მიაღწევენ მიზანს.

**კ) ესთეტიკასთან კავშირი.** სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშების ესთეტიკური დახასიათება შეუძლებელია მისი ენის სტილისტიკური მხარის გაუთვალისწინებლად. ამაში ლიტერატურის ესთეტიკის ეხმარება ზოგადი სტილისტიკის ცოდნა. „აქ სტილისტიკა მხარში უდგას პოეტიკას“ (გვენცაძე 1974:20).

## წ5. სტილისტიკის შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სტილისტიკის ცოდნას აქვს როგორც **თეორიული**, ისე **პრაქტიკული მნიშვნელობა**. ჯერ ერთი, ვეცნობით თეორიულ საკითხებს: **სტილის რაობას, სტილის ცალკეული სახეობის მსგავსება-განსხვავებას; სათქმელის ზუსტად, კონკრეტულად გადმოცემის, მშობლიური ენის ბუნების დაცვის მნიშვნელობას.**

სტილისტიკის **პრაქტიკული** დანიშნულებაა ენისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, სინონიმურ ფორმებში განსხვავების დანახვა და კონკრეტული სიტუაციისთვის მორგება. სტილის სახეებისა და მათი სპეციფიკური ნიშნების საფუძვლიანი ცოდნა გვეხმარება კონკრეტულ სიტუაციაში მათ მიზანშეწონილ გამოყენებაში.

„სტილისტიკა გვასწავლის ენობრივ ოსტატობას, გვიმუშავებს შეგნებულ დამოკიდებულებას ენისადმი, უმთავრესად აანალიზებს მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერს მათი გამოყენების თვალსაზრისით, გვეხმარება მსგავსი მნიშვნელობის ენობრივი ხერხების შერჩევაში, რომლებიც ერთნაირი კი არ არის, არამედ განსხვავებულია ამა თუ იმ ელფერით და ზოგჯერ ძნელად მისახვედრია. ასეთი შერჩევა უმთავრესად ოსტატობის საქმეა“ (გვოზდევი 1955:11). პრაქტიკული სტილისტიკის ცოდნით გამოგვიმუშავდება აზრისა და გრძნობის ზუსტად და ნათლად გადმოცემის ჩვევა, სახოვანი მეტყველება და ენის სინმინდის აუცილებლობის შეგნება.

## წ6. სტილისტიკური და ენობრივი ნორმა

სტილისტიკისთვის ამოსავალია ნორმატიული გრამატიკა, იგი ეყრდნობა გრამატიკულ ნორმებს.

სალიტერატურო ენა მოწესრიგებული, ნორმირებული, რეგულამენტირებულია. ა. არაბული წერს, რომ „თვით პირველი მწიგნობრული ძეგლიც კი ნორმატიულია, რადგან მისი შემქმნელი

მიჰყვებოდა რაღაც წესებს, ირჩევდა ენობრივი ვარიანტებიდან ძირითადს, სოციალურად უპირატესს. ასეთნაირად არჩეული ვარიანტი კი უკვე ნორმა ხდებოდა; ყოველი მომდევნო ავტორი კი ითვალისწინებდა არსებულ ენობრივ გამოცდილებას და ნერგავდა მას. ადრინდელი ეპიგრაფიკული და ხანმეტი მწიგნობრული ძეგლები იმ სალიტერატურო ენით არის შექმნილი, რომელიც არსებითად მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურობას“ (არაბული 2005:10).

ათონის და პეტრინის სალიტერატურო სკოლებში უკვე არსებობდა ენისადმი შეგნებული მიდგომა. „სიტყვის კონას“ სულხან-საბამ წაუმდლვარა „ანდერძნამაგი“: „რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი არღარა იპოებოდა, რამეთუ უმათა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაპკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“.

ძეგლი ქართული გრამატიკული ტრაქტატი „სიტყუად ართონთათვს“ (XI ს-ის უცნობი ავტორი) მოწმობს, რომ „ძეგლი მწიგნობრები კარგად ერკვეოდნენ ენის საკითხებში, იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლასაც“ (შანიძე 1990: 6).

ნორმა ყველა ენობრივ ერთეულს უერ მოიცავს; ის განისაზღვრება იქ, სადაც ფორმათა ვარიანტულობა იჩენს თავს. ა. არაბულს მოჰყვას ასეთი შედარება: იურისპრუდენციაში ცნობილია ფორმულა: დასაშვებია ის, რაც აკრძალული არ არისო.

ენის განვითარების პროცესში თავს იჩენს მოცილე, პარალელური ფორმები. თუ არ იარსებებს ალტერნატივა, ვარიანტები, არც რომელიმე მათგანის არჩევის საჭიროება დადგება; ან თუ ეს არჩევანი თვით სუბიექტის, ინდივიდის ნებაზე იქნება დამყარებული, მაშინ ენა ვერ მოწესრიგდება. „მოცილე ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც შეესაბამება ენის განვითარების ძირითად ხაზს, მის ბუნებრივ ტენდენციებს და პერსპექტიულია ენობრივად“ (არაბული 2005:35).

მეტად საინტერესოა ნორმის რეალიზაციის, ნორმისა და უზ-

უსის საკითხები. **უზუსი** ლათინური სიტყვაა (uzus) და ნიშნავს ჩვევას, ჩვეულებას, გამოყენებას. იგი არის საყოველთაოდ გავრცელებული, უალტერნატივო ენობრივი ერთეული, იგივე ნორმა (ნორმატიული და უზუალური ფორმები მოცემულია ორთოგრაფიულ ლექსიკონში).

სტილისტიკა მეტყველების ხელოვნებაა, თუმცა მისი ნორმები ზოგჯერ განსხვავდება კიდეც სალიტერატურო ენის ნორმათაგან. ზოგი რამ გრამატიკულად დასაშვებია, მაგრამ სტილისტიკურად დაუშვებელია.

**სტილისტიკური ნორმა** არის მეტყველების კულტურის მწვერვალი, სადაც თავს იყრის ენაში არსებული საშუალებანი. მისი დარღვევა აბუნდოვნებს სათქმელს. ჰიპოკრატეს სკოლის მწერლები ანტიკურ სტილისტიკაში მიუთითებდნენ აზრის გამაბუნდოვნებელ უზუსტობებზე, როგორებიცაა: კავშირების აღრევა, აღნერითი კონსტრუქციების გამოყენება, ორაზროვანი სიტყვებით, ზოგადი ფრაზებით მეტყველება; არქაიზმები, დიალექტიზმები, ბარბარიზმები, კალკები, შტამპები და ა. შ.

შეცდომათა გამომწვევი მიზეზებია:

- ა) ქართული ენის რესურსების სუსტი ცოდნა;
- ბ) ენობრივ-სტილისტიკური „ყნოსვის“ არასაკმარისი ფლობა;
- გ) ფუნქციური სტილის უცოდინრობა და განსხვავებული სტილების ერთმანეთში აღრევა;
- დ) სიტყვის მნიშვნელობის უცოდინრობა (სოციალური// სოციალისტური);
- ე) სიტყვათა არასწორი შეხამება: ვალდებულება იკისრა; ნდობა გაუწია;
- ვ) პარონიმების უცოდინრობა: დიპლომატი// დიპლომანტი;
- ზ) ლექსიკური ანაქრონიზმი: დამლაგებელი გაფორმებული ჰყავს დამლაგებლად;
- თ) შტამპების გამოყენება: ახდენს შეფასებას, ანარმოებს მიღებას;
- ი) პარაზიტი სიტყვების გამოყენება: ე. ი., მაგალითად, მაშასა-დამე;

კ) მეტაფორების, ანდაზების, აფორიზმების უადგილოდ ხმარება;

ლ) შეუსაბამო ტერმინების გამოყენება;

მ) მოცემული სიტუაციისათვის შეუფერებელი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება (სანიკიძე 1998: 5-6).

ნ. მიქელაძე სტილისტიკური ნორმის დარღვევის ძირითად მიზეზებად ასახელებს: „ა) გადმოსაცემი შინაარსის სუსტი ცოდნას; ბ) ლექსიკური მარაგის სილარიბეს; გ) გრამატიკული კანონების არასრულფასოვან ცოდნას; დ) აზროვნების დაბალ დონეს; ე) ლექსიკური და გრამატიკული სინონიმის არასაკმარის მარაგს“ (მიქელაძე 2009: 17).

სტილისტიკური ნიშნები ყოველ ენობრივ ფაქტში არ შეიძლება არსებობდეს. ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური დატვირთვა შესაძლებელია ენაში ჩამოყალიბებული ორთოებიული, გრამატიკული თუ ლექსიკური ნორმების გამოყენებით. სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახვევა ზოგჯერ სტილისტიკური ხერხიცაა.

სტილისტიკურ შეცდომათა დანახვა ადვილი არაა, ზოგჯერ იგი ირევა სხვა ტიპის უზუსტობებში. ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური ნორმების გვერდით არსებობს სინტაქსურ-სტილისტიკური და ლექსიკურ-სტილისტიკური ნორმებიც. სტილისტიკური შეცდომები მეტყველების კულტურაში დაშვებული შეცდომებიცაა. მათ ცოდნას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

სტილისტიკური ნორმის დასაუფლებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის შინაგანი წესებისა და კანონების ათვისებას, რაც ძირითადად მიიღწევა მხატვრული ლიტერატურის ინტენსიური კითხვით, ასევე განათლებულ ადამიანებთან ხანგრძლივი ურთიერთობით.

## § 7. ენობრივი სტილის გაგება. სუბიექტური და ოპილისტური სტილი

### 7.1. სტილის ცენტები

სტილის ცნობის, მისი არსის გარკვევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, სტილი ობიექტური მონაცემია, სხვათა აზრით, - **სუბიექტურია.** არსებობს მისი **სინთეზური** (სუბიექტურ-ობიექტურ) გაგებაც.

დავიწყოთ იქიდან, რომ თავდაპირველად **სტილი** ესმოდათ, როგორც წერისა და მეტყველების მანერა. ამ გაგებით ეს სიტყვა შევიდა ევროპულ ენებში. ანტიკური სტილისტიკის ამოცანა იყო მსმენელზე ზემოქმედება. რიტორიკას აინტერესებდა გამამართლებელი, დამარწმუნებელი, საქებარი და შემკობილი მეტყველება. საამისოდ კი სტილისტიკური ფიგურების სწავლა იყო საჭირო. მოკლედ, ასეთი რამის დაუფლება სავსებით შესაძლებელი იყო, შესაბამისად, **სტილი** ობიექტურ კატეგორიად მიიჩნეოდა.

რიტორიკა ანტიკურ ტრადიციებს შუა საუკუნეებშიც აგრძელებდა. XVIII ს-ის დასაწყისიდან მიიჩნეოდა, რომ პოეტიკის სწავლა, დაუფლება შეუძლებელი იყო.

გერმანისტიკაში XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა რამდენიმე კონცეფცია სტილის შესახებ. ი. ადელუნგმა შრომაში - „გერმანული ენის სტილის შესახებ“ პირველად გამოყოფილი ნაწილი ცალკე დისკიპლინად და მას სტილისტიკა უწოდა. მეცნიერის შეხედულებით, სტილი თავისი ბუნებით ობიექტურია და იგი ნორმატიული სტილისტიკის საგანია. მასვე ემხრობიან კ. რეინგარდი, კ. ჰოფმანი, ი. ვენდელი, ხ. სნელი, ვ. ვაკერნაგელი.

კ. ხაიზე შრომაში „ენათმეცნიერების სისტემა“ გამოყოფს სტილის ორ სახესხვაობას - **სუბიექტურს** (განისაზღვრება ინდივიდის ფსიქოლოგიით, განათლებით, ასევე მოცემული ენის ბუნებით) და **ობიექტურს** (განისაზღვრება ნაწარმოების შინაარსითა და უანრით). პირველი სტილისტიკის საგანია, მეორე - რიტორიკისა.

რაციონალიზმისა და ნეოკლასიციზმის ტრადიციებს XX საუკუნეში აგრძელებდა უენევის სკოლა (შ. ბალი). მას უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა, რომელთა აზრითაც **სტილი** არის ავტორის პირადული თავისებურებების გამოვლენა. ფ. შელინგის მიხედვით, „სტილის შესწავლა შეუძლებელია, მას უნდა დავაკვირდეთ და შევადაროთ სხვა სტილს“ (შელინგი 1966).

ი. სტეპანოვი „**ენათმეცნიერების საფუძვლებში**“ განმარტავს მეტყველების სტილს. „მეტყველების სახეს, ადამიანების მიერ გამოყენებულს ტიპობრივ საზოგადოებრივ სიტუაციაში, ენოდება მეტყველების სტილი ანუ მეტყველების ფუნქციური სტილი“. იგი გამოყოფს სტილს რამდენიმე თვალსაზრისის მიხედვით:

1. გეოგრაფიული თვალსაზრისი: სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები განსხვავებულად მეტყველებენ;

2. ასაკობრივი: ბავშვების მეტყველება იცვლება;

3. სქესთა მიხედვით: ქალური, მამაკაცური;

4. საკუთრივ სოციალური: ნეიტრალური, ნიგნური, სასაუბრო, შინაურული, სადა მეტყველება, უარგონები.

5. უანრული პრინციპი (ჩამოაყალიბა ა.ეფიმოვმა „**რუსული ენის სტილისტიკაში**“. მას ბევრი მომხრე ჰყავს).

თ. ბენფეის აზრითაც სტილს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: უანრი, ეროვნულობა, ეპოქა, ინდივიდუალური ფსიქოლოგია.

ვ. შერერის მიხედვით, „სტილი წარიტაცებს მთელ პროცესს ნედლი მასალიდან, ამ მასალის შერჩევიდან განსაკუთრებულ გაფორმებამდე და ენობრივ და მეტრულ ფორმათა გამოყენებამდე, ერთი სიტყვით, უნდა გავისიგრძეგანოთ მთელი შემოქმედებითი პროცესი და გამოვავლინოთ თავისებურებანი ყველგან და ყველაფერში“ (შერერი 1988: 43).

ჯ. პეტერსენი წერს, რომ „**სტილი** ადამიანის ტიპის, როგორც განსაზღვრული საზოგადოებისა და დროის წარმომადგენლის სულიერი, ფსიქიკური, იდეოლოგიური და მხატვრული თავისებურებების ერთანაბაა“ (პეტერსენი 1939:11).

ა. შეფერსბერის (პლოტინის მიმდევრის ინგლისში) აზრით, სტილის გაგებაში გამოიკვეთება სამი კონცეფცია: 1. ფორმალურ-ობიექტური; 2. გენეტიკურ-ფსიქოლოგიური და 3. ორგა-

ნული (ფორმალურ-ფსიქოლოგიური). პირველი კონცეფციის მიხედვით, სტილს განსაზღვრავს დრო. მაგალითად, შევადაროთ რენესანსისა და ბაროკოს სტილი.

**სტილის** გენეტიკურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად (ელსტერი 1913), ის, როგორც კანონი, მიმართულება, არჩევის მეთოდი, ინდივიდუალურია. ამ თეორიას აინტერესებს არა იმდენად ესთეტიკა, რამდენადაც ავტორის ფსიქოლოგია.

სტილის ორგანული ფორმალურ-ფსიქოლოგიური კონცეფციის მიხედვით, ნანარმოების გარეგან ფორმას განსაზღვრავს შემოქმედის ფსიქოლოგიური თავისებურებანი და თავად შინაარსი. თუ ავტორი ტრადიციებს მიჰყვება, მისი შემოქმედება ორიგინალობას მოკლებულია, ხოლო თუ ავლენს შემოქმედებით მანერას, იგი ამ ორიგინალობით შეძლებს ჩვენს განცვიფრებას. **სტილი** ავტორის გენეტიკის, ტემპერამენტის, განწყობილებისა და გემოვნების ორგანული მთლიანობაა.

მ. ბრანდესი სამართლიანად შენიშნავს, რომ არც ერთი კონცეფცია ამომზურავი არაა: „სტილის არსის გარკვევისას ყველა მათგანი გასათვალისწინებელია, თანაც ამ კონცეფციების ასეთი მკვეთრი გამიჯვნა გაუმართლებელია“ (ბრანდესი 1971: 43).

სტილის ბუნების გასარკვევად უნდა ამოვიდეთ ენის, როგორც სოციალური მოვლენის, გაგებიდან. სტილიც, უპირველეს ყოვლისა, ობიექტური მონაცემია. აქ იგულისხმება ენის საკომუნიკაციო ფუნქცია. სტილი მთლიანად სუბიექტური რომ იყოს, ენავერ გამოდგებოდა ურთიერთობის საშუალებად. იგი არ იქნებოდა ყველა მოლაპარაკე ინდივიდისთვის გასაგები და მისაწვდომი. მართალია, ნებისმიერი ინდივიდი თავისებურად იყენებს ენობრივ საშუალებებს, მაგრამ იგი მათ ვერ შეცვლის. მხატვრული ლიტერატურის სტილში კი ყველაფერი მწერლის ინდივიდუალურ მხატვრულ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ **სტილი** თავისი არსით ობიექტურია, განსხვავებულია მისი მოხმარება: „ინდივიდს შეუძლია ენის შესაძლებლობები მოიმარჯვოს, შეამჩნიოს, პირადი უნარის ძალა გამოაჩინოს, მაგრამ საშუალებების გამოყენების ინდივიდუალური ელფერი არ შეიძლება სტილად მივიჩნიოთ, არც ინ-

დივიდუალური სტილი არსებობს და არც ინდივიდუალური ენა. არსებობს მხოლოდ ენის შესაძლებლობათა გამოყენების ინდივიდუალური ხერხი. თუ მაინც გსაუბრობთ ცალკეული პიროვნებების ენის სტილის შესახებ, ამით გვინდა მათ მეტყველებაში განსაკუთრებული შესაძლებლობების არსებობის ან არარსებობის დადასტურება“ (გვენცაძე 1971:12- 13).

„სტილის ობიექტური ხასიათი სწორედ ისაა, რომ ენობრივი არჩევანი შესაძლებელია სუბიექტურად ნეიტრალურ ვითარებაშიც განხორციელდეს. ამ შემთხვევაში ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ ენობრივი გამოხატულების ოპტიმალურ შესაბამისობაზე გამოსახატავ შინაარსთან, ოღონდ ამ დროს არსებითად გამოირიცხება ამ გამოხატულების სუბიექტურ-ექსპრესიული მხარე. აქედან კი ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სტილის ამოცანა ოპტიმალურ ენობრივ შესაძლებლობათა ძიებაა ყოველგვარ ვითარებაში, ენის ფუნქციონირების ყოველგვარ სფეროში“ (არაბული 2005: 213).

ფრანგი ბუნებისმეტყველისა და მწერლის, ჟ. ლ. ბუფონის სიტყვები - „**სტილი თვით ადამიანია**“, მიგვანიშნებს, რომ სტილში ვლინდება მეტყველის მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება გადმოსაცემი შინაარსისადმი; ყოველგვარი სტილური ვარიაცია მსოფლმხედველობითს არ წარმოადგენს, მაგრამ ყოველთვის ახასიათებს მოლაპარაკის ცნობიერებას.

მიიჩნევენ, რომ სუბიექტურ სტილს ადამიანი ისევე ძნელად გამოიცვლის, როგორც აზროვნებას.

## 7.2. სუბიექტური და ოპივებური სტილი

ფუნქციური სტილის სახეები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად სახედ: **ობიექტურად და სუბიექტურად**. ობიექტური სტილის (ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო) ნიმუშები ნეიტრალურია, არ შეიცავენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც გამოხატავს ემოციას, ექსპრესიას. სუბიექტური სტილი (სასაუბრო, მხატვრული ლიტერატურის) საზემოქმედოა.

„გრძნობითი იერი სიტყვის მნიშვნელობის შემადგენელი ნაწი-

ლია“ (ჩიქობავა 1952: 222). ემოციურობა, ექსპრესიულობა, ინტონაცია და კეთილხმოვნება განასხვავებს სუბიექტურ სტილს ობიექტურისაგან.

#### დ 8. სტილისტიკური მინიმუმი და მაქსიმუმი

სტილის გაგებას ორგანულად უკავშირდება **სტილისტიკური მინიმუმისა და მაქსიმუმის** საკითხი. ობიექტური სტილი გულისხმობს ენობრივ და სტილისტიკურ ნორმათა დაცვას, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციას. ობიექტური სტილის დანერგვა სტილისტიკური მინიმუმის დასაცავად ზრუნვაცაა. შეიძლება ითქვას, ობიექტური სტილი სტილისტიკური მინიმუმის ფარგლებს არ სცილდება...

„თუ სათქმელსა და ნათქვამს შორის სიზუსტე დარღვეულია, სტილისტიკური მინიმუმიც არა წესრიგში“ (ჩიქობავა 1952: 315).

სტილისტიკური მინიმუმი იგივეა, რაც ნორმა: აზრის გადმოცემის სისწორე, სიზუსტე, სიცხადე. მთქმელს სალიტერატურო ენა უყენებს თავის მოთხოვნებს. პოეტურ მეტყველებაში მას მეტი თავისუფლება აქვს, თუმცა ყველა შემთხვევაში მსმენელს (მკითხველს) აზრი ისევე უნდა ესმოდეს, როგორც მთქმელს (ავტორს).

ასეთი დარღვევა გულისხმობს სიტყვათა არასწორ შეხამებას: პედაგოგად ვერ შედგა, მაღალი სტუმარი, მაღალი ფასი, არ-შემდგარი ჟურნალისტი, პირველი პირშო, ხანდაზმული მოხუცი, მოულოდნელი სიურპრიზი. სტილისტიკური მინიმუმის დარღვევა შედარებით ადვილი შესამჩნევია. აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ნათქვამის სიზუსტეს, მის შესატყვევისობას გადმოსაცემ შინაარსთან, ორაზროვნების თავიდან აცილებას. სტილის სიცხადე და სისადავე აუცილებელია მეცნიერულ ნაშრომებში, იურიდიულ დოკუმენტებსა და კანონებში.

„სუბიექტური სტილის ხვედრითი წონა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მხატვრულ ნაწარმოებებში, სადაც დიდია სიტყვის ექსპრიმენტული გავლენა, მაგრამ სუბიექტური სტილის დამა-

ხასიათებელი ნიშნების გამოვლება ისევე ძნელია, როგორც ვინ-მეს ხმის ტემპრის თავისებურებათა დახასიათება“ (ჭუმბურიძე 1956: იქვე).

ობიექტური სტილის ნორმათა ფარგლებში სუბიექტური სტილი ააშეარავებს იმ ამოუწურავ შესაძლებლობებს, რომელთა საფუძველიცაა გადმოსაცემი შინაარსისადმი მეტყველის დამოკიდებულება, მისი სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათება... „არა თუ ორი მწერლის სტილი არა არის ერთი და იგივე, ორი მათემატიკოსის ენაც განსხვავებულია ხოლმე; ყოველდღიურ მეტყველებაში ცალკეულ პირთა სტილი ისევე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც სიარული, ხმის ტემპრი და ნაწერის ხელი“ (ჩიქობავა 1952: 317).

„იდეალური სტილი გულისხმობს სათქმელის თქმულთან შეფარდებას, რაც მეცნიერული ნაშრომის ენაში მეტყველების კლასიკურ სიმარტივესა და აზრის სიცხადეს მოითხოვს; მხატვრული ნაწარმოების ენაში კი - ექსპრესიული მაქსიმუმის მიღებას“ (მიქელაძე 2009: 14).

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ენის შინაგან ნორმაზე, ენის გრმნობაზეც. ის კომუნიკაციის ღრმა ფენებს ეხება და არა ზედაპირულ გრამატიკულ კოდექსს - მართლწერასა და მართლმეტყველებას. ესაა იმის შეგრძნება, რომ ქართულად „ეს ასე არ ითქმის“ და ცოდნაც იმისა, რომ „ეს ასე ითქმის“, „ქართველი ასე იტყოდა, ან არ იტყოდა“. მთავარი ისაა, რომ სიტყვის შერჩევა ყოველთვის არ არის მოტივირებული. მაგალითად, ვამბობთ **ხმალი იშიშვლა** და არა **იტიტვლა**. ამ ორ სიტყვას შორის განსხვავება მარტო ფონეტიკური კი არა, სტილისტიკურიცაა.

თუ ობიექტური სტილი სტილისტიკის მინიმუმის ფარგლებს არ სცილდება, სამაგიეროდ, ინდივიდუალური ანუ სუბიექტური სტილი გულისხმობს ცალკეული მწერლის, ნაწარმოების და ა. შ. დამახასიათებელ სტილს.

პოეტური მეტყველების ძირითადი ფუნქციაა ესთეტიკური ზემოქმედება მკითხველზე (თუ მსმენელზე), ხოლო სადა სტილის დანიშნულებაა მსმენელისთვის აზრის გაგებინება.

## ცოდნის შესამოხვებელი პითხვები

1. რა ფუნქცია ეკისრებოდა ანტიკურ ეპოქაში სათქმელის მიმზიდველად გადმოცემას?
2. დაასახელეთ ორი ძირითადი მოთხოვნა, რომელთაც არის-ტოტელე უყვენებს მეტყველების სტილს;
3. მოკლედ გადმოეცით სტილისტიკის ისტორია;
4. რომელი საუკუნიდან დაიწყო საქართველოში რიტორიკის განვითარება?
5. რას შეისწავლის სტილისტიკა? რას სწავლობდა იგი თავდაპირველად?
6. რატომ უწოდებენ სტილისტიკას ენის ექსპრესიულ- ემოციურ საშუალებათა შემსწავლელ მეცნიერებას?
7. გადმოეცით **სტილის** თავდაპირველი და თანამედროვე მნიშვნელობანი;
8. როგორ გესმით გამოთქმა „**სტილი თვით ადამიანია?**“
9. რით განსხვავდება ერთმანეთისგან ენობრივი და სტილისტიკური ნორმა?
10. სტილის ბუნების ახსნის რა თეორიები არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში?; თქვენ რომელს ემხრობით და რატომ? თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ;
11. როგორია სტილისტიკისა და გრამატიკის დარგების ურთიერთმიმართება?
12. გადმოეცით სტილისტიკისა და პრაგმატიკის ურთიერთვები;
13. რა იგულისხმება სტილისტიკურ მინიმუმსა და მაქსიმუმში?
14. რა იწვევს ენობრივ და სტილისტიკურ შეცდომებს? როგორ გესმით ენობრივი ყნოსვის უქონლობა?
15. გადმოეცით სტილისტიკის თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება.

**დასამუშავებელი ლიტერატურა:** № 2, 3, 4, 16, 18, 31.

## თავი II. ფუნქციური სტილისტიკა

### § 1. ფუნქციური სტილის განვითარვის

ფუნქციური სტილის ცნება თანამედროვე სტილისტიკის აქტუალური საკითხია. **ფუნქციური** დანიშნულებითს ნიშნავს, შესაბამისად, ფუნქციური სტილისტიკა სწავლობს ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროს, მის მასშტაბებს ამა თუ იმ მეცნიერებაში, საინფორმაციო ურთიერთობებსა თუ საქმის წარმოებაში. იგი ენობრივ ერთეულებს შეისწავლის არა როგორც მუდმივად შეფერილ ელემენტებს, არამედ როგორც დინამიკურსა და სხვადასხვა დანიშნულების მქონე ენობრივ საშუალებებს.

„**ფუნქციური სტილისტიკა** სწავლობს ენის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ყველა ტიპის ენაში, აგრეთვე ყველა პირის, ეპოქის, ცალკეული ნაწარმოების ნიმუშების ენა და სხვა“ (გვერცაძე 1974:12).

ტექსტის სტილი განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, ადრესატის ასაკის, მისი განათლების, ცოდნის დონის, სოციალური სტატუსის, ინტერესთა სფეროს გათვალისწინებით. არის-ტოტელე წერს: „**სტილი არ უნდა იყოს არც ამაღლებული, არც მდაბალი,** არამედ მიზანშენონილი. შეუფერებელია, როცა მონა ლამაზი სიტყვებით ლაპარაკობს უმნიშვნელო საგნებზე. მსმენელს ეგონება ორატორს ჩემი მოტყუება სურს, როგორც მელინეს შერეული ღვინითო. თუ ალისფერი წამოსასხამი უხდება ახალგაზრდას, მაშინ რალა შეჰვერის მოხუცს? მათ ხომ ერთნაირი ტანსაცმელი არ უხდებათ. როცა ვინმე გინდა შეამკო, უნდა შეადარო იმავე გვარში საუკეთესოს, მაგრამ როცა გინდა აძაგო, მაშინ უარესს უნდა შეადარო. კარგი სტილის სიტყვა ან ნაწარმოები მიზანშენონილი, ე.ი. საგნის შესაბამისი უნდა იყოს“, - ასკენის ორატორი (არისტოტელე 1981:168-169).

ფუნქციური სტილისტიკა შეისწავლის სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სფეროებს, იმ ნაირგვარ საშუალებებს, რომლებიც ფუნქციურ დიფერენციაციას ემსახურება და გამოხატავს

მათ. აქვე შეისწავლება ცალკეულ სტილთა საერთო და განმასხვავებელი ნიშნებიც.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მრავალპლანიანობა და პოლივალენტოვნება თავისთავად განაპირობებს მის მრავალმხრივ ფუნქციურ და სტილისტიკურ განტოტებას. სალიტერატურო ენის ფუნქციების ამგვარი დიფერენციაცია შეპირობებულია იმ რთული და არაერთგვაროვანი ამოცანებით, რასაც ის სრულიად განსხვავებულ პროფესიულ სფეროებში გამოყენების დროს ასრულებს. სწორედ, ფუნქციური არეების გაფართოება და გართულება იწვევს სალიტერატურო ენის მკვეთრ სტილისტიკურ დიფერენციაციას. რაც უფრო განვითარებული და პოლივალენტოვანია სალიტერატურო ენა, მით უფრო გამოყვეთილია ფუნქციური სტილისტიკის სფეროები“ (არაბული 2005: 192).

ი. გალპერინი გამოყოფს **წამყვან და დაქვემდებარებულ** სტილურ ნიშნებს. სამეცნიერო სტილისთვის წამყვანი და მუდმივი ნიშანია ტერმინოლოგია. გამომსახველობა გვევლინება მხატვრული ლიტერატურის ენის წამყვან ნიშანა და ფაკულტატიურია სამეცნიეროში, ტერმინები – პირიქით. სიზუსტე და ლაკონიურობა არის სამეცნიერო სტილის ნიშანიც, ოფიციალურ-საქმიანისაც და მხატვრული ლიტერატურისაც, მაგრამ ამ უკანასკნელში მას სრულიად განსხვავებული ფუნქცია აქვს.

ამრიგად, ფუნქციურ სტილთა ფარგლებში ერთისა და იმავე ნიშნის არსებობა კი არაა წამყვანი, არამედ მათი დომინანტობა. „გასათვალისწინებელია ასევე გამომსახველობით საშუალებათა ზომიერება („მომჭირნეობა“), აკადემიზმი და ამგვარი ფიგურების სტანდარტიზაცია“ (არაბული 2005:192).

სტილის სახეობებზე საუბრისას, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მათ განმასხვავებელ ნიშნებს, იმ სპეციფიკას, რომელიც ანიჭებს მათ ავტონომიურობას, რაც ქმნის მათ თავისთავადობას. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ სახეობებს შორის ჩინური კედელი არ არსებობს, ჯერ ერთი, საერთოა ენობრივი რესურსები, მეორეც, თითქმის არ არსებობს ისეთი ენობრივი გამომსახველობითი საშუალება, რომელიც მხოლოდ

ერთ რომელიმე სტილში გვხვდება და არ გამოიყენება მეორეში. ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს რამდენიმე სტილში, მაგრამ ერთისთვის ნიშანდობლივი იყოს იგი, მეორისთვის - აუცილებელი. მაგ.: ლოგიკურობა გვხვდება სამეცნიერო სტილშიც და ოფიციალურ-საქმიანშიც. პირველისთვის იგი აუცილებელია, სავალდებულოა მეორისთვისაც, სასაუბრო სტილში კი სასურველია.

„საერთო ქმნის ერთი ფუნქციური სტილის ფარგლებში მის სტილურ ხასიათს, ხოლო განსხვავებული ამავე ფარგლებში დანაწევრების საშუალებას იძლევა“ (კუხალაშვილი... 2010: 28).

მოკლედ, სტილთაშორისი საზღვრები მოძრავია, ესა თუ ის სტილური ნიშანი ერთი სტილისთვის დომინანტურია, მეორისთვის - არა. ერთი და იგივე ნიშანი სხვადასხვა სტილში განსხვავებულ სტილისტიკურ ფუნქციას ასრულებს. თუ მას ეს ფუნქცია არ აკისრია, მაშინ ეს **გადახრაა**.

სტილთაშორისი საზღვრების აღრევა თანამედროვეობის მეტად აქტუალური პრობლემაა. მრავალსტილიანობა აზრს აბუნდოვნებს. არისტოტელე საგანგებოდ მსჯელობს სტილთა დიფერენციაციის შესახებ: „ახლაც ბევრ გაუნათლებელ ადამიანს ჰგონია, რომ პოეტები ლამაზად ლაპარაკობენ. სინამდვილეში კი ეს ასე არაა, რადგან სრულიად განსხვავებულია ჩვეულებრივი სალაპარაკო და პოეზიის სტილი. ეს ცხადია შემდეგიდან: ტრაგედიის მწერლები აღარ იყენებენ ამ სტილს. ისინი ტეტრამეტრებიდან იამბებზე გადავიდნენ, რომლებიც სხვა მეტრებთან შედარებით უფრო მეტად ჰგავს სალაპარაკო ენას. ასევე უკუაგდეს ყველა გამონათქვამი, რომლებიც არ იყო ახლოს სალაპარაკო ენასთან. ამ გამონათქვამებით პირველად პოეტები აღამაზებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს და ზოგი პოეტი, რომელიც ჰეგზამეტრებით წერს, ახლაც იყენებს მას, ამიტომ სასაცილო იქნებოდა მიგვებადა იმ ხერხებისათვის, რომლებსაც პოეტებიც კი აღარ იყენებენ... ყოველ გვარში იხმარება ამ გვარისთვის დამახასიათებელი სტილი, რადგან ერთი და იგივე არაა წერილობითი და საკამათო, სამოსამართლო და საჯარო სიტყვები. პირველი გულიხმობს ბერძნული ენის კარგ ცოდნას, მეორე კი იმას, რომ არ იყო იძულებული დუმდე

მაშინ, როცა გინდა, ვინმეს რაიმე უთხრა. საჯარო სიტყვა ფერწე-  
რას ჰქონდა, სადაც შუქ-ჩრდილია გამოყენებული. სამოსამართლო  
უფრო ზუსტია, მიმართულია ერთი მოსამართლისადმი, მასში ნაკ-  
ლებად არის გამოყენებული ორატორული ხერხები“ (არისტოტე-  
ლე 1981:167-168).

ფუნქციური სტილები წარმოშვა საზოგადოებრივი ცხოვრე-  
ბის მოთხოვნებმა, მისმა მრავალმხრივმა განვითარებამ.

## § 2. ფუნქციური სტილი - ენისა თუ მეტყველების სახესხვაობა

ფუნქციურ სტილს ზოგი მეცნიერი ენის კატეგორიად მიიჩ-  
ნებს, ზოგი - მეტყველებისად. საკითხი უკავშირდება ენათმეცნი-  
ერებაში თვით ენისა და მეტყველების მიმართების სხვადასხვაგ-  
ვარ გაგებას. „თუ ენას გამოვიყენებთ ზოგადი მნიშვნელობით,  
მაშინ ფუნქციური სტილი ენის სახესხვაობაა, მით უმეტეს, რომ  
ისინი მისი ძირითადი ფუნქციური მრავალსახეობაა“ (ბარლასი  
1978: 55). თუ ენას შევუპირისპირებთ მეტყველებას და ამ უკან-  
ასკუნელში ვიგულისხმებთ ენობრივ ერთეულთა გამოყენებას კო-  
მუნიკაციის დროს, მაშინ ფუნქციური სტილიც მეტყველების სა-  
ხეობა იქნება. მ. კოჭინას მიხედვით, ფუნქციური სტილის ფორმი-  
რებაში მონაწილეობს არა მარტო ენობრივი, არამედ ფუნქციურ-  
სამეტყველო საშუალებანი, რომლებიც ასეთებად ურთიერთობის  
განსაზღვრულ სფეროში ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზე-  
გავლენით ფუნქციონირებისას გვევლინებიან, რადგან ენობრივი  
სისტემა და მისი მოქმედება დიალექტიკურად ერთიანია, რამეთუ  
მეტყველება ენის ფუნქციონირებაა, ამ უკანასკნელის ელემენ-  
ტების ფუნქციონირება არ შეიძლება იყოს წმინდა ენობრივი ან  
სამეტყველო (ვიმოწმებთ ბარლასის მიხედვით, 1978: 56).

ამრიგად, ფუნქციურ-ენობრივი სტილი ეს არის მეტყველების  
სახეობა, რომელიც ადამიანის საქმიანობის ტიპობრივი სფეროს  
შესაბამისად განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს.

## § 3. მეტყველების ფორმა და სტილი

მეტყველება განსხვავდება როგორც ფორმის (ზეპირი და წე-  
რითი), ისე სტილის (სასაუბრო და მწიგნობრული) მიხედვით.  
მართალია, ზეპირ მეტყველებას შეესაბამება სასაუბრო სტილი,  
წერითს კი - მწიგნობრული, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია არ შე-  
იძლება: მწიგნობრული სტილის ნიმუში ზეპირადაც გადმოიცემა.

**სასაუბრო მეტყველება** გულისხმობს არაფორმალურ გარემო-  
ში ნაცონბ ადამიანებს შორის ინფორმაციის უშუალო გადაცემას.  
მისი მახასიათებლებია: **არაოფიციალურობა, ბუნებრიობა, და-**  
**უგეგმავობა, ყოფითი შინაარსი, დიალოგურობა ან პოლილოგუ-**  
**რობა, ენობრივ საშუალებათა ეკონომიკა, არანორმირებულობა,**  
**ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკა, უსრული წინადადებები.**

მწიგნობრული სტილის მახასიათებლებია: **სალიტერატუ-  
რო ენის ნორმათა დაცვა, ნეიტრალური ლექსიკა, წინასწარ  
დაგეგმვა, მონოლოგურობა, ლოგიკურობა, მოცულობითობა,  
სრული, მეტნილად რთული ქვეყნუბილი წინადადებები.**

სასაუბრო მეტყველებაში გამოიყენება შემდეგი ენობრივი  
საშუალებანი: ექსპრესიული ზმნები, ემოციურობის გამომხატ-  
ველი ზედსართავი სახელები, შორისდებულები; მწიგნობრულ-  
ში – აბსტრაქტული სახელები, სახელზმნები, ტერმინოლოგია,  
მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა.

მეტყველების სტილური სახესხვაობანი შეპირობებულია სა-  
უბრის მიზნით, თემით, სფეროთი, კონკრეტული სიტუაციით, გა-  
რემო პირობებით, მეტყველების ფორმით თუ მოსაუბრის ინდი-  
ვიდუალობით.

## §4. ფუნქციური სტილის სახეები

ფუნქციური სტილის სახეების შესახებ აზრთა სხვადასხვა-  
ობაა. ზოგი მეცნიერი აღნიშნულ საკითხში ეყრდნობა ენის ფუნ-  
ქციებს, ზოგი კიდევ – ენის ფუნქციონირებას.

„ენის ფუნქციებზე დაყრდნობით ფუნქციურ სტილთა დიფე-

რენციაციას სიცხადე აკლია, ვინაიდან ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროში გამოყენებისას ენა ხშირად რამდენიმე ფუნქციას ასრულებს, რის გამოც ამ ფუნქციონირების შედეგი შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა სტილს ეკუთვნოდეს. სტილთა გამოყოფისას სიძნელეს ქმნის ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა სიმრავლე და სიჭრელე, რაც სპეციალურ ლიტერატურაშიცაა მითო-თებული” (კუხალაშვილი... 2010: 27).

ფუნქციური სტილის სახეების გამოსაყოფად სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულ საკლასიფიკაციო ნიშანს გვთავაზობს და შესაბამისად, კლასიფიკაციაც ნაირგვარია.

ა. ეფიმოვი გამოყოფს სტილის შემდეგ სახეობებს: 1. მხატვრულ-ბელეტურისტულს; 2. საზოგადოებრივ-პუბლიცისტურს; 3. სამეცნიეროს; 4. პროფესიულ-ტექნიკურს; 5. ოფიციალურ-დოკუმენტურს; 6. ეპისტოლარულს (ეფიმოვი 1969: 14- 20).

ა. გვოზდევის მიხედვით, სტილი ხუთია: 1. საქმიანი; 2. მხატვრული; 3. პუბლიცისტური; 4. სამეცნიერო-პოპულარული; 5. სასაუბრო (გვოზდევი 1955: 24).

რ. ბუდაგოვი გამოყოფს 1. ზეპირ და წერილობით 2. სამეცნიერო და მხატვრულ სტილებს (ბუდაგოვი 1958: 396).

ვ. მურატი განასხვავებს სტილის შემდეგ სახეებს:

1. სასაუბრო-ლიტერატურულს;
2. პოეტურს;
3. ოფიციალურ-საქმიანს;
4. სამეცნიეროს;
5. პროფესიულ - ტექნიკურს;
6. უბრალო სასაუბრო - ფამილიარულს (მურატი 1957: 20-21).

ყველა ეს სახესხვაობა დაიყვანება სტილის ხუთ სახეობამდე: სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული ლიტერატურის და სასაუბრო.

რუსულ ენათმეცნიერებაში ი. შმელიოვმა შემოიღო ენის ფუნქციური სახესხვაობების ტიპოლოგია, რომლის მიხედვითაც სტილის სახეებია ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილი, რადგან ისინი ენობრივი ორგანი-

ზებულობით არსებითად განსხვავდებიან როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე სასაუბრო ენისგან. ვ. ლევინი კი ასეთ თვალსაზრისს ავითარებს: „მხატვრული ლიტერატურის ენა არა სტილისტიკურად ერთგვაროვანი მოვლენების სისტემა, მასში ენობრივ ერთეულთა სტილისტიკური ჩარჩოები ჩაკეტილი არაა. მხატვრული ლიტერატურის სტილი წარმოადგენს პრიციპულად განსხვავებულ მოვლენას, ვიდრე ენობრივ სტილს. მრავალსტილიანობის გამო იგი არ მიიჩნევა დამოუკიდებელ სტილად“ (ლევინი 2001: 413).

ა. არაბული წერს: „ფუნქციურ სტილთა რიგში ზოგჯერ მოიხსენიებენ მხატვრული ლიტერატურის სტილსაც, როგორც ენის ფუნქციონირების ერთ-ერთ სფეროს, თუმცა უმჯობესია მხატვრული და ფუნქციური სტილები გაიმიჯნოს მათი პრინციპული შინაარსობრივი განსხვავების გამო, იმდენად, რომ ისინი არსებითად დამოუკიდებელ სამეცნიერო სფეროებს წარმოადგენ“ (არაბული 2005: 193). იქვე ვკითხულობთ, რომ „სტილისტიკური ნიშნების თვალსაზრისით ყველაზე უფრო გამოკვეთილია მხატვრული სტილი, მაგრამ მისათვის დამახსაითებელი ტიპობრივი მხატვრული საშუალებების გამოვლენა არ გამოირიცხება სხვა სტილთა ფარგლებში“ (იქვე: 191).

ა. არაბულისავე აზრით, უმჯობესია, გამოვიყენოთ ტერმინი „პრაქტიკული სტილისტიკა“, რომელიც ფუნქციურისგან განსხვავებით მხოლოდ ენის გამოყენების პრაქტიკულ სფეროებს გულისხმობს, და ამდენადვე, თავისთავად გამორიცხავს კავშირს ენის გამოყენების შემოქმედებით (მხატვრულ) მხარესთან“ (იქვე: 193). ამრიგად, აქ საუბარია ენის გამოყენების პრაქტიკულსა და შემოქმედებითს მხარეებზე.

მხატვრული ლიტერატურის სტილის გამოყოფა საკამათოდ მიაჩნიათ სხვა ავტორებსაც: „მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ენობრივი საშუალებების პალიტრას იყენებენ. ამდენად, მხატვრული ენა არ წარმოადგენს ერთგვაროვანი ენობრივი მოვლენების მთლიანობას, მეტიც, მას არ ახასიათებს რაიმე სტილური ჩაკეტილობა, მის სპეციფიკას მთლიანად ინდივიდუალურ-საავ-

ტორო სტილი განსაზღვრავს“ (გაფრინდაშვილი... 2005: 51).

ლ. ბარლასის მიხედვით, მხატვრული ლიტერატურის ენას სტილთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მრავალფეროვან, ხშირად განსხვავებულ ენობრივ ერთეულთა (ვულგარიზმები და ამაღლებული ლექსიკა) ერთობლიობის სტილისტიკური შეფერილობა განსაკუთრებით ფართო და მრავალფეროვანია. სტილისტიკური ფუნქციით შეიძლება გამოიყენებოდეს არა ცალკეული ელემენტები, არამედ სხვა სტილთა ნიმუშები, უარგონიზმები და დიალექტიზმებიც. ასე და ამგვარად, მხატვრული ლიტერატურის ენა მთლიანად გამოავლენს სალიტერატურო ენას თავისი სტილური მრავალსახეობითა და არალიტერატურული განშტოებებით. მხატვრული ლიტერატურის ენა სტილისტიკურად მკვეთრად განსხვავებულია და დამოკიდებულია მწერლის ინდივიდუალურ მანერაზე.

რუსულ ლინგვისტიკაში სტილის სახეობების გამოყოფის საკითხში იკვეთება პრინციპულად განსხვავებული მოსაზრებანი. უფრო მეტიც, ზოგი მეცნიერი სცდება სტილისტიკის ჩარჩოებს და სტილის ცალკეული სახეობის შესწავლას მეცნიერების სხვა დარგებს აკისრებს. ი. სოროკინის შეხედულებით, „მწერლის სტილურ ოსტატობას სწავლობს სტილისტიკაც და ლიტერატურათმცოდნებაც, ხოლო მეცნიერული გადმოცემის თავისებურებებს შეისწავლიან შესაბამისი დარგის სპეციალისტები, მაგ.: პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატის ღირსებების შესახებ უნდა იმსჯელონ პოლიტეკონომისტებმა, მათემატიკის თხზვის თავისებურებებზე - მათემატიკოსებმა“ (ვიმოწმებთ ბუდაგოვის მიხედვით 2001: 390).

ი. სოროკინის შეხედულება საყოველთაო განხილვისა და კრიტიკის საგნად იქცა. ბუდაგოვის აზრით, „არ შეიძლება აღრევა სტილის სახეობებისა და იმ ინტერესებისა, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს აქვთ“ (იქვე: 391).

სტილთაშორის ურთიერთობას რ. ბუდაგოვი ადარებს დიალექტების ურთიერთმიმართებას: „XIX საუკუნეში დიალექტოლოგიაში უგულებელყოფდნენ ცალკეული ადგილობრივი დიალექ-

ტის არსებობას. ამ კონცეფციის მომხრეთა აზრით, ერთი დიალექტის გადასვლა მეორეში იმდენად მრავალფეროვანია და მათი საზღვრები იმდენად გამოუკვეთელია, რომ შეუძლებელია საუბარი მათი არსებობის შესახებ“ (ბუდაგოვი 2001: 392).

ენობრივი სტილის ისტორია შეუძლებელია განვიხილოთ სახალხო ენის ისტორიისგან მოწყვეტით, რადგან საერთო-სახალხო ენა არის ენობრივ სტილთა ჩამოყალიბების საფუძველი.

ქართულ სალიტერატურო ენას ფუნქციურ სტილთა სრულყოფილი, კარგად განვითარებული სისტემა აქვს. თითოეული მათგანი ემსახურება საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: მეცნიერებას - სამეცნიერო სტილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სფეროს - ოფიციალურ-საქმიანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას - პუბლიცისტური, ყოფით ურთიერთობებს - სასაუბრო. სტილის სხვა სახეობანი შედარებით ჩაკეტილი სისტემებია. ამათგან განსხვავებით, მხატვრული ლიტერატურის სტილი არ უკავშირდება ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობას და აკისრია ესთეტიკური ფუნქცია. ის არც ჩაკეტილ სისტემას ქმნის. ამდენად, იგი აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ ფუნქციური სტილის სახეობად თავისი სპეციფიკურობის გამო. თუ სტილის დანარჩენი სახეობების გამოყოფის საფუძველი ადამიანის საქმიანობის პრაქტიკული სფეროებია, ეს უკანასკნელი ენის მხატვრულ რეალიზებას უკავშირდება.

მაშასადამე, ცალკეულ სტილს აქვს ენობრივ საშუალებათა განსაკუთრებული სისტემა. ამრიგად, ფუნქციური სტილი ხასიათდება ორი ძირითადი კუთხით - ექსტრალინგვისტურით და საკუთრივ ლინგვისტურით. ექსტრალინგვისტურია ურთიერთობის სფეროები, საზოგადოებრივი საქმიანობის სახე, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, ფუნქცია; საკუთრივ ლინგვისტურია გამოვლენის ფორმა, ენობრივ-სტილისტიკური და ფუნქციურ-სტილური ნიშნები.

## § 5. სტილის სახეობათა საერთო და განვითარებელი ნიშვნები

გამართული მეტყველებისა და სწორი წერისათვის აუცილებელია რამდენიმე ნიშანი:

**1) აზრის გამოხატვის სისწორე** - წინადადებაში აზრის გამოსახატავად საჭირო სიტყვები შინაარსობრივად და გრამატიკულად სწორად უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს.

**2) მეტყველების სიზუსტე** - მეტყველება ზუსტია, თუ ორაზროვნებისა და გაუგებრობისაგან დაზღვეულია. „ორაზროვანი სიტყვები არ უნდა ვიხმაროთ როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანებს სათქმელი არა აქვთ რა, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს რამეს ამბობდნენ. ისინი ამ დროს პოეტურად გამოთქვამენ აზრს“ (არისტოტელე 1981:175).

**3) მეტყველების სიცხადე** - „თუ სტილი ნათელი არაა, ვერც მიზანს აღწევს“ (არისტოტელე 1981:168). მეტყველება მკაფიოა, თუ სიტყვები გარკვევით და შესაბამისი ინტონაციითაა წარმოთქმული, დაცულია პაუზა, ლოგიური მახვილი სწორია, წერის დროს კი სასვენი ნიშნები სწორადაა გამოყენებული.

**4) ლაკონიურობა** - მეტყველება ლაკონიურია, თუ სათქმელი მოკლეა და ტევადი [შდრ.: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი - შოთა რუსთაველი“].

ლაკონიურობას ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ ძველი დროის ბერძნებმა და ეს სიტყვაც მათგან მომდინარეობს. ისინი მას ენის სამკაულად მიიჩნევდნენ.

**5) სიწმინდე (ნორმატიულობა)** - მეტყველება სწორია, თუ დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები, საჭირო სიტყვები და თვით წინადადებები შინაარსობრივად და ფორმობრივად გამართულია. მეტყველება წმინდაა, თუ იგი არ შეიცავს ბარბარიზმებს, დიალექტიზმებს (პროვინციალიზმებს, უარგონიზმებს, კალკებს).

**6) ბუნებრიობა** - ბუნებრიობა ნიშნავს ისეთი თქმების გამოყენებას, რომლებიც მოცემული ენისათვის ნიშანდობლივია. ხელოვნური ფორმები ენას ამძიმებს.

**7) სიტყვათა წყობა** - დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა წყობასაც. მართალია, ქართულში სიტყვათგანლაგება თავისუფალია, მაგრამ ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებებს.

ყოველ სტილს გარდა საერთო ნიშნებისა, მოეპოვება **სპეციფიკური მახასიათებლები** - საგანგებოდ შერჩეული ენობრივი შესაძლებლობები. ის ნიშნებიც, რომლებიც საერთოა სხვადასხვა სტილისათვის, აქ განსხვავებულ ფუნქციებს იძენს.

რ. ბუდაგოვის მიხედვით, „ენობრივი სტილი ეს არის საერთო-სახალხო ენის ნაირსახეობა, რომელიც შექმნილია ისტორიულად და ხასიათდება გარკვეული ნიშნების ერთობლიობით, რომელთა ნაწილი თავისებურად მეორდება სხვა ენობრივ სტილებში, მათი გარკვეული სახით შეწყობა-შეფარდება კი განსხვავებს ერთ სტილს მეორისაგან. განმეორებისას ისინი, ჩვეულებრივ, ყოველ-თვის იძენენ სხვა ფუნქციებს“ (ბუდაგოვი 2001: 395).

როგორც უკვე აღნიშნეთ, ფუნქციური სტილის სხვადასხვა სახეობაში გამოიყოფა საერთო ენობრივი საშუალებები, მაგრამ ისინი თითოეულში განსხვავებულ ფუნქციებს იძენს, სხვადასხვაგვარად რეალიზდება. მაგ.: სასაუბრო და მხატვრული ლიტერატურის სტილში მდაბიო მეტყველება, ვულგარიზმი თუ უარგონი სრულიად განსხვავებულად დამოიყენება.

სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების, წიგნური და სასაუბრო, მხატვრული და სამეცნიერო სტილის გაუდიფერენცირებლობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს გავლენის შედეგია და დაბალ წიგნიერებაზე მიუთითებს. იგი ზოგადსაკაცობრიო, და ამასთან, მეტად აქტუალური პრობლემაა.

## ცოდნის შესამოხველი კითხვები

1. რა არის სტილი და როგორ იქმნება იგი?
2. რას სწავლობს ფუნქციური სტილი?
3. დაახასიათეთ სტილი, როგორც ისტორიული კატეგორია;
4. რა არის სტილთა დიფერენციაციის და ტრანსფორმაციის საფუძველი?

5. დაასახელეთ მწიგნობრული სტილის ენობრივი ნიშნები;
6. როგორ გესმით გამოთქმა: სტილის ცალკეულ სახეობებს შორის არ არსებობს **ჩინური კედელი?**
7. რით აიხსნება ერთისა და იმავე ნიშნის სხვადასხვა სტილში რეალიზება?
8. რაზე მიუთითებს სტილთა გაუდიფერენცირებლობა?
9. რას უნიდებენ სტილთაშორისი საზღვრების დარღვევას?
10. რა იწვევს აზრთა სხვადასხვაობას სტილის სახეობათა გამოყოფაში?

## II.1. სამეცნიერო სტილი

სამეცნიეროა გამოკვლევების, სახელმძღვანელოების, მოხსენებისა და მისთანათა ენობრივი სტილი, მათი ენა. ამ სტილის ნიმუშებია **აკადემიური** (მონოგრაფია, გამოკვლევა, სტატია, სახელმძღვანელო) და **ინფორმაციულ-რეფერატული ტექსტები** (ანოტაცია, რეფერატი, ასევე რეცენზია, გამოხმაურება).

სამეცნიერო სტილის უმთავრესი ფუნქციაა ინტელექტუალური კომუნიკაცია. იგი „სპეციალურადაა განკუთვნილი ადამიანთა ოპტიმალური სამეცნიერო ურთიერთობებისათვის. მეცნიერება სამყაროს შესახებ ახალი, მაღალპროდუქტიული ცოდნის მოპოვების, გამოცდილების დაგროვება-გადაცემის ყველაზე სრულყოფილი და ეკონომიკური სისტემაა. მას ცალკეული ფაქტები აინტერესებს ზოგადი კანონზომიერებების გამოსავლენად, ამიტომაც იგი კონცენტრირებულ და განზოგადებულ ცოდნას იძლევა. სხვათა დაუღალავი ცოდნის შედეგი მკვლევარს „**სუფთა ექსტრაქტის სახით**“ (ვასილიევა 1976:6) ეძლევა. ეს ზოგავს მკვლევრის ძალებს, ამოკლებს ახლის აღმოჩენის გზას.

„სამყაროს შესახებ ახალი ცოდნა სხვებისათვის მისაწვდომი რომ გახდეს, არავერბალური აზროვნება ვერბალურად უნდა გადაიქცეს“ (ვასილიევა 1976:15). არავერბალური ინფორმაციისთვის ვერბალური ფორმის შერჩევა სამეცნიერო სტილის შექმნას ნიშნავს.

რას ნიშნავს სამეცნიერო სტილის ფლობა? „თუ მკვლევარი-ავტორი თავისი კვლევის შედეგებს გადმოგვცემს შესაბამისი სტილით, ეს სტილის **აქტიურ ფლობად** ითვლება, თუ ავტორი უკვე ნაცნობ სამეცნიერო მასალას დიდაქტიკურად ალაგებს (სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა), ეს სამეცნიერო სტილის **ნახევრადაქტიური ფლობა**. ახალი ინფორმაციის უკრიტიკოდ მიმღები სამეცნიერო სტილის **პასიური მფლობელია**. იგი ცოდნის დაგროვების შემდეგ ხდება მისი აქტიური მფლობელი“ (ვასილიევა 1976:17).

**სამეცნიერო სტილის სახეები.** ფუნქციისა და მიზნის მიხედვით გამოიყოფა სამეცნიერო სტილის შემდეგი სახეობები: **საკუთრივ სამეცნიერო, სასწავლო-სამეცნიერო (საგანმანათლებლო) და სამეცნიერო-პოპულარული.**

**საკუთრივ სამეცნიერო ნაშრომი** (მონოგრაფია, დისერტაცია, მოხსენება) განკუთვნილია კონკრეტული დარგის ან მონათესავე სფეროს სპეციალისტთათვის. მასში მეცნიერული ტერმინები განმარტებული არაა, რადგან იგულისხმება, რომ მყითხველს (ადრესატს) აქვს საბაზისო ცოდნა. **სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის** დანიშნულებაა არაპროფესიონალთათვის სამეცნიერო მიღწეულების გაცნობა, ამიტომ ნაშრომი არ უნდა იყოს გადატვირთული სპეციალური ტერმინებით, თუ ასეთი არის, მაშინ მას უნდა ახლდეს განმარტება.

**სამეცნიერო-პოპულარული სტილი** მეცნიერული კვლევის შედეგების პოპულარიზაციას ემსახურება. საამისოდ გამოიყენება ემოციური ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სინტაქსური საშუალებები. ის კი არ გვიმტკიცებს სინამდვილეს, არამედ სამეცნიერო ინფორმაციას შერჩევით გვაწვდის. **საკუთრივ სამეცნიერო სტილში** სპეციალისტი მიმართავს სპეციალისტს, **სამეცნიერო-პოპულარულში** კი სპეციალისტი – არასპეციალისტს.

**სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომში** ვლინდება ორივე ტიპის შრომათა მახასიათებლები. **საკუთრივ სამეცნიერო სტილთან** მას აკავშირებს ტერმინოლოგიის გამოყენება, სისტემურობა, ლოგიკურობა და არგუმენტირება, **პოპულარულთან** – ენობრივ

საშუალებათა მისაწვდომობა, ილუსტრირება. სასწავლო-სამეცნიერო ქვესტილის ადრესატი უკვე ფლობს გარკვეულ ცოდნას, რომლის გათვალისწინებითაც ავტორი მეთოდურად ალაგებს სასწავლო მასალას.

ლ. ბარლასს მიაჩინა, რომ სამეცნიერო სტილის უპირველესი ფუნქციაა არა მარტო ლოგიკური ინფორმაციის გადაცემა, არამედ მის სიახლესა და ფასეულობაში დარწმუნება, მისი მეორეული ფუნქციაა მკითხველის ან მსმენელის ლოგიკური აზროვნების გააქტიურება. სამეცნიერო-პოპულარული ქვესტილის ფუნქცია სხვაა – არასპეციალისტის დაინტერესება სამეცნიერო ინფორმაციით (ბარლასი 1978: 59).

სამეცნიერო სტილში რეალიზდება ამა თუ იმ დარგისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, ასევე უანრობრივი სპეციფიკა. მეცნიერების სხვადასხვა დარგის ენა განსხვავებულია: მაგ.: მათემატიკური და ისტორიული ნაშრომების ენა სრულიად განსხვავებულია, პირველი ზუსტია, მეორე კი უფრო პუბლიცისტიკას უახლოვდება.

ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათათვის დამახასიათებელი თხზვის წესი უცხოა ისტორიისა და ლიტერატურულობის დარგებისათვის. პოლემიკურ სტატიებსა და მონოგრაფიების საკამათო ნაწილში დასაშვებია სასაუბრო ლექსიკისა და ექსპრესიული ელემენტების გამოყენება.

სამეცნიერო სტილის სპეციფიკა შეპირობებულია რამდენიმე ნიშნით:

1. **ფორმობრივი მხარე:** იგი წერილობითია (ასეთი ფორმა დიდხანს ინახავს ინფორმაციას, ეკონომიკურია და იძლევა შესაძლებლობას, მკითხველი ბევრჯერ მიუბრუნდეს მას); მოხსენება ზეპირია, მაგრამ იქმნება სამეცნიერო სტილით, უქვეტექსტოა, ნაწარმოების ფორმა მოხილოგია.

2. **შინაარსობრივი მხარე:** სამეცნიერო სტილის შინაარსობრივი მახასიათებლებია: სიზუსტე, ლოგიკურობა, თანმიმდევრული მსჯელობა, ობიექტურობა, მტკიცებითობა, განზოგადება, დასკვნა.

შინაარსის ორგანიზებაში ლოგიკური პრინციპის პრიორიტეტი განსაზღვრავს ემოციების, სუბიექტურობის უგულებელყოფას, რადგან მისი მთავარი ფუნქცია სინამდვილის ობიექტური კონსტატაციაა.

ლოგიკური აზროვნების ძირითადი ფორმებია: **ცნება, მსჯელობა და დასკვნა.** ცნებაში მოაზრება საგნის არსებითი, ოპერეტური ნიშან-თვისებები. აზრის დასაბუთების ან უარყოფის ლოგიკურ განვითარებას მსჯელობა ეწოდება. იგი ამტკიცებს ან უარყოფს რაღაცას: ადგენს სუბიექტსა და პრედიკატს შორის ურთიერთობის პირობებს, მიზეზს, დროს და ა. შ. იგი წარიმართება ინდუქციის ან დედუქციის გზით და გამოიტანება **დასკვნა.**

მსჯელობის აგების ეტაპებია:

**ფაქტი (რა?)** - მთავარი მოვლენა ან აზრი, რომელიც უნდა უარვყოთ ან დავამტკიცოთ;

**მოტივი (რატომ?)** - რატომ მოხდა ეს მოვლენა ან რატომ ვავითარებთ ამ აზრს;

**არგუმენტი (საიდან ჩანს ეს?)** - დამადასტურებელი მაგალითი, ფაქტი;

**შეჯამება (რის თქმის საშუალებას გვაძლევს არგუმენტი?)**; **დასკვნა** (რა შეიძლება დავასკვნათ?) (შაბაშვილი ... 2008:7).

1. **ლექსიკური სისტემის თავისებურებანი.** სამეცნიერო სტილში უგულებელყოფილია სუბიექტურ-ემოციური ლექსიკა, სიტყვები მონოსემიურია, მეტაფორა დემეტაფორიზებულია. მუდმივ და აუცილებელ ცნებათა სისტემა ქმნის ტერმინოლოგიას, რომელიც შეიძლება იყოს:

**საერთომეცნიერული:** სისტემა, ფუნქცია, ელემენტი, დრო, სიბრტყე, კლასიფიკაცია, დიფერენციაცია, სინქრონია, დიაქრონია, მონოგრაფია.

**დარგობრივი:** ვაკუუმი, ვექტორი, გენერატორი, თერმული.

**ვინორსპეციალური:** აუტოგამია, ბიოგენური, უჯრედოვანი (ბიოლ.) სუფიქსი, აფიქსი, ფონემა, მორფემა, აბრევიატურა (გრამატიკა).

თითოეულ დარგს სპეციალური ტერმინოლოგია აქვს.

**ნომენკლატურული ჰქვია** ამა თუ იმ დარგისთვის ნიშანდობ-ლივ ტერმინოლოგიას. მაგ. გეოგრაფიის ნომენკლატურაში შე-დის: მდინარეების, ტბების, მთების, ზღვების სახელწოდებები; ლიტერატურათმცოდნეობაში მწერალთა და ნაწარმოებთა, ბო-ტანიკის ნომენკლატურაში მცენარეთა, ანატომიაში - ორგანოების და სხეულის ნაწილების, ფონეტიკაში - ფონემების სახელები.

**საკუთრივ ცნებითი ტერმინოლოგია** (დეპოლარიზაცია, სინ-თეზი, ელექტროლიზი) უშუალოდ არ უკავშირდება მოქმედ საგ-ნებს.

ტერმინისათვის აუცილებელი ნიშნებია:

1. სიმოკლე;
2. სიმარტივე და სიცხადე;
3. ტერმინის გამოყენების სიხშირე;
4. მუდმივი მნიშვნელობა: ერთი აღსანიშნი – ერთი ცნება;
5. სიზუსტე, სიმკვეთრე;
6. სინონიმის უქონლობა;
7. ნეიტრალურობა - ემოციური შეუფერადებლობა.

პოლისემია და ომონიმია ტერმინოლოგიური სისტემის ნაკლია. სამეცნიერო სტილში გავრცელებულია პოლისემის ორი სახე:

1) ერთი და იგივე ტერმინი გვხვდება სხვადასხვა დარგში - „რე-აქცია“ ქიმიასა და პოლიტიკაში, „ასიმილაცია“ - ფონეტიკასა და ეთნოლოგიაში. მათ საერთო ნიშნები აქვთ. განვიხილოთ ტერმინი ინვერსიის [ლათ. inversio - გადასმა] მნიშვნელობა: 1. ქართულ გრამატიკაში ის არის ზმნის პირის ნიშანთა შექცევით ხმარება - რეალური სუბიექტი გამოხატულია ობიექტის ნიშნით, ხოლო რე-ალური ობიექტი - სუბიექტის პირის ნიშნით: ვაკეთებ - გამიკეთებია; 2. (ლიტერატურაში) - წინადადებაში სიტყვათა ჩვეულებრივი რიგის შეცვლა სტილისტიკური მიზნით; 3. ატმოსფეროს ჰაერის ტემპერატურის მატება (ნაცვლად კლებისა) ქვევიდან ზედა ფენებისკენ; 4. (ქიმ.) რთული შაქრების დაშლა მარტივებად მუავებისა და ფერმენტების გავლენით (უცხო სიტყვათა ლექსიკონი).

თუ სხვა სტილში სინონიმია აზრების გრადაციისა და ესთე-ტიკისათვის გამოიყენება, იგი ერთფეროვნებას გვაცილებს თა-ვიდან, სამეცნიერო ტერმინოლოგიაში კი ნეგატიური მოვლენაა.

სამეცნიერო სტილში დაცულია სიტყვათა საგნობრივი წარ-მოდგენა; აქ იშვიათად შევხვდებით სიტყვათა გადატანითი მნიშ-ვნელობით გამოიყენებას. მაგ.: ენა - აპსტრაქტული, ალგორით-მული, მანქანური ანდა საკეტელას, ბერკეტის ენა. აქ პრაქტი-კულად არ გვხვდება ისეთი ფრაზეოლოგიზმები, როგორებიცაა: თავიდან გამოუვარდა, ცხოვრება დუღს.

ამ სტილის ნიშანდობლივი თვისებაა **მეტაფორის დემეტაფო-რიზაცია**: ტერმინთა უმრავლესობა თავდაპირველად მეტაფორა იყო. მაგ.: მკურნალობის ტაქტიკა, სისხლძარღვთა კედლები, მანქანის ტვინი, თვალის ბროლი, თვითმფრინავის კუდი, მზის გვირგვინი, ფრთიანი ფრაზა, მაგნიტური ქარიშხალი, მხატ-ვრული ქსოვილი.

გ. კვარაცხელია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ექსპრესიულ საშუალებათა მნიშვნელოვანი ნანილი განეკუთვნება არა ემოცი-ურსა და მით უფრო, არა სუბიექტურ-ემოციურ სფეროს, არამედ ინტელექტუალურ ექსპრესიას, რაც ამა თუ იმ აზრის, დებულე-ბის მნიშვნელოვნების გახაზვას უკავშირდება. ამ მიზნით გამო-ყენებულია კლიშე-ფრაზები, შრიფტი, ხაზგასმა, კურსივი, რუბ-რიკაცია ჩამოთვლისას და ა. შ. აგრეთვე ლექსიკური ერთეულები და განზოგადებული გამოთქმანი: ალსანიშნავია, საყურადღე-ბოა, საინტერესოა, გავრცელებული აზრია, ალიარებულია, ფიქრობენ, რომ... და სხვა“ (კვარაცხელია 1987: 14).

2. **მორფოლოგიური სისტემის თავისებურებანი**. სამეცნი-ერო სტილში მორფოლოგიაც ლექსიკას ექვემდებარება. გამოყე-ნების სიხშირით პირველ ადგილზეა არსებითი სახელი.

სამეცნიერო სტილში ახლანდებილი დროის ფორმებიც უდროოა. აქ ნიშანდობლივია ხანგრძლივი სტატიკური მდგომარეობის გა-მომხატველი ფორმები: ყოფნა, ქონა, მდებარეობა, შემცველო-ბა, შენარჩუნება.

ვინაიდან ლოგიკური მსჯელობა მოითხოვს ფაქტების ახსნასა

და დასაბუთებას, სამეცნიერო სტილში ხშირია დამხმარე ზმნები, ნაწილაკები, ნაცვალსახელები, ასევე ზმნიზედებიც. ახსა-განმარტება მოითხოვს მაიგივებელ კავშირებს: **ანუ, ესე იგი; დასკვნა - ჩართულ სიტყვებს: ამრიგად, მაშასადამე, რასაკვირველია, როგორც ჩანს, როგორც დადასტურდა;** ნინა ნათქვამთან დაკავშირება - ამის შედეგად, ამდენად, მსგავსად ამისა; თანმიმდევრულობა - **ჯერ ერთი, მეორე, მესამე, ერთი მხრივ, მეორე მხრივ.** გამოიყენება ნუმერაცია, ციფრები, სქემები, ფორმულები, დიაგრამები, ნახაზები.

**სიტყვანარმოებითი სისტემის თავისებურებანი.** სამეცნიერო სტილში პროდუქტიულია სხვადასხვა დაბოლოების სახელზმნა: **-ა შესწავლა, ქცევა, ცვენა; -ცია (ჰალუცინაცია, მოდიფიკაცია, არტიკულაცია), -ობა, -ება (განუსაზღვრელობა, დაშვებულობა), -იკა (სიმბოლიკა, სინონიმიკა), -იზმ (დარვინიზმი).**

სასაუბრო სტილში ძირითადად მშობლიური ენის სიტყვები გვხვდება, სამეცნიეროში კი - ინტერნაციონალური ფუძეები და მორფემები: **დი, დია, იზო, ანტი, ცია, იზმ, ატ, იტ, იოდ...**

**-იტ** სუფიქსი პროდუქტიულია მინერალოგიასა (ნეფრიტი, ალექსანდრიტი, აპატიტი) და მედიცინაში (ნეფრიტი, ოტიტი, ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი).

**-ოზ** სუფიქსით ინარმოება სნეულებების სახელწოდებები: სკლეროზი, ნევროზი, ავიტამინოზი; ამავე ფუნქციისაა ფორმანტი იმა: მიომა, ფიბრომა, სარკომა.

გავრცელებულია უცხოენოვანი წინსართები: **ალო-** (ალომორფი, ალოფონი), **მიკრო-, მაკრო-** ანტი-, ინტერ-, ექსტრა, **სუპერ-, ჰიპერ-, მინი-** **სუბ-** და **ა.შ.**

ქართულ სამეცნიერო ენაში სიტყვა-ტერმინთა სესხების გვერდით ფართოდ გამოიყენება ტერმინები, წარმოიქმნილი ქართული აფიქსებით: **-ობა, -ება, -ურ-ობა, -ულ-ობა, -იან-ობა, -იერ-ობა, -ოვან-ობა, ედ-ობა, ით-ობა, ად-ობა, ივ-ობა, იზ-ება, ირ-ება, ეპრივ, ობრივ.**

თანდებულებითა და ბრუნვის ნიშნებით წარმოქმნილი სახელებია: **ზე- ზებუნებრივი, ზეპიროვნული; თანა- თანაზომიერი, თანაფარდობა, მრავალ-** მრავალდარგოვანი, მრავალუჯრედი-

ანი; **შორისი** - უჯრედშორისი, ნეკნთაშორისი; **შუა-** ლავინთშუა, ფალანგთაშუა; **ებრ-** ვაზისებრი; **ნაირ-** გვიმრანაირები, ობობას-ნაირი....

**3. სინტაქსური თავისებურებანი.** სამეცნიერო სტილის სინტაქსი საერთომეცნიერულია, წიგნური ხასიათისაა. წინადადება ლოგიკურ პრინციპზეა აგებული. ის არ შეიძლება იყოს სახელდებითი. მეტწილად გამოიყენება რთული ქვეწყობილი, სრული წინადადებანი.

ამ სტილის სპეციფიკური ნიშნებია:

1. **სიზუსტე;**
2. **ლოგიკურობა (მიზეზ-შედეგობრიობის გადმოცემა);**
3. **ტექსტის მტკიცებითი ხასიათი;**
4. **სავალდებულო ციფრების, სიმბოლოებისა და ნიშნების გამოყენება;**
5. **ზმნების ნაკლებობა;**
6. **ენის სიმშრალე და ლაკონიურობა;**
7. **სპეციალური ლექსიკის, ტერმინოლოგიის მიზანმიმართული გამოყენება;**
8. **აზრის გადმოცემისას სუბიექტური მომენტების უგულებელყოფა;**
9. **მხატვრული ელემენტების მაქსიმალური შეზღუდვა;**
10. **სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა.**

სამეცნიერო ნაშრომი უნდა შესრულდეს აკადემიური სტილით. სამეცნიერო სტილის ხარვეზებია:

**1. შინაარსობრივი მხარე -** 1) ახალი სამეცნიერო ინფორმაციის დეფიციტი; 2) ფაქტობრივი შეცდომები; 3) განზოგადებაზე დაუფუძნებლობა და უსაფუძვლო პარალელები;

**2. შინაარსობრივ-სამეტყველო** - არაა დაცული სიზუსტე ტერმინოლოგიაში, დარღვეულია ლოგიკა, არასწორად გამოიყენება ენობრივი ფორმა;

**3. სტილისტიკურ-ენობრივი** - სხვა სტილის ფორმების უმართებულო გამოყენება;

**4. სტილისტიკურ-კომუნიკაციური** - ადრესატის განათ-

ლების, სოციალური სტატუსის, ასაკის გაუთვალისწინებლობა. ადრესატზე მიმართების გათვალისწინებით ზოგი დეტალი გავრცელას ითხოვს, ზოგი – შემოკლებას.

ამრიგად, სამეცნიერო სტილი შემეცნებითი ინფორმაციის გადაცემის ლოგიკურად ორგანიზებული ფორმაა.

## ცოდნის შესამომართებლი კითხვები

1. დაასახელეთ სამეცნიერო სტილის ფუნქციები;
2. რით განსხვავდება საკუთრივ-სამეცნიერო ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულისგან?
3. რით განსხვავდება საკუთრივ-სამეცნიერო ნაშრომი სასწავლო- სამეცნიეროსგან?
4. რას ნიშნავს სამეცნიერო სტილის აქტიური, პასიური და ნახევრად აქტიური ფლობა?
5. რა არის ცნება? მსჯელობა?
6. დაახასიათეთ სამეცნიერო სტილის ლექსიკური სისტემის თავისებურებანი;
7. რატომ გვხვდება სამეცნიერო სტილში იშვიათად ფრაზე-ოლოგია? რას ნიშნავს მეტაფორის დემეტაფორიზაცია?
8. დაასახელეთ ტერმინისთვის აუცილებელი ნიშნები;
9. დაახასიათეთ სამეცნიერო სტილის შინაარსობრივი, შინაარსობრივ-სამეტყველო და სტილისტიკურ-კომუნიკაციური ხარვეზები;
10. რით აიხსნება, რომ ტერმინთა რაოდენობა საერთო მოხმარების ლექსიკაზე მეტია?

**სავარჯიშო №1. განსაზღვრეთ ტექსტის მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი.**

მეცნიერულ ლიტერატურაში სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ინტერვიუ, როგორც უანრი თავისებური „გათამაშებაა“.

ინტერვიუს ორგანიზებულობის ერთ-ერთი ფორმა სცენარულობაა. ინტერვიუს მონაწილეთა წინასწარი სცენარი მის განხორციელებას გულისხმობს. მასში უკვე ადრევე არის ნაგულისხმევი შეკითხვებისა და პასუხების საბაზო ელემენტები. რესპონდენტი ცოდნის სტრუქტურას ნარმოადგენს, ინტერვიუერი – არცოდნისას. პროფესიონალმა პუბლიცისტმა თითქმის ყოველთვის იცის, რას უპასუხებს მას რესპონდენტი და დამატებითი შეკითხვებიც აქვს მოფიქრებული. ესაა ინტერვიუს მონაწილეთა წინასწარი სცენარული შეთანხმება, მათ მიერ აპრიორულად მიღებული თამაშის წესი. ინტერვიუერს რეალურად რომ არ ჰქონდეს იმ ცოდნის ნაწილი, რომელიც რესპონდენტს აქვს, კომუნიკაციის აქტივერ განხორციელდება. ინტერვიუერმა ერთდროულად იცის და არ იცის, იგი თამაშობს სცენარში. ინტერვიუს დროს ყველა ცდილობს დაარღვიოს თამაშის წესი, პროცესი არასცენარულობაში გადაიზარდოს; შეიძლება ითქვას, რომ ამჯერად ისინი წესის დარღვევას თამაშობენ, ცდილობენ პროცესის გაპუნებრივებას. თუ მკითხველი გადაჭარბებად არ ჩათვლის, ამ ნიშნით ინტერვიუ გვაგონებს იმ სიტუაციას, რომელშიც მსახიობები პიესის მიხედვით სპექტაკლს ასრულებენ და სურთ მაყურებელი სცენაზე მომხდარის სინამდვილეში დაარწმუნონ, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ მსახიობებს გამოგონილ სინამდვილესთან აქვთ საქმე, ინტერვიუს მონაწილენი კი რეალურ სინამდვილეს საკუთარი სოციალური სტატუსისა და როლების შესაბამისად ნარმოაჩენენ.

ინტერვიუსა და თამაშს შორის არსებითი განსხვავებებიც არ ის. მაგ.: თამაში ჩაკეტილი სისტემაა, წესების დარღვევა თამაშის ჩაშლას იწვევს. ინტერვიუ, პირიქით, ღია სისტემაა. თამაშის წესების დარღვევა აუცილებელიც კი არის, თორემ იგი მართლაც თამაშად გადაიქცევა. რაც მთავარია, თამაში თვითმმიზნურია, ინტერვიუს მიზანი კი თვით მასში არ მოიაზრება, არამედ იმ საქმეში, რომელიც მისი საშუალებით უნდა განხორციელდეს. საქმის სამყარო არის ის, რასაც თამაშის სამყარო უპირისპირდება. ამგვარად, ინტერვიუ საქმეა, საქმე კი თამაში არ არის.

## **სავარჯიშო № 2. გამოყავით ტექსტის ყველა მახასიათებელი, სტილური ნიშნები და შეურჩიეთ სათაური**

გლობალიზაციისა და რეცესიის ფონზე ესპანელები სულ უფრო მეტად ცდილობენ ინგლისურის ათვისებას. ყველაზე აშკარად ეს ტენდენცია ესპანეთში შეიმჩნევა, რომელიც ყოველთვის საკმაოდ ჩამორჩებოდა სხვა ქვეყნებს ინგლისური ენის ცოდნაში, მაგრამ დღეს ესპანელები ცდილობენ ინგლისურის ათვისებას. აი, რას იუწყება ამის შესახებ მადრიდიდან „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ლორენ ფრეიერი. რიჩარდ ვონი ტეხასიდანაა. იგი უკვე 35 წელია ესპანეთში ცხოვრობს და სათავეში უდგას ესპანეთში უმსხვილეს ლინგვისტურ კომპანიას, რომელიც ინგლისური ენის შესწავლას ემსახურება. ესპანელები ინგლისურ ენას კულტურული მოსაზრებებით არ სწავლობენ. ინგლისური ენის შესწავლის 99% პროფესიული მიზნებისთვისაა. ესპანეთში ინგლისურს ძირითადად ისინი სწავლობენ, ვინც ცდილობს უცხოეთში იპოვოს სამსახური, განსაკუთრებით კი ბრიტანეთსა და აშშ-ში, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ ესპანეთში სამსახური უცხოურ კომპანიებში იპოვონ. დღეს მრავალი კომპანია მოითხოვს სულ მცირეორი ენის ცოდნას. დომენიკ კემბელი ამერიკელია, რომელიც მადრიდში ცხოვრობს. იგი ინგლისურს ასწავლის. აი, რა თქვა მან ჩვენთან საუბარში: „დღეს ბევრი კომპანია სულ მცირეორი ენის ცოდნას მოითხოვს და ძირითადად ეს მინიმუმი შეეხება ესპანურსა და ინგლისურს, თუმცა ბევრ კომპანიაში ესპანურს, ინგლისურსა და ფრანგულსაც მოითხოვენ, განსაკუთრებით, ავიაკომპანიებში“.

ესპანეთი სხვა ევროპულ ქვეყნებს ყოველთვის ჩამორჩებოდა ინგლისური ენის ცოდნაში, რადგან ესპანეთში არ იყო ამის აუცილებლობა. მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მეხუთედი ესპანურენვანია. აქედან გამომდინარე, ესპანელები ასკვნიდნენ, რომ სადაც არ უნდა მოხვედრილიყვნენ, ესპანური ენით გავიდოდნენ ფონს, მაგრამ დღეს ეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა- 5 ესპანელიდან სულ მცირე, ერთი უმუშევარია. მთელ ევროპაში

ესპანეთს უმუშევრობის მაღალი დონე აქვს. 20 წლის ახალგაზრდების 40 % უმუშევარია, რაც მათ სამუშაოს საზღვარგარეთ ძებნისკენ უბიძებებს.

## **სავარჯიშო №3. წაიკითხეთ სამეცნიერო ტექსტი და გახაზეთ ფრაზეოლოგიზმები**

### **თეორი ხალათის ჰიპერტენზია**

დიაბეტიან პაციენტებს ხშირად ალენიშნებათ არტერიული წნევის დონის მომატება ექიმთან ვიზიტისას, ამიტომ მათ განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ. პაციენტმა ხშირად უნდა გაიზომოს წნევა როგორც სახლში, ასევე ექიმთან ვიზიტისას. არტერიული წნევის ამბულატორიული მონიტორინგის მეთოდი გამოავლენს წნევის უფრო ზუსტ მაჩვენებლებს. კონტროლი ასევე საჭიროა ჰიპოტენზიური მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად. ამრიგად, არტერიული წნევის მონიტორინგი გვაძლევს მეტად საჭირო ინფორმაციას მკურნალობის ეფექტურობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

დიაბეტიან პაციენტებს ხშირად ალენიშნებათ მიოკარდიუმის მუნჯი იშემია და უსიმპტომო მუნჯი ინფარქტი, რადგან ინფარქტის დროს ვითარდება სენსორული ნეიროპათია - შემცირებულია ტკივილის შეგრძნება. ამის გამო იშემიური დაავადება ატიპიურად მიმდინარეობს. აუცილებელია სკრინინგი ამ დაავადების გამოსავლენად.

თუ პაციენტს ხანდაზმული დიაბეტი აქვს და არის 45-60 წლის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები გენეტიკურია და ერთვის ქვედა კიდურების დაავადებებიც, დროულად უნდა მიმართოს კარდიოლოგს. დაავადების პრევენცია ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია.

**დავალება. შეავსეთ ქვემომოყვანილი ცხრილი სამეცნიერო  
სტილის მახასიათებლებით**

ფორმობრივი მხარე	
შინაარსობრივი მხარე	

## II.2. ოფიციალურ-საქმიანი სტილი

ოფიციალურ-საქმიანი ჰქვია საქმიანი ურთიერთობისათვის განკუთვნილ ოფიციალური დოკუმენტების, საქმიანი ქაღალდების ენას. მას უწოდებენ კონსერვატიულ, საკუთარ თავში ჩაკეტილ სტილსაც (დერიაგინი 1978: 86).

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ფუნქციონირების სფეროებია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი. ის გამოიყენება სახელისუფლებო ორგანოებთან, ცალკეულ პირთან, ორგანიზაციებთან, ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად. ამ სტილის ნიმუშებია: კანონი, ბრძანება, ხელშეკრულება, მითითებება, განკარგულება, მოლაპარაკება, მოხსენება, აქტი, წესდება, პროგრამა, ნოტა, მინდობილობა, ანდერძი და ა. შ.

ოფიციალურ-საქმიან სტილს თემატიკის მიხედვით ყოფენ ორ ჟანრად:

1. ოფიციალურ-დოკუმენტურად და 2. ყოველდღიურ-საქმიანად (სამსახურებრივი მიმოწერა, საქმის ქაღალდები).

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ქვესტილებია:

1. **საკუთრივ ოფიციალურ-საქმიანი (ადმინისტრაციულ-საკანცელარიო)** დოკუმენტების [განცხადება, მინდობილობა, ავტობიოგრაფია, ხელშერილი, დახასიათება, ოქმი] სტილი;

2. **იურიდიული (კანონშემოქმედებითი) დოკუმენტების [კანონი, ბრძანება, წესდება, კონსტიტუცია, აქტი]** სტილი;

3. **დიპლომატიური საბუთების [ნიკე, ნოტა, კონვენცია, მემორანდუმი, საერთაშორისო შეთანხმება]** სტილი.

შ. ბალი ასე განმარტავს ოფიციალურ-საქმიანი სტილის სპეციფიკას: „ადმინისტრაციულ სტილი სამეცნიერო ხასიათისაა და ამასთანავე ეხება ყოფიერებას, ყოველდღიურ ცხოვრებას“ (ბალი 1961:274).

ოფიციალურ-საქმიანი ენის ცალკე სტილად ჩამოყალიბება ხანგრძლივად მიმდინარეობდა. სხვადასხვა ქვეყანაში ოფიციალური წრები სტილურად გარდაქმნიდნენ ხოლმე საქმის ქაღალდებს. პეტრე I-ს სპეციალური ბრძანებაც გამოუცია, რომ წერილობითი თხოვნა პუნქტებად ჩამოყალიბებინათ.

XIX საუკუნეში შემოდის რუსული საკანცელარიო სტილი, რომელიც თავად რუსულისათვისაც ნასესხობა. საჭირო გახდა მიმართვის ფორმების: **ყდ უსამღვდელოესო მწყემსმთავარო... კვალად და კვალად განტებთ თხოვნით, ადრესატის გაფორმების, დროის და ადგილის მითითების სტილის შეცვლა.**

ქართულ ისტორიულ საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვს ენის ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან ისინი ხალხური ენით იწერებოდა. ენობრივი ცვლილება ყველაზე ადრე და ზუსტად სწორედ აქ აისახებოდა. მათში არაა კალკები და სხვა უცხოენოვანი ელემენტები. მიიჩნევენ, რომ „ისტორიული საბუთების თავისებურებაა ენის ბუნებრიობა, რადგან მასში ყველაფერი აღინირებოდა ხალხური, სასაუბრო ენით... მას განათლებული მწიგნობრები ადგენდნენ, ზოგჯერ კარნახითაც კი აწერინებდნენ სხვა ეროვნების პირებსაც კი... რადგანაც ისტორიულ ძეგლებს ფარ-

თო საზოგადოება არ იცნობდა და არ სწავლობდა, ამიტომ იგი ენის განვითარებაზე ვერ ახდენდა გავლენას. სალიტერატურო ენა კი კონსერვატიულია თავისი ბუნებით, აქ მეტია წიგნური ტრადიციის ძალა და გავლენა“ (ქავთარაძე 1964: 26).

ისტორიული საბუთების (თ. უორდანიას, ს. კაკაბაძის, ლ. მუსხელიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ი. დოლიძის და სხვათა მიერ გამოცემული) ენაში შეიმჩნევა გარკვეული ყალიბი: ჯერ მითითებულია ტიტული, შემდეგ - სახელი, მისი სოციალური სტატუსი (ტყვე, როდის, ვინ დაატყვევა), თარიღი და დოკუმენტის შედგენის ადგილი.

„ქართული ისტორიული დოკუმენტების კორპუსების ენობრივად და სტილურად შესწავლა გამოიყენება იმის თქმის უფლებას, რომ ოფიციალური სტილი თავის სიმწყობრესა და კონოტაციურ ზომიერებას ხანგრძლივი პრაქტიკის საფუძველზე შეიმუშავებდა და ეს გამოცდილება დღეს ამ სტილის დამახასიათებელი ნიშნების გამოყოფის უფლებას გვაძლევს“ (ტაბიძე 2010: 260). ესენია: რეკვიზიტების სტანდარტი (სათაური, ორგანიზაციის დასახელება, პირის თანამდებობა, წოდება; გვარი, ინიციალები, ტექსტის დათარიღება და ოფიციალური დამოწმება), ტერმინოლოგია, ტექსტის ეტიკეტი და სტილური თავისებურებანი, კლიშები (დასაწყისი და დასასრული).

**2. ფორმობრივი მხარე.** ვინაიდან საქმის ქაღალდები ოფიციალური მიმოწერისა და ხელშეკრულებების სახისაა, ძირითადად წერილობითია. ზოგიერთი მათგანი ზეპირად გადმოიცემა. ესენია: საანგარიშო მოხსენება, დახასიათება, ბიოგრაფია, განცხადება და ა.შ. განცხადების ფორმაში, ანკეტასა თუ სხვა საქმიან ქაღალდებში ყველაფერი ემორჩილება ფორმასა და სტანდარტს. ტრაფარეტი გვეხმარება მათ ზუსტ კლასიფიკაციაში. აზრი გადმოიცემა რამდენიმე აბზაცით, რიგობითი ნუმერაციით. ზოგიერთი მათგანის წარმოების გასაადვილებლად შემოღებულია სპეციალური ბლანკებიც.

საქმის ქაღალდების ანუ დოკუმენტების ცალკეული სახეობის (განცხადება, ცნობა, მოწმობა, წესდება, მინდობილობა, ხელშეკ-

რულება, ხელწერილი, აქტი, ოქმი, საანგარიშო მოხსენება, კოდექსი, ინსტრუქცია, რეცენზია, ანოტაცია, განაჩენი) შედგენა-გაფორმება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

**1. ლექსიკური სისტემის თავისებურებანი.** ლექსიკა ნეიტრალურია, არაა სუბიექტურ-შემთხვესებლური. სიტყვები გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით, არ გვხვდება სამეტყველო სტილის ელემენტები. ამით ოფიციალურ-საქმიანი სტილი უახლოვდება სამეცნიეროს, მაგრამ განსხვავდება მისგან იმით, რომ სამეცნიერო ნაშრომში ჰყავს ავტორი (ან ავტორები) და გამოკვეთილია ინდივიდუალობა.

ამ სტილში ტერმინოლოგია ნაკლებად აბსტრაქტულია, ვიდრე სამეცნიეროში. განსხვავებული ხასიათისაა ოპიექტურობაც. იგი უკავშირდება სამართლებრივ ნორმას, გახაზავს მტკიცებითობასა და იმპერატიულობას. სხვა სტილთაგან განსხვავებით მას ახასიათებს ოფიციალური ტონი. განზოგადება მისი მთავარი ნიშანია, რითაც ის უახლოვდება სამეცნიერო სტილს.

მნარმოებლურ, მმართველობით, სამოსამართლო და სხვა დოკუმენტებში გვხვდება ნომენკლატურული და ტერმინოლოგიური ხასიათის ისეთი მყარი შესიტყვებანი, როგორებიცაა: **პირადი შემადგენლობა**, მატერიალური ლირებულებანი, ფულადი ნიშნები, სავაჭრო წერტილი, სატრანსპორტო საშუალებანი. არ გვხვდება ჟარგონი, დიალექტიზმი და მისთ.

საქმაოდაა გავრცელებული ციფრული მონაცემები, პროფესიონალიზმები და სტანდარტული თქმები ანუ კანცელარული შტამპები: დღის წესრიგი, მოისმინეს, დაადგინეს; განცხადებებში - გაცნობებთ, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, ამასთან გაახლებთ, განცხადებას თან ერთვის... კანცელარული შტამპებისა და კლიმენტების ხშირი გამოყენების გამო ამ სტილში ავტორის ინდივიდუალიზმი მინიმუმამდეა დაყვანილი. „შტამპები მეტყველებაში – ეს არის გამზადებული ფრაზებით ლაპარაკის ჩვევის შედეგი, ეს არის აზრის სიზარმაცე“ (მიხაილოვი 1968:321). „როგორც წესი, მათ ახალი არაფერი შეაქვთ გამონათქვამის შინაარსში, მხოლოდ „ანაგვიანებენ“ წინადადებას. ამ შტამპების ამოღ-

ებით ტექსტის შინაარსში, მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არაფერო შეიცვლება“ (გაფრინდაშვილი ... 2005:61), მაგრამ საკანცელარიო ენისთვის ისინი ჩვეულებრივი მოვლენაა; პრესისა თუ სასაუბრო ენაში, მით უფრო მხატვრულ ლიტერატურაში კი მათი გამოყენება არაა მიზანშენონილი.

**2. მორფოლოგიური თავისებურებანი.** ოფიციალურ სტილში ზმნის პირიანი ფორმების ნაცვლად სახელზმნები გამოიყენება (მიღება, გაგზავნა, დადგენა, გატანა, შემოზიდვა, მიღებული, გაგზავნილი, დადგენილი...); უპირატესობა ენიჭება ასევე აღნერით წარმოებას: მონაწილეობს – მონაწილეობას იღებს, მოსთხოვეს – მოთხოვნა წაუყენეს, გაიგზავნა – გაგზავნილ იქნა.

დოკუმენტებში გამოიყენება მრავლობითი რიცხვის ფორმები, მიუხედავად იმისა, ვის ეგზავნება. ნომენკლატურულ დასახელებათა სიჭარბე ამ სტილის ნიშანდობლივი თვისებაა.

**სინტაქსური თავისებურებები.** ოფიციალურ-საქმიან სტილს ახასიათებს როგორც მარტივ, ისე შერწყმულ და რთულ წინადადებათა გამოყენება, ჩართული თქმების (ჩემი აზრით, გარდა ამ-ისა, ჩანს, რასაკვირველია, როგორც აღვნიშნეთ... ) სიხშირე. წინადადებები სრულია, თხრობითი ინტონაციისა. აქ არ იცვლება სახელები ნაცვალსახელებით. სიტყვათა წყობა პირდაპირია.

საქმიანი ქაღალდების სტილში შეაქვთ ეპისტოლარული ანუ მიმოწერის სტილიც. ა. ბასილაიას აზრით, „იგი თავისი ძირითადი ნიშნებით ნაკლებად განსხვავდება დოკუმენტების ენობრივი ნიშნებისგან, ამიტომ მისი ცალკე სახედ გამოყოფა მიზანშეუწონელია“ (ბასილაია 1991: 46).

ამ სტილის მახასიათებლებია:

1. თემისა და აზრის კონკრეტულობა;
2. მიზნის გამოხატვის სიზუსტე და სიცხადე;
3. ლაკონიურობა (ენობრივ საშუალებათა ეკონომია);
4. სტანდარტულობა;
5. ენობრივი ფორმულები (კლიშე, შტამპი);
6. სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა;
7. ემციებისა და ექსპრესიის შეზღუდვა;

**8. მარტივი კონსტრუქციებისა და ალწერითი ფორმების გამოყენება;**

**9. სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება;**

**10. რეკვიზიტები:** ორგანიზაციის დასახელება, პირის თანამდებობა, წოდება; გვარი, ინიციალები (მობინადრე, მოქალაქე, კლიენტი, პაციენტი) სათაური, ხელმოწერა, თარიღი, ტექსტის დამოწმება.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის **ხარვეზებია:**

1. ექსპრესიულობა;
2. ეტიკეტის დაუცველობა;
3. ალოგიკურობა;
4. ფამილიარული სტილი- სასაუბრო სტილის ელემენტების შეჯრა;
5. დოკუმენტის დაუმოწმებლობა;
6. დაუთარილებლობა;
7. სტანდარტის დაუცველობა.

### განცხადება

განცხადებაში მოკლედაა ჩამოყალიბებული თხოვნა ან საჩივარი და დასაბუთებულია მიზეზი. მარჯვნივ მიეთითება ადრესატის და ადრესანტის ვინაობა, ხაზის გამოტოვებით, შუაში დაყოფით იწერება განცხადება.

ისევ ხაზის გამოტოვებით აპზაცით იწერება შინაარსი. თუ დოკუმენტი სურვილს, თხოვნას, ნებართვას გადმოსცემს, იწყება სიტყვით „გთხოვთ“. მარცხნივ იწერება თარიღი, მარჯვნივ-ხელისმოწერა.

საზოგადო განცხადება არის მოკლე, ინფორმაციული ტექსტი, რომელიც აკონკრეტებს სად, როდის, რა ტიპის ღონისძიება იმართება. განცხადება იწერება შუაში, განმცხადებლის სტატუსი - მარჯვნივ.

## ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

**ახსნა - განმარტებითი ბარათი** იმით განსხვავდება მოხსენებით ბარათისგან, რომ ის იწერება არა ავტორის ინიციატივით, არამედ **ხელმძღვანელი პირის ან ზემდგომი ინსტანციის მოთხოვნით და მასში დასახელებულია მომხდარი ფაქტის (სამსახურში დაგვიანების, გაცდენის, კანონის, წესის დარღვევის და ა.შ.) გამომწვევი მიზეზები.**

ახსნა-განმარტებითი ბარათის პირველი ბლოკი მოხსენებითი ბარათისნაირია, ძირითად ბლოკში კი მოკლედ და კონკრეტულადაა გადმოცემული მომხდარი ფაქტის გამომწვევი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები. მოხსენებითი ბარათის მსგავსად ამ დოკუმენტის დაწყებაც შეიძლება შემდეგი ფრაზით: მოგახსენებთ, რომ... , გაცნობებთ, რომ... , მინდა გაუწყოთ, რომ...

ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის დეკანს - ქალბატონ ...  
ამავე ფაკულტეტის  
კურსის ჯგუფხელის ...

## მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ სასწავლო პროგრამით ინგლისური ენის სწავლებას ეთმობა კვირაში მხოლოდ ორი აკადემიური საათი, რაც კურსის სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით არაა საკმარისი უცხო ენის საფუძვლიანად დასაუფლებლად. გთხოვთ, დამატებით გამოგვიყოთ საათები და შეგვიდგინოთ ახალი ცხრილი.

25. 09. 2014

.....

**დავალება №1. დაწერეთ ახსნა-განმარტებითი ბარათი შემდეგი 4 სიტყვის გამოყენებით: დაგვიანება, ავადმყოფობა, თარიღი, პრეზენტაცია.**

**ავტოპიოგრაფია** ისეთი დოკუმენტია, რომელშიც ავტორი ზმნის პირველ პირში გადამოგვცემს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს. ესენია: სახელი, გვარი, მამის სახელი; როდის სად, ვის ოჯახში დაიბადა. მშობლები სად, რა თანამდებობაზე მუშაობენ; აქვს თუ არა მიღებული რაიმე ჯილდო, არის თუ არა დაოჯახებული. ვინ არის მეუღლე, შვილი (შვილები) სახელი, გვარი, ასაკი, სტატუსი, სპეციალობა.

**ხელწერილი** მოკლე ოფიციალური დოკუმენტია. ტექსტი უნდა შეიცავდეს ფინანსური, მატერიალური ან მორალური შინაარსის ინფორმაციას. მას ადასტურებს თავად შემდგენელი. ვინაობა იწერება მარჯვნივ. ხელისმონერა უნდა დამოწმდეს სხვა პირის ან ნოტარიუსის მიერ.

**მინდობილობა** საბუთია, რომლითაც ორგანიზაცია ან პიროვნება სხვა პირს აძლევს უფლებას ისარგებლოს პირადი ნივთით ან მიიღოს მისი კუთვნილი ხელფასი. იგი პირადია ან ოფიციალური (გასცემს დაწესებულების ხელმძღვანელი). მინდობილობით შეიძლება საბანკო ოპერაციების შესრულება, ფულადი სახსრების მიღება, სატრანსპორტო საშუალებათა მართვა.

მინდობილობის რეკვიზიტებია: სახელწოდება, მრწმუნებლის გვარი, სახელი, მამის სახელი, პირადობის მოწმობის №, რწმუნებულის ვინაობა, შინაარსი, თარიღი, ხელისმონერა, ბეჭედი.

მიეთითება მინდობილობის გაცემის ადგილი, თარიღი, მოქმედების ვადა.

## მინდობილობა

მე, ნინო ბარამიძე, ჩემს მანქანას (მარკა) ვანდობ და მისი სარგებლობის უფლებას ვაძლევ შვილს - ანანო მაისურაძეს.

(ხელის მოწერა)

ნინო ბარამიძე

ხელმოწერას ვადასტურებ ნოტარიუსი:

(ხელის მოწერა)

ლ. ჭედია

ბეჭედი

## დახასიათება

შუაში იწერება და სიათება, აბზაცით ტექსტი, დამახასიათებელი თვისებები, ავტორის ვინაობა და მონაცემები - მარჯვნივ ხელისმოწერა, მარცხნივ - თარიღი.

10.10.2014

.....

**სავარჯიშო № 1. ჯავუფური მუშაობა.** მიმართეთ სახელმწიფოებრივ ორგანოს, რომ დიდთოვლობის დროს დაზიანდა სოფლის სკოლა; ა. დაასაბუთეთ მისი აშენების აუცილებლობა; ბ. მთავრობისაგან მოითხოვთ სათანადო დახმარება.

**სავარჯიშო № 2. წყვილური მუშაობა 1. დაახასიათეთ თქვენი მეწყვილე შემდეგი სიტყვების გამოყენებით: მუყაითი, შთამბეჭდავი, განაწყობა, ალალი, სპეტაკი.**

**სავარჯიშო №3. შეუდგინეთ რეკომენდაცია მეწყვილეს შემდეგი სიტყვების გამოყენებით:**

განვითარება, პედაგოგი, ვუწევ, უნარი, დაჯილდოებული, სწრაფვა, გაიარა, სიახლე, გამოირჩევა.

**დავალება 2. ინდივიდუალური მუშაობა.** შეადგინეთ ხელწერილი შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ავტომანქანა, ბიძაშვილი, სარგებლობა, ხელფასი.

**დავალება 3. გამართეთ შინაარსობრივად მოხსენებითი ბარათი**

ბსუ საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანს

.....

ამავე ფაკულტეტის  
სამართალმცოდნეობის  
სპეციალობის მე-2 კურსის  
ჯგუფხელის .....

## მოხსენებითი ბარათი

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა, ვინაიდან დავასრულეთ საქართველოს ისტორიის სრული კურსი და დიდი ინტერესი გვაქვს ტაო-კლარჯეთის ისტორიული ადგილების მონახულებისა, გთხოვთ დაგვიფინანსოთ ექსკურსია. თანაც, კურსის უმრავლესობა იქ ნამყოფი არაა. სემესტრული გამოცდები 25 ივლისისთვის გვიმთავრდება.

1. 07. 2014

.....

**სავარჯიშო № 5. გამართეთ შინაარსობრივად, ფორმობრივად და ენობრივად შემდეგი დოკუმენტი**

**მოხსენებითი პარათი**

ბსუ ტურიზმის ფაკულტეტის დეკანს,  
ბატონ ........................  
ამავე ფაკულტეტის  
სტუდენტის, .....

მოგახსენებთ, რომ ვარ მაღალთიანი აჭარიდან. პარასკევს წავედი სოფელში მშობლების მოსანახულებლად. კვირას დილით მოულოდნელათ განვიმდა და გზები დაიმერწყრა, რისთვისაც უკან დავბრუნდი. ამ მიზეზით ვერ დავესწარი შემაჯამებელ ტესტირებას ტურიზმის მენეჯმენტში. გთხოვთ, მომცეთ უფლება ხელმეორედ გავიარო ტესტირება რათა მიმდინარე შეფასებაზე ეს დიდ გავლენს მოახდენს.

15.05.2011.წ.

... .... .... .... .... ....

**ცოდნის შესამომავალი კითხვები**

1. განმარტეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილი;
2. სად, რა ფუნქციით ვიყენებთ ოფიციალურ-საქმიან სტილს?
3. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილის ფორმობრივი ნიშნები;
4. გადმოეცით ოფიციალურ-საქმიანი სტილის ლექსიკური თავისებურებანი;
5. რას ენოდება შტამპი?
6. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების სახეები;
7. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილის სპეციფიკური ნიშნები;

8. რით განსხვავდება ერთმანეთისგან ახსნა-განმარტებითი და მოხსენებითი ბარათები?
9. რა შინაარსისაა ხელწერილი?
10. დაასახელეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილის ხარვეზები.

**ეპისტოლარული უანრის ნიმუში**

**ჯუზეპე გარიბალდი ანიტას**

გწერ და მინდა გაცნობო, რომ თავს კარგად ვგრძნობ, რომ კოლონისთან ერთად ანაგნისკენ მივდივარ, სადაც, შესაძლოა ხვალ შევიდე. რამდენ ხანს დავრჩები იქ, ჯერ ამის თქმა არ შემიძლია. ანაგნიში თოფებს მივიღებ და ტანსაცმელს ჯარისთვის. მანამდე ვერ დავმშვიდები, სანამ შენგან წერილს არ მივიღებ, რომელიც დამარწმუნებს, რომ ნიცამდებელი ინიერად მიაღწიე; მომწერე დაწვრილებით, ძვირფასო ანიტა, შენგან ცნობებს უნდა ვღებულობდე; მომწერე რა შთაბეჭდილება დატოვა შენზე გენუასა და ტოსკანაში მომხდარმა ამბებმა. შენ ძლიერი გმირი ქალი ხარ! რა ზიზლით უნდა შესცექეროდე ქალაჩუნა იტალიელთა ტომებს, ჩემს თანამემამულებს, რომელთათვისაც ასე ხშირად მინდოდა სულიერი კეთილშობილება შთამეგონებინა და რომლებიც ამას ოდნავ თუ იმსახურებენ. მართალია, ღალატმა ყოველნაირი ვაჟკაცური გზნება შეასუსტა. როგორც არ უნდა იყოს, პატივაყრილი ვართ; იტალიელის სახელი მთელი ქვეყნისთვის გასაკიცს და დასაცინ საგნად იქცა. აღმფოთებული ვარ, რომ ამის შედეგად სიმამაცე მაკლია, რომ ჩემი სამშობლოს მომავლის თაობაზე სასოწარ კვეთილი ვარ, პირიქით, მეტი იმედი მაქვს, ვიდრე ოდესმე. დაუსჯელად შეიძლება ერთ ადამიანს აპყარო პატივი, მაგრამ არ შეიძლება პატივი აპყარო ხალხს - მოღალატეები ცნობილი არიან. იტალიის გული ფეთქავს და თუმცა იგი სრულიად ჯანსაღი არ არის, მაინც ძალა შესწევს დასწეულებული ადგილები უკუაგდოს, რომლებიც მას აავადმყოფებენ.

რეაქციამ ღალატითა და თაღლითობით შეძლო ხალხი შეეშინ-

ებინა, მაგრამ... ხალხი არასოდეს დაივიწყებს რეაქციის ღალატ-სა და თაღლითობას, თუ კი იგი თავისი შიშისგან გათავისუფლდა. იგი საშინელი გააფთრებით აღდგება და ამჯერად თავისი შერცხვენის მიზეზს ანადგურებს.

წერილი მომწერე, ისევ გიმეორებ ამ თხოვნას. მე უნდა მქონდეს ცნობები შენზე, დედაზე, ბავშვებზე. ჩემზე სადარღებელი არაფერი გაქვს, თავს უკეთესად ვგრძნობ, ვიდრე ოდესმე ყვოფილვარ და ჩემი თორმეტი ასეული შეიარაღებული ხალხით თავი დაუმარცხებლად მიმაჩნია.

რომი ახლა შთამაგონებელი სანახავია; ყველა მამაცი რომის მახლობლად ერთიანდება და ღმერთი შეგვენევა. ჩემი მოკითხვა გადაეცი აუგუსტოს, გალის, გუსტავოს, კურტის ოჯახებს და ყველა მეგობარს. უსაზღვროდ მიყვარხარ და გთხოვ, არ შეწუხდე. ჩემ მაგივრად აკოცე ბავშვებს და დედას, რომელსაც შენს მზრუნველობას ვანდობ.

იყავი კარგად.  
შენი ჯუზეპე.

## II. პუბლიცისტური სტილი

**პუბლიცისტური** ეწოდება პერიოდული გამოცემების მრავალფეროვანი მასალის ენობრივ თავისებურებებს, მათ **სტილს**.

ამ სტილის ნიმუშებია: **ნარკვევი, ჩანახატი, მოწოდება, ცნობა, ფელეტონი, პამფლეტი, პოლიტიკური სტატია, რეპორტაჟი, მიმართვა, რეკლამა.**

პუბლიცისტური მასალა **ნაბეჭდია, წერილობითია, თუმცა იგი ზეპირადაც** გადმოიცემა კრებებზე, საზეიმო სხდომებზე. ზეპირია პოლიტიკური მოხსენება, აგიტაცია, პროპაგანდა.

პუბლიცისტური ტექსტების **მიზანია** მოქალაქეთა ჯგუფის ინფორმირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ახალი ფაქტების, მოვლენების, კულტურის, მეცნიერებისა თუ ტექნიკის ახალი მიღწევების (კომუნიკაციური ფუნქცია) შესახებ; ობი-

ექტური ვითარების წარმოდგენა და სასურველი მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება; მოქალაქეთა ინტერესისა და აქტიურობის გამოწვევა, სოციალური პროცესების წახალისება. ამ სტილის მიზანია, პროპაგანდა გაუწიოს ცხოვრების აქტუალურ საკითხებს, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი შეგნების, განათლების დონის ამაღლებას. განასხვავებუნ პროპაგანდის სამ სახეს: **თეორის, რუსს და შავს.**

თეორი პროპაგანდის წყაროს დადგენა ადვილია, იგი გადასცემს ნამდვილ ინფორმაციას. **რუს პროპაგანდაში** ინფორმაციის სიზუსტე საეჭვოა. **შავი პროპაგანდა** გულისხმობს ცრუ, ფაბრიკაციული ინფორმაციის გავრცელებას. ის ემსახურება განსაზღვრულ იდეოლოგიას.

ბულვარულ პრესაში მოცემულია ინფორმაცია კატასტროფების, ძალადობის ფაქტების, ანომალიების შესახებ. ეს პუბლიკაციები ასახავენ რა ცხოვრებისეულ რეალიებს, ეხმიანებიან მკითხველთა ერთი ნაწილის ინტერესს.

პუბლიცისტური სტილის **შინაარსობრივი მხარე** განისაზღვრება ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან, მიზანსა და მისწრაფებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი თემატიკით. „თხრობა ზუსტია და ცხადი, ფაქტები აისახება ადეკვატურად, მსჯელობა ლოგიკურად თანამიმდევრული და იდეურად გამართულია, მოვლენები განზოგადებულადაა წარმოდგენილი, გამოხატულია სათქმელისადმი ემოციური დამოკიდებულება, რითაც მიიღწევა მკითხველზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა, შექმნან მასში საგნისა თუ მოვლენისადმი შესაფერისი დადებითი ან უარყოფითი განწყობილება“ (ბასილაია 1991: 55-56).

**ფორმობრივი ნიშნები:** პუბლიცისტური სტილი წერილობითია; ის მრავალსტილიანია, გვხვდება სხვადასხვა სტილის ნიმუშები. მაგ.: **საინფორმაციო ხასიათისაა ცნობა, განცხადება, რეპორტაჟი, ინტერვიუ, რეცენზია, ბიოგრაფია, ნეკროლოგი. ზემოქმედებითი ანუ ემოციურ-ექსპრესიულია ფელეტონი, პამფლეტი, ჩანახატი, მოწოდება, ლოზუნგი, მიმართვა, პოლემიკური წერილი.**

**1. ლექსიკური თავისებურებანი.** პუბლიცისტური სტილი მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობითაც. პუბლიცისტური სტილის ლექსიკა ამბებისა თუ მოვლენების სოციალურ შეფასებას გამოხატავს და მომწოდებლური, დეკლარაციული ხასიათი აქვს.

მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად აუცილებელია ლექსიკის ემოციური შეფერილობა. დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას და სიტყვათა მყარ შენაერთებს: **დაპყრობითი პოლიტიკა, თანაარსებობა, თეორი სახლი, ცივი ომი, თავდადებული შრომა, აქტიური მონაწილეობა, მაღალი მაჩვენებელები.**

ინტერვიუში, კორესპონდენციასა თუ რეპორტაჟში ბევრია ნასესხები, უცხო სიტყვა და ინტერნაციონალიზმი; ახალი ინფორმაციის ოპერატორული მიღება-გადამუშავებითაა გამოწვეული ენობრივი კალკულის შემოქრაც. მრავლად გვხვდება სამეცნიერო, პოლიტიკული ტერმინოლოგია, დაწესებულებების, ორგანიზაციების, პერიოდული გამოცემების სახელწოდებანი.

პუბლიცისტური მეტყველება ყოველთვის მიისწრაფვის იმგვარი ენობრივი ფორმებისაკენ, რომლებიც თვალში მოსახვედრი, მიმზიდველი და უცხოა მკითხველისა თუ მსმენელისათვის. საგაზეთო მასალის ენობრივი გამომსახველობა მიიღწევა სტილისტიკური ეფექტების, სიახლეთა ძიების უჩვეულო, გაუცვეთელი სიტყვათშემოქმედების გზით, რითაც იგი მხატვრულ ლიტერატურას ემსგავსება.

პუბლიცისტური სტილის ლექსიკურ მრავალფეროვნებაზე მკვლევრები საგანგებოდ მიუთითებენ: „საგაზეთო ლექსიკა შეიცავს ნიგნური სიტყვების დიდ რაოდენობას. აქ იხმარება სასაუბრო სტილის ნიმუშებიც, ოღონდ როგორც წესი, სტილისტიკური მიზნებით. გაზეთისთვის ტიპობრივია სიტყვათა ზოგი ჯგუფი. მაგ.: საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინოლოგია, გაზეთის სპეციალური პოლიტიკური ლექსიკა, ასევე ბევრი ნასესხები უცხო სიტყვა და ინტერნაციონალიზმი. უკანასკნელის სიხშირე აქ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეტყველების სხვა სტილში“ (კოუინა 1977:186).

„ფელეტონში შეიძლება გამოვიყენოთ ხალხური სასაუბრო მეტყველება, კომიკური ეფექტის მისაღებად კარგ შედეგს იძლევა სხვადასხვა სტილის აღრევა, ინფორმაციულ ჟანრში კი ენობრივი საშუალებების სიჭრელე გამართლებული არ არის“ (გაფრინდაშვილი ... 2005: 62).

**2. მორფოლოგიური თავისებურებანი.** ზმნის ორგანულ ფორმათა ნაცვლად გამოიყენება აღნერითი ფორმები; აქ ზმნის პირველი პირის ფორმა უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მხატვრული ლიტერატურის სტილში (შდრ. სამეცნიერო სტილი).

**სიტყვანარმოება.** პუბლიცისტურ სტილში განსაკუთრებით პოპულარულია ნასესხები სიტყვები, ნაწარმოები: - ია, -ცია, -იზაცია, -იზმ, -ისტ, -ანტ. სუფიქსებით და ანტი-, კონტრ, დეზ-, ულტრა-, დე-, პოლ- და მისთანა წინსართებით (ორგანიზაცია, აქტივიზაცია, კომუნიკანტი, ანტიციკლონი, დეზორგანიზაცია, დეზინფექცია, დემობილიზაცია, ულტრაისფერი). დასტურდება ასევე კომპოზიტები (საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-დემოკრატიული, აგიტაცია-პროპაგანდა). „სიტყვათშემოქმედება ამ სტილში შეუზღუდავია და არც თუ იშვიათად საერთოენობრივი ნორმებისაგან გადახვევითაც გამოირჩევა“ (მიქელაძე 2009: 32).

**3. სინტაქსური თავისებურებანი.** პუბლიცისტურ სტილში მეტწილად მარტივი ან მოკლე რთული წინადადებები გამოიყენება; მოდალობის მიხედვით ისინი ძახილის, კითხვა-ძახილის, ან ბრძანებითია. ნიშანდობლივია წინადადების წევრთა ინვერსიული წყობა.

პუბლიცისტურ სტილში საგანგებო ყურადღება ექცევა **სათაურს**. ეფექტური სათაური ტექსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია. იგი მკითხველს ეხმარება, გამოიცნოს პუბლიკისტის თემა და მისი მთავარი იდეა, ავტორის ეული პოზიცია. სათაურის შერჩევა კარგად დაფიქრებას, ოსტატობას მოითხოვს უურნალისტისგან, რომელიც, მართალია, დროით შეზღუდულია, მაგრამ ვალდებულია ის ოსტატურად მოარგოს ტექსტს.

სათაურს ეკისრება მკითხველის 1. **პირდაპირ და უშუალოდ ინფორმირება** („სილამაზიდან შიდსამდე“); 2. **დაინტერესება**

(„ჩვენ ვაგროვებთ, დააგროვეთ თქვენც“); 3. **აზროვნების გააქტიურება** („თუ გნამს, რომ იესომ თავისი სიკვდილით სიკვდილი დათროვუნა, მაშ, რა გატირებს, ადამიანო?“).

საამისოდ მას უნდა ახასიათებდეს:

**ა) ტექსტთან ბმულობა** – სათაური უნდა უკავშირდებოდეს ძირითად სათქმელს პირდაპირი ან ირიბი გზით;

**ბ) ლაკონიურობა** – სათაური უნდა იყოს მოკლე, ტევადი, სხარტი, მოქნილი, სტილის განმსაზღვრელი;

**გ) ინფორმაციულობა** – სათაური ამომწურავად უნდა გადმოგვცემდეს ნაშრომის იდეას;

**დ) სათაური უნდა იყოს ინტერესის აღმძვრელი**, მაგრამ არასკანდალური;

„სკანდალური სათაური ხშირ შემთხვევაში ეთიკური ნორმების დარღვევას, საზოგადოების გარკვეული ნაწილის გაღიზიანებას იწვევს და მკითხველს ნეგატიურად განაწყობს“ (გოჩიტაშვილი... 2009:11).

მკითხველის დასაინტერესებლად სკანდალური სათაურების შექმნა არაეთიკურია.

სათაური არ უნდა იყოს დატვირთული სპეციალური ტერმინებით, რომელიც ფართო აუდიტორიისათვის გაუგებარი იქნება; იგი უნდა იყოს **კარგად მორგებული**, არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი, როცა ავტორი **კონკრეტულ** საკითხს განიხილავს.

სათაური შეიძლება ჩამოყალიბდეს **შეკითხვის** სახითაც („რა გვიჯდება საკუთარი შვილი“?), რაც მკითხველს მეტ ინტერესს აღუძრავს. მეტად ეფექტურია სიტყვათა თამაშზე აგებული სათაურები: „სულ ყველაფერზე თავის კანტური საქციელია სინდიკატური“, „ეზოს თუ არ დაგვი, მომრავლდება თაგვი“ (სათაურის ტიპების შესახებ დაწვრილებით იხილეთ ნადარეიშვილი 1999).

პუბლიცისტიკისთვის ნაკლად ითვლება მოჭარბებული ნეგატიური ინფორმაციის გადაცემა ან პირიქით, მიჩქმალვა. თანამედროვე პრესისათვის აქტუალურია ინფორმაციის სანდოობა. ინფორმაციულობის გარდა ამ სტილის უმთავრესი ფუნქციაა **ზემოქმედება**. ეს ფუნქცია არამხოლოდ აერთიანებს მას მხატვრული ლიტერატურის სტილთან, არამედ ასხვავებს კიდევ მისგან: პუბლიცისტი ავტორის

პოზიცია უშუალოდ და აშკარად გამოიხატება, მხატვრულ ლიტერატურაში კი ის შეფარულია და გააზრებას მოითხოვს.

პუბლიცისტის ოსტატობა ინტერპრეტაციის ხელოვნებაა. „თვით პუბლიცისტიკის ცნების საფუძველშივე დევს, პირველ ყოვლისა, კომენტარი, ანალიზი და განსჯა საზოგადოებრივად საინტერესო საჭირობოთ საკითხებისა. თანამედროვე მკვლევრები პუბლიცისტიკას ზოგჯერ განიხილავენ, როგორც „დამარწმუნებელი კომუნიკაციის თეორიას“. „პუბლიცისტური ტექსტი ორკუზიან აქლემს მოგვაგონებს, პირველი კუზი ფაქტია, მეორე – ავტორის მიმართება ფაქტისადმი“ (ტყებურავა 2010:82). აუცილებელია კონკრეტულში ზოგადის ხედვა, ინდივიდუალურ-სა და კერძოში დროის ნიშნის გამოვლენა, შემთხვევითი მოვლენების შეჯერებით დადგენილ კანონზომიერებათა ანალიზი.

მკითხველზე ზემოქმედების სტრატეგია ეფუძნება შინაარსის დეტალებზე აქცენტის გაკეთებას. შინაარსი 1) **იმპლიციტურია** (ბუნდოვანი, არაპირდაპირი გამოხატული აზრი, შინაარსი); ან 2) **ექსპლიციტური** (გასაგები, ნათელი, ორაზროვანი, პირდაპირ გამოხატული აზრი, შინაარსი).

პუბლიცისტური ტექსტი მეტნილად მიემართება კონკრეტულ ადრესატს, ავტორი მას გრძნობებსა თუ სინამდვილის მისეულ მოდელს შთამბეჭდავად აწვდის.

პუბლიცისტიკა ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. საბჭოური მედია დირექტიული, ცალსახად იდეოლოგიზებული იყო, თანამედროვე კი აზრობრივად და სტილისტიკურად თავისუფალი, ჩარჩოებდამსხვრეულია. „ფაქტთა თუ მოვლენათა შეფასების იდეოლოგიზებულ მანერას ჩაენაცვლა კონკრეტული ავტორის (ავტორთა) შემფასებლური დამოკიდებულება სინამდვილისადმი“ (ტყებურავა 2010: 82). დღევანდელ მედიაში არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება მოიპოვა მკითხველ-მაც.

პუბლიცისტური სტილის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. **სხარტი და დინამიკური თხრობა;**
2. **თემის აქტუალურობა, ინფორმაციის სიახლე და ექსკლუზიურობა;**

3. ახალი ლექსიკა-ტერმინოლოგიის, სლენგის აქტიური გამოვლენა;

4. პოლიტიკური პათოსი;

5. ენობრივი შტამპების, კლიშეების ჩამოყალიბების ტენდენცია;

6. საზოგადოებრივი პოზიციის აქტიური გამოვლენა;

7. სიტყვებისა და გამოთქმების მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენება;

8. შემოკლებები და აბრევიატურები;

9. ეფექტური და საპრეზენტაციო ფრაზების წინ წამოწევა.

პუბლიცისტური სტილის ხარვეზებია:

1. სინამდვილის სუბიექტური ასახვა;

2. ნეგატიური ინფორმაციის შეფარვა;

3. ჭარბი ნეგატიურობა;

4. სათქმელის ზედმეტი პოლიტიზება;

5. სათქმელის ბუნდოვნად გადმოცემა;

6. რთულ, გაუგებარ ტერმინთა გამოყენება;

7. აღნიშვნითი ფორმების გაბატონება;

8. ენის ვულგარიზაცია;

9. სასაუბრო სტილის ფორმების მიზანშეუწონელი გამოყენება.

### პუბლიცისტური სტილის ნიმუშები

ილია ჭავჭავაძე

კრიტიკული აზრის უქონლობა

თუ ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებას ჩავუფიქრდებით, შევიშნავთ ერთს არასასიამოვნო გარემოებას, რომელიც ხელს უშლის ერთის და მეორის წარმატებასაც. არც მწერლობასა და არც საზოგადოებას არ აღმოუჩენია ნამდვილი გზა, რომლითაც უნდა მსვლელობდეს აზრი და გონება, არ დაუდგენია ნამდვილი აზრი ჩვენის წარსულის და ანტიკო ვითარების შესახებ და სამართლიანად ვერ დაგვიფასებია, ვერ გამოგვიკვლევია ჩვენი ყოფა-ცხოვრებათ. ერთი სიტყვით, ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი

ჩვენის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება ამით არის უსიამოვნო, ჩვენის წარმატების დამაბრკოლებელი, და გვიჩვენებს ჩვენის გონების გაუწვრთნებლობას, ჩვენს გაუფრთხილებლობას და დაუკირქებლობას. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ წელი ნაბიჯით მიდის წინ.

ჩვენა ვთქვით, რომ კრიტიკული აზრი ვერ დაგვიდგენია ჩვენი ვითარების შესახებ, სამართლიანად ვერ დაგვიფასებია ჩვენი წარსული და ანტიკო კრიტიკული აზრის უქონლობა იმოდენად შესამჩნევია ჩვენში, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, თუ ცოტათი მაინც არ ჩავუკვირდით ჩვენს აზროვნებას. აი, სხვათა შორის, არის იმის მიზეზი, რომ ვერც ჩვენი ისტორიის შესწავლა და კვლევა ვერ დამდგარა ჯერჯერობით ნამდვილს გზაზე და ვერც საზოგადო აზრის მიმდინარეობა.

### აგვისტოს ომი „სახლში“

„პრესკაფეში“ პოლონელი რეჟისორების – დორეთა პეტრუსისა და ბოგდან ლეჩინარის ფილმ „სახლის“ ჩვენება გაიმართა. „ომის შიში ომზე უარესია,“ – ასე იწყება დოკუმენტური ფილმი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს ეხება.

ფილმის მთავარი გმირია პოლონეთში მცხოვრები ქართველი მანანა გრონერტი-ცუცქირიძე. იგი 2009 წლის აგვისტოს ომის დროს გორში მშობლების სანახავად იყო ჩამოსული. იმ პერიოდში გორის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ატენის ხეობაში გაიხიზნა. მანანას ოჯახმაც სოფელ ბობნევს მიამურა. აღსანიშნავია, რომ ისინი სოფლამდე მიცვალებულთა სპეციალური მანქანით, კატაფალკით მიდიან. ბობნევში ერთ-ერთ ქართულ-ოსურ ოჯახში 60 ადამიანი პოულობს თავშესაფარს. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები: ქართველები, ოსები, რუსები და სომხები, რომლებიც თანაბრად იყოფენ მცირეოდენ საჭმელს და ერთად იზიარებენ ომისა და დევნილობის მძიმე ხვედრის. ამ დროს მან ანა ცუცქირიძე სამოყვარულო კამერით მათ ყოფა-ცხოვრებას იღებს. ფილმის შექმნას სწორედ ეს კადრები დაედო საფუძვლად. ერთი წლის შემდეგ იგი პოლონელ რეჟისორებთან ერთად გორში დაბრუნდა, შეხვდა იმ ადამიანებს, ვისთანაც დევნილობის დღეები გაატარა და

მათთან ერთად ბობნევში გაემგზავრა. სახლში შეერებილი ყოფილი დევნილები იხსენებენ აგვისტოს ომის დღეებს. ფილმის დიდი ნაწილი ამ მოგონებებთან არის დაკავშირებული. გადალებები გორსა და ბობნევში მიმდინარეობდა. ფილმის ერთ-ერთი რეჟისორი, ბოგდან ლეჩინარი ამბობს, რომ ფილმის ხარისხით და მისი მხატვრული ლირებულებით კმაყოფილი არ არის, მაგრამ ამ ფილმით მან ქართველებს მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ ტანკების, ბომბებისა და სისხლის გარდა ომი სტრესია.

(გაზეთი „ბათუმელები“, 2011 წლის 20- 27 ივნისი)

### **ცოდნის ჰესამონებაზე კითხვები**

1. დაასახელეთ პუბლიცისტური სტილის ფუნქციონირების სფეროები;
2. რა არის პუბლიცისტური ტექსტების მიზანი?
3. როგორია ამ სტილის ლექსიკა და ფრაზეოლოგია? რატომ ჭარბობს მასში ნეოლოგიზმები?
4. დაასახელეთ ეფექტური სათაურის მახასიათებლები;
5. რომელი სტილის ელემენტები იყრის თავს პუბლიცისტური სტილში?
6. დაახასიათეთ პროპაგანდის სახეები;
7. დაახასიათეთ ბულვარული პრესა;
8. რას და რატომ ამგვანებენ პუბლიცისტურ ტექსტს?
9. რას მიიჩნევენ პუბლიცისტური ნაწარმოების ხარვეზებად?
10. როგორ გამოიხატება პუბლიცისტურ სტილში ავტორისეული პოზიცია?

### **II.4. მხატვრული ლიტერატურის სტილი**

მხატვრულია სტილი, რომელიც ემსახურება სინამდვილის მხატვრულ გარდასახვას. სამეცნიერო და მხატვრულ სტილთა შედარებითი ანალიზი წარმოაჩენს მათ შორის მსგავსება-განსხვავებას. „ფილოსოფოსი ლაპარაკობს სილოვიზმებით, მგოსა-

ნი - სახეებითა და სურათებით, ორივე კი ამბობს ერთსა და იმავეს... ერთი ამტკიცებს, მეორე აჩვენებს, ორივე კი არწმუნებს, ოღონდ ერთი ლოგიკური საბუთებით, მეორე სურათებით“ - წერს ბ. ბელინსკი (ბელინსკი 1948: 298).

„მეცნიერება სინამდვილეს ასახავს ცნებებით, ლოგიკური მსჯელობით, ხელოვნება კი მას წარმოგვიდგენს მხატვრულ სახეებში ენის გამომსახველობითი საშუალებებით. ერთი გამოხატავს მხოლოდ აზრებს, მტკიცებას, დასკვნას, მეორე - აზრებს ემოციურ და ექსპრესიულ ფორმებში; ერთი გავლენას ახდენს გონებაზე, მეორე - როგორც გონებაზე, ისე გრძნობაზე და აქვს როგორც საკომუნიკაციო, ისე ესთეტიკური მნიშვნელობა“, - აღნიშნავს 6. ბასილაია (ბასილაია 1991:65).

ლიტერატურა სიტყვიერი ხელოვნებაა, მისი სპეციფიკური მასალა სიტყვაა, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ მიუთითებენ იმაზე, რომ შეუძლებელია იმ შეხედულების შეწყნარება, რომელიც მხატვრული ლიტერატურისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმას ენასთან აიგივებს. ეს შეხედულება ისეთივე შეუსაბამოა, როგორიცაა, მაგალითად, ფერწერისათვის ნიშანდობლივი მხატვრული ფორმის ფერთან გაიგივება.

მოკლედ, სამეცნიერო სტილს ახასიათებს ცნებებით აზროვნება, მხატვრულს კი - სახეებით.

მხატვრული სტილის უანრებია: **ბელეტრისტიკა** (მოთხრობა, ნოველა, რომანი, ფელეტონი, პამფლეტი, ჩანახატი); **პოეზია** (პოემა, ლექსი); **დრამატურგია** (დრამა, კომედია, ტრაგედია); **იუმორისტულ-სატირული ნაწარმოებები.**

ამ სტილის ფუნქციებია ესთეტიკურობა, გამომსახველობითობა და ექსპრესიულობა.

**შინაარსობრივი მხარე.** მხატვრული ლიტერატურის სტილში აისახება ცხოვრებისეული დადებითი და უარყოფითი მოვლენები, მისაბაძი და მანკიერი მხარეები; სხვადასხვა ადამიანის ტიპობრივი სახე, მისი სულიერი სამყარო თუ სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულება.

**ფორმობრივი დახასიათება** - მეტყველების მთავარი ფორმა წერილობითია, მეტყველების სახეებია **მონოლოგიც და დიალოგიც.**

**ლექსიკური თავისებურებანი** - ნეიტრალური სტილის ლექსიკასთან ერთად გამოიყენება ექსპრესიული სიტყვები, ემოციური ლექსიკა (რომელიც გადმოგცემს სიხარულს, აღტაცებას, გაკვირვებას, აღშფოთებას, ზიზღს, დაცინვას), თვალში საცემია არქაიზმები, პროფესიონალიზმები და უცხო სიტყვები.

ამ სტილისათვის ნიშანდობლივია როგორც სიტყვათა არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარება, ისე ტროპების (მეტაფორის, მეტონიმის, გაპიროვნების, ალეგორის, სინეკდოქეს, ჰიპერბოლის, ლიტოტესის, პერიფრაზის) გამოყენებაც, ასევე ეპითეტების, სინონიმების, ომონიმების, ანტონიმების სიხშირე.

მხატვრული ლიტერატურის სტილში დიალექტიზმები, ბარბარიზმები, უარგონები და ა. შ. სტილიზაციის საშუალებებია.

**ფონეტიკური დახასიათება.** ამავე სტილისათვის დამახასიათებელია ბერძნათა ჰარმონიულობა, რიტმი, რითმა.

**მორფოლოგიური დახასიათება.** გრამატიკული ნიშნებიდან აღსანიშნავია კნინობით-ალერსობითი აფიქსების გამოყენება, მრავლობითი რიცხვის ფორმათა გამოყენება მხოლობითის მნიშვნელობით, მხოლობითისა - მრავლობითის გაგებით და ა. შ.

**სინტაქსური დახასიათება.** ამ სტილში ყველა ტიპის წინადაღება გამოიყენება, ისინი მოდალობის მიხედვით თხრობითი, კითხვითი ან ბრძანებითია. გვხვდება სიტყვათა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი წყობა; გამოიყენება სინტაქსური ფიგურები: რიტორიკული კითხვები, მიმართვა, შეძახილი, გრადაცია, ელიფსი, ანტითეზა.

ენობრივ საშუალებათა მომარჯვება დამოკიდებულია პიროვნების ინდივიდუალობაზე, მის მხატვრულ ნიჭზე. „უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლებელია არსებობდეს პოეტური ნაწარმოებები, რომლებშიც მხატვრული გამოსახვის არცერთი ხერხი (ტრაპის სახე) არ გვხვდებოდეს, მაგრამ ასეთი თხზულება სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს“ (გვენცაძე 1974: 21). „ერთი სიტყვით, მკითხველზე ესთეტიკური ზემოქმედება ჩვეულებრივი ენობრივი საშუალებებითაც არის შესაძლებელი“ (მიქელაძე... 2005: 24).

**მხატვრული ნაწარმოების სათაური შეიძლება იყოს მარტივი, ერთ- ან ორსიტყვიანი ნომინანტი, ან კიდევ მთელი წინადაღე-**

ბა („არწივი“, „ომი და მშვიდობა“, „წითელი და შავი“, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, „ხმელი წიფელი“, „მთის წყარო“, ჯაყოს ხიზნები“, „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარდა“, „კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ ევროპაში რა მინდოდა?“). იგი სათქმელს პირდაპირ ან მეტაფორულად გადმოგცემს.

**მხატვრული ლიტერატურის სტილის მახასიათებლებია:**

1. ექსპრესიულობა;
2. ავტორის მაქსიმალური ინდივიდუალიზმი;
3. მხატვრული ხერხების სიჭარბე;
4. მხატვრული სახეებით აზროვნება;
5. სიტყვაქმნადობა;
6. სასაუბრო სტილის ნიმუშების გამოყენება.

### ცოდნის შესამოხვევალი კითხვები

1. როგორ აისახება სინამდვილე მხატვრული ლიტერატურის სტილში?
2. დაასახელეთ მხატვრული ლიტერატურის უანრები;
3. დაასახელეთ მხატვრული ლიტერატურის ფუნქციები და შეადარეთ სხვა სტილებისას;
4. რა როლს ასრულებს მხატვრული ლიტერატურის სტილში დიალექტიზმი, ბარბარიზმი, არქაიზმი?
5. რა მიზნით იყენებენ მხატვრული ლიტერატურის სტილში სასაუბრო სტილის ნიმუშებს?
6. რაზეა დამოკიდებული მხატვრული ლიტერატურის სტილში განსაკუთრებულ ენობრივ საშუალებათა გამოყენება?
7. არის თუ არა შესაძლებელი მკითხველზე ზემოქმედება ჩვეულებრივი ენობრივი საშუალებებით?
8. გრამატიკულად დაახასიათეთ მხატვრული ნაწარმოების სათაური;
9. რით განსხვავდება მხატვრული ლიტერატურის სათაური სამეცნიერო ნაშრომისა და საგაზეთო სტატიის სათაურთაგან?
10. რატომ არ ვსაუბრობთ მხატვრული ლიტერატურის სტილის ხარვეზების შესახებ?

## II. 5. სასაუბრო სტილი

სასაუბრო სტილი თავისი სპეციფიკური ნიშნებით უპირის-პირდება მწიგნობრულს. თუ კოდიფიცირებულ ტექსტებში და-ცულია ენობრივი წესები და ნორმები, სასაუბრო სტილის წესები და ნორმები კი არაა ფიქსირებული.

ამ სტილის **ჟანრებია:** საუბარი, დიალოგი, კამათი, თხრობა. მისი ეთიკა განისაზღვრება მისალმება-დამშვიდობების ფორმუ-ლებით, სათქმელის ევფემიზაციით, თავაზიანი ფორმებით თუ საუბრის შეწყვეტინებით ანდა შემხვედრი რეპლიკებით.

სასაუბრო სტილის ძირითადი ფუნქციაა **აზრთა გაზიარება.** იგი ქმნის გარკვეულ სისტემას, რომელიც ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება.

ზეპირი მეტყველების დროს მოლაპარაკეს წინასწარ არ აქვს მოფიქრებული სათქმელი, ან მისი გადმოსაცემი ენობრივი საშუ-ალებანი. მოკლედ, სასაუბრო სტილი **სიტუაციურია,** რომელიც ერთგვარად აქსებს და აზუსტებს მოსაუბრის მეტყველებას, ამ-იტომ აქ უპირატესობა ენიჭება მოკლე ფორმებს.

გამოყოფენ სასაუბრო სტილის **ორ სახეს:** **სასაუბრო-ლიტე-რატურულს და სასაუბრო- ფამილიარულს.** ზეპირმეტყველე-ბას განეჯუთება: ლექცია, მოხსენება, საჯარო სიტყვა, რომლე-ბიც გადაიცემა წერილობითაც და ტექნიკური საშუალებითაც, მაგრამ მათი სტილი წიგნურია, დიდი ყურადღება ექცევა სალი-ტერატურო ენის ნორმების დაცვას.

სასაუბრო სტილი ძირითადად **დიალოგურია ან პოლილოგუ-რი,** იგი უშუალოა, თუმცა აქ გვხვდება მოკლე მონოლოგები ან გაბმული თხრობა.

მხოლოდ სასაუბრო სტილში გვხვდება ისეთი **ექსტრალინ-გვისტური** ელემენტები, როგორებიცაა **ჟესტები და მიმიკა.** ჟესტები კიდურების მოძრაობას ენოდება, მიმიკა კი - სახის ნაკ-ვთებისას, მათი ზომიერი გამოყენება მეტყველებას ექსპრესი-ულობას სძენს, გადაჭარბება კი ნაკლად ითვლება. არაენობრივი (ექსტრალინგვისტური) ფაქტორების გამოყენების გამო სასაუბ-

რო მეტყველება უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე წერილობითი ინ-ფორმაცია.

**ფონეტიკური თავისებურებანი.** ამ სტილში ბევრად უფრო შე-სამჩნევია ხმოვნების და თანხმოვნების ჯვეფების რედუქცია. მას-ში დიდ როლს ასრულებს ტემპი, რიტმი, ტექტრი, პაუზა, მახვილი.

**პაუზა** მეტყველების ერთ-ერთი ელემენტია და ფრაზის დანა-წევრებისთვისა აუცილებელი. ტემპი შეიძლება იყოს ჩქარი, ზო-მიერი და ნელი. სალიტერატურო მეტყველებისათვის დამახასი-ათებელია ფრაზის რიტმული მონქსრიგებულობა.

**ტემპრი** ადამიანის ხმის შეფერილობაა, უდერადობაა. მეტყვე-ლების ტემპრი განსხვავებულია, თუ სათქმელს ირონიულად გადმოცემთ ან ვესაუბრებით თანატოლს ანდა ვკითხულობთ მოხსენებასა თუ ლექციას, ინტონაციაც მრავალფეროვანია. იგი სულ სხვა აზრობრივ ელფერს შეიცავს.

**ლექსიკური თავისებურებანი.** სასაუბრო სტილისთვის ნი-შანდობლივია მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო ლექსიკა, ფამილიარული (შინაურული, მოურიდებელი), ემოციის, ექსპრე-სისა და შეფასებითი იერის სიტყვები (შორისდებულები, ნაწი-ლაკები), თავისებური ფრაზეოლოგია (**ფეხებზე დაიკიდა, კისე-რი ამოიგდო, მის ყბაში ჩავარდა, პაპაჩემის მოსაკითხად წავი-და, მარილზე გავიდა, შაბზე გავიდა, ფეხები გაფშიკა...**).

სალიტერატურო ენის ნორმები აქ მეტნილად უგულებელყო-ფილია და ფართო გასაქანი აქვს დიალექტიზმებს, უარგონებს, ბარბარიზმებს და ა. შ. გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ერთი ინდივიდის მეტყველების თავისებურებაა და არაა სხვათა მეტყველებაში. სასაუბრო სტილში გამოიყენება ე. წ. სიტყვა-პა-რაზიტებიც, რომლებიც მხოლოდ ზეპირი მეტყველების ნაკლია.

ამ სტილში მშობლიური ყალიბის მიხედვით ნაწარმოები სიტყვები გვხვდება. მისი ერთი განსაკუთრებული თვისებაა ის, რომ სასაუბრო ფორმების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ ლი-ტერატურული, მაგრამ ამან არ დაარღვიოს სტილური მთლიან-ობა. ამდენად, ზეპირი ტექსტი ძირითადად არაკოდიფიცირებულია, მაგრამ ეს არა მისი სავალდებულო ნიშანი.

სიტყვა გამოხატავს ერთ მნიშვნელობას, ძირითადად გამოიყენება კონკრეტული არსებითი სახელები, თუმცა არც აძსტრაქტულია გამონაკლისი. სასაუბრო სტილის ლექსიკა განსხვავდება წიგნური, ნორმატიული ლექსიკისგან. ცოცხალი მეტყველების ნიმუშები ფართოდ გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკასა და მჭევრმეტყველებაში.

**გრამატიკული თავისებურებანი.** მორფოლოგიაში სავალდებულოა ზმინის აქტიური ფორმების გამოყენება, სინტაქსში ქართულისთვის ბუნებრივი თქმების დაცვა, მაშინ როცა რუსულში ნიშანდობლივია სახელზმინის - საწყისისა და მიმღეობის ფორმები, ინგლისურში კიდევ მრავლადაა ფრაზული ზმინა.

**სინტაქსური თავისებურებები**დან ადსანიშნავია მარტივი, ელიფსური და უსრული წინადადებები. პასუხში გამოტოვებული სიტყვები კითხვაში არის მოცემული. სასაუბრო სტილს ახასიათებს როგორც თხრობითი, ისე კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადების სიმრავლე, ხშირია რთული წინადადების შენაცვლება მარტივით. წინადადებაში ნიშანდობლივია სიტყვათა გამეორება, განკერძოებული წევრები, ჩართული თქმები, მიმართვა, შეკვეცილი სიტყვები.

სასაუბრო სტილში მოქმედებს სამეტყველო საშუალებების ეკონომისის კანონი: მსაზღვრელ-საზღვრული იშვიათადაა წარმოდგენილი სრულად, საზღვრული ხშირადაა გამოტოვებული. მაგ.: **დიპლომი** - სადიპლომო შრომა, **დეკრეტი** - სადეკრეტო შევებულება; **ჩაბარება** - უნივერსიტეტში ჩაბარება, **დამთავრება** - უნივერსიტეტის დამთავრება, **მოხსნა** - სამსახურიდან გათავისუფლება.

ამავე სტილში ვხვდებით სიტყვათა გამოტოვების სხვა შემთხვევებსაც: მაგ.: **რუსთაველზე ვცხოვრობ** (რუსთაველის გამზირზე ვცხოვრობ); **ვაჟაზე დაგელოდებით** (ვაჟა-ფშაველას გამზირზე დაგელოდებით); **მათემატიკა** მოდის (მათემატიკის მასწავლებელი მოდის); **მათემატიკა გაგვიცდა** (მათემატიკის გაკვეთილი გაგვიცდა). უკანასკნელი მაგალითებიდან ჩანს, რომ გამოტოვებულია სხვადასხვა წევრი, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს გაგებინებას.

ამ სტილის სინტაქსი ემყარება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას. ზოგჯერ გამოტოვებულია წევრი, მაგრამ მის მაგივრობას ენტევა სუფიქსი, რომელიც ხშირად არაქართულია. მაგ. **მარშრუტი** (ნაცვლად **სამარშრუტო ტაქსისა**), **გაზიროვკა** (ნაცვლად გაზიანი სასმელისა).

მეტყველების ზეპირი ფორმების მახასიათებლებია: **სინქრონულობა, ოპერატიულობა და ადრესატის კონკრეტიზაცია.** ზეპირი ყოფილი დიალოგი ურთიერთობის იდეალური ფორმა. იგი, როგორც ყოველგვარი ურთიერთობა, ორმხრივი აქტია. დიალოგში მუდმივად მონაწილეობენ და იცვლიან მოლაპარაკე და მსმენელი როლებს.

**დიალოგს და მონოლოგს ერთმანეთისგან განასხვავებს ავტომატიზმი, დაუგეგმავობა და უსრული ხასიათი.**

საუბარში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პრაგმატიკა. კომუნიკაციის სტრუქტურაზე გავლენას ახდენს ადრესატის დახასიათება, ადრესანტი და სიტუაცია. საუბრის მოტივაცია დამოკიდებულია მოსაუბრეთა სოციალურ როლებზე, მათ ფსიქიკურ თავისებურებებსა და ემოციურ მდგომარეობაზე. მოსაუბრენი იცნობენ ერთმანეთს, ე. ი. მათ აქვთ ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია.

აქვე უნდა განვიხილოთ წარმატებული საუბრის ხელოვნების საკითხი და საუბრის წარუმატებლობის მიზეზებიც. წარმატებული საუბრის საზომია გაგება, რომელიც ორმხრივი პროცესია. იგი დამოკიდებულია მსოფლმხედველობრივ სიახლოვეზეც, და იმაზეც, თუ რამდენად ახერხებს მოსაუბრე მსმენელის დაინტერესებას. გაგება გულისხმობს მოსაუბრის გუნება-განწყობილებაზე ზემოქმედებას, რაც მიიღწევა ენობრივ საშუალებათა ოპტიმალური შერჩევით.

მეტყველების ემოციურობა ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ახასიათებს მხატვრულ ლიტერატურას, სამაგიეროდ, უცხოა სამეცნიერო სტილისათვის.

ასეთი მეტყველება მკითხველში იწვევს სათანადო განწყობილებას (სიმპათიას ან ანტიპათიას), დადებით (სიამოვნებას, მო-

წონებას, სიხარულს, აღტაცებას) ან უარყოფით გრძნობებს (უსი-ამოვნებას, მწუხარებას, გაკვირვებას, აღშფოთებას, დაცინვას).

**ემოცია** გამოიხატება ინტონაციურადაც. მშვიდი ტონი მსმენელს აღუძრავს დადებით ემოციებს. საგნისადმი მოუბრის კე-თილგანწყობა გამოიხატება კნინობით-ალერსობითი სიტყვებით. უარყოფით ემოციას იწვევს: დავითა, არჩილა და მისთ. ფორმები, ნეიტრალურია: დავით, გიორგი და ა. შ.

ზოგჯერ უხეში სიტყვებით შეიძლება გადმოიცეს დადებითი ემოცია, ანდა პირიქით, ალერსობითი სიტყვები ირონიული მნიშვნელობით გამოვიყენოთ. ამ სტილში გვხვდება შემოკლებული ფორმებიც (დე... , მა... , გო... , გიო... , ნან... ).

მეტყველების **ექსპრესიულობა** მიიღწევა სიტყვათა გამეორებით, ორმაგი უარყოფით, ინტონაციით, სიტყვათა გადასმით (ინვერსიული წყობით).

სასაუბრო სტილის სტილური ნიშნებია:

1. არაოფიციალურობა;
2. სიტუაციურობა;
3. სპონტანურობა, მყისიერება;
4. სალიტერატურო ენის ნორმათა დაუცველობა;
5. დიალოგურობა;
6. ენობრივ საშუალებათა ეკონომია;
7. რეპლიკათა შერწყმა, უსრული წინადადებები;
8. ექსპრესიულ-ემოციური ლექსიკა.

დასამუშავებელი ლიტერატურა № 2, 18, 60, 87.

### ცოდნის შესამომართებლი პითევები

1. რატომ გაჩნდა ჰიპოთეზა ამ სტილის განსაკუთრებულობის შესახებ?
2. რა გავლენას ახდენს სასაუბრო ტექსტებზე სიტუაცია და ფონური ცოდნა?

**3. დაასახელეთ სასაუბრო სტილის ექსტრალინგვისტური ნიშნები;**

**4. დაახასიათეთ სასაუბრო სტილის სახეები და უანრები;**  
**5. რა როლს ასრულებს კომუნიკაციაში პაუზა? ხმის ტემპი?**  
**მეტყველების რიტმი?**

**6. სასაუბრო სტილის ნიმუშები კოდიფიცირებულ ტექსტად რომ აქციოთ, რა ცვლილებების შეტანა დაგჭირდებათ მათში?**

**7. რა კაზუსამდე შეიძლება მიგვიყვანოს ისე საუბარმა, როგორც ვწერთ და პირიქით, ისე წერამ, როგორც ვმეტყველებთ?**

**8. რაზეა დამოკიდებული გაგება? დაასახელეთ წარმატებული და წარუმატებელი საუბრის მიზეზები;**

**9. რატომ ენიჭება ამ სტილში უპირატესობა შეკვეცილ ფორმებს?**

**10. რატომ არ გამოიყენება სასაუბრო სტილში აღწერითი ფორმები?**

სტილის შემაპირობებელი ფაქტორები					
ფუნქცი-სტილი	დოშინანტი ფუნქცია	საზოგადოებრივი შემუშავების ფორმა	მეტყველების მთავრობის ფორმა	მეტყველების ტიპის დასამუშავებელი საშუალება	ურთიერთობის წარმატების საშუალება
სამეცნიერო	ინფორმაციული	მეცნიერება	წერილობითი	მონოლოგი	მასობრივი, დისტაციური ირიბორნტაქტური
ოფიციალურ-საქმიანი	ინფორმაციული	სამართლებრივი ცნობილება	წერილობითი	მონოლოგი	მასობრივი, კონტაქტური და უკონტაქტური
მხატვრული ლიტერატურის	ესთეტიკური; ზემოქმედების	შემოქმედებითი, მხატვრული	წერილობითი	მონოლოგი და ლოგი	მასობრივი, დისტაციური ირიბორნტაქტური
პუბლიცისტური	ინფორმაციული; ზემოქმედების	იდეოლოგია, პოლიტიკა	წერილობითი; ზეპირი	მონოლოგი	მასობრივი, კონტაქტური და ინიციატიური
სასაუბრო	აზრთა გაცემლა-გამოცემა	საერთო აზრობრება, ცირისერება	ზეპირი	დიალოგი, პლოლოგი	უშუალო, კონტაქტური

**სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ ინფორმაცია და შექმენით ა. სა-  
საუბრო ; ბ. პუბლიცისტური გ. ოფიციალური სტილის ტექსტები**

2012 წლის 26 დეკემბერს, 2:45-სა და 3:00 საათზე საქართველო-  
ში ორჯერ დაფიქსირდა მიწისძვრა. მისი ეპიცენტრი საქართვე-  
ლოს სანაპირო ზოლიდან შავ ზღვაში თავდაპირველად 29, შემდეგ  
კი 32 კმ-ში დაფიქსირდა. მიწისძვრის სიმძლავრემ 5,5- 5.0 მაგნი-  
ტურა შეადგინა. ბათუმში მიწისძვრით შეშინებული ხალხი ქუჩებ-  
შიც გამოვიდა, ზოგიერთს თან ჰყავდა მცირენლოვანი ბავშვებიც.

ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოში ეს ძლიერი მი-  
წისძვრის მეორე შემთხვევაა. მიწისძვრა მოხდა 23 დეკემბერსაც,  
როცა მიწისძვრის ეპიცენტრი საქართველოს სანაპირო ზოლი-  
დან 46 კმ-ში დაფიქსირდა, მიწისძვრის სიმძლავრე კი 5.7 მაგნი-  
ტურა იყო. მიწისძვრამ მცირე მასშტაბის ნგრევა გამოიწვია სა-  
ქართველოს სხვადასხვა რეგიონში, თუმცა ნგრევას მსხვერპლი  
არ მოჰყოლია.

მიწისძვრის შემდგომი ბიძგები შესაძლოა რამდენიმე დღის გან-  
მავლობაში გაგრძელდეს, გვაუწყებს სეისმოლოგიური ცენტრი.

სეისმური ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულია სასარგებლო  
რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი მიწის-  
ძვრის დროს: „თუ თქვენ იმყოფებით შენობის შიგნით, დაწექით  
იატაკზე მაგიდის ან სხვა რომელიმე ავეჯის ქვეშ და მაგრად მოეჭ-  
იდეთ, სანამ რხევა შეწყდება. იმ შემთხვავაში თუ ახლომახლო არ  
არის არც მაგიდა და არც მერხი, დაიფარეთ თავი და სახე მკლა-  
ვებით და მიწაზე დაწექით შენობის შიდა კუთხეში. თავი შორს და-  
იჭირეთ ფანჯრისგან, გასასვლელი კარისგან, ყველაფრისგან, რაც  
შეიძლება ჩამოვარდეს. კარების შესასვლელი მხოლოდ იმ შემ-  
თხვევაში გამოიყენეთ თავშესაფრად, თუ ის თქვენთან ყველაზე  
ახლოსაა“, - გვაფრთხილებს სეისმოლოგიური ცენტრი.

**სავარჯიშო № 2. განსაზღვრეთ ქვემომუვანილი ტექსტე-  
ბის სტილი, გამოყავით მისი ლექსიკური, მორფოლოგიური,  
სინტაქსური მახასიათებლები და სტილური ნიშნები, შეურჩი-  
ეთ სათაური**

I. არავისთვისაა უცხო შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ადამიანთან  
საუბარი არ აგწყობიათ, ხშირად თავად თანამოსაუბრეა როუ-  
ლი „დასალაშქრი“, ამიტომ შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას,  
რომლებიც თანამოსაუბრეთა მოხიბვლაში დაგეხმარებათ. აი,  
ისინიც: 1. მოსაუბრეს დაუსვით კითხვები: რატომ და როგორ.  
ისინი ხელს უწყობენ დიალოგის განვითარებას. ამავდროულად  
საჭიროა დასვათ „საუბრის განსავითარებელი“ ისეთი კითხვები,  
რომელთა პასუხიც მხოლოდ „ხო“ და „არა“ არ იქნება და საშუ-  
ალებას მოგცემთ, რაიმე თემა განავრცოთ; 2. სმენის კულტურა  
აქტუალური პრობლემა დღეს, როცა ადამიანი გესაუბრებათ  
და თქვენ მას არ ეთანხმებით, უპირველეს ყოვლისა, დააცადეთ,  
თქვას თავისი სათქმელი და მხოლოდ შემდეგ მოიყვანეთ თქვე-  
ნი არგუმენტები. იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრეს არ ეთანხმებით  
ან ეთანხმებით და გსურთ, კარგი მოსაუბრის შთაბეჭდილება და-  
ტოვოთ, ყურადღებით უსმინეთ მის ყოველ წინადადებას, ძალი-  
ან რომ არ გადაიღალოთ, მოსაუბრის სახიდან მზერა შიგადაშიგ  
თქვენ ახლო გადაიტანეთ და შემდეგ ისევ მას მოუბრუნდით; 3.  
აქტიური მსმენელი - მნიშვნელოვანია ჩართვა თანამოსაუბრის  
მონოლოგში. შეგიძლიათ ჩართვა თავის დაქნევით ან სიტუაცი-  
ის შესაფერისი შორისდებულებით გამოხატოთ. მისასალმებელია  
კითხვებიც, ოღონდ საჭირო ადგილას და ზომიერი რაოდენობით;  
4. ყურადღება - როცა მუშაობისას ვინმე დახმარებას გთხოვთ  
ან კითხვას გისვამთ, მიატოვეთ საქმე და გალიმებული მიუბ-  
რუნდით, გაეცით პასუხი და მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელეთ  
საქმის კეთება; 5. კარგი წარმოდგენის გამანადგურებელი ქცევა  
- სამწუხაროდ, მეც ხშირად მინახავს მსგავსი საქციელი. აი, რას  
ვგულისხმობ, როცა რომელიმე ოფიციალურ ან არაოფიციალ-  
ურ შეხვედრაზე ვინმე იმ სკამზე ჯდება, სადაც წინა შეხვედრა-  
ზე თქვენ იჯექით ან სულ ახლახან ადექით და გაუგებრობის გამო  
სკამი სხვამ დაიკავა, ამ დროს „სკამის მეპატრონე“ გაღიმებული  
ან სერიოზული სახით ამხილეთ - „ეს ჩემი ადგილია“ თუ თქვენ  
„ადგილების მეპატრონეთა“ რიცხვს მიეკუთვნებით, იცოდეთ,  
რომ, ყოველ ასეთ შეხვედრაზე თანამშრომლებისა და თანაკურ-  
სელების უხერხული ხითხითი თქვენი მისამართითაა.

**II.** პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდას უკვე ერთწლიანი ისტორია აქვს... თუმცა, კამათი იმაზე, რომ გვჭირდება თუა არა იგი, ჯერაც არ წყდება. ყოფნა-არყოფნასავით დაუმძიმდა საზოგადოებას ამ კითხვაზე პასუხი, მით უფრო რომ სტატისტიკა თვალისმომწრელი არ არის. დიდი ამბიციით დახუნდლული ხელი-სუფლება 11%-ით თავს ვერ მოიწონებს, ნამდვილად ცოტაა და ვფიქრობ, არც რეალობას ასახავს. იმ გამოცდაზე გასული, წარმატებულიც და წარუმატებელიც, აბსურდული ისტორიის გმირია, რადგან დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა: კარგი მასწავლებელი ამ გამოცდის გარეშეც კარგ მასწავლებლად დარჩება. ცუდზე არაფერს ვიტყვი, ეგონოს მავანს, რომ თუ დაიმახსოვრე კოგნიტური განვითარების სტადიები, ან სოციალური დასწავლის თეორია, უკვე პროფესიონალი ხარ. არადა, თუ ჩავუდრმავდები, მივცვდები, რომ თვისებრივად ეს არაფერს ცვლის, რადგან ჩემი თაობის პედაგოგებისთვის, ვგულისხმობ იმათ, ვინც 20-25 წელი სკოლაში გაატარა, ამგვარი გამოცდის გარეშეც პრობლემას არ წარმოადგენს არც გაკვეთილის სრულფასოვნად ორგანიზება, არც მოსწავლებთან ურთიერთობა, არც პროფესიული საქმიანობის ჩანაწერების სახით გაფორმება, რომელზეც ასე აქცენტი-რებულია ზოგადი უნარების ტესტი. იმის თქმა მინდა, რომ ჩემს თაობას უფრო დიდი ომი აქვს მოგებული. საგანმანათლებლო სისტემის ახალგაზრდა მესვეურებს ალბათ არ ახსოვთ, როგორ გამოსტაცა უმძიმეს პერიოდს მხოლოდ ენთუზიაზმს მინდობილ-მა ულალატო მასწავლებლმა სკოლა, გამოსტაცა და გადაარჩინა. არც ახსოვთ იმიტომ, რომ ისინი ალბათ პრესტიჟულ სკოლებში სწავლობდნენ. თუ ხელისუფლებას ამ პროცესით ზედმეტი მასწავლებლის პრობლემის გადაჭრა სურს, მაშინ გამოდის, რომ უზნეო მარათონის მონაწილე ვართ... უფრო ზნეობრივად მეჩვენება გვითხრან: „გმადლობთ და ნახვამდის“... თანაც, ვერც იმაში ვხედავ ლოგიკას, როცა მეუბნებიან: პროცესი ნებაყოფლობითია, არ არის სადამსჯელო, მაგრამ თუ ვერ ჩააბარებ, წახვალ... ეს კაზუსია! მიუხედავად ამგვარი განცდისა, თავად გამოცდაში ტრაგიზმის ელემენტებს ვერ ვხედავ, რადგან ივი არამხოლოდ

პროფესიული შესაძლებლობების ტესტია, ჩვენი ფსიქოლოგიური მდგრადობის გადამოწმებაცაა, ამავე დროს პასუხისმგებლობაცაა სკოლის წინაშე, რომელსაც ბრუნდირებისათვის სჭირდება სერტიფიცირებული მასწავლებელი, ამიტომ პასუხისმგებლობას არ გავექცევით.

სრულიად ცალკე საუბრის თემაა განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინგვაციები ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, მისი გროტესკით გაჯერებული წინაპირობებით და სავარაუდო შედეგებით... მე აქ მოვხსინდი ყველა გულისამაჩუქუქელ პირობით ნიშანს, დავტოვებდი მხოლოდ ერთს და გავიხსენებდი მუხრან მაჭავარიანს - კი, მაგრამ, ღმერთი აღარაა, ბნელა...

მე-16 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი,  
ნაირა ჯანელიძე  
გაზეთი „ბათუმელები“, 20-27 ივნისი, 2011 წელი.

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

## შემაჯამებელი ტესტი

### 1. რომელ სტილთათვისაა დამახასიათებელი ექსპრესიულობა?

- ა) სამეცნიეროსთვის ბ) სალაპარაკოსთვის გ) პუბლიცისტურისთვის დ) მხატვრული ლიტერატურის სტილისთვის

1. ბ. 2. ა, გ. 3. ა, ბ, გ. 4. ა, ბ. 5. გ, დ 6. ბ, გ, დ.

### 2. რომელი სტილისთვისაა დამახასიათებელი როგორც მნიღნობრული, ისე სასაუბრო სტილის ნიშნები?

- ა) სასაუბროსთვის ბ) ოფიციალურ-საქმიანისთვის გ) პუბლიცისტურისთვის დ) სამეცნიეროსთვის

1. ა. ბ. 2. ა, გ. 3. ა, გ, დ. 4. ა. 5. დ. 6. ბ, გ, დ.

### 3. რომელ სტილთათვისაა ნიშანდობლივი ზმნის აღწერითი ფორმები?

- ა) სასაუბროსთვის ბ) ოფიციალურ-საქმიანისთვის გ) პუბლიცისტურისთვის დ) სამეცნიეროსთვის

1. ა, ბ 2. ბ, დ. 3. გ, დ. 4. ა, ბ. 5. ა, გ, დ. 6. ა, ბ, დ.

### 4. რომელი სტილისთვისაა აუცილებელი ლოგიკურობა?

- ა) სასაუბროსთვის ბ) ოფიციალურ-საქმიანისთვის გ) პუბლიცისტურისთვის დ) სამეცნიეროსთვის

1. ა. 2. ა, ბ 3. დ 4. ა, ბ, გ. 5. ბ, დ. 6. ა, გ, დ

### 5. ჩამოთვლილთაგან რომელი არაა ოფიციალურ-საქმიანი სტილის სტილური ნიშანი?

- ა) სიზუსტე ბ) ექსპრესიულობა გ) სტანდარტულობა დ) არცერთი პასუხი არაა სწორი

1. ა. 2. ა, ბ. 3. ბ. 4. ა, ბ, გ. 5. ბ, გ. 6. ა, გ, დ.

### 6. ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშანი განასხვავებს ოფიციალურ-საქმიან სტილს სამეცნიეროსაგან?

- ა) სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა ბ) აზრის ლოგიკურობა გ) სიმშრალე დ) სიზუსტე

1. ბ. 2. ა, გ. 3. ა, ბ, გ. 4. ა, ბ. 5. გ. 6. ბ, გ, დ.

### 7. ჩამოთვლილთაგან რომელია მხოლოდ ოფიციალურ-საქმიანი სტილის სპეციფიკური ნიშანი?

- ა) სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება ბ) ტრაფარეტულობა გ) ლაკონიურობა დ) სიზუსტე

1. ა. 2. ა, ბ. 3. ბ. 4. ა, ბ, გ. 5. ბ, გ. 6. ა, გ, დ.

### 8. ჩამოთვლილთაგან რომელია ოფიციალური დოკუმენტი?

- ა) ლექცია ბ) მოხსენება გ) განკარგულება დ) არცერთი პასუხი არაა სწორი

1. ა. 2. ა, ბ 3. გ. 4. ა, ბ, გ. 5. ბ, გ. 6. ა, გ, დ.

### 9. ჩამოთვლილთაგან რომელი არაა სამეცნიერო სტილის ფუნქცია?

- ა) კომუნიკაცია; ბ) ზემოქმედება გ) ესთეტიკურობა დ) არცერთი პასუხი არაა სწორი

1. ა. 2. ა, ბ 3. ბ. 4. ა, ბ, გ. 5. ბ, გ. 6. ა, გ.

### 10. რომელ სტილში გამოიყენება სასაუბრო სტილის ნიმუშები სტილისტიკური ფუნქციით?

- ა) სამეცნიეროში ბ) ოფიციალურ-საქმიანში გ) მხატვრული ლიტერატურის სტილში დ) პუბლიცისტურში

1. ა. 2. ა, ბ. 3. გ. 4. ა, ბ, გ. 5. გ, დ. 6. ა, გ, დ.

### თავი III. ლექსიკური სტილისტიკა

სიტყვა შეიძლება გამოვიყენოთ ნეიტრალური მნიშვნელობითაც (ტიპობრივი გამოყენება) და მას მივანიჭოთ ემოციურ-ექ-სპრესიული შეფერილობაც. ეს უკანასკნელი აღსანიშნი საგნისა თუ მოვლენისადმი მეტყველის დამოკიდებულებას გამოხატავს. „უკავშირდება რა ტიპობრივი გამოყენების სფეროებს, იგი ახასიათებს მეტყველებასაც და მისი წყალობით ურთიერთობის მონაწილეობას“ (ბარლასი 1978: 17).

სტილისტიკური შეფერილობის მიხედვით სიტყვებს სამ ჯგუფად ყოფენ. ესენია: **ამაღლებული** (წიგნური, პოეტური), **ნეიტრალური** (ნულოვანი შეფერილობის, სტილთაშორისი) ლექსიკა და **დაბალი** (სასაუბრო, უშუალო, არაოფიციალური). სიტყვა-თა უმეტესობა ნეიტრალურია. ლექსიკა, რომელიც ემოციურად არაა შეფერილი, სტილისტიკურად არაა მარკირებული, ნებისმიერ სტილისტიკურ რეგისტრში გამოიყენება. სათქმელზე ემოციურობის მინიჭება მხოლოდ კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაშია საჭირო, შესაბამისად, განსაზღვრულია მათი გამოყენება ცალკეულ სტილშიც.

ლექსიკური სტილისტიკის მიზანია უამრავი ლექსიკური საშუალებითან ამოარჩიოს ის, რომელიც სემანტიკითაც და სტილისტიკური ელფერითაც ზუსტად მიესადაგება კონტექსტს. ნებისმიერმა ერთეულმა შეიძლება კონტექსტის შესაბამისად შეიძინოს დადგებითი ან უარყოფითი ემოციური ელფერი. ყოველივე ზემოთქმული სიტყვის ესთეტიკას უკავშირდება. ამ კუთხით კვლევა თანამედროვე ფილოლოგიის აქტუალური საკითხია, მხოლოდ მართლმეტყველებით ესთეტიკურობას ვერ მივაღწევთ: „სიტყვის ესთეტიკა პირდაპირ უკავშირდება მის ექსპრესიულ ფუნქციას, რადგან ამ უკანასკნელისგან დაცლილი სიტყვა უბრალოდ აღმნიშვნელია ფაქტის, მოვლენის, მოქმედების ან მდგომარეობისა“ (სანიკიძე 2010: 349).

სტილისტიკური შეფერილობა ცვალებადია. ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სასაუბრო სტილის ლექსემები უარყოფითი სტი-

ლისტიკური ელფერისაა და პირიქით. მაგალითად, **პუტკუნას** და **პანუას** (სასაუბრო სტილი) ახლავს დადებითი სტილისტიკური ელფერი. ამაღლებული სტილის ლექსიკური ერთეულები შეიძლება შეგვხდეს ირონიული მნიშვნელობითაც.

#### § 1. სინონიმი და მისი სტილისტიკური ჟურნალი

სინონიმიკა, როგორც ენის განსაკუთრებულ შესაძლებლობა-თა გამოყენების სფერო, დიდი სიმდიდრეა ადამიანისა ზრებისა და გრძნობების გამოსახატავად. „სინონიმების შერჩევა მკვეთრად ატარებს მთქმელის შემოქმედებითი ხასიათის, იდეურ-ესთეტიკური მრნამსის ელფერს; ენის ფაქტში ამახვილებს ზეგავლენის ძალას, ამაღლებს ექსპრესიულ მხარეს, ამკვეთრებს მეტყველების საკომუნიკაციო ფუნქციას და სხვა“ (გვენცაძე 1974: 63).

სინონიმების შესახებ მსჯელობას ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ვხვდებით. ტერმინი **სინონიმი** დასტურდება არისატოტელესთან. იგი აღნიშნავს: „ენაში ომონიმების არსებობა სასარგებლოა სოფისტისათვის, ვინაიდან მათი საშუალებით ის მიმართავს ფანდებს, ხოლო სინონიმები სასარგებლოა პოეტებისთვის“. ციცერონი აღნიშნავდა: „ისე გვეჩვენება, თითქოს სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ როგორც საგნები, ისე მათი სახელები განირჩევიან ერთმანეთისგან“.

**სინონიმები** (ძვ. ბერძნ. სინ „თუσ“ - პლუს; ონომა „όνομα“ - სახელი) იდენტური მნიშვნელობის, ისე იგი საგნობრივი მიმართებით ერთგვარი, მაგრამ სხვადასხვა სიტყვებია.

„**სინონიმები** ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც ბერითად განსხვავებული არიან, მნიშვნელობა კი ერთნაირი აქვთ“ (ჩიქობავა 1952: 188).

„**სინონიმი** ეწოდება ისეთ ორ ან მეტ სიტყვას, რომელნიც სხვადასხვანი არიან, მაგრამ ერთგვარი და მსგავსი მნიშვნელობა აქვთ“ (კვაჭაძე 1969: 27).

„**სხვადასხვა** ბერითად გადმოცემულ ერთი მნიშ-

ვნელობის სიტყვებს **სინონიმები** ჰქვია. ბგერობრივი სამოსლის სხვადასხვაობა, შინაარსის ერთობა, აი, რა ნიშან-თვისება აქვთ მათ", - წერს ალ. ღლონტი (ღლონტი 1972: 51). სწორედ ეს უკანასკნელია სინონიმის ზემომოყვანილი განმარტებების ამოსავალი.

ენათმეცნიერები ეჭვის თვალით უცქერიან ორი აბსოლუტურად თანხვდებოლი სიტყვის არსებობის შესაძლებლობას ენაში. არნ. ჩიქობავას აზრით, ობიექტური, ან სუბიექტური მომენტი იძლევა სხვაობას. კ. ჯორჯანელი სინონიმთა ზემომოყვანილ განმარტებებს **მავნეს** უწოდებს (ჯორჯანელი 1974:253). სწორედ ამგვარი მიდგომაა სტილისტიკისთვის საინტერესო, მისი საგანი სინონიმთა სტილისტიკური ნიუანსების ანუ მათი მარკირების კვლევაა.

**სინონიმები** მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდებიან სტილისტიკური ნიუანსებით, ემოციურობით. სათქმელი ზუსტად და ექსპრესიულად რომ გადმოვცეთ, სინონიმთაგან უნდა შევარჩიოთ ის, რომელიც ყველაზე მყაფიოდ და ხატოვნად გამოხატავს აზრს. საგნის ან მოვლენის სრულყოფილად დასახასიათებლად მწერალი ხშირად ერთმანეთის გვერდიგვერდ რამდენიმე სინონიმს იყენებს.

"განვითარებული სინონიმიკა, მნიშვნელობით ერთმანეთან ახლოს მდგომი, მაგრამ ნაირნაირი დამატებითი აზრობრივი, ექსპრესიულ-ემოციური ელფერისა და სტილისტიკური იერის სიტყვების სიუხვე შესაძლებლობას იძლევა ამოვარჩიოთ საჭირო სიტყვა აზრის, გრძნობის გამოსახატავად, გამოსახატავი ობიექტისადმი მოლაპარაკის ან მწერლის დამოკიდებულების გადმოსაცემად... სემანტიკურად დიფერენცირებული სინონიმები, უწინარეს ყოვლისა, აზრობრივი ელფერის, ზოგჯერ მეტად ფაქტიზი ნიუანსების ზუსტად გადმოცემის საშუალებებია (მორენი... 1960: 192-193).

გამოყოფენ სინონიმების ორ ჯგუფს: **სემანტიკურს (იდეოგრაფიულს)** და **სტილისტიკურს (ექსპრესიულს)**. თუ სემანტიკური სინონიმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თვისების გამოვლენის ხარისხით, აღსანიშნის მოცულობით, **სტილისტი-**

**კური სინონიმები** კონოტაციით განირჩევიან ერთმანეთისგან და სხვადასხვა სტილს განეკუთვნებიან.

სინონიმების გამოყენების მიზანი შეიძლება იყოს როგორც სიტყვის მნიშვნელობისგან რომელიმე ელფერ-ნიუანსის გამოკვეთა, ისე იმ საერთოზე ხაზგასმა, რომელიც მათ მნიშვნელობებს შორის არსებობს (ლიხაჩოვი 2001: 448-449).

სინონიმთა წარმოშობის ძირითად წყაროებად მიჩნეულია: ა) ევფემიზმები; ბ) სიტყვის ტაბუ; გ) სესხება.

სინონიმების ფუნქციებია: 1. აზრის მკვეთრად და ზუსტად გადმოცემა; 2. ერთისა და იმავე სიტყვების გამეორების თავიდან აცილება; 3. გარკვეული სტილისტიკური ელფერის გამოხატვა.

მოცემული მნიშვნელობის გამოსახატავად გამოყენებულ პარალელურ საშუალებათა კომპლექსი ქმნის სინონიმურ რიგს. სინონიმურ რიგში არსებობს ერთი დომინანტი სიტყვა, რომელიც ყველაზე მკვეთრად გადმოგვცემს ამავე რიგის სხვა სიტყვების საერთო მნიშვნელობას. ეს არის სტილისტიკურად ნეიტრალური სიტყვა, მისი სინონიმები კი უფრო ექსპრესიულია. მაგ.: **შავი-გიშრისფერი, მაყვლისფერი, ყორნისფერი, კუნაპეტი, კუპრივით შავი, ღამეული ფერის.**

სინონიმთა რიგში ზოგჯერ რამდენიმე სიტყვაა: **ექიმი, მკურნალი** (ძვ. ქართული), დასტაქარი (სპარს.), **ჯანაოზი** (სპარს. განთქმული ექიმი), **ჯარა ექიმი** (ძვ. ექიმბაში), **მედიკოსი** (ზოგადი სახელი, ლათ.). და ესკულაპი. „ეს უკანასკნელი მომდინარეობს ძველი რომაული მითოლოგიდან, ერქვა მკურნალობის ღმერთს, დღეს აქვს იონიული, სახუმარო მნიშვნელობა“ (დერიაგინი 1978:49).

ძველ ქართულში სინონიმებად გამოიყენებოდა: **საჭმელი//სანოვავე, სასანაული // ნიში, უპრალო // წმიდა, უმრნემესი // უჭაბუკესი, კაცადკაცადი // თითოეული, უხუცესი // უფროსი, წრფელი // წმიდა, დაემკვიდრა // დაეშენა, წარგზავნა // წარავლინა, დაამტკიცა // დაადგინა, ლალვა // ბრძოლა, გლოვა // გოდება.**

სინონიმთა რიგის სიტყვები შეიძლება იყოს: 1. სტილისტიკური ელფერით განსხვავებული; 2. მშობლიური და უცხოური; 3.

წიგნური და სასაუბრო სტილის; 4. ნეიტრალური და ემოციურად შეფერილი; 5. სიტყვა და შესიტყვება; 6. სიტყვის ლიტერატურული და კუთხური ვარიანტები; 7. მოძველებული და ახალი ფორმები; 8. სიტყვა და მისი ევფემისტური შესატყვისი; 9. სიტყვა და მისი პერიფრაზი; 10. იდიომი და მისი შესატყვისი სიტყვა.

სინონიმთაგან ერთი შეიძლება ზოგადი მნიშვნელობისა იყოს, მეორე – კონკრეტული. მაგ.: ძველ ქართულში **თითოეული** იხმარებოდა ყველა ტიპის სახელთან, **კაცადკაცადი** – მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელთან.

XI- XII საუკუნემდე **ტაძარი** საერო ნაგებობას, სასახლეს აღნიშნავდა, ასე გამოიყენებოდა ის „**შუშანიკის წამებაში**“, „**აბოს წამებაში**“... „**აბუსერისძე ტბელის თხზულებაში**“, „**სასწაული წმიდისა გიორგისინი**“ ეკლესია და **ტაძარი** საუფლო სახლის მნიშვნელობით თითქმის თანაბარი სიხშირით გამოიყენება; შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის ეკლესისა და **ტაძრის** სინონიმია უკვე გაფორმებულია და სემანტიკური დაახლოების პროცესიც ბოლომდეა განხორციელებული“ (თურქია 2009: 437).

რელატიური სინონიმებია **გაბედული**, **თამამი**, **შეუპოვარი**, **გულადი**. ვერ ვიტყვით **მან მამაცი**, **შეუპოვარი** ან **გულადი** აზრი გამოთქვაო. აზრი შეიძლება იყოს **გაბედული** ან **თამამი**. მაშასადამე, სინონიმების ხმარება განსაკუთრებულ დაკვირვებას ითხოვს. ყველა სინონიმურ სიტყვას თავისი ელფერი, მნიშვნელობა, ნიუანსი, ექსპრესია ახლავს, რომელიც მხოლოდ ერთი, კონკრეტული სიტუაციისთვისაა ნიშანდობლივი. მაგ.: სინონიმებია **გაჭრა და გაკაფვა**, მაგრამ ვერ ვიტყვით **მასწავლებელმა გზა გამიჭრაო**, უნდა ვთქვათ **გამიკაფა**.

სინონიმი მეტყველების ყველა ნაწილს მოეპოვება. ისინი ხშირად ერთმანეთის გვერდიგვერდაც გამოიყენება, რაც აძლიერებს ემოციას: „ისინი ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ, მათ განსხვავებულ შეფერილობას უსვამენ ხაზს“ (იაკობსონი 1975: 238-239).

### ა) სინონიმური არსებითი სახელები

გიორგი **სახლსა და ოჯახში** პირველობას არ შეეცილა დედასა (ილია); ადამიანს ჭირი და ვარამი ალაპარაკებს (იქვე).

**ბ) სინონიმური ზედსართავი სახელები და სახელზმნები** ზედ ინვა **სნეული**, ქვეშაგებლად ჩავარდნილი, დამდნარი, მიღეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრნილი (ილია); ეს დედაკაცი (ცოტა **უხეირო**, **უნდილი** რამ იყო (იქვე); ყოველგვარი სიყვარული **ფრთხილია** და **მშიშარა** (იქვე); იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა **ეული**, ვინმე **ბოგანა** (იქვე); დედისგან **ტუქ-სვას**, **შერისხვას** მოელოდა (იქვე); იმისმა თვალმა, კესოს მიქცეულმა, უფრო სთქვა **ხვენნა** და **ვედრება**, ვიდრე ენამ და ხმამ (იქვე); ახლოც თურმე აღარ გაუარა ოთარაანთ ქვრივს **რიდისა** და **კრძალვისაგან** (იქვე).

### გ) სინონიმური ზმნები

შეიძლს გუნება ეცვალა, უფრო **დაიღვრიმა**, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო **დანაღვლიანდა** (ილია); კესოსაც ელდა ეცა, გაფითოდა, გაშრა, გაშტერდა (იქვე); როგორდაც **ეხ-ამუშა, ეუცხოვა** ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა (იქვე).

სინონიმური ზმნებისა და გამოთქმების ერთ ფრაზაში თავმოყრა ყურადღებას მიგვაქცევინებს პერსონაჟის ქცევის, განცდასა თუ მდგომარეობაზე. ვაუს პოეზია ამ კუთხით შეისწავლა ლ. სულხანიშვილმა (სულხანიშვილი 1973).

დამბადებელო, **დამიფარე (შემინახე)**, უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი („ქუჩი“);

**მეც დამენანა (შამებრალა)** თავისი თავი და ტირილი დავინყე („პატარა მწყემსის ფიქრები“).

### დ) სინონიმური ზმნიზედები

გეგონებოდათ **ჰლოცულობსო**, ისე **გულდასმით**, **კრძალვით** და **სასოებით** დაუწყებდა ხოლმე წმენდასა (ილია); **ჰლალადებდა უთქმელად**, **უტყვად**, **ხმა-ამოულებლად** (იქვე); ელგუჯა კი წყნარად, ჩუმად ემზადებოდა (ყაზბ.).

აბსოლუტური სინონიმები გვაქვს, როცა:

1. **სალიტერატურო ენაში თავს იყრის სხვადასხვა დიალექტიდან შემოსული სიტყვები:** თათარა – ფელამუში, ცემა – გალახვა, კომში – ბია, ნიგოზი და კაკალი;

2. **ძველი და ახალი ფორმები:** ავადმყოფი და სნეული, უსტა-

რი, წერილი და ბარათი, თოკი და საბელი, სვე და ბედი, იცის და უწყის, უიმედო და უსასოო;

**3. უცხოური და მშობლიური პარმოშობის სიტყვები:** მჭედელი და ნალბანდი, მგოსანი და პოეტი, შემოწმება და კონტროლი.

ძველ ქართულში სინონიმების სიუხვე განპირობებული იყო ნათარგმნი ლიტერატურითაც. პარალელურ რედაქციებში ერთმანეთს ცვლიდა უცხო ენიდან უთარგმნელად შემოსული სიტყვები და მათი ქართული შესატყვისები. მაგ.: **სანთელი და ბაზმაკი; დღესასწაული, ზაფიკი** (სომხ.), და **პასქა** (ბერძ.); **მცველი, ებჯური, მსტუარი და მჯუმილი; სარწყული, ჩაფი და ტაკუკი** (ფალ.); **სამოსელი და თერისტროვ** (ბერძ.).

**1.1. სინონიმური პარალელიზმი.** ხშირად მშობლიური და ნასესხები სიტყვები პარალელურად გამოიყენება ენაში. შ. ძიძიგური ამ მოვლენას ასე ხსნის: „როდესაც უცხოური ენიდან შემოდის სიტყვა და მას ხვდება იმავე მნიშვნელობის სიტყვა, ეკვივალენტი, ერთ ხანს ისინი ერთად იხმარებიან, პარალელურად (და გამოხატავენ ერთ ცნებას). ენაში ამ ბუნებრივად გამომუშავებული ფორმულის მიზანია გაავრცელოს ეს უცხოური ტერმინი, ერთგვარად განმმარტებლის ფუნქცია იყისროს ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოური სიტყვის მიმართ, „შემოიყვანოს“ იგი ახალ ენობრივ სინამდვილეში და როდესაც უცხოური სიტყვა მოქალაქეობას მოიპოვებს „მიმღებ“ ენაში, შემდეგ ჩამოსცილდება მას ეს „გზირი სიტყვა“. ამ მოვლენას **სინონიმური პარალელიზმი** ეწოდება. სინონიმების წყვილად ხმარების გრამატიკული საშუალებებია: 1. მათ შორის და კავშირის ჩასმა; 2. სინონიმების კომპოზიცურად ხმარება; 3. სინონიმების თანაარსებობა“ (ძიძიგური 1960 : 66–67).

სინონიმები ერთმანეთის გვერდიგვერდ ემოციის გასაძლიერებლად გამოიყენება: მეზობლები აჩერებდნენ, **მნირი** ადგილია, **ბოში** მიწაა, აქ არაფერი არ მოვა, ჩიტი ბრდლვნად არ ეღირებაო, და ისიც თავს იკავებდა (დად.); **ამაყად, მეღვრად, მრისხანედ** იდგა ეს ქალი ჩემს წინაშე და უტყვი მზერით მოითხოვდა ჩემგან,

რაც შეიძლება მალე მეცნო, რაც კი მქონდა **სათქმელი და საუწყებელი** (გამს.).

**1. კავშირისი სინონიმური პარალელიზმის ნიმუშებია:** მარტვირი და მოწამე, მნირი (ქართ.), და მსხემი (ბერძ.), მუტრიბი (არაბ.) და მომღერალი (ქართ.), ნიშატი (სპარს.) და სიხარული (ქართ.), **ხვენა და მუდარა** (არაბ.), ბედი და ილბალი (არაბ....).

მოვიყვანთ მაგალითებს მხატვრული ლიტერატურიდან:

„ფატმან-ხათუნ თვალად მარჯვე,

არ ყმაწვილი, მაგრა მზმელი,

ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი,

პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი.

**მუტრიბთა და მომღერალთა**

მოყვარული, ღვინის მსმელი“ („ვტ.“);

მეცნიერებათა ისწავლიან და ზოგნი **ნიშატსა და სიხარულსა უკან უდგებიან** („გისრ“. 252);

და მანცა ნარმოუთხრა ამისვე პასუხისა ამისვე პასუხისა მსგავსად ღირსის ყრმისა და ჭაბუკისა ეფრემისთვის ყოველი („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“);

**2. უკავშირო სინონიმური პარალელიზმი:**

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს, ზენაარისა, ფიცისა“ („ვტ.“);

**3. კომპოზიტური სინონიმური პარალელიზმი:**

**ხვენა-მუდარა** (არაბ.), **ალალ-მართალი** (სპარს.), **ტანჯვა-წამება, ცეკვა-თამაში** (სპარს.), იგავ-არაკი (სომხ.), **ბედ-ილბალი** (არაბ.), **ამბავი-ხაბარი** (არაბ.). ასეთი სინონიმური წყვილები ენაში შემონახულია, როგორც რელიქტური ფორმები.

ამრიგად, **სინონიმური პარალელიზმი**, ერთი მხრივ, სტილისტიკური ხერხია, მეორე მხრივ, ენის ადრეულ საფეხურზე მის გამოყენებას წმინდა ენობრივი აუცილებლობა განსაზღვრავდა. „სინონიმის ერთ-ერთ განსხვავებულ ფორმას იძლევა განსაზღვრულ ტექნიკურ ნომერკლატურებში მშობლიური და ბერძნულ-ლათინური ნარმოშობის სიტყვების თანაარსებობა“ (ულმანი 1977:142). ზოგჯერ ინტერნაციონალიზმის შემოსვლას ენაში სდევს მისი „გაეროვნულებაც“, ზოგჯერ ხდება პირუკუც.

ერთი ცნების გამოსახატავად სინონიმური წყვილები- ე.ნ. ჰენ-დიადისები (hendiadys) უხვად გამოიყენება იოანე პეტრინის ენაში. „ამ მხრივ ის „ეპოქის სტილს“ მისდევს, როდესაც ე.ნ. ჰენდიადისი ფრიად გავრცელებულ მანერას წარმოადგენდა“ (ძიძიგური 1960: 634).

## 1.2. აბსოლუტური სინონიმების სტილისტიკური ფუნქციები

აბსოლუტურ და რელატიურ სინონიმთა კვლევისას აუცილებელია იმის გარკვევა, თუ როგორი ტოლობა ან ნიუანსობრივი სხვაობაა საკმარისი მათ გასამიჯნავად. ცალკეული ნიშნით და ნიუანსით ერთმანეთისგან განსხვავდება აბსოლუტური სინონიმებიც (ლექსიკური დუპლეტებიც) კი. „სინონიმთა კვლევისას გა-სარკვევია, განსხვავდებიან თუ არა ისინი სხვა სიტყვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მონანილეობენ თუ არა ერთსა და იმავე კონტექსტში, აქვთ თუ არა ერთგვარი სიტყვანარმოების შესაძლებლობანი, ემთხვევიან თუ არა ერთმანეთს ხმარების სიხშირის მიხედვით“ (აფრიდონიძე 1988: 287).

უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტური სინონიმები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიხშირითაც. მაგალითად, **ჩიბუხი** და **ყალიბი** აბსოლუტური სინონიმებია, მაგრამ პირველი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მეორე.

ზუსტი ეკვივალენტის ცნება ავტომატურად ეჯაჭვება სინონიმის საკითხს. წყვილის ასეთ ცალებს ხშირად დუპლეტებსაც უწოდებენ. ასეთებია: **ლიტერატურა // მწერლობა, ორთოგრაფია // მართლწერა, დეფექტი // ნაკლი, პროგრესი // ნინსვლა, ობიექტი // საგანი, არგუმენტი // საბუთი** (ფოჩხუა 1974: 238–239).

ქართულში გვაქვს ერთადერთი კომპოზიტი, რომლის მეორე კომპონენტადაც გვაქვს მეცნიერება – ეს არის **ენათმეცნიერება**, იგი რუსულ თარგზეა შექმნილი (языкознание-языковедение). ტერმინი **ლინგვისტიკა** უფრო გვიანდელი შენაძენია, მაგრამ ენათმეცნიერების ანდა შერეული დისციპლინების აღსანიშნავად პროდუქტიულია: **არსებობს აღწერითი, გამოყენებითი,**

**სტრუქტურული** ან მათემატიკური ლინგვისტიკა, **პარალინგვისტიკა**, **ლინგვოსტატისტიკა**, **ლინგვოსტილისტიკა**. სამაგინოდ, გვაქვს იპერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება და არა იბერიულ-კავკასიური ლინგვისტიკა.

გვაქვს **ლინგვისტური // ენობრივი ალლო // გარემო, ან და საზოგადოება, სამყარო, სამაგინოდ, არ შეიძლება ვთქვათ სტუდენტი-ენათმეცნიერი, სტუდენტი-ლინგვისტი კი დასაშვებია.**

მეცნიერები მიუთითებენ, რომ „რეფერენციის იგივეობა არის სინონიმის აუცილებელი, მაგრამ არა საკმაო პირობა“ (ლიონსი 1977:452). „ნამდვილი სინონიმები ფიქცია, რაიმეგვარი განსხვავება არ შეიძლება არ იყოს ან იმის გამო, რომ ერთსა და იმავე საგნის დასახელებისას ამოსავალია სხვადასხვა მომენტი, ანდა იმის გამო, რომ განსხვავებულია სუბიექტის დამოკიდებულება სიტყვაში აღნიშნული ობიექტური მონაცემებისადმი“ (ჩიქობავა 1939:184).

ს. ულმანი აღნიშნავს, რომ აბსოლუტური სინონიმების უქონლობაზე მსჯელობა მაინც უმართებულოა, ტექნიკურ ნომერკლატურაში „ამგვარ დუპლეტებს მხოლოდ საგნობრივი მიმართების იდენტურობა აკავშირებს, არც ემოციური ელფერისა და არც ფუნქციური სტილის მიხედვით ისინი მარკირებული არ არიან“ (ულმანი 1977: 141).

განსხვავებულია ინტერნაციონალიზმთა სადერივაციო შესაძლებლობანიც (შეხამებადობა ანუ ე.ნ. დისტრიბუცია). გვაქვს **მარშრუტი** და **სვლაგეზი** (კალკირებული ქართული შესატყვისი). მარშრუტისაგან იწარმოება სამარშრუტო, მაგრამ არ გვაქვს არც **სასვლაგეზო** და **არც სვლაგეზური**.

მიჩნეულია, რომ „ინტერნაციონალიზმებისა და მათი ეროვნული შესატყვისების დუპლეტებად მიჩნევას თითქოს ხელს არაფერი უშლის, მაგრამ უფრეციონირების თვალსაზრისით (შეხამებადობა, ჩანაცვლება, წარმოება და მისთ.) სხვაობაც თვალსაჩინოა“ (აფრიდონიძე 1988: 287).

ავილოთ სინონიმები: **ობიექტი და საგანი. გეოგრაფია და გე-**

**ოლოგია** შეისწავლიან დედამიწას, მაგრამ სხვადასხვა კუთხით, რე-ალური ობიექტი – დედამიწა ერთია, მეცნიერების საგანი კი – ორი.

**პაპა** და **პაპა** აპსოლუტური სინონიმებია, მაგრამ გვაქვს ფლორონიმი **პაპუანვერა** და არა **პაპა წვერა**, სამაგიეროდ, გვაქ-ვს **მამა- პაპა, მამაპაპური**. მაშასადამე, „სემანტიკურად ტოლ-ფასი ორი ფორ მა ენობრივი ანალიზის სინტაქსურ და კომპინა-ტორულ დონეზე შეიძლება კომპინატორული არ აღმოჩნდეს – ბაბუა ვერ შევა ყველა იმ კომპინაციაში, რომლებიც დასაშვებია ბაბუა ფუძისტვის და პირუკუ“ (მაჭავარიანი 1968: 130).

შ. ძიძიგური წერს: „**ცნება კაცი ძველ ქართულში** გამოხატუ-ლია ორი სიტყვით: **კაცი, ადამიანი**. პირველი ძირეული ქართუ-ლია, მეორე – უცხოური, ადამისაგან მომდინარე, ნაწარმოები ქარ-თული სუფიქსით. ძველ ქართულში მხოლოდ **კაცი** იხმარებოდა, აღნიშნავდა ადამისტომეულობას. იგი მამრობითობაზე კი არ მიუთითებდა, არამედ ადამისულობაზე ზოგადად. მხოლოდ ახ აღ ქართულში მიუთითებს **კაცი** მამრობითობასაც. მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული **კაცი, ადამიანი სინონიმებია**“ (ძიძი-გური 1971: 113- 114).

ავილოთ დუპლეტები: **საზოგადოებრივი და სოციალური. ფორმაცია, წყობილება, სტრუქტურა საზოგადოებრივია, სან-ქცია შეიძლება იყოს საზოგადოებრივიც და სოციალურიც, მაგრამ მოტივი მხოლოდ სოციალურია, საკუთარი სახელიც სო-ციალური ნიშანია და არა საზოგადოებრივი, გვაქვს ენის სო-ციალურობა და არა საზოგადოებრიობა.**

**საერთაშორისო // ინტერნაციონალური** შეიძლება იყოს **სი-ტყვა**, მაგრამ ერთი მხრივ გვაქვს: **საერთაშორისო ვითარება / მდგომარეობა / დაძაბულობა / სიმპოზიუმი / კონგრესი / მი-მომხილველი / ასპარეზი / სარბიელი / აღიარება და მეორე მხ-რივ: ინტერნაციონალური სული / სულისკვეთება / აღზრდა.**

**ნაციონალური // ეროვნული** შეიძლება იყოს **პოლიტიკა, სა-კითხი, ტანსაცმელი, ცეკვები, მაგრამ საქმე / მოტივი / სიამაყე მხოლოდ ეროვნულია.**

**მსახიობი//არტისტი** შეიძლება იყოს **სახალხო // დამსახუ-**

**რეპული, მაგრამ არსებობს შესიტყვებები სამსახიობო** (და არა არტისტული) **ფაკულტეტი და არტისტული** (და არა სამსახიობო) **შესრულება.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ენაში სავსებით ერთნაირი სიტყვების არსებობა მხოლოდ მცირე ხნითაა შესაძლებელი, მათ შორის მაინც გამოჩნდება რაიმე გან-სხვავება არა მხოლოდ ემოციური შეფერილობის, არამედ გამო-ყენების სიხშირის, აზრობრივი შეხამებადობისა და სადერივაციო შესაძლებლობების მიხედვითაც, რაც სტილისტიკის კვლევის სა-განია.

**1.3. კონტექსტური სინონიმები.** ჩვენ ზემოთ განვიხილეთ შემთხვევები, როცა თვით აბსოლუტური სინონიმებიც კი გან-სხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს საკითხის ერთი მხარეა; მეორე მხრივ, მხატვრულ ლიტერატურაში სინონიმებად შეიძლება გა-მოიყენებოდეს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც მნიშვნელობით ერ-თობ სცილდებიან ერთმანეთს. „**სინონიმები მსგავს ან მიახლო-ებით მნიშვნელობას კონტექსტის მიხედვით იძენენ და ამგარი კონტექსტის შეცვლის შედეგად, შესაძლოა, სინონიმის მნიშვნე-ლობა დაკარგონ**“ (პოპიაშვილი 2009: 240). ისინი ხშირად ავტო-რისმიერია.

**მაგალითად:**

„**ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,**  
**რომ ანგელოზი დაინახავს მოდარავე კაცის თვალი,**  
**კიპარისი ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ღელავს,**  
**ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს**“ (გალ.).

**სავარჯიშო №1. ნაიკითხეთ სინონიმური რიგები და იმსჯე-ლეთ, რით განსხვავდებიან სინონიმები ერთმანეთისგან:**

**ა. სევდა, დარდი, მწუხარება, ჭმუნვა, ნაღველი, კაუშანი...**  
**ბ. სიკვდილი, გარდაცვალება, აღსასრული, განსვენება, სუ-ლისა და ხორცის გაყრა, მარილზე წასვლა, შაბზე წასვლა, სულის გაფრთხობა, მზის დაბნელება...**

**გ.** გაბრაზება, გაჯავრება, გაცეცხლება, გულის მოსვლა, წყობა, გაალმასება, გაგულისება, აფეთქება, გაავება...

**დ.** სიარული, ლასლასი, ჩანჩალი, ღერღეტი, წოწიალი, პოდიალი, ზლაზენა, ცუნცული, ხეტიალი, ჯაგჯაგი, თრახათრუხი, გოგმანი, პოტება...

**ე.** ლაპარაკი, საუბარი, ბასი, ლაქლაქი, ჭიჭიყინი, ჯაჯლანი, როხროხი...

### **სავარჯიშო №2. შეურჩიეთ სიტყვას პერიფრაზული ანუ აღნერითი სინონიმი და პირიქით:**

**ა.** მოხუცი, ავდარი, გაბრაზება, შეშინება, გამწარება, თქმა, განზრახვა, სიკვდილი;

**ბ.** კოვზი ნაცარში ჩაუვარდა; ენას კბილი დააჭირა, შავი დღე დაათენა, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად; პირში წყალი ჩაიგუბა.

## **წ2. ანტონიშვილი და მისი სტილისტიკური ფუნქცია**

**ანტონიშვილის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში რამდენად მე განსხვავებული მოსაზრებანი არსებობს.**

არნოლდ ჩიქობავა ანტონიშებად მიიჩნევს ისეთ სიტყვებს, რომელთაც „საპირისპირო მნიშვნელობები აქვთ. ეს სიტყვები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფუძისა (მაღალი - დაბალი); შეიძლება ერთი ფუძიდან იწარმოოს უარყოფის თავსართ-ბოლოსართებით (გემრიელი - უგემური, ნორმალური - არანორმალური)... უარყოფის აღნიშვნისას ორივე ვარიანტი შეიძლება მივიღოთ ერთისა და იმავე სიტყვის (დადებითის) საპირისპიროდ“ (ჩიქობავა 1952: 190-191).

ლ. ბულახოვსკი ანტონიშებად მიიჩნევს არა ისეთ სიტყვებს, რომლებიც განსხვავდებიან უარყოფის ნაწილაკით (ხორშე-ხეხორშე) არამედ სხვადასხვა ძირით აღნიშნულ მნიშვნელო-

ბათა დაპირისპირებას (ლარიბი და მდიდარი, მშრალი და სველი) (ბულახოვსკი 1953: 44-45).

განასხვავებული სამი სახის ოპოზიციას: **პრივატულის, გრადუალურს და ეკვიპოლენტურს.** პრივატული გულისხმობს ისეთ ოპოზიციას, რომელშიც ერთი წევრი პოზიტიურია, მეორე- ნეგატიური. გრადუალური ოპოზიციის წევრები ერთისა და იმავე ნიშნის სხვადასხვა ხარისხს ანუ გრადაციას წარმოადგენს. ეკვიპოლენტური ოპოზიცია ლოგიკურია, მისი წევრები არც პრივატულად მიემართებიან ერთმანეთს და არც გრადუალურად.

ანტონიშებად მხოლოდ ერთგანზომილებიანი პრივატული ოპოზიციის წევრები მიიჩნევა. **მომნარო და უმნარესი** ანტონიშები კი არაა, ერთისა და იმავე ნიშნის სხვადასხვა ხარისხებია. აქედან გამომდინარე, ანტონიშები ჰქვია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს: ნაცნობი და უცნობი, კეთილი და ბოროტი, მაღალი – დაბალი, ხელიანი და უხელო, ნასწავლი და უსწავლელი. ამავე ავტორის მიხედვით, ანტონიშებია ფარდობითი ცნებაა და მისი აბსოლუტური განსაზღვრა შეუძლებელია - იგი არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ მოვლენას. საყოველთაოდ გაზიარებულია, რომ **ტკბილი და მნარე** ანტონიშებია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, თუ რომელი ერთგანზომილებიანი ოპოზიცია იგულისხმება, მაგ.: **ტკბილი ენა და მნარე ნინაკა** არაა ანტონიშები, რადგან საფუძველი სხვადასხვაა.

ანტონიშები ილია ჭავჭავაძის ენაში სპეციალურად შეისწავლა ალ. გვენცაძემ (ალ. გვენცაძე, ანტონიშები ილია ჭავჭავაძის ენაში: ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედინსტიტუტის შრომები, II, 1957: 323-330).

ანტონიშები, ჩვეულებრივ, კონტრასტული სურათების დასახატავად, ანტითეზის, როგორც გამომსახველობითი სტილისტიკური საშუალების შესაქმნელად გამოიყენება. ასეთნაირად აზრი უფრო მკაფიო, ეფექტური და ემოციური ხდება. ანტონიშების ეფუძნება ანდაზები და აფორიზმები: „**მნიშვეს ესვროლნენ, მკვახე ცვიოდაო**“; „**გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს**“...

ენობრივი ანტონიმია, სინონიმისგან განსხვავებით, ყველა სიტყვას არ აერთიანებს.

### **ა) ანტონიმური არსებითი სახელები**

ყინული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთს არ დაჰლევენ? (ილია); ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია (იქვე); **მზე და ჩრდილი, ნათელი და პნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში ჩა-ება და ჩაეწნა** (იქვე).

### **ბ) ანტონიმური ზედსართავი სახელები და სახელზმნები**

ეგეც იცოდეთ, ძმებო, ზარმაცებსა და მშიშარებს უმაღ ენ-ვევა იგი, ვიდრე მამაცებსა და გამრჯელებს (გამს.); უნიჭო მა-ქებარს ნიჭიერი მაძაგებელი სჯობია ხანდახან (იქვე); **სიცილით მოკვდა ტირილით ნაშიბი** (ილია).

### **დ) ანტონიმური ზმნიზედები**

„კარგად თუ ავად ჩვენ მას ვინახავთ“ (ილია).

### **ე) ანტონიმური კომპოზიტები**

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით ჭირხლი ედებოდა (ილია); აქა-იქ ატარებდა თავის თვალუწვდენელს სიგრძე-სიგა-ნეზე, სილრმე-სიმაღლეზე (იქვე).

**2.1. ხელოვნური ანტონიმები.** შეიძლება ანტონიმი შეიქმნას მაშინაც, როცა ის არ არსებობს და ამის საჭიროება შეიქნება. ამის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ა. არაბული: „ეს ტენდენცია გან-საკუთრებით შეიმჩნევა თანამედროვე ენებში, რომლებშიც ცნე-ბებისა და ტერმინების ჩამოყალიბების საფუძველი უმთავრესად დაპირისპირებულ მნიშვნელობათა ერთიანობაში მდგომარე-ობს... თუკი არსებობს სამართლიანობის ცნება და მისი პოზი-ტიური გამომხატველი სამართლიანი, აუცილებლად იარსებებს საპირისპიროც - უსამართლო და არასამართლიანი; თუკი არ-სებობს სიმართლის ცნება და არსებობს მართალი, მოსალოდნე-ლია შეიქმნას არამართალი (მიუხედავად იმისა, რომ ორგანული ანტონიმი ტყუილი არსებობს)“ (არაბული 2005: 224).

მკვლევარი ილიას შემოქმედებაში ამნაირი ფორმის გამოყე-ნებას ასე ხსნის: „ამიტომაც ვერ უვლის გვერდს ილია ჭავჭავაძე,

როდესაც სულხან-საბას იგავ-არაკთა წიგნზე საუბრობს: „ზღა-პარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე, სიცრუეა. „არამართალი“ ხელოვნური ანტონიმია მართალისა და ხელოვ-ნური სინონიმი ტყუილისა, მაგრამ მისი გამოყენება ამ კონკრე-ტულ-სტილისტიკურ კონტექსტში აუცილებელი შეიქნა“ (იქვე).

კ. ლორთქიფანიძე თავისი პერსონაჟის შესახებ წერს: „ომის ხითათიან გზაზე ეს ვერ-ბიჭი დიდი ვერაფერი ხვითო იყოო“.

„ვერბიჭი საოცარი სიტყვაა. მასში ყველაფერია: ჯაბანიც, გულ-დედალიც, ძაბუნიც, მხდალიც, ქალაჩუნაც, ბევრი სხვა სიტყვაც, - მაგრამ ვერბიჭი მაინც სხვაა, მეტია. ვერბიჭს გარენარზე, ავ-კაცზე ვერ იტყვი. გებრალება კიდეც ის კაცი - კაი ყმობა უნდა, ბიჭობა უნდა, მაგრამ ბიჭი ვერაა, ვერბიჭია. ისე ორგანულად, ისე სისხლხორცეულად ზის ეს სიტყვა ფრაზის ქსოვილში, რომ ყურს არ გჭრის და სამუდამოდ გამახსოვრდება“ (თითმერია 1979: 47).

ანტონიმების სანარმოებლად გამოიყენება უარყოფითი ნა-ნილაკი არა, მანარმოებლები: უ-; უ-ო; უ-ურ; უცხოური აფიქ-სებია: ა-(ლოგიკური, ალოგიკური), ანტი (ეროვნული-ანტიერ-ოვნული); დეზ-(ინფორმაცია- დეზინფორმაცია); დე-(ფორმა-ცია, დეფორმაცია).

ჩვეულებრივ, არა ნაწილაკით ნაწარმოები ანტონიმები ხე-ლოვნურია, ამნაირი სიტყვები ხშირად ტერმინებია და ამდენად, დამკვიდრებულია: არანრფივი, არამართებული, არამეცნიერ-ული, არაჯანსალი, არანაკლები, არაეალური, არარსებული, არასახარბიელო, არასიმეტრიული, არასრულწლოვანი, არან-ესიერი, არაჩვეულებრივი, არანმინდა, არაჭეშმარიტი, არახ-ელსაყრელი, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში ისინი აძლიერ-ებს ემოციას:

ამისთანა კაცის **არ-ხსოვნა** მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა (ილია); მაგის მიზეზი არის ნამდვილი მიზეზის **არ-ყოლა** (ბარნ.); **დარჩენა-არდარჩენაზე** კი არაა საქმე, საერ-თოდ, თქვენ, ცირკის ხალხი ცოტას კითხულობთო, შეამსუბუქა საყვედური ჭოლამ (მიშვ).

ასეთი დაპირისპირება განსაკუთრებით ეფექტურია პოეზიაში:

პოეზიაში: „შენი ყოლით და არ-ყოლით არ გვიბედენებს ძალაო“ (ვაჟა);

„გადაგვიფასდა დღეს ყველაფერი,  
მშვენიერი და არმშვენიერი“ (ქებ.).

ან: „ვისაც სვამდი პირიქით და პირაქეთ სწყუროდი“ (გორგ.);

ან კიდევ: „სად წესდება მესია, საით გარბის მესია,

ქვესკნელების წყვდიადი, ზესკნელების ღიობი“ (იქვე).

ზოგჯერ ამნაირად ნანარმოებ ანტონიმს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: ავილოთ ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი:

„ეს თავისებური სპორტია, ჩვეულებრივი სპორტის ყველაზე არაჩვეულებრივი სახეობა, რომელიც შეიძლება ჰავაელთა ზღვაზე ფიცრებით სეირნობას შეედაროს“ (ვ. ბარათაშვ.).

## 2.2. კონტექსტური ანტონიმია

სინონიმისა და ანტონიმის ცნებები ჩვეულებრივ ფართოვდება მხატვრულ ლიტერატურაში, რამდენადაც აქ ნიშანდობლივია როგორც ინდივიდუალური შემოქმედებითი მოხმარება, ასევე ანტონიმური ნეოლოგიზმის შექმნა:

„სახით მღვდელი და საქმით მგელია, ერთხელ თუ ამოგიგდო გულიდან, აღარ გადათქვამს (მიშვ).“

მღვდელი და მგელი, ცალკე აღებული, ანტონიმები არაა, მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში ისინი საპირისპირო სემანტიკისაა.

სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ტექსტი და ამონიურეთ სინონიმები და ანტონიმები. იმსჯელეთ, კონტექსტურია თუ არა ისინი და რა სტილისტიკური დატვირთვა აქვთ მათ:

- ეგ, ჩემო საყვარელო, ძველი მოთხოვნაა ახლად ნაამბობი: აქაო - და გლეხია, ყოველთვის მართალი უნდა იყოს.

- მაგ სულელობას რადა მწამებ, ჩემო კარგო? მე გლეხკაცს გუშინდელ ბალლსავით კი არ შევხარი. ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვა-დამჯდარი მგლოვი-

არე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე - იმისგან. მე დაკარგული ნახევარი მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავის ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულისთქმითაც. ესეც ვიცი, მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლავით სპეტაცს პერანგ-ქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზლება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდომაა.

- კვდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის, ეს თუ უნდა გეთქვა.

- შენ დამასწარ. მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი- ჩვენი მკვდრის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადავურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით ხოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდარის ნახევრით გულს ვუჩხრეკთ, ამიტომაც კარგის მქნელი, -იმათია თუ ჩვენი, -ან სულელი გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად...

- მაშ, ნასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეა!

- ვინ გითხრა? ჩვენისთანისა- იქნებაო, მაგრამ იმათი კი- არა.

- არ მესმის. აკი ორივენი, - ჩვენცა და ისინიც, -ერთნაირად მკვდარნი ვართ, შენის სიტყვით.

- ეგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი - შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება - ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ - დონდლონი, დუნენი, აბა, იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და სიმღერა ვერ დაგვირქმევია (ილია).

### წ3. ომონიმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია

ომონიმი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (homo ერთნაირი, nomos – სახელი) და ნიშნავს ბერითი შედგენილობით ერთნაირ, ხოლო მნიშვნელობით განსხვავებულ სიტყვებს. მათ სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ. გამოიყოფა ომონიმთა სამი ჯგუფი: ლექსი-კური, გრამატიკული და სინტაქსური.

ლექსიკურია ომონიმები, თუ მათი ფუძეები ერთი და იგივე მეტყველების ნაწილია: **ნარი** – ანბანის ერთ-ერთი ასო, **ნარი** – ეკლიანი ბალახი, **ნარი** – მამალი აქლემი;

**მოტივი** – რაიმე მოქმედების რეაქციის გამომწვევი მიზეზი, მოტივი – მელოდია, კილო, ჰანგი;

**ბარი** – სამუშაო იარაღი, **ბარი** – დაბლობი ადგილი, **ბარი** – პატარა რესტორანი, **ბარი** – წნევის საზომი ერთეული;

**ბალი** – ხილი, **ბალი** – მასკარადი, **ბალი** – ქულა, **ბალი** – მიწისძვრის სიძლიერის საზომი ერთეული;

**ხერხი** – სამუშაო იარაღი, **ხერხი** – მოხერხება, ფანდი;

**ბოქსი** – ქრომით გამოყვანილი ერთგვარი ტყავი, **ბოქსი** – იგივეა, რაც კრივი, **ბოქსი** – ცალკე სადგომი, **ბოქსი** – ცალკე გამოყოფილი ადგილი ზოგი ავადმყოფისთვის, **ბოქსი** – მამაკაცის თმის გაკრეჭის მოდელი.

**დოლი** – დასარტყამი ინსტრუმენტი; **დოლი** – ბატკნის მოგების დრო.

**პასტელი** - 1. რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 2. ფერწერის ტექნიკა, რომელიც ემყარება პასტელის გამოყენებას; 3. ასეთი ფანქრებით შესრულებული ნახატი.

**ომოფორმები** გრამატიკული ომონიმებია, რომლებიც ერთნაირ ბერით შედგენილობას მხოლოდ ერთ ან ორ კატეგორიაში ინარჩუნებენ, მერე კი სცილდებიან ერთმანეთს. ომოფორმები გვაქვს შემდეგ სტრიქონებში:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,  
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა“

მზემან სხივი მომაფინა **მაშინა**,  
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ **მაშინა**“ (აკაკი).  
„ამნაირი დარებით,  
კიდით-კიდე დარებით,  
ფერის ფერთან დარებით,  
შენობების შენობა“ (გალ.).

### წ4. არქაიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია

**არქაიზმი (ბერძნ. archaios - ძველი)** მოძველებული, ხმარები-დან გასული სიტყვა და გამოთქმაა. იგი სტილისტიკურად მარკირებულია. **არქაიზმებს** მწერალი წარსული დროის აღსაღენად, მისი კოლორიტის შესაქმნელად მიმართავს. „არქაიზმები მწერალს იმაში ეხმარება, რომ დაკარგული თუ მოძველებული საგნებისა და მოვლენების სპეციფიკა და მათი დრო უფრო მკვეთრ ფერებში ასახოს. ყოველივე ეს მწერალს ეხმარება, რომ მკითხველს გაუადვილოს ასახული ეპოქისა და მოვლენების ცხოველ-მყოფელი აღქმა“ (ზანდუკელი 1960 : 220):

სიტყვა „ერთგული“ **სამსჯვალივით** შეერქო მამაზეს გულში (გამს.); მწირი ვარო, ტაოელი, არტანუჯის ციხიდან მოვდივარო **საროჭიკოდ** (იქვე); მერმე ხნარცვიდან ახალგაზრდა ქალი ამოვიდა, მხარზე კოკა ჰეკიდია (ჯავახ.); საამბა იშიშვლა ხმალი და გამოატრიალა **ტაიჭი** (ბარნ.); საამს ჭმუნვა ეტყობოდა, რადგან ქალაქიდან კაცი ჯერ არ ამოსულიყო და ცნობები არა ჰქონდა მიღებული (იქვე).

„...ნასროლსა ნადირს, **მუნ** შეფარებულს,  
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა“ (ილია);

„მთელს საქართველოს ფერთა ქვეშე მჩვარებრ ჰქელვიდა“  
(ილია);

„იკმარე საღვთოდ მათ პატიუნი და სისხლის ძლვენი,  
თუ რამ შეგცოდეს, - შეისყიდეს ტანჯვით შენდობა“ (ილია);

„ცაც აიმღვრა და უცისფრეს ფერთა  
ნატვრა რად ჩარჩა ბავშვობის წიაღ?“ (ქებ.);

„ვპოვე ტაძარი, მიუსაფარი, უდაბნოდ მდგარი,  
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი,  
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,  
და განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი“ (ნ. ბარათაშვ.).

მწერალი თუ რომელიმე არქაულ ფორმას უნებლიერ იყენებს, მაშინ მას არ აქვს სტილისტიკური დატვირთვა. კ. გამსახურდიას ენაში კი არქაიზმს განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება, მისი შემოქმედება, ფაქტობრივად, პრექართული ენის რეკონსტრუქციის ცდაა, თანამედროვე ქართულის არქეტიპის ძიებაა, რასაც განაპირობებდა მითისემნადობის პათოსი. „ „ნინ- მერჩულისაკენ!“ ასეთი იყო მისი ლოზუნგი. მერჩულისდროინდელი ენა უძველესი ქართული ენის ფუძეებს, რიტმს, ინტონაციას და სინტაქსს ინახავს. ძველი ქართული ენა არის ერთ-ერთი პლაცდარმი პრაქართული ენის საწვდომად“ (სიგუა 1989: 135).

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ტექსტი, გამოყავით არქაიზმები და შეცვალეთ ახალქართული შესატყვისებით. იმსჯელეთ, რატომ გამოიყენება ისინი აქ:**

„ჯანმრთელობა ჩემი ფრიად შერყეულია ზვიად ბატონო, უფლის ნებაა ეგეც. არც მე მწადის, საქართველოს დაქცევის მოწმე რომ გავხდე. უმალ დამვსებია ეგ თვალნი და ყურნი დამგმანვია, სმენად ბოძებულნი უფლისა მიერ. რამეთუ ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმალ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოს თვისის იავარყოფას. ნეტარ არიან იგინიცა, ვინცა გულმართალ წინაპართა აჩრდილებს შორის ლანდად ქცევას არჩევენ, გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა წიაღში ყოფნას.

ვაი მათ, ვისაც იერემიასებრი გოდება წილად ხვდეს, სამშობლოს თვისის დროის დარღვეულ გოდოლთა და ნაციხვართა შორის.

უშჯულოება მოძალებულ არს საქრისტეანოსა ზედა. ასეთ დროს შჯულის სიმტკიცე და სხეულის სისპეტაკე თუ ვერ შევინარჩუნეთ, ვერას გვიშველის ის ციხეები, რომელთა მეოხებითაც მეფისათა აშენებ, ზვიად ბატონო, შენ.

ქვეყანა თავზე დაგვემხობა, იავარქმნიან საქრისტეანოს, და ვერც ის ცეცხლისმფრქვეველი ხატები გააწყობენ რამეს, გიორგი მეფე რომ აწრთობინებს ფარსმანს, უშჯულოსა და მუცლით მეზღაპრეს, რადგან ყოველთა დამბადებლისა და ყოვლის მხილველის თვალი სუფევს, ზვიად ბატონო, ყოველგან და მდოგვის მარცვალიც ვერსად დაეცემა თვინიერ ნებისა და ხედვისა მისისა“.

(კ. გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა“).

## წ5. ნეოლოგიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია

ენა მუდმივად ცვალებადი კატეგორიაა, იგი იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად: მაშინ ჩნდება ახალი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც ნეოლოგიზმები ენდება.

„ნეოლოგიზმებად იწოდება ის ახალი სიტყვები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ იქცნენ შესატყვისი ცნებების შესაბამის დასახელებებად და ამიტომ შეინარჩუნეს სიახლის ელფერი; ასეთი სიტყვები ჯერ კიდევ არ მოხვედრილან ლექსიკონებში, ადამიანებიც ჯერ არ არიან შეჩევეულნი ამ „სიახლეს“. პრაქტიკულად ყველა „ახალშობილი“ სიტყვა დასაწყისში ნეოლოგიზმს წარმოადგენს; შემდეგ, დროთა განმავლობაში ისინი კარგავენ სტილისტიკური სიახლის ეფექტს და ზოგ შემთხვევაში არქაიზმებადაც კი გადაიქცევიან“ (გაფრინდაშვილი... 2005: 89).

1. უავტორო ნეოლოგიზმები (მათი ენაში შემოტანა არ უკავშირდება კონკრეტულ პირს) და 2. ინდივიდუალურ-საავტორო ნეოლოგიზმები.

ბუნებრივია, ესა თუ ის ნეოლოგიზმი კონკრეტულად ვიღა-  
ცამ მოიგონა, მაგრამ ვინ, ეს უცნობია. ცნობილია, რომ ილიამ  
დაამკიდრა ნოდება, მსოფლმხედველობა, დედააზრი, თვალ-  
თახედვა, მთავრობა; კ. გამსახურდიამ - ცარგვალი, შინაპერა,  
ქვემები, დიდოსტატი; ნ. ნიკოლაძემ - ლიანდაგი, ორთქლმა-  
ვალი; გ. ნიკოლაძემ - განტოლება, ტანვარჯიში, მსაჯი; აკაკ-  
იძ - გაიძვერა, ბობოლა; დ. უზნაძემ - ალქმა, განწყობა, განწყო-  
ბილება, მსაჯი; ვ. ბერიძემ - მივლინება, შვებულება, საშვი... .  
(გაფრინდაშვილი ... 2005: 90-91).

თუ ნეოლოგიზმი ენაში დამკიდრდა, ზოგადსახალხოა, თუ  
იგი შეიქმნა რაიმე შემთხვევის გამო, კონკრეტული კონტექსტის-  
თვის, მას თკაზიონალური ენოდება (**ლათ. casus - შემთხვევა**).

ზოგჯერ თკაზიონალიზმებს ბავშვები ქმნიან: ამოყლაპე, ამომ-  
იყიდე (მიყიდე და ამომიტანე). ამ უკანასკნელთ საყოფაცხოვრებო  
ოკაზიონალიზმები ენოდება. ისინი არსად ფიქსირდება, პოეტურ-  
ინდივიდუალური კი მხატვრული ლიტერატურის კუთვნილებაა.

მოვიყვანთ პოეტური ნეოლოგიზმების მაგალითებს:

„უღერს ქვის ჰარმონია,  
დარობს რამდი-დარი“ (გალ.);

.....

„ვითომ ვფორიაქობთ,  
ვითომ ვბედმზიანობთ,  
ვითომდა ოცნება გვაქვს  
ფრთებად“ (ქებ.);

.....

„ცა პასტელის ფერებით,  
იმნაირად ფერფერობს,  
ცაო, მინავ, ნაძვებო,  
სულ მინდა რომ გეფეროთ“ (იქვე);

.....

„ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,  
ვით შემოდგომის ღამეებში ნაზი ვერსალი,  
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა,  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა“.

**სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ მაგალითები, განმარტეთ ნე-  
ოლოგიზმები და იმსჯელეთ მათი სტილისტიკური ფუნქციებ-  
ის შესახებ:**

1. მოსამსახურე საჯინიბოსკენ მიჩქარნაბიჯობდა (ჭეიშვ.);
2. როცა ორმოცის შესრულდები, მოდი ჩემთან და ერთმანეთი  
ჩავაპორტრეტოთ (იქვე);
3. დახუჭა თვალი, ნატკენ ფიქრში შეთვალბრმავდა (იქვე);
4. მამამისის პორტსიგარი მომიტანა და გერმანულად ჩემსახე-  
ლამძქარგული ცხვირსახოცი (მიშვ.);
5. ჩაკოსტუმ-ჩაგალსტუკებული კაცი ხელს მიქნევს (მიშვ.);
6. ერთს ვუცულისყულებდი იმ გახრევილს უკანალზე! (მიშვ.);
7. მოითმინეთ, ვნახავ თუ არის, მშვიდად ჩაუტელეფონა მდი-  
ვანმა (მიშვ.);
8. ფილტრი მიუყენ-მიუქანჩ-მიუმონტაჟეს (მიშვ.);
9. ლუკიანას თუმცა თვალი დაჲკლებოდა, მაინც ამჩნევდა,  
ქმარი რომ რაღაცას ჩირთიბირთობდა (გარიყ.);
10. ხანდახან ვხვდები, თუ რაოდენ ვშორეულდები... (ქებ.).

## § 6. დიალექტიზაცია და მისი სტილისტიკური ფუნქცია

**დიალექტიზმები** ერთი რომელიმე კუთხისთვის დამახასიათ-  
ებელი სიტყვებია. ბევრი მათგანი სალიტერატურო ენის კუთვნი-  
ლება გამხდარა. მხატვრულ ლიტერატურაში მათი გამოყენება  
სტილისტიკურადაა შეპირობებული- ამ თუ იმ კუთხის კოლორი-  
ტის შესაქმნელად გამოიყენება. მიუთითებენ სხვა ფაქტორებ-  
ზეც: „ა) სალიტერატურო ენაში არ მოიპოვება ამა თუ იმ დიალ-  
ექტში გამოყენებულ ფორმათა ეკვივალენტები- დიალექტიზმი  
ამ შემთხვევაში ავსებს სალიტერატურო ენის ხარვეზებს; ბ) დი-  
ალექტიზმები გამოიყენება ადგილობრივი კოლორიტის შესაქ-  
მნელად, ამ დროს მათ წმინდა მხატვრული დანიშნულება აქვთ;  
გ) მწერალს ერევა სალიტერატურო და დიალექტური ფორმები  
ანდა შეგნებულად ამჯობინებს დიალექტიზმებს ნორმით გათვა-

ლისწინებულ ფორმებს. ზოგჯერ ამას დადებითი ეფექტიც აქვს-ხდება ტრაფარეტად ქცეული გამოთქმების განედლება, გახალი-სება...“ (კუხალაშვილი... 2010: 104).

დიალექტიზმები ძირითადად მხატვრული ნაწარმოების პერ-სონაჟთა მეტყველებაში გვხვდება და მიგვითითებს მათ კუთხურ წარმომავლობასა თუ განათლებაზე.

მოლოდინის საპირისპიროდ, იღიას მხატვრულ პროზაში, თი-თო-ოროლა გამონაკლისის გარდა, დიალექტიზმები არ გვევლი-ნება ავტორისა და პერსონაჟების მეტყველების მადიფერენცი-რებელ საშუალებად.

დიალექტიზმი უხვადაა მხატვრულ ლიტერატურაში, პროზასა და პოეზიაში:

- „ალი ხომ არ შემოგყრია, ჭოვ?“ (გამს.);

„რადგან ტრიალებს წრეში ყოველი  
და დროის ფერფლით არ იბურება,  
როგორც სულისთემას, ისე მოგელი-  
ნეტა რეიზა არ გეყურება?“ (ქებ.);

„სად ხარ ნეტავ...  
ფრთები გაქვს თუ ფეხშიშველი იარები,  
ახლა ჩვენც ხომ ჩვეულებრივ მდინარებას,  
ცხოვრებისას, ვართ უკვე ნაზიარები“ (იქვე).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიალექტური ლექსიკის რო ლი ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაში. მისი პოეზია აჭარული დიალექტის ცოცხალი საუნჯეა. დიალექტურ ლექსიკას მოაქვს მშობლიური კუთხის სურნელება, მშობლიური კერიის სითბო და სიმყუდროვე, რაც ანდამატივით იზიდავს მკითხველს. ხალხურ მეტყველებასთან სიახლოვე, ფრაზის მდინარება, სინედლე ზ. გორგილაძის პოეტური სტილის მთავარი განმსაზღვრელი ნიშა-

ნია. მისი პოეზია „მამის მჯიდსა“ და „დედის მაჯაში“ გადარჩენილი ქართული სიტყვის ცოცხალი მატიანეა:

„დერდებს გულში ვიბექსნიდი,

აჭარელი ვიყავ განა

შიგ ჭიკიკით მოჭუჭკული, ამ სირთების სევდა თანა“ (გორგ.);

„კახაბრელ, ფერიელ ბიჭებს

აბლაყვებს ეშით და აბლაყვებს ბწყენით“ (იქვე);

„ქალს შევხედე...

გავბეჩდი და სიყვარული დაიბადა“ (იქვე).

**სავარჯიშო №1. მოძებნეთ არქაიზმები და დიალექტიზმები და იმსჯელეთ მათი სტილისტიკური ფუნქციების შესახებ**

როცა შევედი, ის ალამი შეაუღარუნა და საზეიმოდ გაიჭიმა. ჯერ უფხო შეძახილით მომესალმა:

- მოგვიხვე მშვიდობით, მოგვიხვე! წყალობა გუდანის ჯვრისა, წყალობად! წალმ მაგეგებას ჩვენი დავლათ!

მერმე მოგვისებური დარიგება მოგვცა:

- ფიც-ვერცხლ ნაჭამ ძმას არ ეღალატების.

ძმად-ნაფიცები ნამდვილი ძმები არიან. ორივეს ვითომ ერთი ძუძუ უწოვნიათ. ერთი სისხლიც მეორესია, ჭირიც საერთოა, ლხინიც და სიცოცხლეც.

შემდეგ იამზემ თასი მოიტანა. შიგ ცოტაოდენი რძე იდგა. თოთამ ხანჯრის წვერს თასში ვერცხლი ჩააფხიკა, ორივენი დაგვა-ჩოქა და ცალ-ცალკე დაგვამწყალობნა:

- ორთავ მოგცასთ წყალობაი გუდანის ჯვარმა, ორთავ წუ მაგიშალას მტერთან ხმალი და გამარჯვება! თუ ჩემის ხელისა გეკადრებოდას, შაგინდნას ეს თას, შაგარგას და მაგახმარას (ჯავახ.)

## §7. ბარბარიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია

ლექსიკურ ერთეულს, რომელიც უცხო ენიდან უფრნესობიდაა შემოსული და მშობლიურ ენაზე მოეპოვება მკვიდრი სინონიმი, ბარბარიზმი ეწოდება. არსებობს მისი რამდენიმე ჯგუფი.

1. **არმენიზმები:** სომხურიდან შემოტანილი სიტყვები (ტო, ახჩი, ცავატანემ);
2. **რუსიციზმები:** რუსული ენიდან შემოსული სიტყვები;
3. **გალიზმები:** ფრანგული ენიდან შემოტანილი სიტყვები (მადამ, ბონ უურ);
4. **გერმანიზმები:** გერმანული ენიდან შემოტანილი სიტყვები (კაპუტ, ჰენდე ხოხ);

5. **ანგლიზმები:** ინგლისური ენიდან შემოტანილი სიტყვები (მაგ.: სეილი - ფასდაკლება, ბიზნესი, ჰობი);

6. **იტალიზმები:** იტალიური ენიდან შემოტანილი სიტყვები (მაგ.: ჩაო).

XIX საუკუნეში რუსიფიკატორულმა რეჟიმმა ქართულ ენაში ბევრ ბარბარიზმს გაუხსნა გზა - **სტოლი, შკაფი, რამკა, მაშინა, ტრუბა და ა.შ.**

„კალმასობიდან“ მოყოლებული რუსულ სიტყვებსა და გამოთქმებს მეტ-ნაკლებად სისტემური ხასიათი აქვს რომანტიკოსთა ენაში, კერძოდ, არაპოეტურ ქმნილებებში. მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, „იმდენად რამდენადაც ამ უანრის თხზულებათა ენა და სტილი ედება საფუძვლად ქართული პუბლიცისტიკისა თუ მეცნიერების ენას“ (მიქაელი 2003: 141).

მოვიყანთ ბარბარიზმების მაგალითებს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებიდან:

„შეკრებილობა თუ ჰხადის საჭიროდ უმოდგენასა ჩვენ კერძო რომელისამე მეფეთაგან ბოძებულის ღრამოტისა; „ინებოს მოთხოვად ექსპედიციისგან სუდის და რასპრავის კოპია“ (ალ. ჭავჭ.). „საყდარი, ბიბლიოტეკა და ბოლნიცა არის მდიდრად შემკობილი; ჩემი ძმა ზაქარიაც იქ მისულა ოტპუსკში“ (გრ. ორბ.).

გრ. ორბელიანის ენაში დაფიქსირებული რუსული ლექსიკური ნასესხობანი მონაწილეობენ ქართულ სიტყვანარმოებაში პახოდობა, სკურინობა, უშკოლონი, უბიბლიოტეკონი. ანარმოებენ მრავლობით რიცხვებს: პლანები, ზამკები, ვოენნები...

რუსიციზმები თანამედროვე ქართულშიც გვაქვს, თუმცა დღესდღეობით ანგლიზმებს მიეცა ფართო ასპარეზი.

მხატვრულ ლიტერატურაში ბარბარიზმების გამოყენებით მწერალი ქმნის მხატვრულ სახეს, გვიჩვენებს პერსონაჟის განათლებას, სოციალურ სტატუსს, დამოკიდებულებას მშობლიური ენის ნორმებისადმი.

## §8. ნასესხები სიტყვები და მათი სტილისტიკური ფუნქციები

ქართული ენის ლექსიკურ მარაგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნასესხებ, სხვა ენიდან შემოსულ სიტყვებსა და გამოთქმებს.

ყოველ კონკრეტულ ენას აქვს ლექსიკის გამდიდრების და შევსების გზები და ხერხები. ესენია: საკუთარი რესურსებისა და სიტყვასანარმოებელი მოდელების გამოყენება და სხვა ენებთან კონტაქტები - სესხება და თარგმნა. საკუთარი ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზის არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაზე. სამწუხაროდ, დღესდღეობით ქართული ენის ლექსიკური ფონდი „მდიდრდება“ არა საკუთარი ფონდით სიტყვანარმოებით, არამედ სხვა ენიდან სესხებით და თარგმნით.

ენა სოციალური მოვლენაა, მასში ყოველთვის აისახება ხალხთა შორის კონტაქტები, ამიტომაც არ არსებობს „წმინდა, შეურეველი ენა“, პურიზმის თეორიის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა გარკვეული ზომიერების დაცვა. თვით ნასესხები ლექსიკა შეიძლება დავყოთ საკუთრივ ნასესხებ (საუკუნეების განმავლობაში შეთვისებული სიტყვები) და უცხო სიტყვებად, რომელთა უცხოობა აშკარაა. პირველ ჯგუფში ერ-

თიანდება სიტყვები, რომელთა სესხება მიზანმიმართული, მიზანშეწონილი გახლდათ, ესენია ინტერნაციონალიზმები, ტერმინები და ა. შ. მეორე ჯგუფში შემავალი სიტყვების გავრცელებას რაიმე მიზანი არა აქვს, გარდა მოდურობისა, ამიტომ მათი შეცვლა ქართული ლექსიკური ერთეულებით სასურველიცაა და აუცილებელიც.

ნასესხები სიტყვები მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის სფეროებს განეკუთვნება; სწორედ მათი განვითარება აისახება ლექსიკში. ესენია: **პიტი, ინვესტიცია, ლეგიტიმური, იმპირიზმი, კონფიდენციალური, ბრიფინგი, ინაუგურაცია, ფორპოსტი, ნონსენსი, ფობია, მონსტრი.**

ქართულში ბევრია ინტერნაციონალიზმი, რომელთა გავრცელება და დამკვიდრება განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და გლობალიზაციამ.

ზემოდასახელებულ ბევრ სიტყვას მოეძებნება ქართული შესატყვისი, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს სათქმელს ენის ნორმებისა და ესთეტიკის დაცვით. ესენია: **რიმეიქი, ფეშენვიქი, უიქენდი, ივენტი, ფართი და სხვა მრავალი. უმჯობესია ვიხმაროთ: გადამუშავება, მოდის კვირეული, შაბათ-კვირა, ლონისძიება, წვეულება. ბრიფინგი ხანმოკლე თათბირია უურნალისტებისათვის; ვოიაჟი - მოგზაურობა; მონსტრი - ურჩხეული; ფობია - შიში; კურატორი - მზრუნველი, მეურვე, რომელსაც დავალებული აქვს რაიმე სახის მეთვალყურეობა; სკოლის, სასწავლებლის მესიჯი - ხედვა, კონცეფცია, ძირითადი პრინციპები და მიზანი; გზავნილი - მთავარი სათქმელი, დეკოდირება - გაშიფრა, გარჩევა, რეფლექსია - ასახვა, ანალიზი; ლატენტური - გამოუმუღნებელი, ფარული; ინტერპრეტაცია - რისამე აზრის ახსნა-განმარტება; რელაქსაცია - სიმშვიდე, მოდუნება; ნონსენსი - შეუსაბამობა, სისულელე; ინსაითი - უცაბედი, უცნაური წვდომა; სილაბუსი - სასწავლო გეგმა, კურიკულუმი - სასწავლო კურსების ერთობლიობა.**

ამრიგად, ნასესხებ სიტყვათა ხმარებაში ზომიერების დაცვა აუცილებელია, მხატვრული ლიტერატურის სტილში კი ისინი გა-

მოიყენება, როგორც სტილისტიკური საშუალებანი და პერსონა-ჟის წიგნიერებაზე მიუთითებს.

**სავარჯიშო №1. მოძებნეთ ბარბარიზმები და ნასესხები სიტყვები, იმსჯელეთ მათი სტილისტიკური ფუნქციების შესახებ და საადაც საჭიროა, შეცვალეთ ქართული შესატყვისებით:**

1. ქალაქში მოდნიცები არ გვყავს;
2. რუსის პირ-დაუბანელმა და თმა-დაუვარცხნელმა იამშჩიკმა ფოშტის პოვოსკა მიაყენა (ილია);
3. დიამბეგს და ნაჩალნიკს უსუდოდ შეეძლოთ, რაცა სურდათ, ის ექმნათ (ყაზბეგი);
4. დილმელ ვანუას თავი დაედო რულზე და ეძინა (დოჩანაშვილი);
5. მერია „მარშუტკების“ მძღოლების გატყავებასაც იწყებს?!
6. მოდით და ყველაფერი გავაიასანოთ;
7. ხელს უშლიდათ მაგ ამბავში ვენოკი სამგლოვიარო (გელაშვილი);
8. იგეთი ჩურჩელები და ჩირები, იგეთი ღვინო და ვიჩინა (იქვე);
9. კვიტანციები ზემოდან ჩატენეს ფერში;
10. სარკესავით გააპრილა პატალოვიც და პოლიც.

#### დ 9. ფრაზეოლოგიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქცია

ფრაზეოლოგიზმები დიდი გამომსახველობითი ძალის მქონე სტილისტიკური საშუალებებია. „მათი გამოყენება მეტყველების ექსპრესიულ-ემოციურ ბუნებას ამაღლებს და ამდიდრებს“ (ეფიმოვი 1968:70). მაგალითად: მიზნის მისაღწევად იშვიათი ძალისხმევა ქართულში გადმოიცემა ფრაზეოლოგიზმით - **ნემსის ყუნწი ძვრება; გამნარება- ბუხარში მკვდრის ატანინება და ა. შ.**

სტილისტიკის კვლევის ობიექტია სინონიმური ფრაზეოლოგიზმები, მყარი გამოთქმები, რომელთაც ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობა აქვთ, სინამდვილის ერთსა და იმავე მოვლენას ასახავენ, მაგრამ განსხვავებულ ემოციურ ელფერს ანიჭებენ; ან ერთსა და იმავე სემანტიკას ნეიტრალურად, ევფემისტურად თუ

დისფერისტურად გადმოგვცემენ. ისევე როგორც რელატიურ სინონიმებს, ამნაირ მყარ გამოთქმებსაც განსხვავებული ფუნქციები აქვთ, ისინი სტილისტიკურად მარკირებულია.

სინონიმურ ფრაზეოლოგიზმებს ლექსიკურისაგან განსხვავებით არ აქვს სემანტიკური დომინანტი, ე. ი. ძირითადი სინონიმი-სინონიმური რიგის ბირთვი.

ქართველ მუპაჯირთა მეტყველებაში უაზრო, უსაგნო ლაპარაკს გადმოგვცემს ფრაზეოლოგიზმები: **ლაპარაკში** კატა დაამტრია (გაგლიჯა), **ჯიხრიკი** დაამტრია, **ჭვავის ჭიბონი** და თიკნის დავლი, **რძემ** გადმეიარა.

**კატა დაამტრია** – ნიშნავს დაუფიქრებელი, მოუზომავი ლაპარაკით ვიღაცას აწყენინა ან საიდუმლოება გასცა; ინეგოლში იტყვიან, ლაპარაკში **ჯიხრიკი დაამტრიაო.**

მატახელში შაპინმა დაადასტურა უაზრო, უთავბოლო ლაპარაკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები: „**ნინ-უკან ლაპარაკობს, „კაჭა-კუჭაია ლაპარაკობს“**“. იქვე დასტურდება განსხვავებული სტილისტიკური კონოტაციის ფრაზეოლოგიზმი - „**ძემ გადმეიარა**“ (მოლაპარაკეს ამ ამბისა არაფერი გაეგება, მიზეზი კი მოხუცებულობა): „**ძემა გადმეიარა, ნენეს ხებერი არ აქ**“ (მაჭ.). (ხებერი- არაბ. ამბავი) (ცეცხლაძე 2009:18).

ყველაზე მეტი ფრაზეოლოგიზმითაა გადმოცემული **სიკვდილის** სემანტიკა. არსებობს სიკვდილის ბიოლოგიური, რელიგიური, ფილოსოფიური გაგება. „**წარმოდგენა სიკვდილზე, როგორც მოვლენაზე, უნივერსალურია მრავალი ხალხის სამყაროს ენობრივ სურათში, თუმცა ყოველი ნაციონალური კულტურის** (რწმენა, ტრადიცია, რიტუალი, წარმოდგენა და ა. შ. თვითმყოფადობა განაპირობებს თითოეული ეთნოსის ენობრივი ცნობიერების უნიკალურობას. სინონიმურ მნიშვნელობათა სიმრავლეს სწორედ ამ ცნების განსხვავებული გაგება, მის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება, გააზრება განაპირობებს“ (კიკონიშვილი... 2010:86-87). ფრაზეოლოგიაში ხალხის რწმენისა და წარმოდგენების გამოხატვის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე 1997: 62).

სიკვდილის სემანტიკის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმთა უმრავლესობა აღძრავს უარყოფით ემოციას: პირნათლად, გულ-დასვენებით ცივ სამარეში ჩავიდა (ვაჟა); მოვკვდები, ერთი დღე მმართებს; მინა მექნება ბატონად (იქვე); წაილო შავმა მინამ ჩე მი თევდორე (ილია) (ცეცხლაძე ... 2011: 228-239).

დისფერისტური ფრაზეოლოგიზმებია: დღესა თუ ხვალ ჩემი სულთამშუთავი მოვა და **სულს გამაფრთხობინებს** (ილია); სამსახურიდან დაითხოვს და მალეც **სული გააცხო** (კლდიაშვ.); მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმვინა (ილია); მორჩებიან ჭამას და მაშინვე ესენიც ფეხებს გაფშევენ (თ. რაზიკაშვ.); მე დამბარა დავცალე, იმან კი შუბლი შეუშვირა ტყვიას და **პაპაჩემის მოსაკითხად წავიდა** (ჯავახ.).

მუპაჯირთა მეტყველებაში გვაქვს ასევე **წეისურა მინის საბანი, შავი მურგვი მუუგორდა; ლეხტზე თავი მიარტყა, ჩენგე მიეგრიხა** (ან ჩიეკლიტა), **სული დიეგლიჯა** (მაჭ.), **სული გაშპა** (ინ.).

აჭარულში ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **ფეხის თითებში გაჭიტინებაც.**

ამავე სემანტიკის ევფერისტური ფრაზეოლოგიზმებია: მივდივარო, მითხრა და **ღმერთს მიაბარა ალალი სული** (ილია); ჯვებე ავად იყო, ამიტომ პუპის ბედი და პატარა დუქანი ჩააბარა, ხოლო **სული ღმერთს დაულოცა** (ჯავახ.); **შუაგზაზე რომ მივიდა, სული გაგზავნა ცაში** (პ. უმიკ.); ბუნებისაგან დაჩაგრულს და განწირულს **სიკვდილი მიგილებს სიყვარულით, მინა ჩაგიკრავს გულში**, როგორც სატრიფოს ნანატრს (ვ.ბარნ.).

მეტად საინტერესოა სხვისი გამნარების, დატანჯვების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები სამხრულ მეტყველებაში:

„**დედამთილსა არ დუუდა ჭვაში და და ძალი ლემსი(ს) ყურნში გააძრუმლა**“; „**ბუხარში შააძრუმლა ზავალი**“; „**იმსო საქმე უყო, რომ ბუხრიდან კტარი აატანია**“; „**ამდენ საქმეში სული გააშპუნა**“; „**შააქანებია ჩენგე, ფენა ზორი მიცა ბერსა**“; „**კიბილი ტვინები გააყრევნია**“ (ჩვენებ.).

ნემსის ყუნწში გაძვრენა სხვის უკიდურეს გაჭირვებაში ჩაგდება, ძალდატანებაა. აქ სათქმელი უფრო გაზვიადებულია, ვიდ-

რებუხარში გაძვრენაში. აჭარულში გავრცელებულია ტრუბაში გაძრუმლებაც, რომელშიც აშვარაა რუსულის გავლენა. არანაკლებ ექსპრესიულია ბუხრიდან მკვდრის ატანინებაც. სულის გაშპუმლება და ჩენგეს (თურქ. ყბა) შექანება სიკვდილის თვალით დანახვაზე მიუთითებს. სასტიკ გამწარებაზევე მიუთითებს კბილის ტვინების გაყრევინებაც, ოღონდ აქ ტკივილის სემანტიკაა წინა პლანზე წამოწეული (ცეცხლაძე... 2010: 232).

### **9.1. ფრაზეოლოგიზმის ინდივიდუალურ-ავტორისეული გარდაქმნა და მისი სტილისტიკური ფუნქცია**

„თუ უჩვეულო კონტექსტში ვლინდება ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების სემანტიკური თუ სტრუქტურული თავისებურებანი, ეს არის ინდივიდუალური ავტორისეული გარდაქმნა“ (შადრინი 1991: 145-146).

განსაკუთრებით საინტერესოა ბიბლეიზმების დენოტაციურ-კონტაციური ასპექტები, სტრუქტურა და სტილისტიკური ფუნქციები. ისინი თავიანთი ხატოვანებითა და ღრმა სემანტიკით წარმოადგენს დარწმუნების საუკეთესო საშუალებას. არაშვიათად მათ ოკაზიურადაც იყენებენ, რაც „რაღაც დამატებითი ინფორმაციის მიწოდებასაც გულისხმობს. რაც უფრო მოულოდნელია ოკაზიური მნიშვნელობა, მით უფრო ძლიერია „გაცრუებული მოლოდინის ეფექტი“ (ჩხვიმიანი 2004: 87).

ექსპრესიულობის მისაღწევად, საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად, ნათქვამის ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად, მის ზნეობრივად ასამაღლებლად, თვითხებობის და უტიფრობის გასაკრიტიკებლად ზოგჯერ ილია თავის პუბლიცისტიკაში მიმართავს ბიბლეიზმის გრამატიკულ ტრანსფორმაციას - „მეორე დღესაო, იმავე თავმჯდომარემ გამოუცხადა ყრილობას, - ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი: - იყავ ნება თქვენიო, თითონ ჩვენ დაგინიშნავთ კამისიას; რამ გამოიწვია? ნუთუ იმან, რომ „იყავ ნება ჩემიო!“.

ზოგჯერ თვალში საცემია მათი დინამიზმი: და აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს („რა გითხ-

რათ, რით გაგხაროთ?“) [არა დაშთეს ქვად ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუს].

„ბ-ნ ყიფიანს ბენვი დაუნახავს და ძელი კი არა („შინაური მიმოხილვა“) [შდრ. ანუ ვითარ ხელ-გენიფების თქუმად ძმისა შენისა: „ძმაო, მიტევე და აღმოგილო წუელი თუალისაგან შენისა, და დირესა თუალისა შენისასა არა ჰედავ? ორგულო, აღმოიღე პირველად დირმ თუალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა (ლ. 6, 42)].

გლახაკა არავისაგან საკმაო წუელი არ ეძლევა და სჩივის: მე პურს ვსთხოვო, ის ქვას მიღებს ხელშიო („წერილები ქართულ ლიტერატურაზე“) [შდრ. ანუ ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელი სთხოვდეს ძე მისი პურსა, ნუ ქვად მისცეს მას? მ. 7, 7].

„მაინც კიდევ სიკვდილია იმისთვის, რომ ვისთვისაც ჭირშია, ვისთვისაც იბრძვის, ვისთვისაც იტანჯება, ის პირველი ესვრის ქვას სხვათა შორის“ (იქვე: 604).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საეკლესიო-წიგნური ფრაზეოლოგია. „არქაული გამოთქმები ორგანულად არ ის ჩაქსოვილი ძირითად ტექსტში და ძელი ქართული ორნამენტებივით ამშვენებს მას“ (მაღამბერიძე 1966:274). ბუნებრივია, ამ გამოთქმებს ილია არქაიზაციისთვის იყენებს, თუმცა ისინი პირველ რიგში გამოიყენება (როცა უცვლელი სახითაა დამოწმებული), როგორც ყველაზე მტკიცე, სარწმუნო არგუმენტები, შემდეგ კი უნდა ვიმსჯელოთ მათ სტილისტიკურ ფუნქციებსა თუ ნიუანსებზე.

„ხე ხილისაგან, ხილი ხისგან ნათქვამია, – იცნობებაო“ („ქვათა ღაღადი“); უკანასკნელ მაგალითში ბიბლეიზმი გახალხურებულია, მომდევნოში კი გათანამედროვებული: ადამიანი და მეტნილად ერი, არა მარტო პურითა ერთითა ცოცხალ არს“ („შინაური მიმოხილვა“) [შდრ. „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი“ მ. 4, 4.]

ბიბლეიზმების გამოყენების მეტ დინამიზმზე მიგვითითებს ბიბლიური სიტყვებისა და სიუჟეტების გადაქცევა ტექსტის ორგანულ ნაწილად. „ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ,

რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდ“ („საქართველოს მოამბეზედ“) [შდრ. ნუ მისცემთ სიწმიდესა ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა]....

ილია ბიბლეიზმებს იყენებს სათაურადაც: „ვის ნათესსა ვმკით?, „რას ვეძიებდით და რა ვპოვეთ?“ ამგვარი კითხვითი სათაურებით იგი ადრესატს ან უზნეობაში სდებს ბრალს, ან კიდევ რაღაც შეუსაბამობაზე მიუთითებს.

**9.2. აქვე უნდა აღინიშნოს ბიბლიურ ფრაზეოლოგიზმთა პრაგმატიკული ასპექტების შესახებაც:** მე-20 საუკუნეში ათეიიზმის მძვინვარებამ ბიბლეიზმები აღმოფხვრა ქართველების მეხსიერებიდან. მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ნაჩვენებია, თუ როგორ დაუკარგავთ შინაარსი ეკლესიურ საიდუმლოებებს და პრაქტიკული დანიშნულება შეუძენიათ. ისინი მოქმედებენ პრინციპით: „კბილი კბილისა წილ“. თეიმურაზი მხოლოდ მაშინ დაინტერესდა შეგონების- „ნუ დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა“ მნიშვნელობით, როცა ამავე სიბრძნის ძალით ცხოვრებიდან გაირიყა, ნაკაცარად იქცა. იგივე ფრაზეოლოგიზმი უჩვეულო კონტექსტში გვხვდება „ვისრამიანში“: „რა ვირომან ვისისაგან ესე შეუწინელი სიტყვა მოისმინა, მარგალიტი ღორსა წინაშე რა დაყარა“ (ვისრ. 103: 13).

ილია ერთსა და იმავე ბიბლეიზმს მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში განსხვავებულ ფუნქციას აკისრებს. ლუარსაბს მწერალი ასე მიმართავს: „შენ იმისთვის ცხოვრობ რომ ჭამო და სვა და არა იმისთვის სჭამ და სვამ, რომ იცხოვრო, ე. ი. ეცადო, ვითა მამა ზეცისა, იყავ შენ სრული“. აღნიშნულ კონტექსტში ბიბლიური ფრაზა სარკასტულად გამოიყენება, მაშინ როცა პუბლიცისტიკაში დაკონკრეტებულია მისი მორალური ფასეულობა: ვითა მამა ზეცისა, იყავ შენ სრული“- აი, თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა“ („შინაური მიმოხილვა“).

## ფრაზეოლოგიზმების ნიმუშები

### ავგურის ღიმილი

**ავგურის ღიმილი** სიცრუისა და თვალთმაქცობის სინონიმია. ძველ რომში ავგურები ანუ ქურუმები მორწმუნებს უმარტავდნენ რელიგიურ წესებს, მრავალრიცხოვანი ღმერთების ნება-სურვილს, უწინასწარმეტყველებდნენ მომავალს და ა. შ. ციცერონის გადმოცემით, უვიცი ხალხის მატყუარა შარლატანები ერთმანეთთან შეხვედრისას ძლივს იკავებდნენ სიცილს. საზოგადოებაში ახლაც მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საიდუმლოებით მოსავენ ვითომდა ღრმა ცოდნას, თვალთმაქცობენ და შეგნებული აქვთ, რასაც ჩადიან.

### ბალზაკის ასაკი

იტყვიან მოწიფულობაში შესულ ქალზე, წარმოდგება ფრანგი მწერლის, ონორე დე ბალზაკის რომანიდან: „ქალი ოცდაათი წლისა“.

### განტევების ვაცი

გადატანითი მნიშვნელობით განტევების ვაცს უწოდებენ ის ეთ ადამიანებს, რომლებსაც სხვის ცოდვებს აპრალებენ და სხვების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის აგებინებენ პასუხს. უძველეს დროში ებრაელებს ასეთი წესი ჰქონდათ: წელიწადში ერთხელ, საშემოდგომო დღესასწაულზე „ცოდვებისაგან განწმენდის დღეს, მთელი თემი შეიკრიბებოდა ველზე. უხუცესი ჯერ წირვას გადაიხდიდა, შემდეგ კი გამოიყვანდა ვაცს, დააკისრებდა მას მთელი წლის განმავლობაში მრევლის მიერ ჩადენილ ცოდვებს და მიუშვებდა ტყეში მგლების დასაგლევად.

### გეთსიმანის ბალი

მშვენიერი, მყუდრო, წყნარი ადგილი, გადატანით კი ნიშნავს მძიმე განცდათა ადგილს. სახარების მიხედვით, იერუსალიმის მახლობლად მდებარე გეთსიმანის ბალში უყვარდა ქრისტეს განმარტოება და ლოცვებში დროის გატარება. აქვე გასცა იუდამ ქრისტე თავისი ამბორით.

## **ჰანიბალის ფიცი**

**ჰანიბალის ფიცი** სამუდამოდ, სამარადისოდ დადებული, მტკიცე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღთქმაა.

## **ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა**

ეს გამოთქმა ფიგურალურად ნიშნავს ვინმეს ნათქვამის, შენიშვნის, მოწოდების უყურადღებოდ დატოვებას.

## **ძალის თავის ჩამარხული**

რაიმე გაუგებარი საკითხის გამოცნობის, მის დედაარსში ჩაწვდომისას იტყვიან, აი, სად ყოფილა ძალლის თავი ჩამარხულიო. გადმოცემის თანახმად, ეს გამოთქმა გერმანიაში წარმოიშვა მეთექვსმეტე საუკუნეში. ვინმე მხედარს საყვარელი ძალლი მოუკვდა, რომელმაც ერთ დროს იგი სიკვდილისგან იხსნა. მადლიერმა პატრონმა თავის საყვარელ ძალლს ლამაზი ძეგლი აუგო საფლავზე. ცნობას ამის შესახებ შორეულ რაიონებამდე მიუღწევია. ძეგლის სანახავად შორიდან მოსულნი ადგილობრივ მცხოვრებლებს ეკითხებოდნენ, სად არის ძალლის თავი ჩამარხულიო.

## **ჩინეთის კედელი**

ჩინეთის კედელი განკერძოებულობის, განცალკევებულობის, კარჩაკეტილობის სიმბოლოა. ჩინელები ძველთაგანვე განუწყვეტლივ ეომებოდნენ მომთაბარე ტომებს, ჰინაპრებს, რომლებიც ჩინეთის ჩრდილოეთით ტრამალებში ცხოვრობდნენ. მათ მეხუთე საუკუნეში შიშის ზარი დასცეს ევროპას, ამიტომაც ააგეს ჩინელებმა 214 წელს დიდი (2500 კმ. სიგრძის, 10 მ. სიმაღლის, 6 მ. სისქის) კედელი.

## **შიოს მარანი**

შიოს მარანი ულეველი სიმდიდრისა და უხვი დოკლათის სიმბოლოა. მცხეთის რაიონში მდინარე მტკვრის გაღმა მთებში შიომდვიმის მონასტერი მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, იგი წმინდა შიომ ააგო მეექვე საუკუნეში და თვითონვე გახდა მისი

წინამძღვარი. მონასტერთან მარანის ყოფილა და გულუხვი ბერი ღვინით უმასპინძლდებოდა მლოცველებს. ლეგენდის გადმოცემით, ქვევრებში ღვინო ულეველი ყოფილა, ისინი ზენაარის წყალობით მუდმივად ივსებოდა თურმე.

## **პური ჩვენი არსობისა**

ეს გამოთქმა ამოღებულია ლოცვიდან „მამაო ჩვენო“. მორწმუნე მიმართავს ღმერთს და გამოსთხოვს მას ყოველდღიურ ლუქმაბურს. გადატანითი მნიშვნელობით მას ხმარობენ ისეთი რამის აღსანიშნავად, რაც სასიცოცხლო საჭიროებას, საარსებო მოთხოვნილებას წარმოადგენს.

## **ორპიროვანი იანუსი**

იანუსი ძველი რომაელების ღვთაება იყო. ერთ სხეულზე ადამიანის ორი სახე იყო: ერთი გახლდათ ჭაბუკისა, მეორე- მოხუცის. სიმბოლურად პირველი ნიშნავდა მომავალს, მეორე- წარსულს, განვლილ დროს. იანუსს ხელში სკიპტრა და დიდი გასაღები ეჭირა; ითვლებოდა კარების, ჭიშკრის ყოველგვარი საქმის დასაწყისისა და დასასრულის ღვთაებად. რომში მის სახელზე ტაძრი იყო აგებული.

თანამედროვე გაგებით, გამოთქმა „ორპიროვანი იანუსი“ ფიგურალურად აღნიშნავს ნიღაბს, ორპირობას, ერთის თქმას და მეორის გაკეთებას, დაპირებას, მაგრამ დაპირებულის საწინააღმდევო მოქმედებას.

## **თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ**

ეს არის სამაგიეროს მიგების დევიზი, მოცაემული ებრაელთა კანონმდებლის- მოსეს ათ ცნებაში, რაც ნიშნავს მოყენებული ზიანისთვის სამაგიერო ზიანის მიყენების დებულებას. ქრისტიანულმა მორალმა მას მორჩილების პრინციპი დაუპირისპირა: მარცხენა ყბაში დაგარტყან, მარჯვენა მიაგებეო.

## **დანაელების ძღვენი**

დანაელების ძღვენი არის საჩუქარი, რომელშიაც იფარება მტრული ზრახვები, დალატი, საფრთხე, უბედურება.

## **ნეფარ არიან მორწმუნები**

ნეფარ არიან მორწმუნები, - უწყინარი ირონიით იტყვიან გულუბრყვილოდ დამჯერ ადამიანზე.

## **§ 10. აცდაზა და მისი სტილისტიკური ფუნქციები**

ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული სიბრძნე ჭეშმარიტი სარწმუნო წყაროა. როგორც სასაუბრო სტილში, ისე პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში ანდაზას არგუმენტის ფუნქცია ეკისრება: მსმენელისა თუ მკითხველის დარწმუნება ნათქვამის ჭეშმარიტებაში. ასეთ დროს ავტორი ანდაზას ურთავს კომენტარებს: იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაონ“, - ძველთაგანვე თქმულადა მართალიც არის (ილია); „როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიაო“, - ამბობს ქართული ანდაზა, როგორი პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც ... გამხილავიც შეხვდა (ილია IV:26); მარად ჭეშმარიტია ქართული ანდაზა: „კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“ (იქვე, IV: 305).

ანდაზას მწერლები ხშირად მიმართავენ ექსპრესიულობის მისაღწევად: ანა სამაგიეროს გადაუხდიდა – ადგებოდა და ვის ფაცერს მოუწნავდა, ვის ბადეს ათხოვებდა, ვის რა სამსახურს გაუწევდა, იქნებ სიკეთეს ქვეყნის გული მოებო, მაგრამ ნათქვამია: დაგორებულ ქვას გამარჯობა ვერ შეაჩერებსო (კ. ლორთქ.); მომავალში კი... ჩემი ხიზნობა ნუ ადგია ყელზე,... ახსოვდეს, რომ ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეაო (დად.).

გამომსახველობის მისანიჭებლად ილია მზამზარეული ანდაზებით კი არ კმაყოფილდება, „არამედ ცდილობს გადაამუშაოს, გადაახალისოს იგი, გაავრცოს მისი მოქმედების არე, რათა ამით გააძლიეროს ენის გამომსახველობითი ძალა, უფრო გაამშვენიერ-

ოს, გაალამაზოს და გაამკვეთროს აზრის გარეგნული სამოსელი არა მაღალფარდოვანი და ოჩიფეხებზე შემდგარი სიტყვებითა, არამედ ხალხური გამოთქმებით, „საყოველდღეო, შინაურული“ სასაუბრო ფრაზებით, რომლებიც ფართო მასისათვის გასაგები, ახლომდგომი და გულში ჩამწვდომია“ (შალამბერიძე 1966: 283).

ილია ანდაზების პერიფრაზირებას, მოდერნიზაციას მიმართავს შესადარებლად, ანალოგიისთვის, აზრის ალევორიულად გადმოსაცემადაც: „კატასავით ძეხვს ვერ შესწვდენიან და მეტი რა დარჩენიათ, თუ არ იძახონ პარასკევიაო“; „ნაცვლად იმისა, რომ თქვას, ჩვენთვის მიუწვდომელი რამ არისო, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო“; „ამათი შეყრა სწორედ იმასა ჰგავს, რომ მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე წამიღეო“.

გ. შალამბერიძეს იმის საჩვენებლად, თუ რაოდენ მოქნილად და მარჯვედ იყენებს ილია ანდაზებს, მისი პუბლიცისტური ნაწერებიდან მოჰყავს ერთი ანდაზის - „წყალწალებული ხავსს ეკიდებოდა“ ცხრა ვარიანტი:

1. ვისაც საქმე ესე ესმის, იმას ანბანის თეორეტიკაც ვერას უშველის, როგორც წყალწალებულს - ხავსი; 2. მე და თქვენ კარგად ვიცით, რომ ხავსი ვერას უშველის, მაინც წყალი წაიღებს; 3. წყალწალებული ხავსა ეკიდებოდაო, ნათქვამია; 4. მებატონე ფიქრობს, რაკი წყალს მივყარო, ხავსს მაინც მოვეჭიდოო; 5. დაპბლაუჭებია ჩვენი უმეცარი მეცნიერი, როგორც წყალწალებული, ხავსაა, რაკი სხვა ილაჯი და ღონე არ ჰქონია; 6. იგი არამც თუ უმეცარი, ქარაფშუტაც ყოფილა, წყალწალებულსავით ყოველ ხავსს ეჭიდება, მაგრამ ვაი, შენს მტერს, ხავსმა, ვერა უშველოს- რა; 7. იგი მოგვაგონებს ხავსს, რომელსაც წყალწალებული ეჭიდება ხოლმე, როცა მეტი გზა არა აქვს 8. ალბად ეს არის ის ხავსი, რომელსაც ჩვენი წყალწალებული ავტორი ჩასჭიდებია; 9. სხვა გზა რომ არა აქვს, ხავსს ეჭიდება დარჩობისაგან თავის დასაღწევად“ (ვიმოწმებთ შალამბერიძის მიხედვით, გვ. 289-290).

ამრიგად, ანდაზებში ექსპრესიულობა ნათქვამის ჭეშმარიტებაში დარწმუნებას ემსახურება.

## § 11. აფორიზმი და მისი სტილისტიკური ფუნქციები

აფორიზმი ზეპირსა და წერითს მეტყველებაშიც იმავე როლს ასრულებს, რასაც ანდაზა, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს ავტორი ჰყავს და რაც მეტი ავტორიტეტი აქვს მას, მით უფრო სარწმუნოა ნათქვამი. მხატვრულ ლიტერატურაში არც თუ იშვიათად იმოწმებენ წინამორბედთა ნააზრევს: ილია განსაკუთრებით ხშირად მოიხმობდა რუსთველურ აფორიზმებს: იყენებდა ან თხზულების ტექსტში, ან წერილის ბოლოს:

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი (ილია VIII: 181); კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების (იქვე); რასაცა გასცემ შენია, რაც არა - დაკარგულია (იქვე); ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად (იქვე); ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია (იქვე).

ილია არც თუ იშვიათად იმოწმებს სხვათა ბრძნულ გამონათქვამებსაც: „ბრძენი არც იშვებს ფრიადა, არც და შეწუხდებისა; სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა“ (არჩილი) (იქვე); „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშად, რაც გინდა მაღალ თაროზე დასვათო“ (საიათოვა).

მხატვრულ ლიტერატურაში ზოგჯერ აფორიზმი პერიფრაზირებულია. მაგ.: ილიასთან ვხვდებით რუსთველური აფორიზმების პერიფრაზირებას: „ ლოდინი ხსნილსაც დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების (VI: 175) [შდრ.: „უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების ვინ ების“]; „ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“ (V: 149) [შდრ.: თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“].

„პირადობის უინსვე ვაბრალებთ ქუთათურის გაზეთის, „შრომის“ „ალმა ხვნას და დალმა ფარცხვას“ ყოველს საქმეში, საცა კი ქუთაისის საადგილმამულო ბანკი ურევია“ (ილიაV:212); გახარბის გახშირება და, მაშასადამე, გაიეფება ვერაფერი თამასუქია ჩემთვის. ვიცი, კარგად ვიცი, რომ ოდეს ტურფა გაიაფდეს, ალარალირს არცა ჩირად“ (იქვე, IX : 269).

აფორიზმებით მეტყველება დამაჯერებელი, სარწმუნოა და შთამბეჭდავი, ამასთანავე, მიუთითებს მეტყველის წიგნიერებაზეც.

## § 12. ევფემიზმი და ფაზუ; მათი სტილისტიკური ფუნქციები

ენაში არის ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც შინაარსით სათაკილოა, რწმენის გამო არ გამოითქმის, ანდა უხეშია და უხერხულობას ქმნის. ეს გარემოება განაპირობებს მათ შეცვლას ევფემიზმებით.

**12.1. ევფემიზმი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „კეთილადმეტყველებას“, „ზრდილობიან ლაპარაკს“. უცხო სიტყვათა ლექ-სიკონის მიხედვით, ევფემიზმი სიტყვა ან გამოთქმაა, რომლითაც შეცვლილია სხვა, რამე თვალსაზრისით მიუღებელი, უხერხული სიტყვა ან გამოთქმა (ფეხმძიმე ორსულის ნაცვლად, საპირფარეშო - ფეხისადგილის ნაცვლად) თუ სიტყვის ან გამოთქმის პირდაპირი მნიშვნელობა უხერხულობას გვიქმნის, იგი უნდა შევცვალოთ „კეთილით“, „ზრდილობიანით“. ამდენად, გამოსახატავი შინაარსი არ იცვლება, იცვლება მხოლოდ გარეგნული სახე.**

ენა უშუალოდ უკავშირდება ერის კულტურას, ის ენობრივი ეტიკეტის გაამოხატულება. „ევფემიზაცია კულტურულ-მნიგნობრული ენებისთვისაა დამახასიათებელი. ენობრივი ეტიკეტი, თავაზიანობის გარკვეული ფორმულები და ფორმები, ამ კულტურასთან თანაზიარობაა, ხოლო დარღვევა მისი უცხოობის ერთ-ერთი ნიშანია“ (არაბული 2005 : 236).

ევფემიზმებია: **მკბენარი** (ტილი), **მიცვალებული** (მკვდარი), **ხელცივი**, **ხელმრუდი** (ქურდი), **უსახელო**, **უხსენებელი**, **ურწმუნო** (გველი); **ახლომხედველი** (ბეცი), **შეუხედავი**, **ულამაზო** (მახინჯი), **მოხუცი**, **მხცოვანი**, **დროული**, **ხანდაზმული** (ბებერი); **შეუძლოდაა**, **უქეიფოდაა** (ცუდადა); **სიმართლე დამიმალა**, **არ მითხრა** (მომატყუა).

ევფემიზმებადაა მიჩნეული თავაზიანი გამოთქმებიც: **ბრძანა** (თქვა), **მიირთვა** (ჭამა), **მობრძანდა** (მოვიდა); **ბრძანა** (თქვა), **გარდაიცვალა** (მოკვდა) **გახლავს** (არის), **დაბერდა** (მოხუცდა, მოკვდა- გარდაიცვალა, ინებეთ, გეთაყვა) და ა. შ. აქვე უნდა და-

ვასახელოთ მხოლობითი რიცხვის ნაცვლად მრავლობითის გა-  
მოყენება: **დაპრანადით, გახლავართ...**

ევფემისტურია ასევე: **შენიჭირომე, გენაცვალე, შემოგევლე.**

ზოგი სიტყვა გარკვეული სოციალური სტატუსის აღმნიშვნე-  
ლი იყო, დღეს ამაზე იგი აღარ მიუთითებს, მაგრამ თავაზიანობის  
აღნიშვნა დაეკისრა. მაგ.: **ბატონი, ქალბატონო.... „ბატონი ოდ-**  
**ესლაც კონკრეტულ საგანს აღნიშნავდა, სიტყვის ისტორიული**  
**განვითარების შედეგად იგი განზოგადდა და თავაზიანი მიმარ-**  
**თვის ფორმად იქცა“** (ძიძიგური 1965: 270).

ქართულში არსებობს ევფემიზმის სხვადასხვა სახეობა. მათ  
იყენებენ: ა) საკუთარ ჯანმრთელობაზე საუბრისას: „შენ ჯვა-  
რი გენეროს“, „შენ არ შემოგჩივლებ“; ბ) ცუდი ამბის ხსენებისას:  
„შორს იყოს“, „პირი ქვისკენ მიქნია“; გ) მადლიერების გამოხატ-  
ვისას: „დიდი მადლობა“, „მადლობა მომიხსენებია“, „უდრმესი  
მადლობა“; დ) ოჯახში სტუმრობისას: „აქა მშვიდობა“, „კეთილი  
იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში“; ე) „შენაძენის მილოცვისას“: „ახ-  
ალ-ახალ მშვიდობაში“ (კახეთში იტყვიან, -მზით გაცვითეო); ვ)  
მობოლიშებისას: „მაპატიეთ“, „ბოდიში“, „უკაცრავად“; ზ) დამ-  
შვიდობებისას: „კარგად მენახე“, „კარგად იყავი“ თ) ძილის წინ:  
„ძილი ნებისა“, „ტკბილი ძილი“... ი) გამგზავრებისას: „გზა მშვი-  
დობისა“, „ბედნიერი მგზავრობა“, მორჩილებისა და თანხმობის  
გამომხატველია: „კარგი“, „კეთილი“, „კეთილი და პატიოსანი“ კ)  
მოფერების, თხოვნა-მუდარის გამომხატველი - „გეთაყვა“, „გე-  
ნაცვალე“, „შემოგევლე“ (სახოკია 1979: 89).

ევფემიზმს შეიძლება ირონიული ელფერი დაკვრავდეს: ჩემი  
გოშია გარდაიცვალა; ნიკორა შინ მოპრანდა; შენ წისქვილში  
ნაპრანადი, მე ქორნილში ნავეთრევი.

ევფემიზაცია ჩინებული საშუალებაა ნაკლა ან ხარვეზზე, სი-  
მართლეზე დელიკატურად მისათითებლად. მაგ.: ნაცვლად იმისა,  
რომ ადამიანს უთხრან, მატყუარა ხარო, უუბნებიან, თქვენი ნათ-  
ქვამი სიმართლეს არ შეეფერებათ.

**გახლავთ, ინებეთ და მისთანა სიტყვების გამოყენება მიზან-**  
**შეწონილი არაა სამეცნიერო სტილში. მაგალითად:** ეს მეტად

მნიშვნელოვანი ნაშრომი **გახლავთ** ქართული სამართლის ისტო-  
რიაში. უნდა იყოს ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი **არის.**

სათქმელის ევფემიზაცია საზოგადოდ დამახასიათებელია  
მნიგნობრული ენებისთვის, კულტურული ადამიანისთვის, მაღა-  
ლეთიკური საზოგადოებისთვის.

„ენიბრივი ეტიკეტი გულისხმობს მეტყველების კულტურას,  
იგი განეკუთვნება ეთიკის სფეროს. ინდივიდის მიერ წარმოთქმუ-  
ლი ნებისმიერი სიტყვა, გამოთქმა, რომელსაც მოჰყვება მსმენე-  
ლისთვის უსამოვნო ემოცია, არაეთიკურად, ეთიკურ წორმათა  
დარღვევად აღიქმება. ამდენად, ეთიკურ წორმათა დაცვას საზო-  
გადოებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება“ (საღინაძე 2012: 354).

**12.2. თუ ევფემიზმი ეთიკას მიეკუთვნება, ტაბუ რწმენას უკ-  
ავშირდება და რელიგიური რწმენის საფუძველზე წარმოშობილ**  
აკრძალვას ნიშნავს. იგი პოლინეზიური სიტყვაა, ქართულად არ  
ითარგმნება, მეგრულში კი მისი ეკვივალენტებია „ვაშინერს“ და  
„ვეშილებე“. პირველი ადამიანს უშლის ჩვეულებრივ მოქმედე-  
ბას ან ლაპარაკს, მეორე კი ანიმისატურ წარმოდგენას უკავშირ-  
დება. ტაბუირების პირველადი არსი იყო ტოტემის მოუკვლელო-  
ბა. კ. გამსახურდიასთან გამოიყენება ორივე სიტყვა- **ტაბუ და**  
**ვაშინერს.** ნოველა „ტაბუში“ ვეცნობით ვაშინერსით სახელდე-  
ბულ ცხოველებს, „მთვარის მოტაცებაში“ - სვანურ სამონადი-  
რეო ვაშინერსს, პერსონაჟთა მრავალსახელიანობა კი მთელ მის  
პროზაში გვხვდება.

„ვიცოდით, რას მოასწავებდა ყვავის დაჩხავლება, ბოლოქან-  
ქალას შემოჯდომა, წითურას შეხვედრა, კურდღლის, მელის და  
მინის კაცის ორანი.

ბუკიოტი დაკივლებდა - კუდიანი ახლო მოდგებოდა, ყური  
დაიფარფალებდა - ცუდს ამბავს გაიგონებდი, მარცხენა თვალი  
დაიფარფალებდა - მარჯვენას გაახარებდა, წვივზე მოგეფხანე-  
ბოდა, წინ გზა უნდა გდებოდა, ოფოფი შემოგეყრებოდა-ცუდი  
ამბავი მოხდებოდა, ცას ვარსკვლავი მოსწყდებოდა- დიდი კაცი  
მოკვდებოდა.

გავრცელებული წარმოდგენით, თითქოს სახელის ხსენება აღიზიანებდა სულს, ამიტომაც მავნეს სახელს არასოდეს დავუძახებდით. დათვს „უწმინდურს“ ვეძახდით, ტურას „კვალდანყევლილს“, თაგვს - „კბილებმოქედილს“, ჭინჭველას - „კუზიანს“, ქორს - „ზემავალს“, ყვავს - „დუდუჩას“, გველს - „შავჩოხიანს“, „მავნეს“, „უსახელოს“.

ნაჭყვედლებს არ ესმოდათ, რომ „თქმა ქმნაზე დიდია“. სადაც მორიელს ახსენებდა, ისიც იქ გაჩნდებოდა და ხალხს გესლავდა, ხოცავდა. დიაკვნის თქმით, მორიელისთვის ტაბუ რომ დაედოთ, სოფელი გადარჩებოდა.

ტაბუ ზოგჯერ ცრურნენასაც უკავშირდება. ავადმყოფ ბავშვებს სახელს გადარქმევდნენ იმის რწმენით, რომ დაავადება მათ ვეღარ იპოვიდა.

არსებობს სიკვდილის ტაბუც: **მოკვდას** ნაცვლად იტყვიან, - გარდაიცვალაო, გარდაცვლილი განსვენებული, ცხონებულია. ამით სიკვდილის, როგორც გამანადგურებლის არსი გაუფერულებულია, შემსუბუქებულია.

ტაბუ და ევფემიზმი ადამიანს საზოგადოებაში მოქცევას ასწავლიდა.

#### **სავარჯიშო №1. ნაიკითხეთ მაგალითები და მიუთითეთ, ახლავს თუ არა ევფემიზმს ირონიული ელფერი:**

1. კარგია მხიარული ჭკუა! არაფერზე იდარდებ, არაფერზე ინაღვლებ, ყველაფერს მზამზარეულს მოგართმევენ;
2. ჯერ თქვენ მიირთვით, მეც ახლავე შემოგიერთდებით;
3. მოგართმევ! შენ მანამდე არაფერი აგტკივდეს, რომ მე შენი გასაკეთებელი მე გავაკეთო;
4. ინებეთ, ინებეთ, ნუ გერიდებათ!
5. კიდევ მიირთვით, არ მოგერიდოთ, ხაჭაპურებსაც მოგართმევთ;
6. დიდი მადლობა, უკვე ბევრი გეახელით;
7. მისი და ერთი ულამაზო, შეუხედავი ქალი იყო, მაგრამ ფრიად დიდბუნებოვანი;

#### **8. - თქვენ რას ინებებთ?**

- ჩაის, გეთაყვა;
- 9. რა მოგართვათ, ბატონი ჩემი! ბრძანეთ, ნუ მოგერიდებათ!
- 10. ზედმეტი ძილით ხომ არ გადაიღალეთ?! აუცილებლად უნდა დაისვენოთ, სხვაგვარად შეუძლებელია!

#### **წ13. ჟარგონი და არგო; მათი სტილისათვის უძრავი ფრაზები**

სალიტერატურო ენის ლექსიკურ მარაგში გამოიყოფა პლასტიკის რამდენიმე ფენა, რომლებიც არ შედის ნორმირებულ, საერთო-სახალხო ზეპირსა და წერითს მეტყველებაში. მათ არანორმატიული სიტყვები, ფორმები და გამოითქმები ეწოდება, რომელთა შეუსაბამო გამოყენება მიგვანიშნებს ადამიანის დაბალ კულტურაზე, მიზანმიმართული ხმარება კი პირიქით, ალამაზებს ენას, უფრო მკაფიოს და გამომსახველობითს ხდის მას.

**ჟარგონი** არის მცირე სოციალური ჯგუფის, ამა თუ იმ პროფესიის ადამიანთა მეტყველება. ჟარგონის თავისებურ სიტყვებსა და თქმებს ჟარგონიზმი ეწოდება. ჟარგონიზმებს, არგოტიზმებს და პროფესიონალიზმებს სოციალურ დიალექტებსაც უწოდებენ.

სოციალური დიალექტები უპირისპირდება ტერიტორიულას: გადმოგვცემს ადამიანთა ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის (არტისტების, მეზღვაურების, ექიმების) მეტყველებას.

ჟარგონული ლექსიკიდან გამოიყოფა თავისებური სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა ვიწრო ჯგუფისთვის (ხულიგნებისთვის, ქურდ-ბაცაცებისთვის) არის გასაგები.

ჟარგონიზმებია: **ბაზარი** – ლაპარაკი, მსჯელობა („ბაზარი არაა“ – ულაპარაკოდ, რა თქმა უნდა).

**გაბაზრება** – რაიმე ამბავის გავრცელება; **ბანძი** – ბინძური, ხელმოცრული ან არასიმპატიური ადამიანი; **გაბანძება** – სახელის შელახვა; **ბლატი** – (რუს.) – არაფორმალური კავშირები, კონტაქტები, ნაცნობობა, ხშირად მექრთამეობასთან ან პროტექციონიზმთან კავშირში; **გამაზვა** – 1. მიზნის ვერ მიუღწევლობა,

აცდენა; 2. რაღაცის შოვნა; **გაჩითვა** – რაღაცის შოვნა; **გაჩითული** – მაღალი სტატუსის მქონე ადამიანი; **დათრევა** – რაიმეს შოვნა; **ზმანი** – ტანსაცმელი; **მასტი** – პიროვნება; **დამუღამება** – ალლოს აღება; პონტი – 1. მდგომარეობა, სიტუაცია 2. „რა პონტია?“ იგივეა რაც რაშია საქმე? **ტასაობა** – სიარული; **შარაფი** – ქეიფი, ღრეობა; **ხიპიში** – შფოთი.

ა. არაბული საგანგებოდ მიუთითებს, რომ „უარგონული მეტყველებისთვის დამახასიათებელია ლექსიკის გაღარიბება, ბარბარიზმების მოძალება, აკვატებული ფრაზეოლოგის გაბატონება. განსაკუთრებით გაიფართოვა ასპარეზი სიტყვა „პრობლემა“. იგი ყოველგვარი დაბრკოლების, სიძნელის შეფერხების გამოსახატავად გამოიყენება... ასეთი ტენდენციები არა მხოლოდ აღარიბებს სალიტერატურო ენას, არამედ საფუძვლიანად არ-ლევს უკვე განმტკიცებულ ენობრივ სისტემას, ქმნის სერიოზულ საფრთხეს, საერთოდ დაუკარგოს სახე საუკუნეთა განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ კულტურულ მემკვიდრეობას, ამიტომაც არის აუცილებელი სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციებზე ყურადღების გამახვილება“ (არაბული 2005: 238).

უარგონიზმებს მხატვრულ ლიტერატურაში პერსონაჟის მხატვრული სახის შესაქმნელად იყენებენ.

#### წ14. ვულგარიზმები და გათი სტილისტიკური ფუნქციები

ვულგარიზმები უხეში ან უწმანური სიტყვებია, მას უკულტურო და გაუნათლებელი ადამიანები იყენებენ, მხატვრულ ლიტერატურაში კი სტილიზაციის მიზნით გამოიყენება. ვულგარიზმებში ერთიანდება როგორც უცენზურო და ფამილიარული (შინაურული და გაუბრალოებული), ისე უარგონული და ქუჩური სიტყვები თუ გამონათქვამები.

მხატვრულ ლიტერატურაში ვულგარიზმი გამოიყენება პერსონაჟის მხატვრული სახის შესაქმნელად. გავიხსენოთ, მაგალი-

თად, ოთარაანთ ქვრივის მეტყველება, რომელიც მდიდარია უკმეხი სიტყვებით, ეს ის პიმპილია, ქვრივი მაღლს რომ მოაყრიდა ხოლმე: არ-დასარჩენო, შე აღრე და მალე დასამარხავო, შე პირშავო, შენა! შე არდასაცალებელო, შე ოყრაყო, შე უბედურის დღი-სავ, შე დასაღუპავო; აი, შე დამინდი, დამინდი, აი, მეხი კი დაგაყარე!

„წყევლისგან მიღებულ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ზრდის უარყოფითი ეპითეტები და შედარებითი მსგავსების სიტყვები: ეგ დასამინი ხელები, ეგ ბარძაყისოდენა მკლავები, სამგლე გოჭ-სავით გათხვირულა, აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული, შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი; აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზე! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუჯა ტანზედ? ეგ ბრიყვის თავიც ინახო? დაეხეტები, ღვინოს არ ჩაგაცეცხლებ, ბარემ შენ ჩას-ცეცხლო და მისთ.“ (აფრიდონიძე 1989: 62).

საგანგებოდ მიუთითებენ თანამედროვე ქართულში ვულგარიზაციის ტენდენციის ზრდაზე. „თანამედროვე სალიტერატურო ენის უახლესი ტენდენციები სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა. ამას შიდა პროცესებთან ერთად დასავლური, ე. წ. მასკულტურის ფართოდ შემოქრამაც შეუწყო ხელი. ენის ვულგარიზაციის აღნიშნულმა ტენდენციამ, ოფიციალური ურთიერთობების ფამილიარიზაციამ არა მხოლოდ სახელისუფლებო, საპარლამენტო და სატელევიზიო მეტყველებაში იჩინა თავი, არამედ ცენტრალური გაზეთების ისეთ პუბლიკაციებშიც გამომჟღვნდა, რომლებიც ოფიციალურ-საქმიანი სტილის ჩარჩოებში უნდა თავსდებოდნენ“ (არაბული 2005: 237).

ვულგარიზმებს პუბლიცისტურ სტილში სტატიის სათაურებადაც შევხვდებით, რაც სტილთაშორისი საზღვრების დარღვევაა: „რატომ ეპოტინება ქეთა პუტინს“ „ათიანში გავარტყი“; „ხულიგანი სტიქაროსანი?!“ (ვულგარიზმი); „არიან თუ არა „გაღლეტილები?!“; „ნაგვის ქალაქი“ ანუ ნაგვასაყრელი ქათქათა ბათუმის ფონზე“. პუბლიცისტური სტილის ერთ-ერთ ფუნქციას - თხრობის სისხარტესა და დინამიკურობას ეწირება მთავარი კულტურული მემკვიდრეობა - ენის სინმინდე.

ამრიგად, ვულგარიზმები მხატვრულ ლიტერატურაში სტილიზაციის მიზნით, პერსონაჟის უკულტურობასა და გაუნათლებლობაზე, მის სოციალურ დიალექტზე მისათითებლად გამოიყენება.

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ მაგალითები, ამოინერეთ უარგონები, ვულგარიზმები, ბარბარიზმები, არქაიზმები თუ დიალექტიზმები და იმსჯელეთ მათი სტილისტიკური ფუნქციების შესახებ:**

1. ძალურ სიცოცხლეს უშნოდ დავათრევ და თვითონ სიცოცხლე ჭირიან მძორივით მიმათრევს (ჯავახ.);
2. ოთხფეხს კიარა, შენ უნდა ამოგდოს კაცმა ალიკაპი, თუ ცხვარის და ძროხის მოვლის თავი არ გაქვს, აიყარე და მაუსვი აქედან, შენი პატრონი ქვეყანაცაო (მიშვ.);
3. ვინ მამაძალლი ამოილებდა ხმას! (იქვე);
4. მე საპობავოდ და საღადავოდ არა მცალია (იქვე);
5. ერთი წელი ვეხეხე, 1945 წლის იანვარში დამიჭირეს და 1946 წლის თებერვალში გამიშვეს (იქვე);
6. ყველაფერს ლაითად უნდა შეხედო, უფრო მეტიც, ფეხებზე უნდა დაიკიდო და გულზე მოგეშვება;
7. ამ საქმეზე თურმე დაბრო არ მიუცია;
8. ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ თორემზე ვიჭედებით;
9. თუ საქმეს გამიჩმახებთ, საერთოდაც მოვტყდები აქედან და ჩემს დუხსაც ვერ ნახავთ;
10. სულ იმას მებლატავება, ფეშენებელურ კორპუსში ბინას ვიშენებო;
11. მოგეცეს ლხენა, თუ ეს სეროკა, თუ რაღაც ჩემი ფეხებია, სადმე მოვიხელთე, დაჭრილიც რომ იყოს, ღორივით გამოვშიგნავ მაგ ღორისდასმულს;
12. ახლა მაინც არ ამევსო ხვიმირა - სინაულით თქვა და უკვე შეგუბებული წყალი ლარში გაუშვა (იოსელ.);
13. ნაუცხათევად მოგაყრიან გოროხებს, ნატეს ქვასაც არავინ დაგადებს (იქვე);

**14. ასეთები მარტო ურცხვად, უნამუსოდ კი არ შემოგციცინებენ, გელიზღებიან (იქვე);**

**15. როდის იყო, ბიჭო, სიცხიანი და ავადმყოფი რეჩის ურტყამდა სცენიდან?! (მიშვ.).**

**სავარჯიშო №2. წაიკითხეთ მაგალითები, გახაზეთ ვულგარიზმები, უარგონები და იმსჯელეთ, სად, რა ფუნქციით იყენებენ მას; მოუძებნეთ მათ შესაბამისი ნეიტრალური სტილის სიტყვები და ევფემიზმები:**

1. კაი თოხლაობა კი უყვარს, მუშაობა კი ეჯავრება;
2. ჯიგარო, ჩევენი შანტრაბა შენთან მოვდივართ საქეიფოდ;
3. რა გომი ვინმე ყოფილხარ, ყველაფერზე ავარდები ხოლმე!
4. მე იქ ბლატები მაქვს, ნუ გემინიათ;
5. შენისთანა არიფები და ყურიანები ბევრი უბალახებია სპირიდონს!
6. მაგარი სიაფანტი ვინმეა, ორმაგ თამაშს თამაშობს;
7. შაყირით და ღლაბუცით მაყუთს ვერ იშოვი, ძამა!
8. შარაფისტების გარდა იქ არავინ არ იყო;
9. კაი დაცენტრილი ვინმეა, ყველაფერზე უცნაურ რეაქციებს აკეთებს;
10. კარგად ეტყობა ვინცაა, სულ მუდამ დაძმარული სიფათით დადის.

**სავარჯიშო №3. წაიკითხეთ მაგალითები და შეცვალეთ ნასესხები სიტყვები და ბარბარიზმები ქართული შესატყვისებით, უარგონები და ვულგარიზმები - სალიტერატურო სიტყვებით:**

1. ტელევიზიის რებრენდინგი საპასუხისმგებლო საქმეა;
2. გოგა ნიქაბაძის ბუტიკი მალე თბილისში გაიხსნება, დიზაინერთან ჩაცმა პრეტ-ა პროტეს ხაზით 100-დან 500 ლარამდე ღირს;
3. შოპინგებზე სიარული სხვა ქალბატონებივით გსიამოვნებთ?
4. ამჟამად სერფინგი ძალიან პოპულარული სპორტია მიუნენში;

- 5.** ეს „ნოუ ჰაუდ“ ვერ ჩაითვლება;
- 6.** ანი და გიგი შეყვარებულები იყვნენ და დაქორნინებასაც აპირებდნენ, მაგრამ ყველაფერი ჰეთი ენდით არ დამთავრებულა;
- 7.** აპეკუნობას თავი დაანებე, ბიძია, თვარა მიყვები მაგას შენცო! (მიშვ.);
- 8.** მაინც არ მინდა მამაჩემის სახე გამიუფერულონ, გამიპუსტიაკონ (იქვე);
- 9.** ბაგე უთროთის და საფეთქელში სისხლი ბარაბანივით ურტყამს (იქვე);
- 10.** ვმუშაობდი პროვოდებში, მანტიორი კაცი ვიყავ (ჭეიშვ.);
- 11.** ბაზრის შესასვლელთან ქსენიას ბუტკამდე ჩემი ადგილია (გვეტ.);
- 12.** ისეთი ფილმი არ უნდა გადაიღო, ქსენიას, რომელიც „ჩერნუხაში“ გადავა და გამოუვალობის შეგრძნებას დაუტოვებს ადამიანებს;
- 13.** გამოფენის მთავარი მუღამი ის იყო, რომ ნამუშევრები უახლოესი ორი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო შექმნილი;
- 14.** სულ ეშპილკავება ამ ბიჭს;
- 15.** დაგიკრებია გულზედ ეს დასამინი ხელები! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ! (ილია).
- 16.** დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები, რომ აგილია თავი და დაეხეტები სათხოვრად (იქვე);
- 17.** - ასე არის მეთქი, შე მკვდარძალლო, რა გამიხდი ისეთი, რომ სიტყვა ვეღარ მითქვამს (ინან.);
- 18.** - იიჲ, შე წვინტლიანო, შენა! - მიაძახა მაშინვე პეტრემ და შინდის ჯოხი მოუქნია (ჯავახ.);
- 19.** აქ რას დაწანწალებ, შე წუნკო, შენა! - (ჯავახ.);
- 20.** ამდენი ხანია სასწავლებელში გდიხარ და კითხვაც არ იცი ჯერ. რა თქვენისთანა გამოყრუებულების საქმეა სასწავლებელი? მეხრეებად უნდა ეყარნეთ, მეხრეებად (ბარნ.);
- 21.** ხან აღმართს მიადგება და ხან კი თოხარიკით ჩაიდალმართებს! (დად.);
- 22.** ერთი პანლური ამ დაღრეკილს, ამას! ამ საცოდავს, ამას (იქვე);
- 23.** ერთი პანლური ამ დაღრეკილს, ამას! ამ საცოდავს, ამას (იქვე);
- 24.** შლეგო, რეგვენო, ეს შენ გჩვევია ყოველი არსის ზერელედ ჭვრეტა (გამს.);
- 25.** რაც ნაკლები გაიგონებს თქვენს ლაყაფს, უკეთესია, ნერვები მაინც შეენახება ხალხს (მიშვ.).

### ცოდნის შესამომავალი კითხვები

1. როგორ გესმით, რომ სინონიმთა გავრცელებული განმარტებანი მავნეა?
2. რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან აბსოლუტური სინონიმები?
3. რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან სინონიმთა რიგის წევრები?
4. დაახასიათეთ სინონიმური პარალელიზმი, როგორც წმინდა ენობრივი აუცილებლობა და სტილისტიკური ხერხი;
5. სად და რითვის იყენებენ კონტექსტურ სინონიმებს? ხელოვნურ ანტონიმებს?
6. რა სტილისტიკური ფუნქცია ეკისრება არქაიზმებს და დიალექტიზმებს მხატვრულ ლიტერატურაში?
7. როდის და რა ფუნქციით იყენებთ ანდაზა-აფორიზმებს?
8. რას გამოხატავს ევფემიზმი, რომელსაც ირონიული ელფერი ახლავს?
9. მოძებნეთ ლაპარაკის შესაბამისი ევფემიზმები, ბარბარიზმები, უარგონები, მოიფიქრეთ მაგალითები და დააკვირდით ექსპრესიას;
10. დაასახელეთ სიყვარულის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები და მოძებნეთ მათ შორის სტილისტიკური განსხვავებანი.

**დასამუშავებელი ლიტერატურა:** № 2, 6, 12, 18, 113, 127, 151, 162.

## თავი IV. გრამატიკული სტილისტიკა

### §1. მორფოლოგიური სტილისტიკა

მორფოლოგიური სტილისტიკა პარალელური გრამატიკული ფორმების სტილისტიკური თვალსაზრისით შედარება-შეპირის-პირებას გულისხმობს. ასეთი მორფოლოგიური ვარიანტები თანაარსებობენ ენაში, მაგრამ გამოდგებიან მხოლოდ კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში აზრობრივი ნიუანსების ზედმიწევნით ზუსტად გადმოსაცემად.

მორფოლოგიურ სტილისტიკაში არ შეიძლება შემოვიყარ-გლოთ მხოლოდ პარალელური ენობრივ-სტილისტიკური საშუალებებით. მორფოლოგიურ საშუალებათა ნაწილი ჭარბად გამოიყენება ერთ სტილში, სხვები – მეორეში.

#### 1.2. მრავლობითი რიცხვის სუფიქსების სტილისტიკური ფუნქციები

ქართულში ორგვარი მრავლობითი გვაქვს: **ნართანიანი და ებიანი.** პირველი ძველია, მეორე-შედარებით ახალი. ერთ რომელიმე ნიშანს გამოვიყენებთ თუ მეორეს მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად, ეს გადმოსაცემ შინაარსს არ შეცვლის, მაგრამ ისინი ნებისმიერ სიტუაციაში თანაბარი სტილისტიკური ძალისა არ არის.

თანანი მრავლობითი იხმარება მყარ შესიტყვებებში: **ქალთა დღე და არა ქალების დღე. ქალთა საზოგადოება** ნიშნავს ერთი საზოგადოებრივი იდეით გაერთიანებულ ორგანიზაციას, **ქალების საზოგადოება** კი გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს ქალების თავმოყრას. ნართანიანი მრავლობითი შეუცვლელია სახელწოდებებში, სათაურებსა და ორგანიზაციების დასახელებებში: **ბავშვთა საავადმყოფო, ქალთა კონსულტაცია, ვაჟთა გიმნაზია.**

თა- სუფიქსიანი მრავლობითის მიცემითი ბრუნვის ფორმაა გამოთქმაში სხვათა შორის. ეს იგივეა, რაც **სხვებს შორის.** ეს

ორი ვარიანტი შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს: **სხვათა შორის ესწრებოდა, სხვათა შორის** (სხვებს შორის) ისმენდა. **სხვათა შორის უალტერნატივ ფორმაა, თუ იგი ჩართულია. მაგ.: ელენეს, სხვათა შორის, არაფერი გამოჰქმავია.**

ზედსართავი სახელი „ძველი“ შეიძლება გასუბსტანტივდეს და მრავლობით რიცხვში ჩაისვას. **ძველნი/ძველები:** **ძველებისგან გამიგონია, -ითქმება წინაპრებზე; ძველთაგან** (ოდითგან)კი ზმნისართია და მიუთითებს დროზე, პერიოდზე.

რიცხვით სახელთა **ნართანიანი** ფორმები - ორნი, სამნი, ოთხნი ადამიანებზე ითქმის, -ებ სუფიქსიანნი - ორიანები, სამიანები კი ცოდნის შეფასების აღნიშვნაა.

პირის ნაცვალსახელებს შეიძლება დაერთოს მრავლობითობის -ებ ნიშანი: **ჩემები, შენები, თქვენები, იმათები.** იგი ნათესაური, ახლობლების წრის აღმნიშვნელ ფორმანტად გვევლინება, ამიტომ **ჩვენთაგან და ჩვენებისგან** განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავენ.

ამრიგად, ნართანიანი მრავლობითი ძირითადად გამოიყენება **ა) პოეზიაში, ბ) სათქმელის ლაკონიურად გადმოსაცემად; გ) ზოგიერთ შესიტყვებაში, სათაურში და ა. შ.; დ) არქაიზაციის მიზნით.**

#### 1.3. ნაცვალსახელთა პარალელური ფორმების სტილისტიკური ფუნქციები

**ა) ის და იგი** მესამე პირის ნაცვალსახელებია, პირველი ჩვენებითი ნაცვალსახელიცაა, მეორე უფრო ძველია და ძველ ქართულში ნაწევრადაც გამოიყენებოდა. თანამედროვე ქართულში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რომელს გამოვიყენებთ პირის ნაცვალსახელად, პოეზიაში კი **იგი არქაიზაციის მიზნითაც გამოიყენება** და მეტრის საჭიროებითაც. ამრიგად, **ის და იგი** ერთმანეთისგან განსხვავდება სიძველე-სიახლითაც და მარცვალთრაოდენობითაც.

##### ბ) მისი და თავისი

**მისი და თავისი** კუთვნილებითი ნაცვალსახელებია, ორივე

მესამე პირის კუთვნილებას გამოხატავს, მაგრამ სხვადასხვაგვარ ვითარებაში. „თუ ობიექტი ზმნით გამოხატული მოქმედების სუბიექტს ეკუთვნის, ანუ სუბიექტის საკუთარს გულისხმობს, მაშინ უნდა გამოვიყენოთ **თავისი**, ხოლო თუ ობიექტი სხვისი კუთვნილებაა და არა სუბიექტის, მაშინ **მისი** ნაცვალსახელი იქნება შესაფერისი“ (არაბული 2005:116-117). მოკლედ, **მისი** აღნიშნავს **სხვისს**, მფლობელი მესამე პირია; **თავისი- საკუთარს** (მფლობელის კუთვნილებას).

**თავისი/თვისი** ნაცვალსახელის ნაცვლად **მისი** გვხვდება წერილობით ტექსტებში, კლასიკურ ძეგლებშიც, რადგან ეს ნაცვალსახელები იმთავითვე არ იყო გამიჯნული. მნიშვნელობათა რეფლექტორული შინაარსი მათ შემდგომ დაერთო, მოუხედავად ამისა, ეს მოვლენა ფართოდაა გავრცელებული ცოცხალ მეტყველებაში. „კახურში უპირატესად გამოიყენება **თავისი**. ამის საპირისპიროდ, გურულში უკუქცევითობის ფუნქციით **მისი** გამოიყენება: **მისი** კვიდრი შვილი“ (გოგუაძე 1960:50).

ამგვარ შემთხვევებს ვხვდებით ქართველ კლასიკოსთა ნაწერებშიც:

„ინალიფა მის ბედაურს არ დაუთმობს ნებით გამჩენს“ (აკაკი);

„ლუარსაბს გაეცინა და მის მეუღლეს ხელმეორედ ჰყითხა“ (ილია).

შესაძლებელია პოეზიაში **მისის და თავისის** მონაცვლეობა მარცვალთრაოდენობითაც იყოს განპირობებული.

#### 1.4. წარმოქმნილ სახელთა პარალელური ფორმების სტილისტიკური ფუნქციები

##### ა) აბსტრაქტული სახელები

თანამედროვე ქართულში **აბსტრაქტული სახელები** სახელებისაგან, ზმნისართებისაგან, ნაწილაკებისა და შორისდებულებისაგან ება, ობა და **სი- ე** აფიქსებით იწარმოება.

ამ სუფიქსთა განაწილება ამგვარია: **სი-ე** მორფემა უძველესი აფიქსია, ის ნაზმნარი და აბსტრაქტული სახელების საზიარო მანარმოებლადაა მიჩნეული. იგი განყენებულ სახელთა სინონიმურ

მანარმოებელთაგან ნაკლებად პროდუქტიულია. „**ობა** სახელებს ანარმოებს ისეთ სახელთა ფუძეებისაგან, რომლებიც საგანსა და ნიშნავენ, ხოლო **სი-ე** ანარმოებს ისეთებისაგან, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამოხატავენ“ (შანიძე 1953:133). მაგ: **სი-ალალ-ე**, **სი-ბრძნ-ე**, **სი-გლახაკ-ე**, **სი-მხეც-ე**, **სი-ყმანვილ-ე**, **სი-ჭაბუ-ე**, **სი-ბრიყვ-ე**, **სი-ვიწროვ-ე**, **სი-გრილ-ე**, **სი-ლამაზ-ე**, **სი-მშვიდ-ე**, **სი-ყვითლ-ე**, **სი-ძველ-ე** და ა.შ.

**სი-ე** აფიქსი განყენებული შინაარსის სახელებს ანარმოებს ვნებითი და საშუალი გვარის მიმღეობებისაგან: **სი-მდგრად-ე**, **სი-მკრთალ-ე**, **სი-მთვრალ-ე**, **სი-დამპლ-ე**, **სი-მდიდრ-ე**, **სი-გამხდრ-ე**. თანამედროვე ქართულში მკვეთრადაა გამოხატული სუფიქსური წარმოების გაბატონების ტენდენცია. უმრავლეს შემთხვევაში **სი-ე** მორფემით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელებს მოეპოვება სუფიქსიანი ვარიანტები, მას ძირითადად ენაცვლება –**ობა** სუფიქსი: **სიკოხტავე//კოხტაობა**, **სიმხნევე//მხნეობა**, **სიდამწვრე//დამწვრობა**.

შდრ.: **სიკოხტავე** ნაიას იმთავითვე უყვარდა, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით კოპნიაობდა; **კოხტაობა** და კეკლუცობა უნდა დაიწყოს, როგორმე თვალში რომ მოუვიდეს მას.

**სიმხნევით** და **სულიერი** **სიძლიერით** დედაჩემს ვერავინ შეედრებოდა; ახლადდაწურული საფერავის დალევამ ერთობ შემატა **მხნეობა** და **გამბედაობა**.

**სი-ე//-ება** მონაცვლეობის შემთხვევები იშვიათია: **სიფხვი-ერე//ფხვიერება**, **სიმხურვა-ლე//მხურვალება**, **სიძლიერე //ძლიერება** და ა.შ. ამ პარალელურ წყვილთაგან უპირატესობა სუფიქსურ წარმოებას ეძლევა. მაგ. თანამედროვე მწერლობაში იხმარება ფორმები: **ვერაგობა**, **მხნეობა**, **ამპარტავნობა**, **მხნეობა**, **საზიზლობა**, **მშვენიერება**, **ძლიერება**, ვიდრე შესაბამისი ფუნქციებისაგან **სი-ე-თი** ნაწარმოები ფორმები: **სივერაგე**, **სიამპარტავნე**, **სიმხნევე**, **სისაზიზლო**, **სიმშვენიერე** და ა.შ.

**სიჭაბუ-ე** და **ჭაბუკობა** სინონიმებია, მაგრამ უკანასკნელი კრებითობასაც გამოხატავს, ამიტომ ისინი ვერ შეცვლის ერთმანეთს.

რამდენადმე განსხვავებულია -**ება და -ობა** სუფიქსიანი ფორმები: **უბრალობა** (უდანაშაულობა) და **უბრალოება** (სისადავე); **ურჯულობა** (რჯული ვისაც არ აქვს) და **ურჯულოება** (ულმერთო საქციელი). **ამპარტავნება და ამპარტავნობა** ფორმათაგან პირველი არქაულია, გამოიყენება არქაიზაციის მიზნით, მეორე კი ახალია.

**სავარჯიშო №1. გახაზეთ აბსტრაქტულ სახელთა არასწორი ფორმები და ახსენით, რატომა ისინი უმართებულო:**

1. მისი სიმშვენიერე ეხლა უფრო ძრიელ მიტაცებდა (ბარნ.);
2. ხარბობამ მთლად გაიტაცა სესე (ბარნ.);
3. ამპარტავნება მიუტევებელი ცოდვაა;
4. სივერაგე და მშვენიერება ერთმანეთთან შეუთავსებელია;
5. ეს მალამი შეუცვლელია ნებისმიერი ხარისხის დამწვრობის სამკურნალოდ;
6. ეს ღუმელი მეტისმეტად დიდ სიმხურვალეს გამოსცემს;
7. აქაურ ნიადაგს სიფხვიერე არ აკლია, მაგრამ უხვმოსავლი-ანი არაა;
8. იუბილარს უსურვეს ბევრი რამ, მათ შორის, ყველაზე ძვირფასი - ჯანმრთელობა და სულიერი სიმხევეებები;
9. ეს პატარა ნაიარევი ქალის სიმშვენიერეს ვერაფერს აკლებდა;
10. ფალავნის ძლიერებაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

**ბ) მქონებლობის სახელთა პარალელური ფორმების სტილისტიკური ფუნქციები**

მქონებლობის -იან, -ოვან, -ოსან სუფიქსთა შორის სხვაობა სტილისტიკურია, ერთმანეთისგან განსხვავდება: **კლდიანი და კლდოვანი; ქუდიანი და ქუდოსანი; ჯვრიანი და ჯვაროსანი; ნებოიანი და ნებოვანი; ბალახიანი და ბალახოვანი; ცხენიანი, ცხენოსანი და ცხენა, ყვავილიანი და ყვავილოვანი; ფეხიანი და ფეხოსანი; საქმიანი და საქმოსანი; თავიანი და თაოსანი...**

ასეთ ფორმათა შორის განსხვავება ძნელი შესამჩნევი არაა: **ხელი, ხელიანი** (ხელის ან სახელურის მქონე), **ხელოვანი** (შე-

მოქმედი) **და ხელოსანი** (რაიმე ხელობის მცოდნე); **მშვილდიანი** (მშვილდის მატარებელი) და **მშვილდოსანი** (მშვილდის კარგი მსროლელი); **ფრთიანი** (გამონათქვამი) და **ფრთოსანი; ხმიანი, ხმოვანი** (სიგნალი, ბერია) და **ხმოსანი; ძლიერი** (მოწინააღმდეგებე), **ძალოსანი** (სპორტსმენი) და **ძალოვანი** (სტრუქტურა); **რქიანი, რქოსანი** (პირუტყვი) და **რქოვანი** (თვალის რქოვანი გარსი).

ანალოგიურია: **მადლიანი** (ვინც მადლს, სიკეთეს აკეთებს), **მადლიერი** (ვისაც მადლს, სიკეთეს უკეთებებს); **ძვლიანი** (ხორცი, ნაჭერი) და **ძვლოვანი** (სპეც. ძვლებისგან შედგენილი); **ჩანთიანი** (მოსწავლე) და **ჩანთოსანი** (ძუძუმწოვარი); **მანკიანი** (ადამიანი, ვისაც რაღაცა ფიზიკური ნაკლი აქვს) და **მანკიერი** (თვისება); **ჭედალი** (ლითონის თვისება) და **ჭედური** (ჭედვით გამოყვანილი).

**ავგული, დიდგული, ორგული, ერთგული, ორპირი, ოთხფე-სი** კომპოზიტებია. შევადაროთ მათგან ნანარმოები - **ა სუფიქსიანი ფორმები:**

**დიდგულა - დიდგულიანი; დიდგული - მედიდური, ამაყი, ამპარტავანი;**

**ორგულა - ორგულიანი თხილი; ორგული - მოღალატე, მუხანათი.**

**ორპირა - დანა; ორპირი - ფლიდი, გაუტანელი, სიტყვის გამტები.**

**გ) უქონლობის სახელთა პარალელური ფორმების სტილისტიკური ფუნქციები**

უქონლობის საწარმოებლად ქართულში გამოიყენება **უ-პრე-ფიქსი, უ-ო და უ-ურ პრეფიქს- სუფიქსები**, მაგრამ მათი, ისევე როგორც სხვა მანარმოებლების დართვითაც იცვლება სტილისტიკური ნიუანსები, ამიტომაც განსხვავდება **უგონო** (გონებადაკარგული) და **უგუნური** (ვისაც საერთოდ არა აქვს ჭკუა-გონება); **უსაქმო** (უსაქმოდ დარჩენილი) და **უსაქმური** (ზარმაცი, უქნარა); **უსახო** (რასაც სახე, მოხატულობა არ აქვს) და **უსახური** (უშნო, ულამაზო, მახინჯი); **უფასო** (რასაც გასამრჯელოს გარეშე იძლევიან) და **უფასური** (გაუფასურებული, მნიშვნელობადა-

კარგული); **უმადო** (ვისაც მადა დაეკარგა, არ აქვს) და **უმადური** (ვინც არაა მადლიერი); **უჩინო 1.** (ვისაც თვალისჩინი არა აქვს); **2.ვისაც** (სამსახურებრივი ხარისხი, წოდება არ აქვს) და **უჩინარი** (თვალით შეუმჩნეველი); **უკაცო** (სახლი, სადაც კაცი არ ცხოვრობს) და **უკაცური** (დაუსახლებელი ადგილი); **უწვერო** (ვისაც წვერი არ აქვს) და **უწვერული** (ვისაც წვერი ჯერ არ ამოსვლია); **უცოდინარი** (ის, ვინც უსწავლელი მივიღა მეცადინეობაზე) და **უვიცი, უმეცარი** (გაუნათლებელი); **უწიგნო** (წიგნის გარეშე მოსული, უწიგნოდ დარჩენილი) და **უწიგნური** (გაუნათლებელი).

„უქონლობის ზოგი სხვა ფორმა მეტად განსხვავებული სემანტიკისაა. ასეთებია: **უნახავი და არნახული; უიმედო და არასაიმედო; უსრული და არასრული**“ (ბასილაია 1991:183).

მაგალითად: ქალაქის ბევრი ღირსშესანიშნაობა **უნახავი** დამრჩა; მისმა გამოჩენამ **არნახული** მხიარულება გამოიწვია ხალხში. ან კიდევ: წერს, ტეხს, გრეხს **უსრული** ასპექტის ფორმებია; სია წარმოგიდგინეთ, მაგრამ **არასრული**.

**დ) დანიშნულების და ხელობის სახელთა პარალელური ფორმები**

**დანიშნულების სახელები** იწარმოება **სა, სა- ე, სა- ო** ფორმანტებით, მაგრამ პარალელური ფორმები მნიშვნელობითაც განსხვავებულია. მაგ.:

#### **საპილოტე და საპილოტო**

**საპილოტე** - პილოტისთვის განკუთვნილი (საპილოტე ფორმა); **საპილოტო** - რისი პილოტირებაც უნდა მოხდეს, რაც უნდა გამოიცადოს, შემონმდეს (საპილოტო პროგრამა).

#### **საცოლე და საცოლო**

**საცოლე ქალია, საცოლო კი** - ცოლმოსაყვანი ვაჟი.

#### **მესაზღვრე და მოსაზღვრე**

**მესაზღვრე** - საზღვრის მცველი ჯარისკაცი; **მოსაზღვრე** - სახელმწიფო, კუთხე, დისციპლინა.

#### **მევალე და მოვალე**

**მევალე** - ვისი ვალიც მართებთ; **მოვალე** - ვისაც ვალი მართებს.

#### **1.5. ზმნა. პირის ნიშნების სტილისტიკური ფუნქციები**

თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით ირიბობიექტური პირის ნიშნები ჰართული და ორპირიან გარდამავალ ზმნებში ზედმეტია, სამპირიანში-აუცილებელი. ეს ნიშნები არ იწერება ვ, რ, ლ, მ, ნ, ზ, ს, უ, შ, ღ, ხ, ხერებით დაწყებულ ზმნებთან.

ნიშნიანი და უნიშნო ფორმები განხვავდება პირიანობითაც. მაგ.: **დანერა** (მწერალმა წიგნი) და **დასწერა** (მღვდელმა წყვილს ჯვარი); **მოწყვიტა** (ელექტრ ყვავილი) და **მოსწყვიტა** (ბეჭმა ქეთობის მშობლიურ გარემოს); **დასდო** (მან მას პატივი) და **დადო** (მან წიგნი); **გადასდო** (მან მას სენი) და **გადადო** (მან საქმე); **დაჰკიდა** (მან მას მედალი) და **დაკიდა** (მან პალტო); **ატეხა** (ჩხუბი) და **ასტეხა** (კუნძს ქერქი); **გაკრიჭა** (მან ბალახი) და **გაჰკრიჭა** (მან მას თმა); **ჩამოჰგლიჯა** (მან მას ნიღაბი), **ჩამოგლიჯა** (მან ფარდა); **ჩამოსტეხა** (მას კაკალმა კბილი), **ჩამოტეხა** (მან ყინული); **ტყორცნა** (სპორტსმენმა ბადრო) და **სტყორცნა** (მზემ ფანჯარას სხივი), კვეთს ის მას (გზას), ჰკვეთს ის მას მას.

**გამონაკლისებია: ასწია, სძინავს, დასძინა, გასტანა, გამოსცა....**

მხატვრულ ლიტერატურაში მწერლის ნებაა, გამოიყენოს თუ არა ობიექტური პირის აღსანიშნავად ჲ, ს პრეფიქსები. კონსტანტინე გამსახურდია ერთ-ერთი ლექსის სათაურის შესახებ აღნიშნავდა, რომ „ჰყვავის გურია“ კი არა, „ჰყვავის გურია“ სწორი ფორმა, გურულები კი სამართლიანად მისაყვედურებდნენ: გურია ყვავის კი არა, საქართველოსიაო. მის შემოქმედებაში კი „ჲ, ს პირის ნიშნები სიტყვის ორნამენტებადაა ქცეული, როგორც ტაძრებისთვის ნაირსახოვანი ჩუქურთმები“ (ჯორბენაძე 1987:183). ისინი სტილიზაციას, კერძოდ, არქაიზაციას ემსახურება და ამდენად, საჭირო და აუცილებელია. ამ პრეფიქსების ხმარება თვალში საცემია ქართველი რომანტიკოსების, ილიას, ალ.ყაზბეგის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას შემოქმედებაში: მამი, **დაჰბერდი**, მეურმობაში ვეღარ გამოდგები (ილია); რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან **ჰრეს** კვალი განათლებული (ილია); უეცრად **ასტყდა** რამ ნიავ-ქარი (იქვე); **ასტყდებოდა** ჩივილი,

ვაჭრობა, ღიჯინი (ჯავახ.); ღვინით შებრუუბული ჯაყო შესდგა და უარესად აყვირდა (იქვე); თათრის სიმღერა **სტირის**, ჰკვნესის და უნუგეშო მოთქმით **ჰგლოვოპს** (იქვე).

ამრიგად, მხატვრულ ლიტერატურაში ჰ, ს თუ პრეფიქსები გრამატიკულად არაა შეპირობებული, სტილისტიკური ფუნქცია ეკისრებათ.

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ მაგალითები და იმსჯელეთ, სადაა პირის ნიშნები გრამატიკულად შეპირობებული და სად სტილურად:**

1. არა, მშვენიერება მას არა სჯობია (ლეონ.);
2. ნეტავი არავინ შესაწყვიტოს ის უხილავი საბელი (ჯავახ.);
3. კარგია გაღვიძებული ადამიანი! მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა (ილია);
4. ბუღალტრის მოლოდინში ზედიზედ მოსწია სამი სიგარეტი (დოჩან.);
5. ყველა გაჩუმდა, დასწყნარდა;
6. ამ სიტყვებზე აჩიკო დალონდება და ბებოს შორიდან გასცერის (ბიბილ.);
7. ჯაყომ რამდენიმე ქათამი და ინდაური დაჲკლა, ქვევრსაც კი თავი აპხადა და თავის სტუმრების საჩვენებლად (ჯავახ.);
8. ყველაფერი თოფრაში ჩასდო (გოთ.);
9. ბევრი სძინავს ჩვენს დედაკაცებს, ალმასგირ (ქიაჩ.);
10. მავალებმა იმ ორ ადამიანს აჲხედ-დაჲხედეს და გაიღიმეს (ჯავახ.).

#### **1.6. დროის ფორმათა სტილისტიკური ფუნქციები**

ა) **ახლანდელი დრო**, ჩვეულებრივ, გაღმოგვცემს საუბრის მომენტში მიმდინარე მოქმედებას, მაგრამ მან შეიძლება გამოხატოს განზოგადებული დროც: აქ მუდამ მზე ანათებს და თან საამური სიოც ქრის- ამ წინადადებაში ზმნის დრო ახლანდელია, მაგრამ განზოგადებულია.

**ახლანდელი დრო** შესაძლოა წარსულში მომხდარ მოქმედებაზეც მიუთითებდეს: ისინი დიდი ხანია ერთად დადიან ექსპედიციაში; ერთხელ ვნახე, რომ ჩვენს ბეღელთან ტურა დგას! ვუყურებ და რას ვხედავ! მთელი სამეზობლო ჩვენკენ მოდის!

**ახლანდელი დროის ფორმამ** შეიძლება მომავალი დროც გადმოსცეს: ორ კვირას აქ ვრჩები და შემდეგ ისევ ქალაქში მივლივარ.

**ბ) წარსული დროის ფორმამ** შეიძლება აწმყო დროის მოქმედებაც გადმოგვცეს: -

პატიოსანი სიტყვა მომეცი.

- **მომიცია** (ე. ი. გაძლევა).

თუ შენ ვერ მორევიხარ მაგ ულაყს, გავცვალოთ ცხენები (გამს.2).

**წარსული დროის ფორმას** შეიძლება მომავალი დროის გაგებაც დაეკისროს: **აბა, წავედით...**

-**აბა, სწორედ!** **წავსულვარ** და გამიკეთებია, ამ წინადადებაშიც წარსული დროის ზმნები მომავალ დროს გამოხატავს: **არც წავალ და არც გავაკეთებ!**

**გ) მყოფადის ფორმა ახლანდელ დროსაც გამოხატავს:**

ხან ასეც ხდება, **დაიყვირებს** და გულს გაგიხეთქავს; მის საკუჭნაოში რას არ **წახავ**, რას არ **ილონებს**, რას არ **გააკეთებს**, ოღონდ ყველაფორის თადარიგი დაიჭიროს, ყველაფერი ჰქონდეს! ნემსის ყუნწში **გაძვრება** და არავის არაფერს არ **მოსთხოვს**; ძროხებს **მოწველი**, ყველს **ამოიყვან** და დრო ისე გადის, ხმიადის წატეხვაც **გავიწყდება** (მიშვ.).

#### **1.7. კილოს ფორმათა სტილისტიკური ფუნქციები**

**ბრძანებითი კილო.** განსხვავებული სტილისტიკური ელფერი ახლავს აკრძალვითი ბრძანებითის წინადადებებს, რომლებშიც სხვადასხვა ნაწილაკია გამოყენებული: ამის შესახებ **ნურაფერს** ჰკიოთხავ, უხერხულია! არ ჰკიოთხავ ამის შესახებ რამე, უხერხულია; არ აჩვენო ჩვენი ახალი ფოტო! ჩვენს ახალ ფოტოს **ნუ აჩვენებ!** ან კიდევ: **ჰკიოთხე რამე; გეკიოთხა რამე!** შეჰკიოთხებოდი, რა იქნებოდა!

**თხრობითი კილოს** ფორმები შეიძლება **კავშირებითის** ფუნქციებსაც ასრულებდეს. მის ნიმუშები უხვად გვაქვს წყველის ფორმულებში: **დაგექცა დაპადება!** **დაგექცეს დაპადება!** არ გაუთენდა დილა! არ გაუთენდეს დილა!

განსხვავებული სტილისტიკური ძალა აქვს უარყოფის გამომხატველ კონსტუქციებს, ზმნის ორგანულ და აღწერით ფორმებს: **არ წავალ და წამსვლელი არ ვარ;** **არ ვიტყვი და არაფრის მთქმელი არ ვარ.** უკანასკნელ ფორმებს კატეგორიულობის ბეჭედი აზის. მაგ.: მაგათ სინდისტე იყოს, ყოველ შემთხვევაში, მეორედ ჩამომვლელი რომ არ ვარ, ხატზე დავითიცები (მიშვ).

### **1.8. ზმნისნინის სტილისტიკური ფუნქციები**

ზმნისნინთა გამარტივების შემდეგ მათ ფონეტიკურ ვარიანტებს ზოგ სიტყვაში მნიშვნელობათა განმასხვავებელი ფუნქცია მიენიჭა: **განდიდება და გადიდება;** **წარმატება და წამატება;** **გადატეხა და გარდატეხა,** **წარსული და წასული,** **განვლილი და გავლილი,** **წარუშლელი და წაუშლელი;** **განდიდება და გადიდება;** **განსვენება და გასვენება,** **ალდგომა** (რელიგიური დღესასწაული) და **ადგომა.**

გაავითარა და განავითარა; აიკვეთა და ალიკვეთა; გაახორციელა და განახორციელა; აიმაღლა და ალიმაღლა; გააცალკევა და განაცალკევა წყვილების პირველი ცალები ახალია, მეორე- ძველი, მაგრამ უფრო ექსპრესიულია, ისინი არქაიზაციის მიზნითაც გამოიყენება.

მნიშვნელობით განსხვავებულია სხვადასხვა ზმნისნინდართული ფორმები: **შესვენება,** **გასვენება და დასვენება;** **აგება** (სახლის), **მოგება** (ფულის, სარვებელი), **წაგება** (ზარალი), **ჩაგება** (ქარქაში ხმლის), **წამოგება** (ანკესზე), **გადაგება** (ხალიჩის, კაცის გადაგება- გარდაცვალება).

გაახურა და **შეახურა,** **დაეძინა და მიეძინა,** **მიეხუტა და ჩაეხუტა;** **დამნიფდა და შემნიფდა** მოქმედების ხარისხით განსხვავდებიან.

**მო- და შე-** ზმნისნინები ოდნაობითობას გადმოგვცემენ, მაგ-

რამ **მომწიფებას** იტყვიან ყრმის ან სიტუაციის შესახებ, **შემწიფდას** - ხილის შესახებ.

### **1.9. ვნებითი გვარის პარალელურ ფორმათა სტილისტიკური ფუნქციები**

ავ თემისნიშნიანი მოქმედებითი გვარის „წვავს“ ზმნას ორი მნიშვნელობა მოეპოვება: 1. ცეცხლს უკიდებს, ბუგავს, ცეცხლით სპობს; 2. ცეცხლზე ძალიან აფიცხებს. იგი ვნებითში ორ ვარიანტს იძლევა: **იწვის და იწვება.** ქეგლ-ის მიხედვით ისინი სრული სინონიმებია, მაგრამ მათ შორის მაინცაა სემანტიკური სხვაობა: ჩვენი სახლი იწვის... ჩვენ გვწვავდნენ და ჩვენ არ ვიწოდით, ჩვენ მტრის დახვედრა ვიცოდით (იწვის- თორი; იწვება – ჯარითს).

ხორცზე, კარტოფილზე, ერბოკვერცხზე თანამედროვე ქართულში მხოლოდ მაშინ ითქმის **იწვის**, როცა ისინი ზედმეტი წვით საჭმელად გამოუსადეგარი ხდება. სხვათა შორის, რუსულშიც თორი სწორედ ამ შემთხვევაში ითქმება ხორცსა და და მისთანებზე.

იქ, სადაც ზმნისნინის გამოყენება ხდება შესაძლებელი, მნიშვნელობათა განსხვავება სწორედ მას აკისრია: **იწვის-დაიწვა,** მაგრამ **იწვება – შეიწვა.** შდრ.: **იწვის- დაიწვის-დაიწვება-შეიწვება...**

მნიშვნელობისთვის „იწვება“, ჩვეულებრივ, **შე-** ზმნისნინი გამოიყენება, იშვიათი ხმარებისაა – **მოიწვება.** მნიშვნელობისთვის „**იწვის**“ ამ მხრივ უფრო ფართო არჩევანია: **დაიწვის, ჩაიწვის, გადაიწვის, ამოიწვის.** შესაბამისად: **დაიწვება, ჩაიწვება, გადაიწვება, ამოიწვება.**

**ანალოგიურია:** **იწირვის** (წირვა მიმდინარეობს) და **იწირება** (მსხვერპლი ედება); **ესხმის** (ილაშქრებს ვინმეს ნინააღმდეგ) და **ესხმება** (ესხმება რამეზე), **ისხმება** (ვინმესთვის). ქეგლ-ში ეს ორი ფორმა სინონიმურია, მაგრამ განსხვავება ხელშესახებია: **ესხმოდა ჯარი თავს;** ნამი ესხმოდა **მწვანე ფოთლებს.**

ვნებითის **პარალელური,** **პრეფიქსული და სუფიქსური ფორმებიც** დაპირისპირებულია: **ეხერხება** (ნიას ცხობა) – და

**ხერხდება** (გადაადგილება); **გაინაზება** და **განაზდება** (ნაზი გახდება), **იუანგება** (უანგით იფარება) და **უანგდება** (უანგიანი ხდება); **მომზადა** (სტუდენტი გამოცდისთვის) და **მომზადდა** (პროექტი). **სუფიქსური** წარმოების ფორმები გამოხატავენ **გარდაქ-ცევითობას**, პრეფიქსური - **ინსტრუმენტატივს**.

#### 1.10. თემის ნიშანთა მონაცვლეობა და მათი სტილისტიკური ფუნქციები

ერთმანეთისგან განსხვავდება სხვადასხვა თემის ნიშანმონაცვლე ფორმები. მაგ.: **ებ//–ობ აცხებს** (ზეთს) – **აცხობს** (ქადას); **დაინტებს** (სწავლას) – **დაინტობს** (სურათებს, წიგნებს); **შეიგრძნებს** (ის რაღაცას) – **შეიგრძნობს** (იგრძნობს).

**მოქმედებს – მოქმედობს** ზმნები ერთპირიანებია, მაგრამ -**ებ** სუფიქსიანი ვარიანტი აშკარად აქტიურ შინაარსს, რაღაც ობიექტზე ზემოქმედებას გულისხმობს (მოქმედებს მასზე), ხოლო ობიანი ვარიანტი პასიური შინაარსისაა: **მოქმედობს** არა ვინმეზე, არამედ თავისთვის საქმიანობს.

**ავ//ებ მართავს** (ანა მანქანას) და **მართებს** (ის მ ას რაღაცას, ან მას მისი ვალი).

**შხამავს და აშხამებს** ფორმებს შორის განსხვავებას არსებითად ა- პრეფიქსის ქონება-უქონლობა ქმნის: **შხამავს** (შხამით მოქმედებს) **ინსტრუმენტატივს** გამოხატავს, **აშხამებს** (შხამად უქცევს) - **გარდაქცევითობას**.

განსხვავებულია ასევე ფორმები: **ავ //ობ წამლავს** (საწამლავი კაცს) და **წამლობს** (ექიმბაში დაავადებას); **ავ //ი ხრავს** (თავი კაკალს) – **ხრის** (ფრთებს); **ევ //ობ აჭდევს** (ჭდეს უკეთებს, ამოკვეთს, აჩნევს) და **აჭდობს** (ორ საგანს ერთმანეთში მჭიდროდ სვამს, ამაგრებს, ხელებს, თითებს ერთმანეთზე ამაგრებს).

#### 1.11. კაუზატივის პარალელური ფორმების სტილისტიკური ფუნქციები

კაუზატივის პარალელური ფორმები ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდება: **აკითხებს** წიგნს, წერილს, **აკითხვინებს** –

**შეკითხვას** მიაცემინებს, ვინმესთვის აკითხვინებს რამეს. ანალოგიურია **ასუნთქებს** და **ასუნთქვინებს**, **აყვინთებს** და **აყვინთვინებს**, **აყლაპებს** და **აყლაპვინებს**...

#### 1.12. მიმღეობის პარალელური ფორმების სტილისტიკური ფუნქციები

ქართული განსაკუთრებით მდიდარია მიმღეობის პარალელური ფორმებით. არსებობს ტენდენცია მიმღეობის მანარმოებლები განაწილდეს ფუძეების მიხედვით, მაგრამ ხშირად ერთი და იგივე ფუძე სხვადასხვა მანარმოებლითა გაფორმებული, რაც გვაძლევს მიმღეობის პარალელური ანუ სინონიმური წარმოების ფორმებს. ა. შანიძე წერდა: „არსად არ არის ერთმანეთში ისე არეული სხვადასხვა კილოსა და ეპოქის ქონება, როგორც მიმღეობის ფორმებში“ (შანიძე 1953: 588). მონაცვლე ფორმებს შორის განსხვავება კარგად ჩანს ჯერ კიდევ ძველ ქართულშიც:

1. მონაცვლეობს ა. **ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები:** წერილი და დაწერილი; სამოსელი და შესამოსელი (გამ. 29, 21); პყრობილი და შეპყრობილი (ი, 20, 23); საცავი და დასაცავი (ლევიტ. 22, 9).

უზმნისწინო სამოსელი, პყრობილი (პატიმარი), საცავი და მისთანა ბევრი მიმღეობა გაარსებითებულია, გამონაკლისია **შესანირავი**.

ბ. მონაცვლეობს ასევე სხვადასხვა **ზმნისწინდართული** ფორმები: ალწერილი და დაწერილი (ი, 21, 25); **შერაცხილი** და ალრაცხილი; ალგებული და დაგებული (ეზეპ. 23, 41). **შერაცხილი** დიდებულს, მიჩნეულს, მთავარს ნიშნავს, ალრაცხილი კი დათვალიერებული, დათვლილია.

2. მონაცვლეობები პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების მიმღეობები:

**შესყიდული** (მამული) // **ნაყიდი** (ლვინო); **ნასწავლი** კაცი და **სწავლული**; **ნანახი** და **ნახული**; **ნაცნობი** და **ცნობილი**.

უხსოვარი დროიდან ერთმანეთის გვერდიგვერდ იხმარება ფორმები: **შვილი** (გაარსებითებულია), **შობილი** და **ნაშობი**, მაგ-

რამმათ ნებისმიერ კონტექსტში ვერ შევუნაცვლებთ ერთმანეთს.

### 3. პრეფიქსული და სუფიქსულ-სუფიქსური წარმოების მონაცვლეობა

**საჩეჩი** (რაც უნდა ჩეჩინ) და **საჩეჩელი** (რითაც უნდა ჩეჩინ);

**სათალი** (რაც უნდა გაითალოს) და **სათლელი** (რითაც უნდა გაითალოს);

**საჭარი** (რაც უნდა დაიჭრას) და **საჭრელი** (რითაც უნდა დაიჭრას);

**სახნავი** (რაც უნდა მოიხნას) და **სახნისი** (რითაც უნდა მოიხნას).

აქვე განვიხილავთ **საჭმელსა და ჭამადსაც**: „საჭმელიცა და ჭამადიც მნიშვნელობით თითქოს ერთნაირია, მაგრამ ... საჭმელი არის ის, რასაც ჭამენ, ჭამადი – რაც იჭმევა“ (აქვს პოტენციალის-ის გავება) - წერს ეკ. ოსიძე (ოსიძე 1956: 167).

პარალელური ფორმების არსებობით ხსნიდა ივანე იმნაიშვილი იმ ფაქტს, რომ „**ჭამადმა>ჭალმა** მნიშვნელობა დაივინწროვა და იგი მარტო სიმინდისგან გამომცხვარ საჭმელს ნიშნავს“ (იმნაიშვილი 1967: 167).

**შესავალი** - დასაწყისი ნაწილი; **შესასვლელი**- ადგილი, საიდანაც შეიძლება შესვლა;

**შემოსასვლელი** - კარი; **შემოსავალი**- ფულადი ან მატერიალური სახსარი.

**მოსავალი** - ჭირნახული; **მოსასვლელი**- ვინც ან რაც უნდა მოვიდეს.

**გასასვლელი** - ადგილი, საიდანაც შეიძლება გასვლა; **გასავალი** - ხარჯი.

### მაცხოვრებელი და მცხოვრები

**მაცხოვრებელი** შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ მატერიალური წელგამართულობის აღსანიშნავად. „კარგი მაცხოვრებელია“ ნიშნავს, რომ შეძლებული ოჯახია. ხოლო თუ რომელიმე დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებზე ვსაუბრობთ, ასეც უნდა ვთქვათ - ქალაქის ან სოფლის **მცხოვრებიაო.**

### 4. პრეფიქს-სუფიქსიან მიმღეობათა მონაცვლეობა

პარალელური მიმღეობები - **მსაჯული და მოსაჯული** თავდაპირველად ერთი და იმავე სემანტიკისა იყო, შემდეგ კი გაიმიჯნა: **მსაჯული** ძველ ქართულში მოსამართლეს ნიშნავს, **მოსაჯული** – მომჩივანს.

იყავ მართლ განმზრახველ მოსაჯულისა შენისათვს ადრე, ვიდრე გზასაღა იყო მის თანა, ნუუკუ მიგცეს **მოსაჯულმან** მან მსაჯულისა (ზ. 5, 25 ჩ.).

**მ-ელ//მა-ელ** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობები: **მშენებელი და მაშენებელი** სტილისტიკურად განსხვავებულ ელფერს ატარებენ. შდრ. **დამახასიათებელი** (თვისება) – **დამხასიათებელი** (პირი). ანალოგიურია **მასესხებელი** (ვინც ასესხა) და **მსესხებელი** (ვინც ისესხა).

5. მონაცვლეობები თვით **სუფიქსური წარმოების (-ილ და -ულ სუფიქსიანი)** მიმღეობებიც:

**ჩაკერილი** (რაც ჩაკერეს) და **ჩაკერებული** (რაც ჩაკერეს);

**შეგროვილი** (ვინც, რაც შეგროვდა) და **შეგროვებული** (ვინც, რაც შეაგროვეს);

**გამოძახილი** (ექო, გამოხმაურება) და **გამოძახებული** (ვინც გამოიძახეს);

**შეფარული** (დაფარული შიში) და **შეფარებული** (შეკედლებული);

**დაფარული** 1. რაც დაფარეს ან დაიფარა; 2. დამალული, გაუხმაურებელი 3. გადახდილი ვალი, სესხი; **დაფარებული** - რაც დააფარეს, ან აფარია; დახურული საბანი, სახურავი;

**დაშაქრული** (რაც დაშაქრეს, შაქრით დაატკბეს) და **დაშაქრებული** (რაც დაშაქრდა).

ავილოთ მიმღეობები **გასათხოვარი** და **გაუთხოვარი**. არც ერთი მათგანი არ ნიშნავს დაქორწინებულს, მაგრამ მათ შორის განსხვავება დიდია: გასათხოვარი არის ის, ვისაც გათხოვების ასაკი აქვს, გაუთხოვარი კი ხანში შესულია, შინაბერაა. **ამრიგად, გასათხოვარი** და **გაუთხოვარი** ვერ შეენაცვლება ერთმანეთს.

ამრიგად, კონტექსტში მიმღეობის სწორად გამოსაყენებლად აუცილებელია ყველა ნიუანსის ზედმიწევნით ცოდნა.

სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ მაგალითები და შემოხაზეთ იმ წინადადებათა რიგითი ნომრები, რომლებმშიც მიმღეობა კონტექსტს არ შეესაბამება:

1. ისეთი კარგი მაწონია, დანით საჭრელი;
2. თქვენი ატამი ჩემსას ჯობია, სახლეჩია;
3. საკუთარი კერის გამანივებელს ყველა აღმაცერად უყურებს;
4. საცოდავს მხოლოდ ჩითის ზენარი ჰქონია დაფარებული;
5. ობლებს ტანისამოსზე საკერებლები ჰქონდათ დაკერილი;
6. დაშაქრული და გაყინული მარწყვი საუკეთესო დესერტია;
7. შენი მურაბა უკვე დაშაქრულა;
8. ფული რამდენიცა შეგროვებული, იმდენი გადავუხადოთ.
9. იმდროინდელი სტუდენტობა ძეგლის გარშემო იყო შეგროვებული;
10. დამნაშავე გუშინ პროკურატურაში იყო გამოძახილი.

## § 2. სინტაქსური სტილისტიკა

სინტაქსური სტილისტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია წინადადებათა შერჩევა რაგვარობის მიხედვით. თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვა-ძახილის წინადადებანი ერთმანეთისგან განსხვავდება აზრობრივი ელფერითაც და ემოციურ-ექსპრესიულადაც. ერთისა და იმავე აზრის გამოსახატავად მარტივ წინადადებას ავირჩევთ თუ რთულს, ესეც სინტაქსური სტილისტიკის საგანია. მოუბარს უამრავი შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს უკეთესი ფორმა სათქმელის გადმოსაცემად, მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვადასხვა აგებულების წინადადებით ერთნაირ სიცხადეს ვერ მივაღწევთ, ზოგჯერ აზრი მარტივი წინადადებით უფრო ნათლად და ექსპრესიულად გადმოიცემა, ვიდრე რთულით, ზოგჯერ კი - პირიქით. ეს კონკრეტულ ვითარებაზეა დამოკიდებული. საერთოდ, უმჯობესია აზრის მოკლედ, ლაკონიურად, მარტივი წინადადებით გადმოცემა, მაგრამ ეს არც

თუ იშვიათად ამძიმებს კონსტრუქციას სახელზმნებით, თანდებულებით, მაშინ როცა ქართული ენისთვის ბუნებრივია აქტიური ფრაზები, სათქმელის ზმნის პირიანი ფორმებით გადმოცემა და არა უპირო ფორმებით და თუკი ორივე წინადადებას ერთნაირი ძალა აქვს, „სტილისტიკურად თანაბარი ძალის წინადადებათაგან რომელიმე ერთის შერჩევა კი უკვე გემოვნების, მეტყველების თავისებურების საკითხია, ისეთი საკითხი, როგორიცაა, მაგალითად, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვების შერჩევა“ (ბასილაია 1991: 262).

როგორც ვიცით, სტილისტიკის საფუძველი არის სინონიმიკა, სინტაქსური სტილისტიკისა კი - სინტაქსური სინონიმები:

1. ერთმაგი და ორმაგი უარყოფის გამომხატველი ფორმები;
2. დადებითი მნიშვნელობის გამოსახატავად წართქმითი და უკუთქმითი ფორმები;
3. მეშვეობზმნიანი და უმეშვეობზმნო ფორმები;
4. ორგანული ზმნა და შედგენილი შემასმენელი;
5. მიზეზის გამომხატველი ფორმები;
6. ერთგარი ფორმების შეცვლა კომპოზიტით;
7. გენიტიური და ატრიბუტული მსაზღვრელების შენაცვლება.

### 2.1. სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია

ქართული არ მიეკუთვნება იმ ენათა რიცხვს, სადაც სიტყვათა რიგს გრამატიკული ფუნქცია ეკისრება. ძველ ქართულში, როცა საკუთარი სახელი მოთხოვობით ბრუნვაში არ დაირთავდა ნიშანს, სუბიექტი წინადადებაში პირველ ადგილზე უნდა მდგარიყო - **აბრამ შვა ისააკ**. თანამედროვე ქართულში სიტყვათა წყობა არაა მკაცრად ნორმირებული, მაგრამ არსებობს წესები, რომელთა დაცვა რამდენადმე აუცილებელია. კერძოდ, „მოკლე წინადადებაში (ორ-სამ, ოთხევრა) შემასმენელი ბოლოკიდურ პოზიციას ამჯობინებს. წინადადების ზრდასთან ერთად ზმნა თანდათან მისი დასაწყისისკენ მიიჩევს, თუმცა ამ „სვლას“ რამდენადმე აფერხებს ზმნის ბუნებრივი ლტოლვა ბოლოსკენ“ (აფრიდონიძე 1986: 13).

ქართულში სიტყვათა წყობა უმთავრესად სტილისტიკური დანიშნულებისაა: წევრთა ტრანსპოზიცია ყოველთვის არ ცვლის აზრს, არამედ ცალკეულ ნიუანსებს, მხოლოდ აზროპრივ ელ-ფერს განასხვავებს. გადასმული სიტყვა გამოიყოფა აზროპრივად, ლოგიკური მახვილის საშუალებით, რაც აძლიერებს ემოციას:

მე ხვალ აუცილებლად წავალ უნივერსიტეტში;  
ხვალ მე აუცილებლად წავალ უნივერსიტეტში;  
აუცილებლად წავალ ხვალ მე უნივერსიტეტში;  
აუცილებლად წავალ მე ხვალ უნივერსიტეტში;  
უნივერსიტეტში ხვალ მე აუცილებლად წავალ.

ზოგჯერ წევრთა ტრანსპოზიცია რამდენადმე ცვლის გადმოსაცემ შინაარსსაც. ავიღოთ წინადადება: **დაკარგულია ორი წლის ბავშვი.** თუ გადავანაცვლებთ წევრებს, შეიცვლება ცალკეული ნიუანსებიც: **ორი წლის ბავშვი დაკარგულია ან ბავშვი ორი წლის დაკარგულია.** უკანასკნელი მაგალითიდან კი ჩანს, რომ ორი წელი გასულა ბავშვის დაკარგვიდან.

ლ. ბრეგაძე წერს: „ერთ სატელევიზიო არხზე სენსაციური მასალა ანონსირებისას ასე დაასათაურეს: პრეისტორიული ცხოველის ჩონჩხი უკვე ნაპოვნია. სინამდვილეში სიტყვათა ამგვარი წყობა იყო საჭირო: ნაპოვნია პრეისტორიული ცხოველის ჩონჩხი. ერთი და იმავე, მაგრამ სხვადასხვაგვარად დალაგებული სიტყვებისგან შედგენილი ეს ფრაზები განსხვავებულ ელფერს გამოხატავს. **პრეისტორიული ცხოველის ჩონჩხი უკვე ნაპოვნია,** ნიშნავს, რომ ამ ჩონჩხს ეძებდნენ და ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვეს კიდეც. ხოლო **ნაპოვნია პრეისტორიული ცხოველის ჩონჩხი** გვაუწყებს, რომ ჩონჩხი შემთხვევით უპოვიათ (ას ეც იყო). ენაში ინფორმაცია მარტო სიტყვებით კი არა, სიტყვათა თანმიმდევრობითაც, დალაგების წესითაც გადმოიცემა.

ერთი ანონსი სხვა არხზე ასე ულერდა: **აფეთქების შედეგად სხეულის დაზიანება რეპორტიორმა მიიღო.** ეს გახლავთ პასუხი შეკითხვაზე: ვინ მიიღო აფეთქების შედეგად დაზიანება? ანონსისთვის მომზადებულ ფრაზაში სიტყვები ასე უნდა დალა-

გებულიყო: **აფეთქების შედეგად რეპორტიორმა სხეულის დაზიანება მიიღო**” (ბრეგაძე 2004:19).

სიტყვათა რიგს შეუძლია გრამატიკული მნიშვნელობის შეცვლაც: გიორგი ნანას ეძახის დედას და გიორგი დედას ნანას ეძახის.

ზოგჯერ სიტყვის გადაადგილება აბუნდოვნებს აზრს, მაგ.: უბრალო დამატების გადაადგილებით ასეთ წინადადებას მივიღებთ: მალე ყველა დაავადებული სიმსივნით განიკურნება. უნდა იყოს: ყველა სიმსივნით დაავადებული განიკურნება.

მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვათა წყობა შეიძლება შეიცვალოს სტილისტიკური ფუნქციით. ამ ხერხს ინვერსია ენოდება. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, რომ „სინტაქსი შემოქმედის სულის ორიგინალური გამონათებაა. სიტყვა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არავის ეკუთვნის. შეიძლება კ. გამსახურდიასთან X თუ Y სიტყვა იყოს აქცენტირებული, რაც მის განუმეორებელ ხასიათს ავლენს, რითაც უპირისპირდება შაბლონს და ერთფეროვნებას, მაგრამ მწერალს ამჟღავნებს სინტაქსი... . კ. გამსახურდიამ შეცვალა ფრაზის აგების წესი, უარყო ბუნებრივი მეტყველების ფორმა“ (სიგუა 1989: 138). მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

„საჩიხეში **შეიყვანა** გირშელი მეფემ“; „ქოსსა **ჰკრეს** ქორსატეველას ციხეში“; „მე ბედი მაქვს ასეთი, ჩემი სიყვარული განწირულს ეკუთვნოდა მუდამ“... „ველის ყაყაჩოსავით **შეუწითლდა** ლაწვები ქალს“. თვალებიდან ი**ელვა** ზღვისფერმა სილურჯემ“. ზემომოყვანილ წინადადებებში კ. გამსახურდიას შემასმენებლი წინ გადმოაქვს, რითაც იქცევს მკითხველის ყურადღებას, მაშინ როცა ქართულში ნორმაა შემასმენლის პოსტპოზიცია: „იმის გამო, რომ შემასმენელი წინადადების აზრობრივი და ფორმობრივი ღერძია, როგორც გამონათქვამის მიზანი, წინადადების ბოლოს ამჯობინებს ყოფნას“ (აფრიდონიძე 1986: 13).

„გრ. რობაქიძის ენაში კი, როცა გამონათქვამის მიზანი არის არა მოქმედება, არამედ მოქმედი, ქვემდებარე ბოლოკიდურია. ამ შემთხვევაში მოქმედებს მარტივი ფსიქოლოგიური მომენტი - ბოლო უფრო გვამახსოვრდება, ყურადღება მასზე ჩერდება.“

მაშასადამე, ინვერსიული რიგი, შემასმენელი+ქვემდებარე შესა-ნიშნავი ენობრივი საშუალებაა ავტორის ჩანაფიქრის განსახორ-ციელებლად“ (ინჯია 2004: 15).

მხატვრულ ლიტერატურაში სტილისტიკური დატვირთვა აქ ვს შემასმენლისა და ვითარების გარემოების გათიშვასაც: საჭი-როდ დაინახეს, ეცნობებინათ როგორმე ეს ამბავი ქალისთვისაც (ბარნ.); შტრაფილმა აღუთქვა, ეცნობებინა როგორმე ქალის-თვის, რომ საამს თავი გადაუდვია მისთვის (იქვე).

## 2.2. განსხვავებული მოდალობის წინადადებათა სტილის-ტიკური ფუნქციები

მოდალობის, ანუ რაგვარობის მიხედვით განსხვავებენ წინადადების სამ ტიპს: **თხრობითს, კითხვითსა და ბრძანებითს.** „თითოეულ მათგანს შეიძლება ახლდეს ესა თუ ის ემოციური იერი ან გამოხატავს საკუთრივ მთქმელის ძლიერ გრძნობას. ამ ის მიხედვით გამოიყოფა ძახილისა და კითხვა-ძახილის წინადა-დებანი. თითოეულ ტიპში კიდევ რამდენიმე სახეობაა: ბრძანები-თი წინადადება შეიძლება გამოხატავდეს არა მარტო საკუთრივ ბრძანებას, არამედ თხოვნას, რჩევას, გაფრთხილებას, მოწვევას“ (კვაჭაძე 1966: 24). სათქმელის გამოსახატავად რომელი მოდა-ლობის წინადადებას ავირჩევთ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული, მაგ-რამ მათ შორის განსხვავებას თვალნათლივ დავინახავთ, თუ შევ-ცვლით რაგვარობას, ან რაიმე ნიუანსს. მაგ. წინადადებანი: **ნეტა აგრე არ ანებივრებდე მაგ ბავშვს; არ გაანებივრო ბავშვი! და ნუ გაანებივრებ ბავშვს ერთსა და იმავე სათქმელს სრულიად სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს.**

უარყოფა შეიძლება გამოიხატოს წართქმითი ფორმითაც: უკ-უთქმითი თხრობითი წინადადებების ნაცვლად სტილისტიკური დანიშნულებით გამოიყენება ძახილის წინადადებები, რათა უფ-რო ემოციურად და ექსპრესიულად გადმოიცეს უარყოფა: **აბა, ერთი თუ მითქვამს, წარბშებრით თუ შემიხედავს, ნეენა თუ გა-მივლია გულში!** (მიშვ.) [შდრ.: არასოდეს მითქვამს, წარბშებრით არასოდეს შემიხედავს, წყენა არასოდეს გამივლია გულში].

**ლავრენტი შინ არის, ძალლს ვის დაუტოვებს, სად წავა!** (მიშვ.) [შდრ.: ლავრენტი შინ არის, ძალლს ვერავის დაუტოვებდა, ვერსად წავიდოდა.]

ამრიგად, სხვადასხვა მოდალობის წინადადებებს განსხვავე-ბული ემოციური ელფერი ახლავს და შესაბამისად, ისინი ერთ კონკრეტულ კონტექსტში შეეფერება.

## სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ მაგალითები, შეცვალეთ წინა-დადებების მოდალობა და დააკვირდით ექსპრესიას:

1. იქნებ მოგვშველებოდით ბოგის დასუფთავებაში (მიშვ.);
2. ნეტა ეგრე არ ანებივრებდე მაგ გოგის! (ბარნ.);
3. შე კაი კაცო, განა ადამიანის საცხოვრებელი არის ეს ნან-გრევები? (იქვე);
4. რა გაღრიალებს! მე ამოვიდე! – კარებში მხატვრის მეუღლე, ქალბატონი ლოლა გამოჩნდა (მიშვ.);
5. ნუ მასხარაობ, შენ რა იმნაირი ხომ არ გვინივარ? (იქვე);
6. ჯერ ერთი, მე ამის გაკეთება რა მეხერხება!
7. კაბელი უნდა გამოიცვალოს, დიდი დამცველები უნდა და-ყენდეს და საერთოდ შეკავენ გასარემონტებელია, -- თქვა ელექ-ტრიკოსმა (მიშვ.);
8. ნუთუ ასე გაუგებრად ვლაპარაკობ? ჩვენ ჩვენი მოგვივა (იქვე);
9. შენ მაგის ჯავრი ნუ გაქვს (იქვე);
10. თქვენი ავტორიტეტის ანევისთვის ციხეში ვიჯდეთ, ჩვენ, უდანაშაულო ადამიანები? (იქვე).

## 2.3. შერწყმული წინადადების სტილისტიკური ფუნქცია

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებად ხმარობენ სი-ტყვებს, რომლებიც ერთგვარი არიან სინტაქსურად და ერთი და იგივე მეტყველების ნაწილებია: იგი ნამდვილი მოხუცია გარეგ-ნულადაც და ასაკითაც. ეს სტილისტიკური შეცდომაა, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება სტილისტიკურ საშუ-ალებად: ასე ხმაურობს პოეზია, ვეფხვი და ქარი (გალ.). ასეთი რამ ხშირად კომიკურ ელფერსაც ატარებს: ყველაფერი კარგად

დაიწყო, მაგრამ ბოლოს ერთმანეთში აირია ყველაფერი: თეფშები, ყვავილები, კივილი, ცეკვა, სადღევრძელოები, გინება.

სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდ მიუთითებენ ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებების სტილისტიკურ ფუნქციებზე: „ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებების უხვად გამოყენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ასეთი წინადადებები თხრობას უფრო დინამიკურს ხდის, ხოლო დინამიკური თხრობით ავტორი მეტ ემოციურობას ანიჭებს და სურათოვნებას მატებს გადმოსაცემ აზრს“ (შალამბერიძე 1966: 142). მკვლევარი ამას იმითაც ხსნის, რომ ილია ზმნას განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა: „განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა, რომელიც ჩვენის ფიქრით ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლა-და გასაკვირველი ფორმები“ (ილია V:93).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ წინადადებათა სიუხვე განსაკუთრებით დამახასიათებელია პერსონაჟთა მეტყველებისათვის: რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა, ... სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზე დაგვსვა (ილია „სარჩობელაზედ“); მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაპარა სალდათის შეოლაში თუქურმიშაზედ (იქვე); ხელით ჰერაკლი, სოოხნის, ჰერაკლიას, სოესს და ჰერეფს ხოლმე (ილია „ოთარაანთ ქვრივი“).

ის არც ავტორისეული მეტყველებისთვისაა უცხო: ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰერაკლია იმის სულის საცხონებლად და ყოველწლივ ანირვინებდა (იქვე); დარეჯანმაც მოიხედა ამ ხუმრობაზედ და დაინახა კნეინა ელისაბედი და იმის ჩითმერდინით დარბეული, გულდაჩაგრული გოგო („კაცია-ადამიანი?!“).

გვხვდება სხვა ტიპის შერწყმული წინადადებებიც: გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამინაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ („სარჩობელაზედ“); გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა (იქვე); გულქვა მეფე მეტად ზვიადი და თვინიერია შორენასადმი (გამს.).

#### 2.4. რთული წინადადების სტილისტიკური ფუნქცია

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გასათვალისწინებელია 1. დამოკიდებული წინადადების ადგილი; 2. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ასახსნელი წევრის ადგილი მთავარში; 3. ქვემდებარის ადგილი; 4. ნაცვალსახელის გამოყენება ქვემდებარედ მთავარ წინადადებაში; 5. მოქმედებათა ერთდროულობა; 6. დამოკიდებული წინადადების ბუნება; 7. კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების მართებულად გამოყენება.

სინონიმურია უკავშირო და კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებანი. „ქარი ქროდა, თოვდა, ნამქერი ტრიალებდა“. შდრ.: „ქარი ქროდა, თოვდა და ნამქერი ტრიალებდა.“

განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი სინონიმია რთული წინადადების მარტივად შენაცვლებისას. ავილოთ ანდაზა: **მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.** გადავაკეთოთ რთულ ქვეწყობილ წინადადებად: კატა, რომელიც ჩხავის, თაგვს ვერ დაიჭერსო. ამნაირად აგებული წინადადება მოკლებულია იმ გამომსახველობას, რაც პირველში თვალნათლივ ჩანს.

„ქართულისთვის ორივე სახის წინადადება ბუნებრივია, ოღონდ ისინი თანაბარი რაოდენობით არ გამოიყენება“, - წერს რ. შამელაშვილი (შამელაშვილი 1988: 109).

ეს საკითხი დაამუშავა ვ. თოფურიამ. ის წერს: „ ამგვარ წინადადებათა შემცველი თხრობა უფრო ეკონომიურია, ცოცხალი და საკითხავად სახალისო, სამაგიეროდ, დასამახსოვრებლად უფრო ძნელია. ასეთი თხრობის სტილი თავისებურია, განსხვავებულია ცოცხალი სალაპარაკო ენისგან“ (თოფურია 1960: 13-14). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებამ შესაძლებელია ფრაზა დაამძიმოს სახელზმნებით.

#### 2.5. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სტილისტიკური ფუნქცია

სხვისი ნათქვამის გადმოცემა წინადადებაში აზრის ემოციურად გამოხატვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. მას უმთავრესად ახასიათებს: 1. სხვისი აზრის, განცდისა და სიტყვების გადმოცემის სიზუსტე; 2. ემოციურობა და ექსპრესიულობა; 3. დამხმარესიტყვებისა და მიმართვის გამოყენება.

პირდაპირ ნათქვამს იყენებენ ციტატად, მას აქვს მხატვრული მნიშვნელობაც, იგი ირიბ ნათქვამთან შედარებით ემოციურია და გადმოსცემს მეტყველის სტილს, დიალექტს; გვიჩვენებს მის რეალურ სახეს: „მეტი გამომსახველობითი ძალა, საერთოდ პირდაპირ ნათქვამს აქვს და არა ირიბს, რომელიც შედარებით ლარიბია და უფერული. ის ემოციურობა, ფერები, რითაც ესოდენ მდიდარია პირდაპირი ნათქვამი, ხშირად არც კი შეიძლება გადმოიცეს ირიბით, ანდა „თუ გადმოიცემა, მხოლოდ დაახლოებით, ერთობ შეცვლილი სახით“ (კვაჭაძე 1950:113).

პირდაპირი სხვისი ნათქვამი გადმოიცემა ნაწილაკით და უნანილაკით. სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად ნაწილაკების გამეორება ტავტოლოგია; ამასთან, ისინი უნდა დაისავს წინადადების ბოლოს და არა შიგნით. უკანასკნელი წესის დარღვევა შეცდომაა, კ. გამსახურდიასთან კი სტილისტიკური ხერხია: „გიორგის შეებრალა და ბრძანა: სასეირნოდ მაინც წამოიყვანეთო ყურძა, თოკით ატარეთო ტყეში“.

იმავე მოვლენას ვხვდებით ვ. ბარნოვის შემოქმედებაშიც: „მეო, თქვა იმან, აქ დამდგომი მაინც არა ვარ, ქვეყნის საქმეც და ჩემი პირადი მოვალეობაც მიწევს ტფილისში და უთუოდ უნდა წავიდეო“ (ბარნ.).

ამრიგად, პირდაპირი ნათქვამი ირიბ ნათქვამთან შედარებით ემოციურია და გადმოსცემს მეტყველის სტილს, თუ რომელი დიალექტის წარმომადგენელია იგი, როგორია მისი განათლების დონე და ა. შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას ყოველთვის ვერ გამოვიყენებთ, მისი პერიფრაზირება აუცილებელი გახდება თავად ნაწერის სტილის გასამართავად.

**სავარჯიშო №1. დააკვირდით, მეტყველების რა ნაწილს დაერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკები და იმსჯელეთ მათ სტილისტიკურ ფუნქციებზე:**

1. იქნებ მერე სხვა კურსი გახდეს საჭიროვო (მიშვ);
2. ბატონო რეზოვო, - ამას წინათ ერთმა მკითხველმა მომწერა (მიშვ);

**3. უკვე მიმელიან მეთქი ჩვენები, - მოვახსენე არმიის გენერალს (გამს.);**

**4. ამას ყოველივეს იგი აკეთებდა ისეთის არტისტული სიმსუბუქით, კაცს ეგონებოდა, ან გიუიაო, ან თავზეხელალებული, სიკვდილის მაძებარი ჩაუქი ვინმე (გამს.);**

**5. აქმდე, ვერ მოვითმინეო, სხვა რომ მეტყოდა, სიცილს დავაყრიდი (იქვე);**

**6. თქვენი ასე მარჯვედ ყოფნა ზანზარეთის იმპერიის ბრალიც არისო (იქვე);**

**7. ჰყითხეს, თავი სადმე ხომ არ მიგირტყამთო და დაშავებულები გაამწესეს სტაციონარში (იქვე);**

**8. დაკეტეთ კარი, არ გაცივდეთო, - მიაძახა შვილებს და წავიდა;**

**9. მეო, - არავისთვის არაფერი არ წამირთმევია და არც არას-დროს ნავართმევო, იფიცებდა ივანე;**

**10. მეო, გაბრაზებით მიახალა, - არავისო ჩემს ჯავრს არ შევაჭმევო.**

## **2.6. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სტილის-ტიკური ფუნქციები**

„განკერძოებული სიტყვების საერთო წიშანი განუკერძოებლისგან განსხვავებით ის არის, რომ მათ მეტი სემანტიკური წონა აქვთ, გამოყოფენ, ხაზს უსვამენ დეტალს, რომელსაც ისინი აღნიშნავენ“ (გვოზდევი 1955: 357).

დამოკიდებული წინადადებით გადმოვცემთ სათქმელს თუ განკერძოებული განსაზღვრებით, ეს ინდივიდუალურია და კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაზე დამოკიდებული. მაგ.: იღია წერს: კაცი, სიცხისაგან დაოსებული, ძლივს სულს იქცევდა („სარჩობელაზედ“); ხალხი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა (იქვე); დაინახა ისევ ის ნაბადში გახვეული, ტანად მაღალი ყმანვილი ბიჭი, თვალებზე ქუდჩამოთხატული (იქვე).

შეცვალოთ ეს წინადადებები განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებებით და დავაკვირდეთ ექსპრესიას: კაცი, რომელიც

სიცხისაგან იყო დაოსებული, ძლივს სულს იქცევდა; ხალხი, რომელიც წუთის წინად სულგანაბული იყო, ეხლა მხიარულად ყაყანებდა; დაინახა ისევ ის ნაპატში გახვეული, ტანად მაღალი ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც თვალებზე ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული.

ზოგჯერ განკერძოება შეუცვლელი ჩანს. მაგ.; „ჩვენ, მძიმედ დაჭრილები, დავრჩით“ (გამს.).

გ. შალამბერიძე წერს: „განკერძოებული განსაზღვრება თავისი შინაარსით უახლოვდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას. ასე რომ, ავტორს განკერძოებულგანსაზღვრებიან წინადადებებში შეეძლო განკერძოებული განსაზღვრების ნაცვლად განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები გამოეყენებინა, მაგრამ წინადადება რომ შეეუმშული და ლაკონიური იყოს, იგი სწორედ განკერძოებულ განსაზღვრებებს ამჯობინებს“ (შალამბერიძე 1966: 147).

შალამბერიძისეული მოსაზრება ზუსტად მიესადაგება ჩვენს საანალიზო მასალასაც- განკერძოებულგანსაზღვრებიანი წინადადებები მეტად ეფექტურია, ვიდრე განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები. მაგალითად:

„პეტრე ერთ-ერთ მათგანთან მივიდა, თვალები ეშმაკურად მოწურა და უთხრა: - ავტომატი თუ გაქვს, კალაშნიკოვის? - გვქონდა, გუშინ გაგვითავდა, იმ კვირაში მივიღებთ, ირონიას მიუხვდა ჩოფურა გამყიდველი და კარგა ხანს ორივენი გულიანად ძიგძიგებდნენ. საერთოდ, პეტრეს წესად ჰქონდა, ღარიბულ მაღაზიას რომ ნახავდა, აუცილებლად იკითხავდა - „კალაშნიკოვის ავტომატი ხომ არ გაქვთო“ (მიშვ.).

ამრიგად, განკერძოებულგანსაზღვრებიან და განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებებს თანაბარი სტილისტიკური ძალა არ აქვს.

## 2.7. ჩართული სიტყვების სტილისტიკური ფუნქციები

ჩართული სიტყვები და წინადადებები ცოცხლად წარმოგვიდგენს მთქმელის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. კაცები კი, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი ადათი, ჯგუფად შეგროვდნენ

(ილია, „გლახის ნამბიბობი“); მეც, როგორც მოგეხსენებათ, გათამამებულ კაცის ამბავი, ვკითხავდი (იქვე); მე, სწორედ ნადირობის ტრფილს რომ იტყვიან, ისა ვარ (იქვე); მოგახსენეთ, ჯამაგირი დიდი ბედენა არ არის („ოთარაანთ ქვრივი“); ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია - თავისებური პიმპილიც მოაყარა ზედ (იქვე).

ჩართულ სიტყვებს და წინადადებებს მწერალი პერსონაჟთა მეტყველებაში უფრო იყენებს. ვიდრე საკუთარში. საერთოდ, ისინი სასაუბრო სტილისათვის უფროა დამახასიათებელი, მათი გამოყენებით კი ავტორი ხალხური მეტყველების ტრადიციას განაგრძობს. ამნაირად აგებული წინადადებები მეტად ექსპრესიულია: აბუანდაძე პროფესიონალი ლოთი გახლდათ და რასაკვირველია, მის კარებს არც საჭვრეტი ჰქონდა, არც ზარი (გამს.); ჩალას და თივას ისე გემრიელად ახრამუნებდა, შენი მოწონებული (მიშვ.); ადამიანები, მართალია, მძიმედ, ყოყმანით, მაგრამ მაინც ისე უახლოვდებიან ერთმანეთს (ქარჩე.).

ჩართული სიტყვები საგანგებო როლს ასრულებს ჯ. ქარჩხაძის პუბლიცისტიკაში (ამის შესახებ იხ. ქაცარავა 2011).

## 2.8. სასვენი ნიშნების სტილისტიკური ფუნქციები

სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებაზე დიდადაც დამოკიდებული წინადადებაში აზრის, გრძნობის ზუსტად გამოხატვა, მაგრამ არსებობს სუბიექტური მომენტები, ალტერნატივა, ავტორმა ინდივიდუალურად გადაწყვიტოს, რომელი წიშანი აირჩიოს; მას შეუძლია სურვილისამებრ: ა) მძიმის ნაცვლად იხმაროს ძახილის წიშანი მიმართვასთან, შორის დებულთან ან მიგებით ნაწილაკთან; ბ) მძიმის ნაცვლად იხმაროს ტირე განკერძოებულ სიტყვებთან; გ) ორწერტილის მაგივრად იხმაროს მძიმე ან ტირე სხვისი ნათქვამის გამოსაყოფად; დ) მძიმის ნაცვლად წერტილი ან წერტილ-მძიმე ან პირიქით, წერტილის ნაცვლად მძიმის დასმა წინადადებათა ჩამოთვლისას.

მაშასადამე, „იმის მიხედვით, თუ რა აზრის გამოხატვა სურს, ავტორი ირჩევს როგორც წინადადების შესაფერის კონსტრუქ-

ციას, ისე დასასმელ სასვენ ნიშანსაც“ (ბასილაია 1991: 365). სას-ვენი ნიშნების დასმით შეიძლება შეიცვალოს წინადადების შინა-არსიც, ამიტომ მათი გამოყენებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ილიას პუბლიცისტურ წერილებში დანართთან ძირითადად მძიმეა დასმული:

„ტფილისი, ჩვენი სატახტო ქალაქი,... ჯერ კიდევ დარღვეულ-სა და დანგრეულს ქვეყანას წარმოადგენს“; „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი იმით, რომ ეგ დიდებული პოემა ... . ჩვენი კაცისგან და ჩვენს ენაზედ დაწერილა; ჯერ კიდევ ბალთა-ში დაპევედრია ერთი აფიცერი არტილერიისა, შუშელი სომეხი“.

იშვიათ შემთხვევაში წინადადების ბოლოს დანართი სხვა წევ-რებისგან ტირთია გამოყოფილი: „მის ნაშთის ნამტკრევებისგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახე-ლი - მამული დავარქვით; ... ისპაპანის გვერდით არის ერთი პატა-რა სახელმწიფო - პორტუგალია“.

ილიასთან გამოიკვეთა ერთი სტილისტიკური ხერხი - გან-კერძოებული დანართის ფრჩხილებში ჩასმა: „ამ ერმა (სომხობამ) საუკუნეთა განმავლობაში დამტკიცა თავისი შეურყეველი ერ-თგულება მართლმადიდებელ აღთქმებისაო; ამბობენ, რომ ეს სა-ზაფხულო სადგომი იყო ქადემის მეფებისა (ხეტტების სატახ-ტო ქალაქია)“ [ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ახვლედიანი 2009].

ამრიგად, სასვენი ნიშნების ხმარების თავისებურებანი ავტო-რის სტილის შემადგენელი ნაწილია, ერთგვარი სტილისტიკური ხერხია.

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ მაგალითები, გაანალიზეთ სას-ვენი ნიშნების ხმარების შემთხვევები და იმსჯელეთ მათი სტი-ლისტიკური ფუნქციების შესახებ; თუ საჭიროა, შეცვალეთ ისინი ალტერნატიული ნიშნით და დაასაბუთეთ ამის აუცილ-ებლობა:**

1. საკვირველია, რომ ეს ჰაზრი მეორე ჩვენმა სასიქადულო მწე-რალმაც თავადმა ჭავჭავაძემ სხვა სიტყვებით გამოთქვა (აკაკი);

2. ამის მაგალითს გვიჩვენებს დავით გურამიშვილი, ავტორი „დავითიანისა“, მეთვრამეტე საუკუნის მწერალი (იქვე);

3. ვიფიქროთ, რომ ილია ჭავჭავაძე, ავტორი „კაცია-ადამიან-ისა“, კარგი, გულკეთილი და მშვიდი მამა არის თავისი შვილებისა (იქვე);

4. საიდანლაც გაჩნდა მელანია, ოთხმოცა წლის ბებერი დედაკა-ცი, რომელსაც უკვდავ-უბერებელს ეძახდნენ და ავ-კაცს (ვაჟა);

5. დედა, ხოშია, ეშველებოდა შვილს და ცდილობდა დაეხსნა გაჭირვებული მდგომარეობიდან (ვაჟა);

6. ხოშია და მისი რძალი ანუკა მიმსხდარიყვნენ ერთ კუთხეში (იქვე);

7. პირველი მკითხავის პირით წმინდა გიორგი - ლაშარის ჯვა-რი - კურატს თხოულობდა (იქვე);

8. მახარემ და ღვთისომ, კარახელის შვილებმა, თმა მოუშვეს ნიშნად გლოვისა (იქვე);

9. ლმერთი შეენიოს და ეს ჩვენი ადგილის დედა, წმინდა გიორ-გი ჩემს ძმისწულებს - გამახარეს ღვთისოს (იქვე);

10. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი, დავით დადიანი, მოყ-ვარული იყო ქართული მწიგნობრობისა (აკაკი).

## 2.9. ორმაგი უარყოფის სტილისტიკური ფუნქცია

წინადადებაში უარყოფითობის ძირითადი გამომხატველი, ცხადია, უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმინზედებია: არავინ, არარა, არაფერი, ვერავინ, ნურავინ, არსად, ვერსად, არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს... როდესაც მხოლოდ ისინია წარმოდგე-ნილი წინადადებაში, ცალმაგი უარყოფა გვექნება.

წინადადებაში უარყოფით სახელთან და ზმინზედასთან ერ-თად უარყოფითი ნაწილაკის გამოყენებას ორმაგი უარყოფა ენ-ოდება. მისი გავრცელება გამოიწვია იმან, რომ წინადადებაში ამ ფუნქციით სახელისა და უარყოფითი ზმინზედის გამოყენება აღარ იყო საქმარისი და საჭირო გახდა დამატებით უარყოფითი ნაწილაკის დართვაც. ასე მივიღეთ ერთმაგი და ორმაგი უარყო-ფა. ემოციის კიდევ უფრო გასაძლიერებლად იყენებენ ორზე მეტ

უარყოფასაც. ამით წინადადება უფრო გამომსახველობითი ხდება. ამრიგად, ორმაგი და ორზე მეტი უარყოფა სტილისტიკური ხერხია: **აქ არასდროს არავის არაფერი არ უნახავს.**

ზოგჯერ ორმაგი უარყოფა აუცილებელია: **არავითარი, ნუ-რავითარი, ვერავითარი, არც ერთი, ვერც ერთი** უარყოფითი ნაწილაკის გარეშე არც გამოიყენება: ვერავითარი განსაცდელი მას ვერ შეაშინებს, არც ერთი არ დაშავებულა; ვერც ერთი ვერ მოვა. ამასთან დაკავშირებით ლ. ბრეგაძე წერს: „ამით სურთ, თითქოსდა უადგილო ორმაგი უარყოფა აიცილონ თავიდან, მაგრამ ენაში მათემატიკური ლოგიკა არ მოქმედებს. ენობრივ მოვლენებში ორმაგი უარყოფა აუცილებლად დადებით შედეგს არ იძლევა. არც ერთი მოვიდა ლოგიკური კი არის, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით სიმახინჯეა. ერთი უარყოფა, მარტო სახელის უარყოფა აქ არ კმარა. თუ ზმნასაც არ დავურთავთ უარყოფითი ნაწილაკს, ფრაზა დადებითი შინაარსის გამომხატველ წინადადებას ემსგავსება. თუ ვიტყვით - ვერავითარი ძალა შეაკავებს, ისე გამოდის, თითქოს შეკავებაზეა საუბარი და არა ვერშეკავებაზე“ (ბრეგაძე 2004: 17-18), მაგრამ არცთუ იშვიათად ამგვარად გამოხატული უარყოფის გასაძლიერებლად გამოყენებულია უარყოფითი ნაწილაკებიც: არ, ვერ, ნუ (აღარ, ველარ, ნულარ). ჩვეულებისამებრ, თითოეული ამ ნაწილაკთაგანი იმ უარყოფით ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას შეეწყობა (მოსდევს მას), რომლის შემადგენლობაშიც იგივე უარყოფითი ნაწილაკი შედის: **არავინ არ, ვერავინ ვერ, ნურავინ ნუ, არსად არ, ვერსად ვერ, ნურსად ნუ, არასოდეს არ, ვერასოდეს ვერ და მისთ.**

როგორც დადგენილია, ცალმაგი და ორმაგი უარყოფის ურთიერთონაცვლეობა თავისუფალია და სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. ამრიგად, გემოვნებისამებრ შეიძლება გამოყენაბა წინადადებებისა, როგორც: მას სიტყვას ვერასდროს ვერავინ ვერ გადაათქმევინებდა ან: მას სიტყვას ვერავინ გადაათქმევინებდა.

ორმაგი უარყოფა ერთგვარი სტილისტიკური ხერხია, რომელიც აძლიერებს ექსპრესიას. დავაკვირდეთ მაგალითებს: „მას პოეტების ბედის არასოდეს შეჰშურებია, ... ისინი სიტყვის ლოთე-

ბი არიანო“ (გამს.); „ვისაც შიმშილი ან სიყვარული არ აწუხებდა, მას არც არაფერი შეუქმნიაო ოდესმე“ (იქვე); „ასე ყოფილა: ადამიანს არასოდეს არ შერჩება ხელში, რაც უყვარს“ (იქვე). უკანასკნელი მაგალითი მეტად ექსპრესიულია.

**სავარჯიშო №1. დააკვირდით, ერთმაგი და ორმაგი უარყოფის მაგალითებს და იმსჯელეთ, ეს უკანასკნელი რისთვის, რაფუნქციით გამოიყენება:**

1. იაპონელების წასვლის დღიდან ხელით არავის შეხებია (მიშვ.);
  2. ჩათვალე, რომ შენთვის არაფერი მითქვამს (იქვე);
  3. ქართული ლვინოები ფინეთში არსად არ იყიდება (ვ.ბარათაშვ.);
4. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერავითარი უბედურება მას ვერ შეაშინებდა (ბარნ.);
5. აღარავითარ სიმდაბლესა და ჭუჭყასა არ ერიდებოდნენ, ოღონდ შეეძინათ რამე (იქვე);
6. რა ვიცი, იქნებ ხვდებოდნენ, მაგრამ არაფერს მეუბნებოდნენ (მიშვ.);
7. სხვაგან არც გემზე, არც რომელიმე ბარელიეფზე ასეთი მოტივი არასოდეს მინახავს;
8. არც მე და არც დედაჩემს ერთმანეთის გარდა არვინ არ გვებადა (ჯავახ.);
9. სასამართლომ არცერთი მათგანის ჩვენება რა გაიზიარა;
10. ღირებულებების გადაფასების ეპოქაში არავისგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს.

#### **2.10. ზმნის ორგანული და აღწერითი ფორმების სტილისტიკური ფუნქციები**

ვნებითი გვარის ზმნათა ორგანული და აღწერითი ფორმების მონაცვლეობა ძველ ქართულშიც დასტურდებოდა. პერიფრასტული ვნებითი მხოლოდ წერილობით ძეგლებში გვხვდება. იგი ნიშანდობლივია ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის,

გავრცელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მას კანცელარიული ელფერი დაპკრავს და მოკლებულია მხატვრულობას. აღწერითი ვნებითი საერთოდ არ გვხვდება ცოცხალ მეტყველებაში, ამიტომაც არ დასტურდება იგი ანდაზების ენაში. მხატვრულ ლიტერატურაში ძალიან იშვიათია და თუ არის, მხოლოდ სტილისტიკური ფუნქციით.

დღესდღეობით ვნებითის პერიფრასტული ტიპი განსაკუთრებით თვალში საცემია პრესის ენაში. ისინი თითქმის ცვლიან ზმნის აქტიურ ფორმებს, რაც ენინაალდეგება ქართული ენის ბუნებას. „უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი წარმოება შეიძლება გრამატიკულად იყოს შეპირობებული:

1. ზმნას ან საერთოდ არ მოექოვება შესაბამისი ორგანული ვარიანტი, ან მეორე სერიისთვის იყენებს აღწერას;

2. ზოგჯერ აღწერითი ფორმის გაჩენა განპირობებულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა დამოხვევით და მათი გამიჯვნის აუცილებლობით. „თუ **ინიანი** ვნებითისთვის მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმა შეიძლება ჩაითვალოს მიზეზად, მაშინ **დონიანისთვის** ასეთი საფუძველი არ არსებობს“ (ლვინაძე 1989: 128). მაგ.: აუცილებელია დასრულებულ იქნეს დაწყებული სამუშაო (უნდა იყოს: დასრულდეს);

3. აღწერითი ვნებითის ფორმაში სახელად ნაწილად რთული ან უცხო სიტყვისგან ნაწარმოები მიმღების ფუძე გვხვდება, რის გამოც ორგანული წარმოება მოუხერხებელია: უზრუნველყოფილ იქნა, რეპრესირებულ იქნება...

ძალიან ხშირად ვნებითის პერიფრასტული ტიპი გამოიყენება მაშინაც, როცა თავისუფლად შეიძლება ის შეიცვალოს ორგანულით: აუდიტი ჩატარებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და გაცემულ იქნა უპირობო დასკვნა, რომელიც დათარიღებულია 2010 წლის 29 აპრილით.

პერიფრასტული ვნებითი ახალ ქართულში ისეთ ზმნებთანაც გვაქვს, რომელთა ორგანული ფორმებიც არ ინვევს ორაზროვნებას, როცა ზმნას მეორე სერიაში აქვს ორგანული შესატყვისი (მოევლინა, მოისმინა, შეისწავლა, გადაიტანა, განიხილა, დაიშ-

ალა, დაიშალა, მოიხსნა, გამოიყო); ან კიდევ დონიან ვნებითებთან (გამოსწორდა, გარემონტდა, შემონმდა, გაკეთდა).

პრესაში ვნებითის ფორმათა გახშირების მიზეზი ათასგვარი ცნობის, ინფორმაციის, დადგენილებისა თუ სხვა დოკუმენტების ენაში აღწერითი ფორმების აუცილებლობითაა გამოწვეული. თუ ასეთი დოკუმენტი არ გვაქვს, გაუმართლებელია მათი გამოყენება. თუ არ არსებობს აღწერით ფორმათა გამოყენების გრამატიკული საფუძველი, მაშინ ირლვევა ქართული ენის ფრაზის სისხარტე და დინამიკურობა.

ამრიგად, თუ აღწერითი წარმოება არაა გრამატიკულად შეპირობებული, მაშინ უმჯობესია ის შევცვალოთ ორგანულით, თუმცა ანალიზურ ფორმებს მეორე კავშირებითში აქვს კატეგორიულობის, შესაძლებლობის, სასურველობის და აუცილებლობის სემანტიკა: სატენდერო მოსაკრებელი შეტანილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე... აუცილებლობა-კატეგორიულობის სემანტიკა დადგენილებების, ბრძანებების ენაში მეტად საჭიროა და ასეთი ფორმებიც შეუცვლელია: მოწვეულ იქნეს, დაშვებულ იქნეს...

ი. იმნაიშვილი ასე აფასებს ვნებითის ორგანული ფორმების ნაცვლად აღწერითის გაბატონებას: „ძველი ვნებითის მომლით ჩვენმა ენამ არამცირედ გამომხატველობითი უნარი დაკარგა, მაგრამ მეორე მხრივ, ორაზროვნება და ორჭოფობა გაქრა, მაგრამ დაგვეკარგა აგრეთვე ინიანი, მარტივი, დიდი გამომსახველობითი ძალის ფორმები“ (იმნაიშვილი 1987: 90-91).

„აღწერითი ვნებითის ფორმები ვნებითის ორგანული ფორმების მსგავსად შესაძლებლობისა და უკუქცევითობის ფუნქციით იტვირთება და ამდენად, სალიტერატურო ენაში არსებობის უფლებაც მოიპოვეს, ოღონდ აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენების ყველა შემთხვევა ვერ ჩაითვლება ერთნაირად გამართლებულად. ისინი ზოგ სფეროში აშკარა უპირატესობით სარგებლობს. განზოგადებულსუბიექტიანი აქტიური ფორმების (გაიღეს) ნაცვლად ისინი უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა და სალიტერატურო ენამაც ეს შესაძლებლობა გამოიყენა სტილისტიკური ფუნქციით“, - წერს თ. ლვინაძე (ლვინაძე 1989: 269).

აღწერითი ვნებითის ფორმას მეტი შესაძლებლობა აქვს, რომ გამოიყენოდეს აქტიურ ფორმათა მაგივრად, თუმცა პასიურობის სემანტიკა და მისი ფორმალური ნიშნებიც მასში მეტია. ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ აღწერით ფორმაში რეალური სუბიექტის მონანილეობა აშკარაა, წინადადების კონსტრუქციაში რამენარი ფორმით კიდეც რომ არ იყოს წარმოდგენილი (მიერ ან გან თანდებულიანი ნათესაობითით, ინსტრუმენტალისით). **დაჯილდოებულ იქნა, გათავისუფლებულ იქნა ფორმებში გა-საზულია უფრო მეტად ფაქტი დაჯილდოებისა.** ანალოგიურია გაათავისუფლეს და არა გათავისუფლდა. მიერ თანდებულიან ფორმებში აშკარად ჩანს მოქმედების აქტიურობა.

და ბოლოს, ორგანული წარმოების ვნებითები (რნიანი, დონიანი) აღწერითისგან განსხვავებით სხვა სემანტიკურ ნიუანსებსაც გამოხატავს: ჩვეულებითობას, გარდაქცევითობას, დაწყებითობას. შეიძლება დავასკვნათ, რომ ვნებითის აღწერითი და ორგანული ფორმები ნებისმიერ კონტექსტში სინონიმებად ვერ გამოგვადგება.

**სავარჯიშო №1. დააკვირდით აღწერით ფორმებს, გაასწორეთ შეცდომები და ახსენით; სადაც მიზანშენონილია მათი გამოყენება, დატოვეთ:**

1. ჩვენი კოლეგების მიერ ამ დარგში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები;
2. თამადა ბოლოს იქნას ნადლეგრძელები;
3. საპატრიარქო ორივე მხარეს დათმობისკენ მოუწოდებს, რომ თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო დაპირისპირება;
4. პროფესორ- მასნავლებელთა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა მხრიდან არაერთი კითხვა იქნა დასმული;
5. ყველაფერი დეტალურად განწერილ იქნეს;
6. ლონისძების გეგმაში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები;
7. გერმანელი ჯარისკაცი და მეთაური თამარ მეფის ორდენით იქნა დაჯილდოებული;

**8. დავით აღმაშენებელი ხალხის მიერ იქნა აღიარებული წმინდანად;**

**9. ეს სამხილები გამოიყენებული იქნება საქმის გამოძიებისათვის;**

**10. მწერლის მიერ აღწერილ იქნა გაღატაკებული აზნაურების ცხოვრება.**

### **ცოდნის შესამომავალი კითხვები**

**1. დაასახელეთ მაგალითები, სადაც გამოკვეთილია ნართანიანი მრავლობითის სტილისტიკური ფუნქციები;**

**2. დაასახელეთ მაგალითები, სადაც ჩანს მქონებლობის სუფიქსთა სტილისტიკური ფუნქციები;**

**3. დაასახელეთ სტილისტიკურად განსხვავებული ენიანი და დონიანი ვნებითის ნიმუშები;**

**4. გადმოეცით უარყოფითი აზრი ერთმაგი და ორმაგი უარყოფით და შეადარეთ ექსპრესია;**

**5. აქციეთ განსაზღვრება განკერძოებულად და დააკვირდით ესპრესიას;**

**6. შეადარეთ ერთი და იმავე ზმნის ორგანული და აღწერითი ვნებითების სტილისტიკური ფუნქციები;**

**7. გადმოეცით ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა კილოს ფორმით და დააკვირდით ექსპრესიას;**

**8. აიღეთ ერთი წინადადება, შეცვალეთ წევრთა წყობა და დააკვირდით ექსპრესიას;**

**9. აიღეთ ერთი წინადადება, შეცვალეთ სასვენი ნიშნები და დააკვირდით ექსპრესიას;**

**10. აქციეთ პირდაპირი ნათქვამი ირიბად და შეადარეთ მათი სტილისტიკური ფუნქციები.**

**დასამუშავებელი ლიტერატურა: № 9, 91, 119, 159, 160.**

## თავი V. მხატვრული სტილისტიკა

### V.I. სტილისტიკური კატეგორიები

ადამიანი საკომუნიკაციოდ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით იყენებს. ერთისა და იმავე აზრის გამოსახატვა სხვადასხვაგვარი ენობრივი საშუალებით შეიძლება, ემოციის გასაძლიერებლად კი სიტყვებს გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულადაც იყენებენ, ამიტომ უკეთესად თქმის ხელოვნება გულისხმობს უფრო ძლიერი საშუალების შერჩევას. ასეთ შესაძლებლობებს სტილისტიკურ კატეგორიებსაც უწოდებენ.

სტილისტიკურ კატეგორიებად მიიჩნევა ყველაფერი, რაც ჩვეულებრივი (პირდაპირი) დანიშნულების არაა, ე.ი. ენის განსაკუთრებული შესაძლებლობებია. ასეთებია: ტროპები (ომონიმია), სინონიმია, გამეორებები, მოდალური საშუალებები და სხვა. ისინი გამოიყენაბა ემოციის გასაძლიერებლად, სუბიექტური იერის გამოსახატვად, სათქმელისთვის სილამაზის მისანიჭებლად და როგორც ალ. გვენცაძე მიუთითებს, საგნებისა თუ მოვლენების სუბიექტური ობიექტივზაციის მიზნითაც“ (გვენცაძე 1974: 15). ამით უპირისპირდება ენის განსაკუთრებული შესაძლებლობები ჩვეულებრივს.

„**ტროპი** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შეპრუნებას, შექცევას, სიტყვის ხმარებას გადატანითი (არაპირდაპირი) მნიშვნელობით დი დი მხატვრული გამომსახველობის მიზნით“ (ახმანოვა 1966).

ტროპს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ანტიკური დროის ბერძნულ და რომაულ რიტორიკებში: „**ტროპი** არის სიტყვის, ან სიტყვიერი გამოთქმის საკუთარი მნიშვნელობის შეცვლა მეორით, რომლითაც მნიშვნელობა მდიდრდება“, - ვკითხულობთ „ენისა და სტილის ანტიკურ თეორიებში“ (215).

ტროპს მონიმსაც უწოდებენ, მაგრამ იგი საკუთრივ ომონიმთაგან განსხვავებულია. „**ტროპისთვის** გამოყენებულია ჩვეულებრივი მნიშვნელობის სიტყვა რაიმე საერთო ნიშნის საფუძველზე, ამიტომ ერთი ძირის სიტყვა გვევლინება სხვადასხვა მნიშვნელობით“ (გვენცაძე 1974: 43).

მიუხედავად იმისა, რომ სტილისტიკური საშუალებანი ინდივიდუალურად გამოიყენება, „მხატვრული მეტყველება წარმოადგენს ენობრივი შემოქმედების უმაღლეს საფეხურს, თვით ამ შემთხვევაშიც კი სიტყვის ოსტატი - მწერალი თავისებურად აერთიანებს ენობრივ ელემენტებს, არ არღვევს მოცემული ენის კანონებს, არ გამოდის მასში დაშვებული საზღვრების გარეთ“ (შარაშენიძე 1971: 43).

6. კოუევნიკოვას მოსაზრებით (კოუევნიკოვა 1979), შედარება გადაიქცევა მეტაფორად, მეტაფორა პერიფრაზად და ა. შ. არსებობს მეტაფორული ეპითეტებიც. ხშირად ტროპის რამდენიმე სახეობა ერთდროულადაა წარმოდგენილი.

**ტროპის სახეებია:** ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, მეტონიმია, სინეკდოქე, ჰიპერბოლა, გაპიროვნება და ა. შ.

### §1. შედარება

**შედარება** ტროპის ერთ-ერთი სახეა, ექსპრესიულობის მისაღწევი ერთ-ერთი საშუალებაა. მასში ერთი მხარე ნაცნობია, მეორე - უცნობი და ეს უკანასაწელი დახასიათებულია მეორის (ხშირად კარგად ნაცნობის) საშუალებით; „შედარება იგივე მეტაფორაა, ოღონდ მეტაფორისგან განსხვავებით მას დამატება აქვს. როცა პოეტი ამბობს აქილევსზე, რომ ის როგორც ლომი, ისე ეკვეთა, ესეც შედარებაა, მაგრამ თუ ვიტყვით, ლომი ეკვეთა, ეს მეტაფორაა, რადგან ორივე მამაცნი არიან, ამიტომ პოეტმა აქილევსს გადატანითი მნიშვნელობით ლომი უწოდაონ“, - წერს არისტოტელე (არისტოტელე 1981: 174).

მოკლედ, შედარებაში გამოიყოფა 1. **შედარების სუბიექტი** (შესადარებელი საგანი); 2. **შედარების ობიექტი** (რასაც ვადარებთ); 3. **თვისება**, რასაც ემყარება შედარება.

6. ბარათაშვილი შესადარებლად ხშირად იყენებს სიტყვა **მიჯურს**:

მაგ.:

„მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური,  
ვარსკვლავი მარტო მისა ამარა“ („შემოლამება მთაწმინდაზე“);

„და მომდინარე ხარ ზვირთცემით, ხან ნელად მტკვარი,  
მოხსრავს შორით, ვით მიჯნური, უამთ მოჩივარი“ („ღამე ყა-  
ბახზედ“);

„ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა,  
მტკვარი მას ნორჩისა ფერხთა ევლების“ („ჩინარი“).

შესადარებლად გამოიყენება ა) საზოგადოებრივი ხასიათის  
მოვლენები, ადამიანთა მოქმედებისა და ურთიერთობის ნაყოფი;  
ბ) ბუნების მოვლენები, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყა-  
რო და სხვა.

მხატვრულ ლიტერატურაში შეიძლება შესადარებელი საგანი  
და ის, რასაც ვადარებთ, ერთი და იგივე იყოს:

„შენ ღალატი ღალატივით გძულდა,  
რაც ამკობს და ახურდავებს ქალს“ (გორგ.).

## 1. უსულო საგანი შედარებულია უსულოსთან

„გამოკონილი არის მარადის  
ვით თავსაფარში ძვირფასი განძი,  
დღოში - საყვარელ ქალის ღალატი,  
ბრბოში - ნიჭი და წუხილი კაცის“ (გორგ.).

## 2. უსულო საგანი შედარებულია სულიერთან

„ფერი გაუკრთა როგორც ორსულ ქალს, სექტემბერს“  
(ქებ.);

„დგას ალუბალი გაზაფხულის დღესასწაულზე კაბაქათქათა  
დედოფალივით“ (იქვე);

## 3. სულიერი საგანი შედარებულია უსულოსთან:

„მე საავდრო ღრუბელივით დაძენძილი ვიყავ მაშინ,  
და მიზგითი მიპნელებდა ხატის ღიმილს, ქოხის ლამპარს“  
(გორგ.).

## 4. სულიერი შედარებულია სულიერთან:

„მინა არ მინდა და როგორც ქრისტე,  
მე ვემზადები გაფრენისათვის“ (ტერ.).

შედარება ადვილი ამოსაცნობია გრამატიკული აგებულებ-  
ით: მასში გამოიყენება ა) თანდებულები (ვით, ებრ.): „ვსვამ გემ-  
რიელს და ოხერს, ჯოჯოხეთივით ყავას“ (გორგ.).

ან:

„სული გაფრინდა თეთრი მტრედივით,  
სხეული დარჩა ცოდვილ მინაზე“ (ტერ.);

ან კიდევ:

...მან ხმალივით შეაგება მზერა ისრიმისფერ თვალებს, და-  
ფანჩებულ, თეთრ წარბებქვეშ თრითინასავით აწრიალებულთ“  
(გამს.).

ბ) საკავშირებელი სიტყვები (ისე, ასე, რომ, თითქოს, რო-  
გორც.):

აქამდე გულში მიღვივის [ტკბილი ნალველი], როგორც ნაცრის  
ქვეშ შენახული ნალვერდალი (იქვე); როგორც კოკორი მზისაგან,  
გული ისე გადამემალა და ამიყვავდა (იქვე); თუ წუთისოფელს  
ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დი-  
დოელი ლეკი ნაბადსა.

ზოგჯერ შედარებაში გამოიყენება „რომ“ კავშირიც (ისე რომ,  
ასეთი რომ):

„გოგო იყო, შენი ჭირიმე, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდა (იქ-  
ვე); ის ბერიკაცი ასეთი გამორბოდა, რომ ოცის წლის ბიჭი გეგო-  
ნებოდა“ (იქვე).

შედარება სხვაგვარადაც გადმოიცემა:

„გამჭვირვალე ბლონდი ებურა პირზე, ბრონეულის ყვავილისდარი, სითვით ამოქარგული“ (გამს.).

ან კიდევ:

„ჩვენი სიცოცხლე იმ ციცქანა ნამს ჰგავს,  
მზე რომ დააჭერს და აორთქლდება“ (ქებ.).

შედარება მეტად პოპულარული მხატვრული ხერხია საგმირო ეპოსში: „ობიყმიანთ ბაზზე ვიდექ, დავხედე არემარესა, უფროსი რძალი მზესა ჰგავს და შუათანა-მთვარესა“ (აკაკი2).

პოეტურ ფოლკლორში შედარება სარითმო ერთეულადაც გამოიყენება:

„ზოგიერთი პატარძალი ხეს ეხვევა ვერხვივითა,  
დედამთილს კარგად ექცევა და მამამთილს ღმერთივითა,  
იმას ისე შეინახვენ უგუნურ მტრედივითა“ (ხალხ. სიბრ.).

შედარება შეიძლება ფორმობრივად არც ჩანდეს. მაგალითად: „მას ჰქონდა წვნიანი, ძლიერი ხმა, სანამ ის მღეროდა, მეგონა, მნიშვნელოვანი“. ზოგჯერ შედარება სუფიქსითაც გამოიხატება: მიწურში მართლა მიწური დუშმილი ჩამონვა“ (ჯავახ.).

ალ. გვენცაძე საგანგებოდ მიუთითებს იმაზე, რომ ილიამ ლუარსაბ თათქარიძის ეზოს დასახასიათებლად შემდეგი შედარება შექმნა: „შიგ ეზო ისეთი უწმინდური იყო, როგორც ძელი ჩინოვნიკის გულიო“. სხვა მნერალს შეეძლო ასე ეთქვა: შიგ ეზო ისეთი უწმინდური იყო, როგორც დიდი ხნის გაუსუფთავებელი ბოსელიო. „ილიასთვის შედარება კი არ ითვლება ინდივიდუალურ თავისებურებად, არამედ შედარების სიტყვიერი ინვენტარის შერჩევა და შედარების ორი კომპონენტის ისეთნაირი შეხამება, რომ ნათქვამმა გამოამჟღავნოს ავტორის იდეურ-ესთეტიკური მრნამსის მიზანდასახულობა“ (გვენცაძე 1974: 27). მკვლევარი იმონმებს ფოსლერისეულ სიტყვებს, რომ „სტილი არის ინდივიდუალური ენობრივი მოხმარება საერთოსგან განსხვავებით“ (იქ ვე: 27). ამდენად, შედარებაში ჩანს შემოქმედებითობა და ინდივიდუალობა.

ორიგინალური შედარებებით იქცევს მკითხველის ყურადღე-

ბას მ. ჯავახიშვილი. მნერალი „არსენა მარაბდელში“ მაიორ არლოვის პორტრეტს ასე გვიხატავს: „არც მაიორ არლოვს დაეგვიანა: ისიც კარებთან მოგორებულიყო, ხის სალდათივით გაჩაჩეულიყო, დოინვეზი შემოეყარა, წყლისფერი პაწაწინა თვალები საახალწლო ბასილასავით დაეჭყიტნა და თითონაც ზიზილ-პიპილებით აჭრელებულ ბასილას ჰგავდა: თავ-ბირი გატერილ გოგრას მიუგავდა და იმ აყირო თავზე წითელი თმა და წვერ-ულვაში გაცვეთილი ჭილობივით ეყარა, ხოლო თხილისოდენა აბზეკილი და წითელ-ლურჯი ცხვირი ისე ობლად გამოიყურებოდა გაბერტილ წვერ-ულვაშიდან, თითქო ჩალაში მაჟალო ვაშლი ჩაეგდოთ“.

ან კიდევ:

„მარაბდაში სისხლი დაიღვრება... ეს სამი სიტყვა სიჩუმეში პანაშვიდივით ჩამონვა“ (ჯავახ.).

გავრცობილი შედარება შეიძლება მოიცავდეს სხვა ტროპებ-საც ან პირიქით, შევიდეს მეტაფორის შემადგენლობაში, ისევე, როგორც მეტონიმიასა და გაპიროვნებაში:

„არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს  
ქალს დაღალულსა მისძინებოდა  
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,  
ვით საყვარელსა, ზედ დაჰშაროდა...  
თითქო თვით მადლა შვენებისასა  
თვისი საუნჯე აქ დაჰპნევია  
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,  
სული მის ლაწვზე დაულევია“ (ილია).

სავარჯიშო №1. ნაიკითხეთ მაგალითები, გაანალიზეთ შედარებანი შესაძარებელი ობიექტის მიხედვით; დააკვირდით მათ სტილისტიკურ ფუნქციას:

1. „შვილების ჩემის ლურჯი თვალები  
თბილ ტალღასავით გადამდის გულზე“.

**2.** „მაგრამ სიკვდილი კივის ბუსავით,  
მაგრამ სიკვდილი ბრმაა ბრძოსავით,  
თანაც ლამაზი სალამპოსავით...“

**3.** „მე შენი კლერტა და იები მომელიან,  
ქალივით მორცხვი და ქალივით ლამაზები“.

**4.** „მოაგონდა შორეული ბავშვობა, შორეული და უთავბოლო,  
როგორც გამოუტანელი სიზმარი“

**5.** „მე მჯერა შენი მისან ქალივით,  
ანათებს მთვარე...  
ბრწყინავს მთვარე...  
ძველქართული მინანქარივით...“

**6.** „მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,  
ვით უბინაოს - ყოფნა ბინაში,  
თეთრი ტყემლების მომყვება გუნდი  
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე“.

**7.** „ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,  
ვით შემოდგომის ღამეებში ნაზი ვერსალი,  
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა,  
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა.“

**8.** „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის  
ქალწულებივით ხიდიდან ფეხა,  
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის  
და სიყვარულის ასე მოთმენა“.

**9.** „ესე ყოველი, ერთად რეულნი,  
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა“.

**10.** „როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!“

## გვ. ეპითეტი

ეპითეტი ბერძნული სიტყვაა და თანდართულს ნიშნავს. იგი მხატვრული განსაზღვრებაა, ჩვეულებრივი მსაზღვრელისგან განსხვავებით ექსპრესიულია: „ეპითეტი არის განსაზღვრების სახესხვაობა, ჩვეულებრივისაგან ექსპრესიულობით და გადატანითი, ტროპული ხასიათით განსხვავებული“ (ახმანოვა 1966).

ეპითეტი სტილისტიკური ამხსნელია, იგი ხაზს უსგამს საგნის ან მოვლენის რომელიმე ერთ მხარეს. მას ხშირად იყენებენ მხატვრულ ლიტერატურაში. იგი გვხვდება პუბლიცისტიკაშიც, ნაკლებად გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, თუ გამოიყენება, აქ დამაზუსტებელი ფუნქცია აკისრია და არა მხატვრულ-გამომსახველობითი. ეპითეტში, როგორც სტილისტიკურ კატეგორიაში, ჩანს მთქმელის შეფასებითი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. არატროპული ეპითეტებია განსაზღვრებანი და გარემოებანი, რომლებიც საგნის ფერზე, სუნსა და გემოზე მიუთითებენ. შეგრძნებათა ალქმის სინთეზით მიღებულ ეპითეტებს სინესთეტიკურს უწოდებენ. ზოგჯერ საგანს ისეთი თვისებებიც მიენერება, რომელიც მას სინამდვილეში არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

„მეტაფორული ეპითეტი საგნობრივ-ფსიქიკურია და აღნიშნავს არარეალურ ნიშანს, მსგავსების მიხედვით გადატანილს სხვა საგანზე“ (მეშჩერიაკოვი... 2003: 97).

„შემოდგომისა ველურ ჰანგში  
ჭკნება ფოთოლი,“ - წერს გალაკტიონი.

მოცემულ კონტექსტში ველური ეპითეტია. ჰანგის ველურობა პოეტური აღქმაა, მხატვრულია, არაბუნებრივია და უჩვეულო. იგი გალაკტიონისეულია და პოეტი მას სხვაგანაც იყენებს, ოღონდ განსხვავებულ კონტექსტში: ველური ვარდები, ველური ხმა, ველური კივილი, ველური სვავი.

ამავე პოეტთან თ. სანიკიძემ სიტყვა „ნაზი“ ეპითეტად 299-ჯერ დაადასტურა შემდეგ სიტყვებთან: პეპელა, ყვავილი, ხმა, ფურცელი, ამური, ჰანგი, სიო, სევდა, ლიმილი, შემოდგომა, დიდება, სახე, მხარე, სამოსი, გაზაფხული, სიმღერა, ბინდი, ოცნება, დარაჯი, მზე, ფერია, გოგონა, ჰაერი, ბურუსი...

გაპიროვნება-ეპითეტები გვაქვს შემდეგ მაგალითებში:

„მარადის ღვიძავს მივიწყებულ სიმღერებს ყრმობის,

ფეხშიშველ დღეებს, ნეტარების უამებს წამებს“ (გორგ.);

„აქ ჩადრები მძუანი, იქ შორტები მეძავი“ (გორგ.);

„ქალწულ კაბაში ორსულ დედოფალს არა ვქნა, ფემბულავ, ვერ ვუთამადებ“ (იქვე).

არისტოტელე სიტყვის სიცივეს უწოდებდა ეპითეტების ხშირ გამოყენებას. ის წერდა: „საჭიროა დიდი სიფრთხილე, რადგან ეპითეტების წინდაუხედავი ხმარებისას საზიანო ხდება. ალკიმან-დიტის სიტყვა ციგად გვეჩვენება, რადგან ეპითეტებს ხმარობს არა როგორც საჭმლის საკმაზს, არამედ როგორც საჭმელს“.

ამრიგად, ეპითეტი სტილისტიკური ხერხია, ერთგვარი სამკულია აზრისა, მაგრამ მისი გამოყენებისას ზომიერების დაცვა აუცილებელია.

**სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ მეტაფორული ეპითეტის მაგალითები და გაარკვიეთ მათი სტილისტიკური ფუნქციები**

1. „შლეგი ფერების ფარული შფოთი იდუმალებას დასტყუებს ბგერებს“.

2. „შრიალა ტყემლებს ეთამაშება თავშალნაკრული თეთრი აპრილი“.

3. „გამოკვეთილი ბებერ ქვებში უამის ნუსხურით მომაპეზრებელ სიჩუმეში ვარ გალურსული“.

4. „მოვედით სამადლოს ხევთან... ნისლებში დანთქმულა ისიც...

მე მინდა, სულ ვიყო შენთან,  
როგორც ეს მთები და ნისლი!“

5. „მოვარდება შლეგიანი ქარი,  
შეციებულ პალმებს დააფეთებს“.

6. „მე შემიძლია მოვუსმინო ქარაოც ქარსაც,  
მე შემიძლია მივაყურო გატრუნულ მინდვრებს“.

7. „ვიცი, ვუყვარვარ, მაგრამ ქარია,  
ქარი ქენქერა, ქარი ცერცეტი“.

8. „ახლა სულერთია, რა დღე, რა რიცხვია,  
ოლონდ სიჩუმეა, მუნჯი დარებია“.

9. „პირისფერი აბრეშუმის ყაბაჩა უმშვენებს პატარა ჯიშიან თავს“ (გამს.2)

10. „ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბლეზი ბეწვებით,  
საქართველოში ქართველობას არ ვიხვენები“.

### წ3. მეტაფორა

„მეტაფორა ტროპის სახეა, ერთი საგნის თვისებების მეორეზე გადატანაზე ან მათ მსგავსებაზე დაფუძნებული“ (მეშჩერია კოვი... 2003: 89).

მეტაფორა „ტროპია, რომელიც მდგომარეობს სიტყვათა და გამოთქმათა გადატანითი აზრით გამოყენებაში მსგავსების, ანალოგიის საფუძველზე“ (ახმანოვა 1966).

„მათემატიკურ განტოლებაში რამდენიმე უცნობია, როგორც წესი, მაგრამ ერთი ცნობილია, ამ ერთის საშუალებით ხერხდება დანარჩენების ამოცნობა. მეტაფორულ წინადადებაში თით-

ქმის ყველა სიტყვის შინაარსი ამოსაცნობია, ამოსახსნელია“ (ჭილაია... 1984: 257).

**ენისა და სტილის ანტიკურ თეორიებში** ვკითხულობთ: „მეტაფორა ტროპის ყველაზე რთული სახეობაა და ამასთან, ყველაზე ესთეტიკურიც: მას უმაღლესი ხარისხით ახასიათებს სიცხადე, სასიამოვნო სიახლის მშვენიერება და მისი გადმოღება სხვისაგან არ შეიძლება“ (1936:221).

„მეტაფორა აძლიერებს ენის დასრულებული ფაქტის აზრს, ამკობს ენას და ასევე გამოხატავს მთქმელის თვალსაზრისსაც საგნებსა და მოვლენებზე, ამიტომ ის ენის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა ყოველთვის“ (გვენცაძე 1974:45).

„ერთმანეთისგან განარჩევენ **ინდივიდუალურ-საავტორო** („წყაროს ჩავიდა მწუხარე, ვარდი ვარდის წყლით ნაბანი“) და **ენობრივ მეტაფორებს** (ვნებათა ქარიშხალი, ცრემლის ზღვა). ინდივიდუალურ-საავტორო მეტაფორები ხასიათდებიან სიახლით, მოულოდნელობით და გამოირჩევიან მაღალი გამომსახველობით“ (მეშჩერიაკოვი... იქვე).

მეტაფორა ხშირად ერწყმის ტროპის სხვა სახეობებს. შესაბამისად გვაქვს: მეტაფორული ეპითეტი (ლრუბლიანი ახალგაზრდობა), მეტაფორა-პერიფრაზი, მეტაფორა-გაპიროვნება, მეტაფორა-სიმბოლო, მეტაფორა-ალეგორია.

„... რა გითხრა შვილო, სული ტკბილია,  
იგი ტყვე არის წუთი-სოფლისა  
და ეგ ყოველი მის ბორკილია“ (ილია);

„ვხედავ, გაზაფხულს შემოასკდა ყელზე საყელო“; „გამგებელმა შენს ტაბლაზე ეგ რა გვემა შემოდგა“ (გორგ.); „სულის ველებზე ყაყაჩო ყვავის“ (ქებ.).

დავალება. ამოინერეთ ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებიდან მეტაფორები, განმარტეთ მათი მნიშვნელობანი და იმსჯელეთ სტილისტიკურ ფუნქციებზე

#### ჭ4. გაპიროვნება (გასულიერება, პერსონიფიკაცია)

„პოეტური გაპიროვნება იქმნება ბუნების მოვლენათა მოძრაობის, ფორმის, ხმისა და სხვათა მკვეთრი გამოვლინების საფუძველზე, რაც იწვევს სიცოცხლის ილუზიას; ბუნების მოვლენები გვევლინება, როგორც თვითნებური, შეგნებული მოქმედება, რომელშიც მონანილეობს მოვლენისა თუ საგნის ნებისყოფა, სურვილი, მიზანდასახულობა“ (ზანდუკავი 1960: 71).

გაპიროვნებას ვხვდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. იგი ვაჟა-ფშაველას საყვარელი პოეტური ხერხია:

„რას ფიქრობ, ნისლო ტიალო,  
შემჯდარო გორის ფხაზედა?  
განა შენც რამე განუხებს  
ამ ოხერ ქვეყანაზედა?“

**გასულიერების** ნიმუშებს თანამედროვე პოეტების შემოქმედებაშიც ვხვდებით:

„ზეცამ ჩაიცვა ძაძა,  
ველარ იკავებს ცრემლებს“ (ქებ.);  
... ...

„ცას უკეთია ლრუბლის სათვალე და დაბნეული იერით დადის (იქვე);  
... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ...

„ახლა მთაში გაზაფხული ფაფხურობს,  
ხუნდებს ლენავს და ძველ ძონძებს ალბობს“ (იქვე);  
... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ...

შრირით შრიალებს ტყე დაბინდული,  
მთვარემ ჩახედა ტბას ლურჯ თვალებში (იქვე).

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ გაპიროვნების მაგალითები და იმსჯელეთ, რა უდევს საფუძვლად გასულიერებას:**

1. „ვარდისფერად აელენა ლაწვნი ცისკარს,  
პორიზონტი აბრიალდა ოქროს ალით“.

2. „ვგონებ, მზეს დაავიწყდა სამყარო,  
ცლის წვიმის ნოტიო თასებს“.
3. „მზე ჩანვა მორჩილად შორს ცათა ბანდებში,  
მიმწუხრი ყრუ სევდას ყველაფერს გადასდებს“.
4. „ხითხითებს ნაძვი, ებრიცება ტუჩი სიცილით“.
5. „ფრთებდანამული მოწყდა ფოთოლი,  
ეტკინა გული- სულანათრთოლი,  
ძალა არ ეყო დარდის მოყოლის,  
გარდაიცვალა ისე ფოთოლი“.
6. „ჩამოიგლიჯა ზეცამ ნიღაბი,  
მშვიდი ნიღაბი,  
ყალბი ნიღაბი,  
და დაუშინა მიწას გუნდები  
სეტყვის, თოვლის და წვიმის“.
7. „სიტყვებს ვუგდებდი შეხვედრილ შარას:  
ტერფებს ფოთლებით ვერ დამიამებ,  
მონასტრის ზემოთ ვხედავდი შავად  
სივრცეში გაკრულ ადამიანებს“.
8. „შარას იდლიიდან დასხლტომია ბილიკები,  
ყანებში შეპარულან, დაკარგულან მერე,  
ხები ხითხითებენ, რასმე ქილიკობენ,  
ვიღაცას უქნევენ კოჭრებიან ხელებს“.
9. „მოუწყენიათ შენსავით ბალებს,  
ტკივილი სულში უფრო ცხადდება...  
მე ვიღვიძებ და დარაბებს ვალებ,  
და სიზმარს ვატან ამ შეცხადებას“.

10. „სიზმრებსა ჰგვანან მისი თვალები,  
და როგორც მთვრალი მეზღვაურები,  
ისე დადიან ზღვაში ნავები.  
ლურჯი თოვლივით,  
ლურჯი თოვლივით,  
თვალისმომჭრელი წყნარი ტალღები...  
მე, როგორც სილა, გამომყოლია  
მისი ტუჩების ბაირაღები“.

#### დ5. სიმბოლო

სიმბოლო ტროპის ერთ-ერთი სახეა, იგი მეტაფორულობით ხასიათდება, რაც ხშირად ხდება მისი მეტაფორაში აღრევის საფუძველი. ერთგვარად თავისებურია სიტყვის ან გამოთქმის სიმბოლოდ გამოყენება. „სიტყვა-სიმბოლო უფრო მეტაფორაა, ის რაიმეს სინონიმს ნარმოადეგენს, მაგრამ უფრო განზოგადებულია და ნიშანდობლივი“ (გვენცაძე 1974:48). სიმბოლოს ფუნქციით შეიძლება გამოიყენებოდეს სიტყვაც და გამოთქმაც. მაგ.: მტრედი მშვიდობის სიმბოლოა, შავი ყორანი - უბედობის.

სიმბოლო ხშირად გამოიყენება მითოლოგიასა და მხატვრულ ლიტერატურაში. არსებობს სახე-სიმბოლო, რომლის მნიშვნელობა ყველასათვის ნაცნობია, თუმცა გვხვდება ისეთიც, რომელთაც განსხვავებული ემოციური მნიშვნელობა აქვთ. ერთი ასეთია ნისლი. იგი სხვადასხვაგვარად გაიგება სხვადასხვა ხალხის შემოქმედებაში და თვით ერთსა და იმავე ეთნოსშიც (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ბარბაქაძე 2009).

აღმოსავლურ-აზიურ ლირიკაში ნისლი არის უმთავრესად შემოდგომის და აფორიაქებული განცდების, ავი სულების სიმბოლო, ევროპულ ზღაპრებში კი - მომავლის და იმქვეყნიურის ჩაკეტილობისა, რაც მხოლოდ სინათლით შეიძლება გაიხსნას.

ნისლი აფერხებს მოძრაობას; ნისლის ქაოსიდან შემოქმედი (მწერალი) ქმნის „ახალ წესრიგს“... ნისლისგან იბადებიან მონ-

სტრები, დემონები, ურჩხულები და ასევე ანგელოზები, ღვთის-მშობელი... . გარდაცვლილის სულმა უნდა გაიაროს სიბძნელისა და ნისლის მდგომარეობა და გასხივოსნდეს, გავიდეს სიცხადეში.

ქართული ფრაზეოლოგიზმები: **თვალებზე ნისლი გადამეკრა // ნისლი გადამეფარა, ნისლში წავედი ...** ცნობიერების დროებით და კარგვას გამოხატავენ.

პაულო კოელიოს შემოქმედებაში ნისლიდან იბადება სიკვდილიც და მისგან ქალღმერთიც გამოდის. ამგვარი მაგალითები მსოფლიო ოიტერატურაში მრავლადაა და ნიშანდობლივია, რომ **ნისლი** ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს სიკვდილსა და სიცოცხლეს, კეთილსა და ბოროტს, დადებითსა და უარყოფითს. ის არის კონცეპტი, რომელიც ბევრნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

**ნისლი დაბრკოლებაა, გაურკვევლობაა, ნისლი ადამიანივით სულიერია, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს:** „**ნისლი ფიქრია მთებისა**“.

ნისლიდან იბადებიან გალაკტიონის **უსასრულობისაკენ და შეუცნობლისაკენ** მსწრაფი „ლურჯა ცხენები“ და მისავე თარეში“ დაჰქრიან:

„მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში,  
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,  
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!“

„**ნისლის გზა**“ რჩეულთა გზაა, ამიტომ პოეტები „ავად არიან“ ნისლით, „მსოფლიო სევდით“.

ამრიგად, **ნისლი** ამბივალენტური ლექსემაა, რომელიც ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს დადებითსაც და უარყოფითსაც, თუმცა დადებითი ემოცია ჭარბობს. ნისლი ასოცირებულია იდუმალებასთან, რაც ღვთაებრივის ნიშანია.

**სავარჯიშო.** წაიკითხეთ მაგალითები და განმარტეთ, რა სე-მანტიკა იგულისხმება თითოეულ სიმბოლოში:

1. „**მე ვარ: გორზე რომ ლოცულობს ნისლი,**  
ლამის სიჩუმე ჩემი ფიქრია,  
წყაროა ჩემი ცრემლი და სისხლი,  
თმა არის, კლდეს რომ ქუჩი მიჰკვრია“.

2. „**ნისლაურო, ნისლი ხარო,**  
გამიქრები: მზისი ხარო...  
მე არაგვზე დავრჩებოდი,  
მაგრამ, რა ვქნა, სხვისი ხარო“.

3. „**მე ვარ: გორზე რომ ლოცულობს ნისლი,**  
ლამის სიჩუმე ჩემი ფიქრია,  
წყაროა ჩემი ცრემლი და სისხლი,  
თმა არის, კლდეს რომ ქუჩი მიჰკვრია“.

4. „**თეთრი ფერით, მკვეთრი ფერით**  
დაითარა ყველაფერი.  
თრთვილით, თოვლით, თეთრი ნისლით  
გამოვლინდა ფერი მისი“.

5. „**ნისლის სკეტები იდგნენ გარშემო,**  
ნისლებს შუადღეც ვერ ათენებდა.  
გული იწვოდა და ლურჯი კვამლი  
მსხვილად მდიოდა ბნელ თვალებიდან...“

## § 6. ალეგორია

ალეგორია (ბერძნ. allegoria – გადაკრულად თქმა) – გადაკრულად წათქვამი სიტყვა თუ სიტყვათა რიგი, რომელშიც მოვლენის შინაარსი კონკრეტული სახითაა წარმოდგენილი. მასში წათქვამია ერთი და იგულისხმება მეორე (ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი და სხვ.). მისი მიზანია ავტორის აზრის შენიღბვა.

„სიბრძნე-სიცრუუისაში“ პაექრობა უმთავრესად წარმართულია იგავ-არაკების საშუალებით. ამ წანარმოებში იგავების მოქმედ პირებად ჩვეულებრივ გამოყვანილია ფრინველები, ცხოველები და მისთანანი. აქ ალეგორიულად აისახება ადამიანთა ურთიერთობისა და ყოფა-ცხოვრების მანკიერი მხარეები.

სათქმელის ალეგორიულად გადმოცემა მეტად ეფექტური სტილისტიკური ხერხია.

## §7. პერიფრაზი

პერიფრაზი (Peri - ირგვლივ, შესახებ, phrazo – ვსაუბრობ) მხატვრული ტროპის ერთ-ერთი სახე, საგნის ან მოქმედების და-სახელების შეცვლა მისი არსებითი, განმსაზღვრელი ნიშან-თვისების აღწერით, რაც ჩვენს წარმოდგენაში მკვეთრ ცხოვრებისეულ სურათს ქმნის (ტიმოფევი... 1963: 113).

პერიფრაზი გამოთქმაა, მსაზღვრელ-საზღვრულის ისეთი შესამებაა, რომელიც ერთი სიტყვის ფუნქციას ასრულებს. ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრულისგან იმით განსხვავდება, რომ სათქმელს პირდაპირ კი არა, გადატანით გადმოგვცემს. მას ასე განმარტავენ: პერიფრაზს ახასიათებს „ჩვეულებრივ სახელწოდებათა ნაცვლად მეტყველების ისეთი ხატოვან-ექსპრესიული საშუალებების გამოყენება, რომელთა მეშვეობით გვეძლევა მხატვრული აღწერილობა და იქმნება საგნის ან მოვლენის ხატოვანი დახასიათება“ (ეფიმოვი 1961:273); „პერიფრაზი სხვაგვარად თქმის საშუალებაა“ (გალპერინი 1958:158).

პერიფრაზი გვაქვს შემდეგ გამოთქმებში: **ლომი** - ცხოველთა მეფე; **არწივი** - ფრინველთა მეფე, აკაკი - საქართველოს ბულბული.

„საქართველო ბეჭედია ბაჯალლო,  
და თბილისი - შიგ ჩასმული ბადახში“ (გრიშ.);  
...

ან: „ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,  
დიდი სამოთხის კუთხე პატარა“ (ილია);  
...

„თუკი ცხოვრება ბრმის ყნოსვაა, მუნჯის ჟინია,  
მეც მივაბიჯებ და არაფრის არ მეშინია“ (გორგ.)  
...

„ამაოებათა ბაზრის უიღბლო მკვიდრები, მივდივართ, მივ-  
დივართ“ (ქებ.).

მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენებული ორიგინალური პერიფრაზი მკითხველს დიდხანს ამახსოვრდება.

## სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ტექსტები და მოძებნეთ პერიფ- რაზის მაგალითები

1. პეტერბურგი... . ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი ფიქრობდა, რომ გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე გავუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი... მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული. იზლერის ბალი ხომ გინახავთ? - გინახავთ?, მაშ, თქვენ განათლებულებში ფეხი ჩაგიდგამთ. ფრიად მოხარული ვარ, იზლერის ბალი? როგორი ბალია, ჰა, ფერიებით სავსე სამოთხე ის არის, აი! ფერიები ხომ იცით რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქნება არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგმნოთ, იმასა ნიშნავს, რომ ის ბალი სავსეა უუუუნათვალებიან ქალებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი, განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქალები კი კაცს დაინახავენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი ... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, იზლერის ბალი განათლების გვირგვინია, ასეთი ბალია, „მწუ“...

**2.** „ცხოვრება უდაბნოა, უდაბნოა...  
ველი უხნავი და ურნყული,...  
ცხოვრება უდაბნოა, უდაბნოა...  
და კლდე უდაბნოში აღმართული.... .  
ცხოვრება უდაბნოა, უდაბნოა...  
სამოთხე სამუდამოდ დაკარგული.  
ცხოვრება უდაბნოა, უდაბნოა...  
მირაჟთა ლივლივა ნაკადული“

**3.** „ქარი ჩამოჰკრავს ხეების ართას  
და შემოდგომას სხვა რამე არც სურს,  
რომ ნეკერჩხლების ტოტი მიართვას,  
სექტემბერს, თავის მტირალა ასულს“.

**4.** „მონასტრის სენაკთ შეფარებული  
თავსაფრიანი სათნო დედანი,  
დედა მატრონა და დედა ანა  
ორი ღულუნა უფლის ქედანი“.

**5.** „... და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,  
მაისი ალით ააზამბახებს,  
ვით შეყვარებულს და მეოცნებეს“.

#### გ8. მეტონიმია

მეტონიმია ტროპის ერთ-ერთი სახეა, რომელიც სიტყვის მნიშვნელობის გადატანას ემყარება. იგი „იქმნება არა მსგავსი საგნებისა და მათი ნიშნების, არამედ ერთიმეორისგან განსხვავებული საგნების სიახლოვის გზით, რომლებიც ერთმანეთთან გარეგან თუ შინაგან კავშირში არიან“ (აბრამოვიჩი 1970: 180).

მეტონიმია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გადარქმევას-მოვლენის, ცნების, ან საგნის ერთი სახელწოდების მეორით შეცვლას მათი მეზობლობის შედეგად.

მეტონიმია არის ის, როცა ერთი საგნის სახელწოდების მაგი-ერ მეორე საგნის სახელწოდებაა ნახმარი. მაგ.: ყველა მწერალი (ნაწერი) გადავიკითხე, მომეცით ჩემი ხირიმი (თოფი), სამი ჯამი შევჭამე (საჭმელი); შენ თუ ამ ჯამს დალევ... (ლვინო).

მეტონიმია ეფუძნება ენობრივ საშუალებათა ეკონომი-ას, შემოკლება-შეკუმშვას: ნაბელლავი მიყიდე. აქ იგულისხმე-ბა მინერალური წყალი, სინამდვილეში **ნაბელლავი** ტოპონიმია. „ვეფხისტყაოსნიდან“ ვიცით, რომ ტარიელს შავი ცხენი ჰყავდა. რუსთველი ხშირად მეტონიმით მოიხსენიებს ამ ცხენს: „ნახა, შავი შამბთა პირსა დგა სადავე-უკუყრილი“. აქ მეტონიმია ემყა-რება საგანსა და ფერს შორის დამოკიდებულებას - ცხენის მაგივ-რად დასახელებულია მისი მთავარი გამოსაცნობი ნიშანი.

მეტონიმია ხშირად გვხვდება სასაუბრო სტილში და კომიკურ ეფექტს ქმნის: **მათემატიკა** (მათემატიკის მასწავლებელი) მო-დის, ქიმია (ქიმიის მასწავლებელი) ავადაა, თანამედროვე **პოეტ-**ები (პოეტების შემოქმედება) გადავიკითხე; მოდი და **დაგბეჭდავ** (დაგიბეჭდავ ნაწერებს), მოდი და **გადაგილებ** (სურათს).

მეტონიმია აძლიერებს ენის გამომსახველობასაც და საერთო აზრსაც. „მეტონიმის მხატვრული ფუნქციაა გამოთქმა სხარტი და ლაკონიური გახადოს. მეტონიმის დროს გამოთქმა მოკლდება, იკუმშება სიტყვათეკონომის წყალობით, მტკიცე მხატვრულ ერთეულად იკვრება და მყისვე აღიბეჭდება მკითხველის ცნობი-ერებაში“ (კუხალაშვილი ... 2010: 188).

მეტონიმის განსაკუთრებულ სახედ მიიჩნევენ **ანტონომაზი-**ას, საკუთარი სახელის განზოგადებული მნიშვნელობით გამოყე-ნებას. მაგალითად: კვაზიმოდო, ალფონსი, ოტელო, თათქარიძე, ჯაყო, კვაჭი და ა. შ. ანტონომაზის წყაროებია ანტიკური მითო-ლოგია და მხატვრული ლიტერატურა.

**სავარჯიშო №1. ნაიკითხეთ მაგალითები, გახაზეთ მეტონი-მის ნიმუშები და იმსჯელეთ მათი სტილისტიკური ფუნქციის შესახებ; სადაც საჭიროა, ჩაასწორეთ:**

**1.** სოფლებს ვსწავლობთ და სადაც ბავშვთა კონტიგენტი დი-დია, ნაღებს ვხსნით;

**2.** ყოველდღიურად გოგა ნიქაბაძე არ მაცვია, თუმცა ჩემი აქ-სესუარი ყოველთვის მიკეთია;

**3.** ყოველდღე თუ სამ ჯამს მაინც შეჭამ, ავადმყოფობა ვერა-ფერს დაგაკლებს:

**4.** ფარმაცევტული მაქვს დამთავრებული და სკოლებში სანპი-გიენას ვასწავლი (მიშვ.);

**5.** გადმოკიდა რქებით ქარაფზე ჯიხვი ბერი პაპას ნასროლმა ხირიმმა (მიშვ.);

**6.** და როცა ყირიმულმა იჭექა, მტრის ქვეით ნაწილს ერთი ჯა-რისკაცი გამოაკლდა (გარიყ.);

**7.** პირველ რიგში ეკიპაჟი მაინტერესებს (ვ. ბარათაშვ.);

**8.** პასკალი ადვილად იყითხება, არც მისი ენა არის რთული;

**9.** კანტი წავიკითხე, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავიგე;

**10.** ახლა რუსთაველს გავდივართ, შემდეგ კი სულხან-საბა უნ და შევისწავლოთ.

## §9. სინეკდოპი

**სინეკდოქე** წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან (syn - თან; de-chomai - ვიღებ). იგი ტროპის ერთ-ერთი სახეა და ნიშნავს სახელ-წოდების გადატანას ნაწილიდან მთელზე. რომაელები სინეკდო-ქეს ეძახდნენ pars pro toto-s an totum pro parte-s. „თუ მეტონიმი-აში მიმართება-დამოკიდებულებაა პირობა სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისა, სინეკდოქეში თითქოს რიცხობრი-ვი შეპირისპირება ქმნის ამ საფუძველს. ზოგჯერ მხოლობითში იგულისხმება სიმრავლე, ან, პირიქით, მრავლობითი აღნიშნავს ერთეულს; ასევე ნაწილი - მთელს და პირიქით“ (გვენცაძე 1974: 47).

**სინეკდოქეს** მეტონიმის სახედაც მიიჩნევენ: „გვაროვნული სახელწოდება იცვლება სახეობრივით, მრავლობითი რიცხვი - მხოლობითი, მრავლობითი რიცხვი-განმაზოგადებელი სახელ-წოდებით (ან პირიქით)“ (შჩეპილოვა 1956:130).

„კალიასავით მოედო  
მთელს არემარეს არაბი,  
ქართველის ცრემლით შეიციო  
ჩვენი მტკვარი და არაგვი“ (აბაშ.).

სინეკდოქესგან უნდა განვასხვავოთ მხოლობითი რიცხვის ფორმათა ხმარება განზოგადებული მნიშვნელობით, რაც ექ-სპრესიულობას მოკლებულია. მაგ.: ძალლი ადამიანის მეგობარია.

## §10. ჰიპერბოლა

**ჰიპერბოლა** წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან (hyperbole) და გადაჭარბებას, ზედმეტობას, გაზვიადებას ნიშნავს. მასში მთქმე-ლის სუბიექტური განწყობის რომელიმე მომენტი იჩენს თავს. ჰი-პერბოლური შეიძლება იყოს შედარება, მეტაფორა, პერიფრაზი და სხვა. ჰიპერბოლებით განსაკუთრებით მდიდარია საგმირო ეპ-ოსი, სადაც გმირის ფიზიკური ძალა თუ სხვა თვისებები გაზვიად-ებულადაა წარმოდგენილი, რეალური და ფანტასტიკური ერთმა-ნეთანაა შეზრდილი:

„ჩვენი ბატონი ერეკლე  
ერთი პატარა კახია,  
ჯაჭვის პერანგი ჩააცვეს,  
გაჰკრა ხელი და გახია“.

ანდა:

„აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ,  
ადიდებულსა დიდს მტკვარსა, დავაყენებ და ძვრას ვუზამ,  
ას ლიტრსა რკინას დავლეჭავ კევივითა და ყლაპს ვუზამ“. ერთ-ერთ ჰიპერბოლურ მეტაფორაში ქალი მზედაა წარმოდ-

გენილი. ამით გამოხატულია მისი მომაჯადაბელი სილამაზე:

„მინდვრიდან მოხვალ შენ ქალო, ამომავალი მზე ხარო,  
ნეტაი იმის დედასა, რომლის მკლავზედაც წევხარო“ (უმიკ.).  
ჰიპერბოლიზაცია ზოგჯერ კომიკურ ელფერს ქმნის:  
„ცხვირი აქვს მუშტის ოდენა, მუცელი - გოგრისხელაო,

... ექვსი სარტყელი უყიდე, მეშვიდე ჭიათურიო,  
შევსვი და წამოვიყვანე, ცხენს მომინებულიო,  
სულ ერთიანად შეჭამა ქილა, ქოცო და ქვევრიო“ (კოტეტ.).  
გაზვიადებული თხრობა შოთა რუსთველის საყვარელი ხერ-  
ხია. პოეტი უცხო მოყმის ძლიერებას ასე წარმოგვიდგენს: „მონა-  
თა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად,  
„მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად,  
ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ-აღუპყრობელად,  
ზოგსა გადაჲკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად“.  
ჰიპერბოლის ნიმუშია:  
„მტრის ჯავრი გულში მიდგია  
**შავს ალაზანის გუბედა**“ (ვაჟა).  
ჰიპერბოლა ხშირად გვხვდება პოეზიაში:  
„**იმდენი ვსვი, ქობულეთი ტანს იმ ლვინით დაიბანდა**“  
(გორგ.).  
„შვილო, რა უცებ გამეზარდე,  
**ლომის ბოკვერივით მომესწარი**“ (ქებ.).

ჰიპერბოლა მაშინაა გამართლებული, როცა ის მკითხველს კი  
არ აშორებს სინამდვილეს, არამედ, ჰირიქით, ხელს უწყობს, რომ  
მკვეთრად, ზუსტად განიცადოს და შეიმეცნოს იგი. როცა მწერა-  
ლი საგნის ან მოვლენის ხილვით თუ განცდით ზომაზე მეტად აღ-  
ტაცებული, განცვითრებული ან აღმფოთებულია, ის ჰიპერბო-  
ლის საშუალებით ახერხებს მკითხველშიც გადაიტანოს თავისი  
განწყობილება და მასშიაც იგივე განცდა და გაგება გამოიწვიოს...  
„ჰიპერბოლა აძლიერებს მკითხველის მიერ განსახიერებული  
საგნისგან შექმნილ შთაბეჭდილებას, მიღებულ ემოციას ინტენ-  
სიურად აცხოველებს, ამძაფრებს. მკითხველს უჭირს ჰიპერბო-  
ლის საშუალებით განსახიერებული საგანი თუ მოვლენა ნათლად  
წარმოიდგინოს, მაგრამ მასში ჩაქსოვილი პოეტის ემოცია-აღ-  
ფრთვანება იმდენად ძლიერია, რომ იგი აშკარად განიცდის ყო-  
ველივეს. მართალია, განსახიერებული საგანი თუ მოვლენა არ  
შეესატყვისება სინამდვილეს, მაგრამ მისი ტოლძალოვანი მაინც  
არის“ (ზანდუკელი 1968: 259).

„შეირყა მთელი ცა და ქვეყანა  
იმა ჭექით და იმა ქუხილით,  
ცა აირია, დაბნელდა უცებ  
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.  
ქუხვა და ჭექა, ელვა და სეტყვა,  
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,  
ქართა, ან გრიგლად რადმე ქცეულთა,  
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, -  
ესე ყოველი, ერთად რეულნი,  
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა“.  
აქ ჰიპერბოლაში ჩაქსოვილია გაპიროვნების, ეპითეტისა და  
გრადაციის ნიუანსები.

სათქმელი ხშირად გაზვიადებულია პოეტურ ფრაზეოლოგ-  
იზმებშიც. ჰიპერბოლიზაციის იშვიათი ნიმუშებია „ვისრამანში“  
შენმან სულთქმამან ჰაერი გააშავის, შენისა გულისა კვამლმან  
მთვარე დააბნელის (ვისრ. 265:3).

## §11. ლიტოტესიც ტროპის სახეთაგანია და ნიშნავს საგნის დამცი- რებულად, დაენინებულად წარმოიდგენას: სუჭ- ენეინა ისე მოიკ- უნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა (ილია); ჩვენ, უჩინონი, თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გვონივართ (იქვე); როცა მეორე ვაშლი შეჭამა, მოიკავა, დაპატარავდა, აი, ამ თითივით (იქვე); აბა, რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ფურთხი ქა- ლაქის ბოლოში დაეცემა (იქვე).

ჰიპერბოლა და ლიტოტესი ზოგჯერ ერთმანეთის გვერდიგ-  
ვერდაც გვხვდება. ანტითეზურობა აძლიერებს შთაბეჭდილებას:  
„სიცილით კვედები, ვხარხარებ და მელევა ქანცი,  
როცა ეკრანზე **ზვინისხელა** გამოდის კაცი  
და ცურცლისხელას კითხულობს **ლექსებს**“ (გორგ.);  
ან: „ზოგჯერ ბარტყებივით უმნეო ხარ, ზოგჯერ არწივივით ას-  
აფრენი“ (ქებ.).

## V.II. სტილისტიკური ფიგურები

### §1. ელიფსისი

ელიფსისი ბერძნული სიტყვაა და გამოტოვებას ნიშნავს. იგი ეწოდება ისეთ გამოთქმას, რომელშიც გარკვეული ემოციისა თუ განწყობილების გამოწვევის მიზნით გამოტოვებულია სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი. მათ ადგილას ტირე იწერება. სიტყვათა ეკონომიის თვალსაზრისით ელიფსისი ყურადღებას იქცევს, რადგან ფრაზა ლაკონიურია და მოქნილი.

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,  
აბდულ-მესია - შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,  
დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენა- დაუშრომელსა“...

მეორე ტაეპში გამოტოვებულია სიტყვა- უქია.  
„გულო, ოცნებას მაღლავ,  
ცაო, ლურჯდება ზოლი,  
ვაჟი- დაიცა, ქალავ!  
ქალი- დაგიბრმა თოლი“.

აქ გამოტოვებულია სიტყვები - ამბობს და პასუხობს.

„გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,  
მთავრის ღიმილზე- პატიოსნებას  
და დაუანგებულ ბორკილზე ცვლიან  
თავის მამულის თავისუფლებას“ (ილია);

აქ გამოტოვებულია სიტყვა ჰყიდიან.

ელიფსისი ზოგი მწერლის სტილისტიკური ხერხია:  
„მოკვდა ჩემი პოლიტრუკი. 4 კამანდირი დაიჭრა.

22 ივლისი - ვაწყობთ აბარონას:

იმავე დღეს პოსპიტალში.

25 ივლისი - ეშელონი ღრმა ზურგში.

აოხრებული სადგურები. არმავირიდან დავრჩით ორნი;

30 - ბაქო. ვაპირებთ თბილისში.

31- მშობლიური ქალაქი, თბილისი“ (გელაშვ.)

ფრაზის ლაკონიურობით და მოქნილობით ელიფსისი მეტად ეფექტური სტილისტიკური საშუალებაა.

### § 2. გრადაცია

გრადაცია შთაბეჭდილებათა თანდათანობითი გაძლიერების ხერხია, მიღებული სიტყვათა თუ წინადადებათა გაერთიანების გზით.

გრადაციის მიზანია რომელიმე ცნების, საგნის, მოვლენის თუ შეხედულების წინ წამოწევა: „აი, ათას ხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ეროვნება.

1. შთაბეჭდილებათა თანდათანობითი გაძლიერების მიზნით მეორდება სინონიმური სიტყვები:

„დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით,  
ხორცი სულისთვის უწამებია,  
საიქიოსთვის ეს სააქაო  
დაუთმია და განშორებია“ (ილია);

2. გრადაციას ქმნის საგნის თვისებების ან მოვლენის თანდათანობითი განვითარების აღწერა;

„დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,  
გაშრა, გაშემდა ზარდაცემული,  
ერთი საშინლად შეჰებლავლა ღმერთსა  
და იქვე სხივ-ქვეშ უტევა სული“ (ილია).

3. შთაბეჭდილებას აძლიერებს სიტყვათა გამეორება:

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფიადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“ ... (ილია).

4. შთაბეჭდილებას აძლიერებს გრადაციისა და გამეორების ერთობლიობა:

„ზღვა ღელავს და ტალღა ნაპირებს ასკდება,  
რუხდება ღრუბელი და ცრემლი წასკდება,  
მზე ჩადის, იშლება დღის ყველა სურათი.... .  
და მოგონება და ტკივილიც ბაცდება...  
ბაცდება... ბაცდება... “ (ქებ.).

### წ3. ანტითეზა

ანტითეზა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს საწინააღმდეგო დებულებას. იგი ეწოდება ერთ წინადადებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენის, განცდის გაერთიანებას.

ანტითეზა ემყარება ანტონიმიას. ანტონიმები ცალკეული სიტყვებია, ანტითეზა კი - სტილისტიკური დანიშნულებით მათი გაერთიანება. „ეს ერთადერთი გზა ჰოსა და არას დაპირისპირებაა“ (ილია).

ანტითეზა ეფექტური სტილისტიკური ხერხია. „დაპირისპირება მიმზიდველი მეტყველების აუცილებელი პირობაა,“ - წერს არისტოტელე. მისი აზრით, ორატორული სიტყვის აგების მთავარი პრინციპი ანტითეზური უნდა იყოს.

ანტითეზაზეა აგებული ხალხური ლექსები და ანდაზა-აფორიზმები:

**მნიშვნელოვანი მკვაბე** ცვიოდაო;

**მაძლარი მშიერს** პურს უფცქვნიდა და თან აყვედრიდა, რა ღორულად ჭამი;

**ბოროტსა** სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია;

**გარედან მტერს** უყენებს თვალს და **შიგნიდან- მოყვარეს;**

**შეუჩეველ ლხინს** შეჩეული ჭირი ჯობიაო;

**ბევრის** მდომი ცოტასაც დაკარგავსო;

**მოყვარეს** პირში უძრახე, მტერს - პირს უკანაო;

**შვილი მტრულად** გაზარდე და **მოყვრულად** გამოგადგებაო.

ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„ეს ჩემი გული სარკეა,

ერთში წვიმს, ერთში დარია,

ავტირდე- შევყრი ღრუბელსა,

რომ გავიცინო - დარია“ (ხალხ.).

ანტითეზა, როგორც პოპულარული სტილისტიკური ფიგურა ფართოდ გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში:

„ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,

მის ფერულვალავს მშვენებას,

**სიბნელეს აქრობ ნათელით,**

**სიკვდილით პბადავ ცხოვრებას**“ (გრ. ორბ.);

„რატომ არ ძალუძს კაცთა მოდგმას მოიქცეს ისე,  
**მალალი მდაბალს** მოეფეროს ანდა პირიქით“ (ქებ.);

„ჭკვიანები ისე აჭახრაკებენ თავიანთ დანაშაულს, მათ მაგივ-  
რად სულელები გაებმებიან ხოლმე მახეში“ (გამს.); რამდენადაც  
საზიზღარია დაშინებული მამაკაცი, იმდენად მშვენიერია შემ-  
კრთალი ქალი (იქვე); ნურავის დაზოგავთ: ნურ(ც დიდს, ნურც პა-  
ტარას, ნურც ბებერს და ნურც ყმანვილს! (აკაკი).“

ანტითეზაში გამოიყენება ჰიპერბოლისა და ლიტოტესის და-  
პირისპირებაც: „**ყვავის ბახალად** რამ აქცია ჩვენი არწივი“ (ქებ.).

დაპირისპირება შეიძლება გამოვიყენოთ ნაწარმოების ასაგებ-  
ად („**სტუმარ-მასპინძელი**“). კონტრასტული შეიძლება იყოს ნა-  
წარმოების სათაურიც. მაგ.: სტენდალის „**ნითელი და შავი**“.

ანტონიმია გამოიყენება ოქსიმორონშიც (ბერძ. oxis - მძაფ-  
რი, მახვილი, მჭრელი, მირი - სიბრიყვე, სისულელე, უგურულება;  
სიტყვასიტყვით: გონებამახვილური სიბრიყვე). ის ანტონიმურ  
სიტყვათა შეერთებაა, ეფუძნება ენობრივ და კონტექსტურ ენ-  
ობრივ ანტონიმიას.

„**ოქსიმორონი** კონტრასტული ცნებების შეერთებას ნიშნავს  
ახალი, მოულოდნელი ცნების შეერთების მიზნით: ცოცხალი ლე  
ში, ახალგაზრდა მოხუცი, თავისუფალი მონები, პატიოსანი ქურ-  
დი“ (გაფრინდაშვილი... 2005: 99).

მხატვრულ ტექსტში ოქსიმორონი ქმნის მოულოდნელობის  
განცდას:

„ამ სიტყვაზე მე თვალწინ მიდგება უსულო ადამიანი, ცოცხა-  
ლი მიცვალებული“ (ლომთ.).

განსაკუთრებით ექსპრესიულია იგი პოეზიაში:

„**შენ სილამაზის ნაზო გრიგალო**, შენგან აროდეს მომესვენე-  
ბა“ (ლეონ.).“

... ...

„**თვალწინ ლამაზნო**, ვინ უძლს თქვენსა ძლიერს ბასრობას,  
თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას“  
(ნ. ბარათაშვ.).

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ნაწყვეტი და გაანალიზეთ, რა მხატვრულ საშუალებებზეა აგებული ანტითეზა:**

ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წენ-ვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მარტო ალებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭურისა, თუ ხელის ნაწვან-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ კი - დამწევიც და გამქცევიც- ერთსა და იმავე დროს ღმერთს ეხვენებიან- ხელი მომიმართეო (ილია).

#### §4. პარალელიზმი

**პარალელიზმი** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გვერდით მდებარეს. შინაარსით იგი ახლოსაა შედარებასთან, კომპოზიციით კი სინტაქსური მოვლენაა. პარალელიზმი, ისევე როგორც შედარება, გულისხმობს მსგავსი მოვლენების ურთიერთშეფარდებას. ისევე როგორც შედარებაში ერთი მხარე ნაცნობია და მეორე - უცნობი, პარალელიზმის ნაწილებიც შეიძლება თანაბარმნიშვნელიანი იყოს. აქ ერთი სრულიად დამოუკიდებელი მოვლენა მეორეს, ასევე თავისთავადს, უფრო ნათლად წარმოგვიდგენს. „შენმან გულმან ნება და თევზმან წყალი პოა“ (ვისრ. 114: 4).

**პარალელიზმი** გამოიყენება საყოფაცხოვრებო ლექსის კომპოზიციურ საშუალებად. მაგ:

„ფანდური კარგად იძახებს, თუ ძალი შეუხდებიან,  
ძმათა არ გახყრის ცალ-ცალკე, თუ რძალი შაუხდებიან“ (ხევს.).

სიმბოლური ნაწილია „ფანდური კარგად იძახებს, თუ ძალი შეუხდებიან“, რეალური ნაწილია: „ძმათა არ გახყრის ცალ-ცალკე, თუ რძალი შაუხდებიან“.

პარალელიზმი არამარტო აძლიერებს ემოციურობას, არამედ ლექსის იდეურ ჩანაფიქრსაც მეტ სინათლეს ჰქონის:

„ადგილზე ფეტვი დამებნა, რა აკრებს წინილის მეტი,  
მე და შენსა სიყვარულსა რა გაჰყრის სიკვდილის მეტი“.

საყოფაცხოვრებო პოეზიაში გვხვდება მრავალწევრიანი, თუ შეიძლება ითქვას, კიბისებური პარალელიზმიც, სადაც გამოტოვებულია ზოგიერთი წევრი:

„ცხვარო, გამშვენებს ვაც-ვერძო - თავ-რქიანობა, სახლო, გამშვენებს ჭურჭელი, ჭურჭელო - ყანწიანობა,  
ქალო და ზალო ჭკვა-გონი, ძმა-ზალში გემნიერობა“ (ხევს.).

„პარალელიზმი ხშირად რელიეფურად აჩვენებს მკითხველს მოვლენათა ერთიანობასაც და უშუალო შეპირისპირებასაც. ასეთი სახის პარალელიზმები დამახასიათებლად აფერადებს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას“ (ზანდუკელი 1966: 265).

„და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,  
დაუცხრა სული აქოთებული,  
და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა  
თვალი ტყვედქმნილი, გაშტერებული“ (ილია).

#### § 5. ინვერსია

**ინვერსია** ლათინური სიტყვაა და გადაადგილებას ნიშნავს. იგი რომელიმე სიტყვაზე საგანგებო ყურადღების მისაქცევად გამოიყენება. სინთეზურ ენებში ასეთი რამ დასამვებია, მაგრამ არის ენები, სადაც სიტყვათა გადაადგილებას მოჰყვება სემანტიკური ცვლილებანი.

ინვერსიის მაგალითებია:

„არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს,  
არ გასწირავს სულს შევედრებულსა,

ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას  
მასზე გულუხვად მომადლებულსა“.

სიტყვათა ბუნებრივი წყობის შეცვლა ინვერსიის სიახლის გან-

ცდას, ემოციური მახვილი მოდის სწორედ გადადგილებულ სიტყვაზე და მკითხველის საგანგებო ყურადღებას იქცევს:

„საჩიხეში შეიყვანა გირშელი მეფემ“ (გამს.); „ყაყაჩოები და ათოვა მწვერვალებს ცამ“ (იქვე).

## § 6. გამომრეპა

გამეორება ერთისა და იმავე სიტყვის თუ ფრაზის ყოველი შემდეგი წინადადების, სტრიქონის თუ აბზაცის დასაწყისში გამეორებაა. მას ხშირად იყენებენ პუბლიცისტიკაში, მხატვრული ლიტერატურის სტილში. მაგ.: „სტუდენტური წლები ყველაზე საუკეთესო წლებია ადამიანის ცხოვრებაში“; „ასეა თუ ისეა, **ძალაუფლებისმოყვარე** ადამიანებისთვის **ძალაუფლებისმოყვარე** წითელი ფერი პირველობას არავის უთმობს“; „შრომას და გარჯას, ცოდნას და ხერხს ვერავინდა გაუძლებს, თუ შრომას და გარჯას ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენთ“ (ილია); „ბათუმი როგორც ერთი ცოცხალი არსება, ერთი პიროვნება, ისე მიყვარდა“ (გ.ფანჯ.).

მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვათა განმეორებას სტილისტიკური ფუნქცია ეკისრება – მეორდება ის სიტყვა, რომელზეც სურს ავტორს მკითხველის ყურადღების მიქცევა. ამრიგად, სიტყვათა განმეორება სტილიზაციის ხერხია. მაგ. „არსენამ მოასწორ და ხელები ჩასჭიდა, ჩასჭიდა და დაითრია, დაითრია და ისე მოსწია, კისრის ძვლები მოუმტვრია და ძარღვები დაუწყვიტა“ (ჯავახ.).

„წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია“; „მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას“; „ყოველი მისი ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, კაცი ყურებით ვერ გაძლებოდა“ (ილია).

ერთსა და იმავე წინადადებაში შეიძლება მეორდებოდეს სხვა-

დასხვა სიტყვა: „ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენი ენის ქვეყანა ეს არის. ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, თუ გული გაქვს, – გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს – სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა?“ (ილია).

განსაკუთრებით ექსპრესიულია სიტყვათა განმეორება ლექსში:

„ვერ მოასწრებ ჩაის დასხმას...

ჩაიდანი მღერის –

ეს-მე,

ეს -მენ,

ეს -სხვას,

და სხვას,

დედას - არაფერი“ (ჩარკვ.).

ლექსში სტრიქონის ან სტროფის დასაწყისი სიტყვის განმეორებას ანაფორა ჰქვია, ბოლო სიტყვისას - ეპიფორა.

„საქართველოს ზეცა

საქართველოს მთვარე

საქართველოს კვნესა,

საქართველოს მხარე

საქართველოს კვნესა,

საქართველოს მხარე,

საქართველოს ზეცა,

საქართველოს მთვარე“ (ტერ.).

ანაფორა განსაკუთრებით პოპულარულია დიდაქტიკურ-ფილოსოფიური ხასიათის თუ საყოფაცხოვრებო ლექსებში:

„კარგი ყმისა ცოლობასა,

კარგნი უნდან ქალობანი,

კარგნი ადგომ- დაჯდომანი,

კარგნი საქციელობანი“.

## § 7. პარონომაზია

**პარონომაზია** ერთ ცნების გამოხატვაა ზმნის ორი ფორმით (პირიანით და უპიროთი), რაც მკითხველში ემოციას იწვევს. იგი მოქმედების ინტენსივობას გამოხატავს და მის ნამდვილად, ჭეშმარიტად შესრულებაზე მიუთითებს. ის ახასიათებს სემიტურ ენებს, განსაკუთრებით კი ებრაულს. ეს მოვლენა დასტურდება ძველ ქართულშიც და ახალშიც. პარონომაზით გადმოცემული აზრი მეტად ექსპრესიულია და დამაჯერებელი:

აღარც იქნება ცოცხალი, თავისი სიკვდილით მოკვდებოდა (მიშვ.); ზაჟიგალებს და ცარიელ ბოთლებს აგროვებს, მაგრამ დაძრახვით მათაც არავინ ძრახავს (იქვე); ჯერჯერობით დაშლითაც არავინ მიშლის (იქვე); ლოდინით არავის ველი, მაგრამ წუხანდელი ხმა ვერ დამივიწყნია (იქვე); გაგონებით კი გამიგონია, მაგრამ რა! (ბარნ.).

ამრიგად, პარონომაზია ერთგვარი სტილისტიკური ხერხია, რომელიც სათქმელს სარწმუნოს და ექსპრესიულს ხდის.

**დავალება: წაიკითხეთ ტექსტი და დაკვირდით, ტროპის რა სახეობები და სტილისტიკური ხერხებია გამოყენებული:**

როგორც საკუთარ ძვალს არ გავტკირავ, ის არ მინდოდა ამ კრებაზე გამოსვლა, მაგრამ ხანდახან ეშმაკი ჩაგიჯდება ხოლმე ჯანში და თავის ნებაზე აგატროკებს. რა ჩემი საქმე იყო სხვების დატუქსევა-დაჯანვალარება, რომელი სოლომონ მოძლვარი და გოლა-ქადაგი მე ვიყავი. აქამდე, ვერ მოვითმინეო, სხვა რომ მეტყოდა, სიცილს დავაყრიდი. ვერმოთმენის ჭკუაზე მტერმა რაღა დღეს დამაყენა! მთელი ცხოვრება ვითმენ და ამ ერთხელაც მომეთმინა. რა ბზიქმა მიკინა, თვითონაც არ ვიცი, მაგრამ როგორც ჩანს, იმ ერთხელაა კაცი სწორედ საბედისწერო ჭკუაზე! გროვდება, გროვდება გულში ბოლმა-ვარამი და იმ ერთხელ ამოხეთქავს ვულკანივით.

რა კრება იყო, რაში მაინტერესებდა. ყოველდღე იყო ამნაირი კრება ჩვენს კლუბში. შემოლაგდებოდნენ კისერდასიებული,

გალსტუკვამობრუნებული კაცები. ჯერ პრეზიდიუმი გაივსებოდა, მერე დარბაზში დაჩინდებოდნენ ახალნაყარ სკასავით ერთ ადგილას აპზუებული მსმენელები. იქაქანებდნენ, იქაქანებდნენ, ოთხ საათს და ისეთი სახეებით დაიშლებოდნენ, კაცს ეგონებოდა, ახლა კი დააწყვეს ქვეყანა, არ უნდა ლაპარაკიო. წელიწად-ნახევარი ვიმუშავე კლუბში და სამჯერ თუ მექნება მაგათი კრება-თათბირი აქა-იქ ყურჩაკულად მოსმენილი. ქურდების ნახევარ-ყბით და ბებრა-ტერმინებით ნათქვამს ვიგებ, კაცო, და ამ კრებაზე ბაიუშივით ვიჯექი კულისებში. მე კი არა, მგონი, თვითონაც არ ესმოდათ ერთმანეთის. განგებ აგებდნენ აზრს ისე, რომ ერთმანეთი დაებნიათ. ასე იყო ნამდვილად. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და ორატორობა ნამეტარი შორსა წასული. რომელ საუკუნეში და რომელ ქვეყანაში მოახერხებდნენ მითხარი, ოთხ საათს ელაპარაკათ და ერთი პაწაწინტელა აზრიც არ გაპარვოდა; საქმეს რომ წაადგებოდა, ისეთი.

ეს მაგათი ლაყაფ-მუსაიფი ისე მაწუხებდა, როგორც კატას ქალალდის ფხრიწინი. მაგიდას წითელ მაუდს რომ გადავაფარებდი, სცენის სილომეში ბელადის ბიუსტს დავდგამდი და მიკროფონებს უზურში მოვიყანდი, ვიჯექი ჩემთვის და ვთვლემდი. ხანდახან ტაშს რომ გაახურებდნენ, ავწევდი თავს და „ნეტა თქვენს ხასიათს მეთქი,“ - ჩავილაპარაკებდი ჩემთვის.

იმ დღეს პირველად მიმტყუნა მიკროფონმა. შევამოწმე სანამ კრება დაიწყებოდა, ორივე მუშაობდა. სამი წინადადება არ ჰქონდა წაკითხული მომხსენებელს და მაინცდამაინც ტრიბუნის ტელეფონი გამოირთო, ის დასაწვავი. იმაზე უფრო საზიზლარი წუთი არ არსებობს, როცა მეტრიბუნე მიკროფონზე თითს უკაუნებს და და შენკენ იყურება, თავმჯდომარე ფეხზე რომ დგას და იმასაც შენკენ მოუღრეცია კისერი, პრეზიდიუმში მსხდომნი დროს რომ იშოვიან და ქირქილს ატეხავენ. შენ კი ხაფანგში გამოწყდეულ ვირთხასავით ასკდები იქეთ-აქეთ. სწორედ ამ დღეში ჩავვარდი. მიკროფონს თავი მოვუჭირე, კონტაქტი შევამოწმე, შნურს გამოვყევი, არსადაა გაწყვეტილი, რა ქვა გავტეხო, არ ვიცი. ვსტაცე ხელი მაგიდის მიკროფონს და ტრიბუნას-

თან მივარბენინე. დადუმებული მიკროფონი ორივე ხელით ჩავბლუჯე და დროშასავით გამოვიტანე სცენიდან. მომხსენებელმა კითხვა განაგრძო. მე მიკროფონს უუკირკიტებ. არ გასულა ხუთი წუთი, რომ მეორე მიკროფონმა მოზვერივით დაიზმუვლა და ისარი ნოლზე ჩამოვარდა. ისევ სიცილი დარბაზში, ისევ ჩემკენ მომართული მწყრალი სახეები. ცივმა ოფლმა დამასხა. ვიჯახირე, რაც შემიძლია, მაგრამ არაფერი გამოდის. მაინცდამაინც ჩვენი დირექტორი თავმჯდომარეობდა იმ დღეს, გეცოდინება, ცახოცაძე - ერთიუშმურიდაუჯიგროკაცი. შესახედავად მიწასძლივს აჩნია, ტანად მოცოცო და დაფსხრიკულია, მაგრამ რაკი უფროსი მქვია, ხომ უნდა გავამწარო ვიღაცაო და მაშინაც კი, ჩუმად რომ ზის, ყბის ძვლები უთამაშებს. ეტყობა, შიგნიდან ლაპარაკობს, უენოდ ეჩეუბება ვიღაცას. სულ უკმაყოფილო, სულ კუდაბზუებული ეგ რომაა, ჩემი მტერი იქნა ასე. ჩემსავით პატარ-ფუხარა კაცს თუ მოერევა, თორემ დიდ ღლავებთან, ალბათ, ფინიასავით კუთხეში წერტულებს. ჩემთან, იცოცხლე, ყარამან ყანთელია. წელიწად-ნახევარი სტამბოლში ნაყიდი მუნჯივით ვემსახურე და მადლობა რაა, ერთი სიტყვიერი მადლობაც არ უთქვამს. არადა, კლუბის საქმე ხომ იცი, როგორია. ღონისძიებააო, გეტყვიან და მორჩა. რისი რვასათიანი სამუშაო დღე! სანამ სხდომა არ დამთავრდება, ფეხს არ მოიცვლი. მე შენ გეტყვი, აგინაზლაურებს ვინმე ზედმეტ საათებს. რა და „ღონისძიებებს“ მაგათ რა გამოულევს! ღმერთმა გაძლება მოგცეს, მშვენიერ გრძელ ლაპარაკს მივეჩვიეთ. სიტყვის საძებრად ჯიბეში, ხომ ხედავ, ხელს მეც არ ვიყოფ.

ერთი სიტყვით, წამოხტა ცახოცაძე და გამომენთო კულისებში. ისედაც ცეცხლი მიკიდია, შევრცხვი კაცი და ეს კიდევ ნავთს მასხამს: რაში გაძლევა ამხელა ხელფასს, შე ყურუმსაღო, შენ.

ეგ მიკროფონი გაბარია, მეტი ხომ არაფერი, ასე ფეხებზემკიდია როგორ უნდა იყო ცოცხალი ადამიანი! სხვას რომ ყველაფერს თავი დაანებო, თავმოყვარეობა მაინც სად დაკარგე, შენხელა კაცმა. როცა არ ვარგა ადამიანიშვილი, არ ვარგა არაფერში, მორჩა და გათავდა. რომ მცოდნოდა, ამნაირი ზარალი ჰყავდი გამჩენს, როგორ გაგაკარებდი კლუბს. შენი დუხი არ ვნახო ხვალიდან ამ ჭერიტორიაზე.

მოკლედ, რაც რომ სალანძლავი სიტყვა არსებობს, არ დამაჯლო ცახოცაძემ. დეზადორივით დამაფრევია ლანძლვა-თათხვის კორიანტელი. ვითმინე, ვითმინე, ვითმინე და ყელში ბურთივით რომ მომაწვა ნალველი, წამოვდექი, თავმჯდომარე მჯილით განზე გავწიე და გულდაგულ გავედი სცენაზე. ტრიბუნის სიახლოვეს რომ გავჩერდი, დონიჯი გავიკეთე და დარბაზს მივმართე:

„რა იყო მეთქი, რა აუივუკვდით ბელურებივით, მიკროფონი გამოირთო, დაიქცა - მეთქი ქვეყანა? ისე გაიკვირვეთ და შეიცხადეთ, თითქოს სხვა ყველაფერი წესრიგში იყოს და მიკროფონის გამორთვამ მოგვჭრა თავი მთელ დუნიაზე მეთქი. მოშლილი არაა მეთქი ყველაფერი? მიკროფონი, თორემ, გუშინ და გუშინწინ რომ მუშაობდა, ხომ წაგვწიეთ მშრომელები ასი თუმნით წინ! რად გინდათ მიკროფონი, უმიკროფონოდაც ხომ მშვენივრად ატყუებთ მეთქი ერთმანეთს! მეთქი, რაც ნაკლები გაიგონებს თქვენს ლაყაფს, მით უკეთესია, ნერვები მაინც შეენახება ხალხს მეთქი. სირცხვილი დაიკარგა ამ ქვეყანაზე, თორემ ტრიბუნაზე დასადგომი და სხვებისთვის დასარიგებელი პირი რომელს გაქვთ ახლა მაგ დარბაზში-მეთქი. მე რომ მე ვარ, მარტო ამ მიკროფონს რომ ვიყო შეჩერებული, შიმშილით დამიწყდებოდა ცოლ-შვილი მეთქი. აქედან გასული რაღაცას რომ არ ვჩალი-ჩობდე, რას მეყოფა თქვენი მოცემული ჯამაგირი – 83 მანეთი მეთქი! რავა ყველამ აიშვით და მე მომერიეთ, მე დამაჯექით კისერზე მეთქი. რომელი ცხოვრობთ სუფთად და ხელფასზე, ადგეს აბა ფეხზე, თუ კაცია მეთქი! მთავარი ქურდები აქ ბრძანდებით, დარბაზში და, ვინ დაიჯერებს მგლის ნაქადაგებს- ბალახი რომ უკეთესია ხორცზე, როცა თვითონ მგელი ბალახს პირს არ აკარებს მეთქი. ახლა ეს დირექტორი რომ მომდგადა ცულლუტ მწწაფესავით ყური ამახია, თქვენით შეგულიანებული აკეთებს ამას, თორემ თქვენ რომ არ ყავდეთ, გავაძვრენდი სკამის ქვეშ, მამაჩემსა აქვს ცხონება მეთქი. მომხსენით, თორემ ჯილა-გვირგვინი არ მომხადოთ და ციხე-დარბაზები არ დამატოვებინოთ. პა, ეს ატვერკა, რომელსაც გაგიხარდებათ და თქვენ მოუარეთ თქვენს დანჯლრეულ მიკროფონებს მეთქი (რ. მიშველაძე, „ამრევი“).

## შემაჯამებელი ტესტი

სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ ტექსტები და გამოყავით ტრო-  
პის სახეები:

1. „სინამდვილეს არ ვემდური,  
არ ყოფილა თითქმის,  
არყოფილზე საყვედური  
არასოდეს ითქმის“ (გალ.);

2. „თვალნო ლამაზნო, ვინ უძლს თქვენსა ძლიერს ბასრობას,  
თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას“;

3. „აპრილის სავსე მთვარე ანათებს,  
გაზაფხულის პირველ ყვავილებს,  
დგას ალუბალი  
გაზაფხულის დღესასწაულზე,  
კაბა-ქათქათა დედოფალივით“.

4. „ოქროსფერი შემოდგომა დაესიზმრა ქარს,  
დაერია ბალში ხეებს, გადათელა ქუჩა,  
ზეცას თეთრი ღრუბლები  
სასწაულად უხდება,  
თითქოს ლურჯი კაბიდან  
თეთრი მუხლი უჩანს“;

5. „ოჳ, ფიქრი, ფიქრი... ჭრელქათიბა, მტანჯველიც ეგზომ,  
ნათელი შუბლის გალიაში მბორგავი ჩიტი...  
ბრმა ოცნებათა სასაფლაოს ნაცნობ ეზოში,  
სულის დარაბებს რომ აწყდება მიწყივ და მიწყივ“;

6. „ჩვენ - უჩინონი, თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ“;

## 7. „- ჩემო იმედო!

ნუთუ დღემდე არ მოგბეზრდა  
შენს ბაგაში შენივე ქერი,  
სხვისი სახელით მონათლული,  
ნავნებიერი?

- რას იზამ, ბაბა დაუძახე,  
თუკი დათვი შეგხვდა ძლიერი;“

8. „დალამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და და-  
უნებით ყურდაცქეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზეხე-  
ლალებულის დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არა სდუმობ,  
თერგო! მერწმუნეთ, მე მესმისა მმაგაკმენდილს ქვეყანაში თერ-  
გის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა  
ნუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქოს შენსას აგებინ-  
ებ და იგი თავისას შენ გაგებინებს, ამიტომაც შეგიძლიან სთქვა,  
რომ მატოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხა ცხოვე-  
ლო, რომელსაც ადამიანს გეძახიან.

ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის  
შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა, გული  
მიტოკს და მკლავი მითრთის, რისთვის? დროს დავაცალოთ ამის  
პასუხის მიცემა“.

9. „მაგრამ კონტრასტი არის ამ ბედის  
გულცივი, მკაცრი და გამყიდველი  
მშიერი სახით კაფეში შედის  
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი“.  
**მოძებნეთ ამ სტროფში ეპითეტები და სინონიმები.**

10. „მათ ნატყვიარი აკრავთ წარბებზე,  
გული სავსე აქვთ შხამის წვეთებით,  
ამ დროს დარბაზი არის მოლხენით,  
ორკესტრი გრგვინავს თავგამეტებით“.

**მოძებნეთ ამ სტროფში სიტყვათა მყარი შესამება და გან-  
მარტეთ იგი.**

**11.** „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის  
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,  
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის  
და სიყვარულის ასე მოთმენა“;  
**მოძებნეთ პოეტური ეპითეტი და აღნიშნეთ, რას ნიშნავს  
იგი.**

**12.** „ ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!  
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი,  
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს,  
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!“  
**რა მხატვრული ხერხია I და IV ტაეპებში? მოძებნეთ პოეტ-  
ური ეპითეტები**

**13.** „აქ, ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,  
აქ, მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით,  
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული“...

**14.** „მთიდამ ამაყად გადმომზირალი, -  
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა,  
იგი მოხუცი მას დააცქერდა;  
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა“;

**15.** „საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია,  
სად არიან შვილები, ქარია, არ არიან“...  
რის სიმბოლოა **ქარი?**

**16.** „ლაშტხვერში კახთა აწვე უენო, მუნჯი ზარია,  
ქარები მისთა ჩუმთა ნაღველთა განეკრძალვიან“;

**17.** „ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში,  
გაქრა ტანჯვა- წამება, როგორც ღამის ზმანება“;

**18.** „შეხედე, დასტკები! ჩემი თვალები, წინათ რომ ფეთქდნენ  
ცვრებით, იებით, ღამენათევი და ნამთვრალევი, სავსეა ცრემ-  
ლთა შურისძიებით“;

**19.** „სადღაც იკერავს გამხდარი ქვრივი, კაბას ტრაურულს და  
უღარიბესს“  
**მოძებნე ბარბარიზმი.**

**20.** „ცა მოწყალებით თავზე დამცქერის, არ მემეტება მოვიკლა  
თავი“;

**21.** „ერთი გიორგის ხელური ძნად შეიკვრისო, - ამბობდნენ  
გლეხები, ბარს დაკრავს, გგონია, დედამიწა უნდა შუაგულამდე  
ჩაანგრიოსო“...

**22.** „იმ დღის ნალაპარაკევმა ათასნაირ ფიქრის მორევში ატ-  
რიალა ნაფოტსავით იმისი ჭკუა და გონება“...

**23.** „მზემ ადგომა მაინც ვერ დაასწრო, ოთარაანთ ქვრივი ტან-  
ჩაცმული და პირდაბანილი იყო, რომ მზემ მაშინ ძლივს ამოყო  
თავი მთის წვერიდამ და გადმოჰედა ქეყანას თავის ერთად ერ-  
თის ოქროსავით ბრჭყვიალა თვალითა“;

**24.** „ლელეს ჩავიდა მწუხარი, ვარდი, ვარდის წყლით ნაბანი“;

**25.** „კაცი კაცსა შემოვტყორცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი,  
კაცი, ჩემგან განატყორცნი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი“;

**26.** „სუტ- კნეინა ისე მოიკუნტა, ნეკისოდენა გახდა“ ;

**27.** „უბრალოდ მიყვარს სიტყვა „უბრალო“  
უბრალოდ ყველა მიყვარს უფალო,  
გულს ტკივილები რომ დავუთვალო,

გავგიუდებოდი ალბათ, უფალო!  
უბრალოდ გვტკივა გული ძალიან  
უბრალოდ ვტირით ან გვიხარია,  
უბრალოდ ის, რაც ჩენი ბრალია,  
გვიკვირს, თუ სხვები რად გვაბრალიან.  
უბრალოდ ჩინდება სუყველა ბრალი,  
უბრალოდ ვწუხვარო კაცი თუ ქალი,  
უბრალოდ ვხვდებით დარდისგან მთვრალი,  
და მერე ცისკენ მიჭირავს თვალი“ (ქებ.);

**28.** „ვიცი, რომ ფშავლის სოფელი  
წმინდაა, მაღალ მთისაო,  
ენა- მეტყველი სიმართლის,  
გულ-მკერდი – ფოლადისაო“ (აკაკი);

**29.** „სილამაზით პეპელა ხარ ხატისა,  
მიხვრა- მოხვრა და ქცევა გაქვს კატისა,  
დღეში ასჯერ შეიცვლები მარტივით,  
რომ მოხიბლო გული ანდამატისა“ (აკაკი);

**30.** „უკულმართო ბედისწერავ!  
რა სიბერეს გადამკიდე?  
რაც ღიმილით მითესია,  
ან ცრემლებით უნდა ვმკიდე?“ (აკაკი);

**31.** კვერცხის ნაჭუჭში ამბოხებულა პატარა წინილა და კრუხს  
შეჰკამათებია (გამს.2);

**32.** იდგნენ გულამაყი ჭადრები და იშმუშნებოდნენ ამაო ზეფი-  
რის ალერსით გულაჩვილებულნი (გამს.2);

**33.** აქა-იქ გაბნეულია შორეულ ოცნებასავით თეთრი, მარმა-  
რის ღრუბელი (გამს.2);

**34.** მთვარეც გამოსულიყო ღრუბლების ჯებირებიდან, რძეში  
გავლებულ მეგრულ სულგუნივით თეთრი (გამს.);

**35.** გამოვიდნენ კატასავით ტანმორჩილ ცხენებზე შემსხდარი  
აფხაზები (გამს.2).

#### **ცოდნის შესამოწვევებელი კითხვები**

1. განმარტეთ ტროპი და დაასახელეთ მისი სახეები;
2. ვენის დიაგრამით გამოსახეთ შედარებისა და მეტაფორის  
მსგავსება-განსხვავებანი;
3. სად, რომელ სტილში გამოიყენება ეპითეტი?
4. როგორ გესმით ეპითეტის „არა საკმაზად, არამედ საჭმლად  
გამოყენება“?
5. დაასახელეთ მეტაფორული ეპითეტები;
6. რას ეფუძნება მეტონიმია და სად გვხვდება იგი ყველაზე  
ხშირად?
7. რა მიზნით იყენებენ ანტითეზას ანდაზების ენაში?
8. როდის მიიჩნევენ სიტყვათა გამეორებას სტილისტიკურ  
ხერხად და როდის შეცდომად?
9. როდის და რა მიზნით იყენებენ ჰიპერბოლას და ლიტოტესს  
ერთმანეთის გვერდიგვერდ?
10. რატომ მიიჩნევენ მეტაფორას პოეტური ნიჭის საზომად?

**დასამუშავებელი ლიტერატურა:** № 3, 4, 28, 54, 55, 91, 149, 155.

## თავი VI. ტიპობრივი შეცდომები სიტყვათხმარებაში

ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში მრავალნაირ ენობრივ დარღვევას ვხვდებით. შეცდომებს, რომლებიც ხშირად მეორდება, „ტიპობრივს“ ვუწოდებთ. ისინი ძირითადად ორი სახისაა:

- I. ა. სიტყვების არასწორი გამოყენება;
- ბ. სიტყვების სემანტიკური შეუთავსებლობა;
- გ. სალიტერატურო ენის სიტყვათა მნიშვნელობის გადააზრიანება;
- დ. ახალი სიტყვის შექმნის ცდა;
- ე. ერთნაირი ან მსგავსი ფუძის სიტყვების გამეორება;
- ზ. ენობრივი შტამპები;
- თ. ზედმეტი სიტყვების გამოყენება;
- II. ა. განსხვავებული სტილური პლასტიკის არამოტივირებული გამოყენება;
- ბ. დარღვევა ფრაზეოლოგიზმთა გამოყენებაში;
- დ. ანაქრონიზმები;
- ე. ემოციურ-შეფასებითი სიტყვების არამოტივირებული გამოყენება (სულიმენკო 1966: 33).

### VI.1. სიტყვის გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით

სიტყვა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს გადმოსაცემ შინაარსა. ზოგი სიტყვის არაზუსტი მნიშვნელობით გამოყენება საკმაოდ გავრცელებული ენობრივი ფაქტია.

- ა) სახელი
- მონაფე და მოსწავლე;

მოსწავლე არის ის, ვინც სწავლობს სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში. მონაფე არის ვიღაცის გაწვრთნილი, მომზადებული, მიმდევარი. ამ უკანასკნელი სიტყვის მნიშვნელობით ყველგან გამოიყენება მოსწავლე. მაგალითად: არ. ჩიქობავას მოსწავლე (უნ-

და იყოს მოწაფე), მოსწავლის ჩანთა. გადატანითი მნიშვნელობით მოწაფე ვისისმე მოძღვრების ან პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარიცა: პითაგორას მოწაფე, დ. უზნაძის მოწაფე.

მონაფე ნიშნავს შეგირდსაც (ვინც რაიმე ხელობას სწავლობს შეგირდთან). მონაფის და შეგირდის მნიშვნელობით მოსწავლის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

#### პედაგოგი და მასწავლებელი

პედაგოგი ინტერნაციონალიზმია, მასწავლებელი კი ქართული სიტყვა, გაარსებითებული მიმღეობა. თუ გვინდა დასახელება, რომელ საგანს ასწავლის ესა თუ ის პიროვნება, მაშინ უნდა გამოვიყენოთ მასწავლებელი, თუ ზოგადად ვსაუბრობთ, არ ვუთითებთ, მაშინ – პედაგოგი. არ არის სწორი ინგლისურის პედაგოგი, უნდა იყოს: ინგლისური ენის მასწავლებელი.

#### მესვეური და თავკაცი

ხშირად სიტყვა მესვეურს ვიყენებთ თავკაცის თუ ხელმძღვანელის მნიშვნელობით. მაგ.: ქალაქის მესვეურები; საწარმოს მესვეურები; რაიონის განყოფილების მესვეურები...

უნდა იყოს: ქალაქის თავკაცები; საწარმოს ხელმძღვანელები; რაიონის განყოფილების ხელმძღვანელები...

#### ძალისხმევა თუ ძალა? მეცადინეობა თუ ენერგია?

ასევე შეცდომა ძალისხმევის გამოყენება ძალის ნაცვლად, მეცადინეობისა – ენერგიის მაგივრად, არ არის სწორი: ძალისხმევას მოახმარს; უდიდესი მეცადინეობა მოახმარა.

სწორია: ძალ-ლონეს მოახმარს; უდიდესი ენერგია მოახმარა.

#### მაღალი თუ უხვი/კარგი/ჩინებული/კეთილი?

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით პრესის ენაში, ზედსართავმა სახელმა მაღალმა განსაკუთრებული სტილისტიკური დატვირთვა მიიღო. იგი ლამის დაშორდეს თავის ძირითად მნიშვნელობას და ჭარბ ექსპრესემად იქცეს. ქეგლ-ის მიხედვით, მისი მნიშვნელობებია:

#### მაღალი - 1. დიდი სიმაღლის;

2. დიდი ციფრებით გამოხატული - მაღალი წნევა, ტემპერატურა, ძაბვა;

3. წერიალა ხმა;
4. დიდი, მნიშვნელოვანი;
5. თანამდებობა;
6. წიგ. საპატიო, სასახელო;
7. ლირსეული, დიადი;
8. მაღალი გრძნობა, სულით მაღალი.

თანამედროვე ქართულში **მაღალი** გამოიყენება 1. როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული არსებითი სახელის მსაზღვრელად, როცა სურთ ხაზი გაუსვან საგნის სიდიდეს, განსაკუთრებულობას, რითაც დევნის ხმარებიდან შემდეგ ზედსართავებს: კარგი, კეთილი, ჩინებული, უხვი, დიდი და უდიდესი, უკეთესი, საუკეთესო. მაღალი მოსავალი (უხვი მოსავალი); მაღალი ჰონორარი ან ავტორიტეტი (დიდი); მაღალი მაჩვენებელი ან შედეგი (საუკეთესო).

2. ხმარობენ მსაზღვრელად ისეთ არსებით სახელებთან, რომებიც ასახვენ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს, განცდებსა და მისწრაფებებს. **მაღალი გარჯა, ნდობა, მიზნები.**

ამ სიტყვებთან **მაღალი** ზედმეტია, ნდობა შეიძლება იყოს მხოლოდ **დიდი**.

3. მაღალი აღნიშნული სტილისტიკური დატვირთვით ხშირად ჩაენაცვლება ზედსართავ სახელს - საპატიოს და ქმნის დაშტამპულ გამოთქმებს: მაღალი მოვალეობა, ჯილდო, სტუმარი [უნდა იყოს საპატიო ან საპასუხისმგებლო].

ამრიგად, სიტყვა **მაღალი** არასწორია შემდეგ სიტყვებთან: მოსავალი, ჰონორარი, სტუმარი, ავტორიტეტი, ტემპი, შედეგი, პასუხისმგებლობა.

**სწორია:** უხვი მოსავალი; დიდი ჰონორარი; საპატიო სტუმარი, კეთილი, კარგი თვისებები; დიდი ავტორიტეტი; ჩქარი ტემპი, კარგი შედეგი; დიდი პასუხისმგებლობა....

დაშტამპულ გამოთქმებს ქმნის **მაღალი** ისეთ სახელებთან, როგორიცაა მიჯნა, ზღუდე, სტარტი.

მაღალი სტარტი, მაღალი მიჯნა ან მაღალი ზღუდე.

### **რელიგიური და მორწმუნება**

რელიგიური შეიძლება იყოს მოძღვრება, სექტა. ის უსულო საგანთა მსაზღვრელია, ამიტომ შეცდომაა **მეტად რელიგიური კაცია. უნდა იყოს: ლვისმოსავია, მორწმუნება.**

### **მარტივი თუ იოლი, ადვილი? რთული თუ ძნელი?**

მარტივი- 1. რაც შემადგენელ ნაწილებად არ შეიძლება დაიშალოს; 2. ადვილი გასაგები, უბრალო (ამოცანა, მაგალითი, წინა-დადება). შესაბამისად, რაც ნაწილებად იშლება, ის **რთულია, რაც არა- ძნელი.**

### **მაგარი თუ მტკიცე, გამძლე; ძლიერი**

მაგარი- 1. ძნელად გასატეხი, ძნელად დასანვრევი, მყარი, მკვრივი, მტკიცე, გამძლე; 2. ძლიერი, ღონიერი (**მაგარი გული-გულადი, მაგარი ზურგი- ძლიერი, გავლენიანი, მაგარი ძილი-ღრმა ძილი); 3. ბევრი სპირტის შემცველი.**

### **მკაცრი და მტკიცე**

მკაცრი შეიძლება იყოს ადამიანი თავისი ხასიათით, მისი მნიშვნელობებია ულმობელი, სასტიკი, ამიტომ შეცდომაა **მკაცრი წოლითი რეჟიმი ან მკაცრი სიცხე.** უნდა იყოს: **მტკიცე წოლითი რეჟიმი, დიდი სიცხე.**

### **ბ) ზმნა**

ძალიან ხშირად ერთმანეთის სანაცვლოდ ვიყენებთ ზმნებს, რომელთაც განსხვავებული სემანტიკა აქვთ. ასეთებია: **ეზარება და ეჯავრება; გაიხადა თუ გაიძრო; ეწია და ეწვია და ა. შ.**

### **ეზარება და ეჯავრება**

ეზარება- რისამე შესრულების სურვილი არ აქვს, ხალისს არ იჩენს სიზარმაცის გამო; ეჯავრება- სძულს.

## **გაიხადა და გაიძრო**

**გახდა** ნიშნავს ჩაცმულის მოცილებას, მოშორებას, **გაძრობა** კი - კანის, ტყავის გაცლას, სასაუბრო სტილში - ტანსაცმლის გახდასაც, რაც მწიგნობრული ენისთვის შეცდომადა მიჩნეული.

## **ენია და ენვია**

ენია ბედს; ენვია სტუმრად.

## **ნახა და იპოვა**

**პოვნა** შეიძლება დაკარგული ნივთისა, **ნახვა-** ახალი ფილმის ან თუნდაც დიდი ხნის უნახავი ადამიანისა.

## **გაიგო და შეიტყო**

**გაება** გონებით წვდომა, მიხვედრა, გააზრება, შეგნებაა, **შეტყობა** კი- ახალი ინფორმაციის მიღება.

## **ლაპარაკობს და ამბობს**

**ლაპარაკობს** არის ერთპირიანი, გარდაუვალი ზმნა, მას არ შეიძლება ჰქონდეს ობიექტური პირი, ამიტომ მისი გამოყენება ორპირიანი გარდამავალი ზმნის მნიშვნელობით შეცდომაა; ის უნდა იხმარებოდეს იმ შემთხვევაში, როცა სამოქმედო ობიექტი არ იგულისხმება: ის ქართულად ლაპარაკობს, მან ბევრი ილაპარაკა ამის შესახებ. **ლაპარაკობს** ზმნის ორპირიანი ფორმაა გარდაუვალი ელაპარაკება. მისი სამპირიანად გამოყენება არ შეიძლება, ასეთ შემთხვევაში მართებულია **უამბობს** (ის მას სიმართლეს).

## **მოიტანა და მოიყვანა, ჰყავს და აქვს**

როგორც ვიცით, მოიყვანა, ჰყავს მიემართება მხოლოდ სულიერ საგნებს, მაგრამ სულიერ და უსულო საგნებზე მსჯელობა მყარ გამოთქმებთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, ვინაიდან მყარი გამოთქმები ჩვეულებრივი ლოგიკის წესებს არ ემორჩილება, კერძოდ: **გვირაბი, სინათლე, არხი გაიყვანა, ყველი ამოიყვანა, კაბა წელში გამოიყვანა, რიცხვი ხა-**

**რისხში აიყვანა, ამოცანა, მაგალითი გამოიყვანა, წილადები ათწილადებში გადაიყვანა და ა.შ.**

მეორე მხრივ გვაქვს: კაცი წერამ აიტანა, გოგონა შიშმა აიტანა, მანქანამ კაცი გაიტანა და ა. შ.

ამრიგად, სიტყვათა სწორი შეხამებებია: მოჰყავს, მოჰყავდა მაგალითი, ილუსტრაცია, ციტატა; ზემომოყვანილი მაგალითი, ილუსტრაცია, ციტატა, აზრები (აფრიდონიძე 2011: 21).

## **აცვამს და აცმეს**

აცვამს ჯვარს, მაგრამ აცმევს კაბას.

## **გააჩნია, აქვს და მოეპოვება**

**ტარება** ზმნა ხშირად უმართებულოდ ცვლის კანონიერ ხმარება, კეთება, გამოყენება ზმნებს. სწორია **საათი უკეთია; სათვალეს ხმარობს და არა საათს // სათვალეს ატარებს.**

## **მოქმედებს და არის, არსებობს, მუშაობს**

მოქმედებს ზმნა ხშირად ცვლის არის, არსებობს, მუშაობს ზმნებს.

**მოქმედებს:** 1. ენევა რაიმე საქმიანობას, აკეთებს რამეს, მოლვანეობს... ამ ზმნას ხშირად იყენებენ არსებობს, არის ზმნების მნიშვნელობით, რაც შეცდომაა: მუზეუმთან მოქმედებს სამეცნიერო ბიბლიოთეკაც; სკოლაში ბევრი სხვა წრეც მოქმედებს.

## **ატარებს თუ მართავს ან აწყობს?**

**ჩატარება** ზმნა უმართებულოდ ცვლის გამართვა და მოწყობა ზმნებსაც. სწორია: **საღამო// კონკურსი გამართა ან მოაწყო.**

**შეცდომაა** შეხვედრა/ვიზიტი შედგა. აჯობებს ვთქვათ ვიზიტი არ გამოვიდა, შეხვედრა გაიმართა. ანალოგიურია: უურნალისტად ვერ შედგა. უნდა იყოს: მისგან უურნალისტი ვერ გამოვიდა.

## **გაჭირვებას// მარცხს განიცდის თუ უჭირს// მარცხდება?**

განცდა ადამიანის ემოციებს უკავშირდება, ამიტომ სტილის-ტიკური შეცდომაა მისი გამოყენება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც არ აღნიშნავენ სულიერ მდგომარეობას. მაგ. შეცდომაა: **გაჭირვებას განიცდის, მარცხს განიცდის.** სწორია: **მარცხდება, უჭირს.**

### **გ) სახელზმნა**

#### **განაწილება თუ განესება?**

სიტყვა **განაწილებას** არასწორად ვიყენებთ, როცა ვამბობთ, სამუშაოდ გაანაწილეს. განაწილება შეიძლება ფულის, ქონების... აქ კი უნდა იყოს სამუშაოდ გაანესეს.

#### **მინიჭება და დაკისრება**

**მინიჭება** შეიძლება წოდების, ხარისხის, **დაკისრება** - მოვალეობის.

#### **დაზარალებული, დაშავებული და დაზიანებული**

ზარალი მატერიალური დანაკარგია, დანაკლისია, **დაზარალებული** ისაა, ვისაც ზარალი მოუვიდა; **დაშავებული** კი არის, ის, ვისაც ფიზიკური ზიანი მიაყენეს. **დაზიანება** ზიანის მიყენება, გაფუჭება, წახდენა; **დაზიანებულია** ის, რასაც ზიანი მოუვიდა: მხედველობის დაზიანება.

### **დ) ზმნიზედები**

#### **განმავლობაში და მანძილზე**

შეცდომაა დროის მონაკვეთებთან „მანძილის“ გამოყენება. არა „წლის მანძილზე“, არამედ „წლის განმავლობაში“, არა „მთელი ამ დროის მანძილზე“, არამედ „მთელი ამ დროის განმავლობაში“, არა „მისი სიცოცხლის მანძილზე“, არამედ „მისი სიცოცხლის განმავლობაში“.

## **რამდენი ხანი თუ რამდენ ხანს?**

როგორც წესი, ითქმება ან იწერება: ორი დღე გრძელდებოდა, სამი წელიწადი (და არა წელი) გრძელდებოდა. დავსვათ კითხვა: როგორ იკითხავთ: „რამდენი ხანი გრძელდებოდა“ თუ „რამდენ ხანს გრძელდებოდა?“ სწორია: **ორ დღეს გრძელდებოდა, სამ წელიწადს გრძელდებოდა.** გამონაკლისია: ვაჟა დღედაღამ მუშაობდა.

**სავარჯიშო №1.** წაიკითხეთ მაგალითები და ახსენით, არის თუ არა სწორად ნახმარი ზედსართავი სახელები **მარტივი და რთული:**

1. სიყვარული არსებითად ერთგვაროვანი, მარტივი გრძნობაა ყოველი სულდგმულისათვის ერთნაირად მისაწვდომია და გასაგები;
2. მაშინ სტუდენტობა ცოტა რთული იყო (იქვე);
3. გზა აპიტურიენტობიდან სტუდენტობამდე ძალიან რთული, ემოციური და ბოლოს წარმატებული აღმოჩნდა;
4. რთული სათქმელია, ვერ დავასახელებთ კონკრეტულ პირებს;
5. ცხოვრების გამარტივება არც თუ ისე ადვილია;
6. მთავრობის არგუმენტი მარტივი და გასაგებია – თუ არსებობს ოპოზიციური არხები, უნდა იყოს სახელისუფლებო ტელევიზიებიც;
7. მედიის თავისუფლება საკმაოდ რთული საკითხია და რამდენიმე საკითხისგან შედგება;
8. მათ ხელოვნურად გავუმარტივებთ სიტუაციას;
9. საქართველოს მთავრობამ დიდი სამუშაო გასწინა ინვესტირების მარტივად, დაუბრკოლებლად წარსამართავად;
10. სამედიცინო სტატისტიკის თანახმად, ზაფხულში იოლად შეიძლება სხვადასხვა ინფექციით ან ვირუსით დაავადება;
11. მესიჯში მარტივად ჩანს ადამიანის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი;
12. ყველაფერი ძალიან რთულია და ძალიან მარტივია (საუბარია პოლიტიკაზე).

**13.** ეს ყველა მოზარდისათვის რთულია, ამიტომაც უძნელდება კლასიკის შესრულება;

**14.** ამ კონკურსში ასაკოვანი პროფესორების საკითხია ყველაზე რთული;

**15.** ქალმა ევადან თანამედროვეობამდე საკმაოდ რთული გზა გამოიარა;

**16.** როგორ ფიქრობთ, დღეს კარიერა რთული გასაკეთებელია?

**17.** თევზეული, იოგურტი, თხილეული ამ პრობლემისაგან თავდაცვის მარტივი საშუალებაა;

**18.** თუ უარის თქმა არ შეგიძლია, მაშინ იმაზე რთულ საქმეს იტვირთებ, ვიდრე შეგიძლია;

**19.** მას ძალიან რთული ხასიათი აქვს და ამიტომაც უჭირს სხვებთან ურთიერთობა;

**20.** ძნელია ხალხი დავაჯერო, რომ პოლიტიკასთან არაფერი მაკავშირებს; რატომ ხდება ეს და რის გამო, ამის ახსნა ძნელია.

**სავარჯიშო №2. წაიკითხეთ მაგალითები, მოძებნეთ განმარტებით ლექსიკონში სიტყვათა**

**ზუსტი მნიშვნელობანი და არასწორად შერჩეული სიტყვა შეცვალეთ ადეკვატურით:**

**1.** ფულზე რომ პრობლემა არ მქონდეს, ამ ჩანთას აუცილებლად ვიყიდდი;

**2.** თუ დროულად არ იმკურნალებთ, სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ;

**3.** მოპოვებული მაქვს რამდენიმე სერიოზული გრანტი;

**4.** მას სერიოზული დახმარება აღმოუჩინეს;

**5.** როგორც წესი, სერიოზული მწერლები ამას თავს არიდებენ;

**6.** აყვავილებული ხეხილი სეტყვამ დააზარალა;

**7.** ავტოავარიაში რამდენიმე მოხუცმა დაზიანება მიიღო;

**8.** გაკვეთილზე ურთიერთდასწრების პრაქტიკამ გვიჩვენა სწავლების ეფექტურობა;

**9.** ის ყველაზე მაგარი მინისტრია;

**11.** ელიტ-ელექტრონიქსში დღეიდან აქცია დაიწყო: აქ საოჯახო ტექნიკაზე ყველაზე მაგარი ფასებია.

**სავარჯიშო №3. შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ტექნიკა, პროდუქტი, პრაქტიკა, ფავორიტი, ორბიტა, ფრონტი შემდეგ კი მოძებნეთ მათი ზუსტი მნიშვნელობანი უცხო სიტყვათა ლექსიკონში და დააკვირდით, რამდენად სწორად იყენებთ მათ.**

## **VI.2. სიტყვის (პროპლემა, დუატი, ავტორი, სტარტი, ზინიში) მნიშვნელობის გაფართოება**

ლექსიკური საშუალებები დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად ხმარებას. მეტაფორულად ნახმარ სიტყვას ან გამოთქმას ექსპრესემა ჰქვია. „ექსპრესემები ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ყოველთვის ვერ არის დაცული ზომიერება მათ გამოყენებაში, მეორეც, ყოველთვის არ არის გათვალისწინებული სიტყვის სემანტიკური შესაძლებლობანი. ექსპრესემად ნახმარი სიტყვა, თუკი იგი თვითნებურად და დაუკვირვებლადაა გამოყენებული, მიზანს ვერ მიაღწევს. მეტაფორულად ნახმარი სიტყვა ერთ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მოხდენილი და მოხერხებული იყოს, არც მისი მნიშვნელობა იყოს გაბუნდოვნებული, მაგრამ როცა იგი შემდეგ უამრავჯერ მეორდება... ეკარგება გამომსახველობითი ძალა, აგრეთვე, რაც მთავარია, ხშირად მახინჯდება მისი მნიშვნელობა“ (ლვინაძე 1980: 19). სიტყვის ფართო მნიშვნელობით გამოყენების საუკეთესო მაგალითებია: **სტარტი, ავტორი, დუატი, პრობლემა** და ა. შ.

სიტყვა **სტარტი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან **start**, რომელიც ნიშნავს იმ ადგილს თუ ხაზს, საიდანაც იწყება სპორტული შეჯიბრება: **სტარტზეა - პირდაპირი მნიშვნელობით ნიშ-**

ნავს სტარტის - დაწყების ხაზზე ყოფნას; შესიტყვება **სტარტის აღება** იხმარება უკელანაირი სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტის აღსანიშნავად. ამ სიტყვის გამოყენება ყოვლად შეუფერებელია ისეთ თემებზე საუბრისას, სადაც სპორტი არ იყულის სხმება. მაგ.: ჯანმრთელობის სტარტები, გამოფენის სტარტი, საგაზაფხულო სტარტი.

კიდევ უფრო გაუმართლებელია ამ სიტყვასთან ეპითეტების (კარგი, ცუდი, ჩინებული, ღირსეული, ტკბილი) გამოყენებაც: მაგ.: „ეს ტკბილი სტარტის მოყვარულებს ეხებათ“; „ტკბილი სტარტისთვის მაშრა არის საჭირო?“.

სიტყვა **ფინიშიც** (ინგლ. finish) სპორტს უკავშირდება და ნიშნავს შეჯიბრების ან დისტანციის უკანასკნელ პუნქტს; გამოყენება ისეთი სპორტული შეჯიბრების შესახებ საუბრისას, როცა მანძილია გადასალახავი.

დღესდღეობით ამ სიტყვის მნიშვნელობა განზოგადებულია და ნიშნავს საერთოდ დასასრულს. გაუმართლებელია ამ სიტყვის ხმარება არასპორტულ თემებზე საუბრისას, მით უფრო თუ მას ეპითეტიც (კარგი, საამაყო, სასურველი, სასახელო) ახლავს.

ამრიგად, სიტყვის მეტაფორულად გამოყენებისას მისი ძირითადი მნიშვნელობა არ უნდა დავამახინჯოთ. იგივე შეიძლება ითქვას **დუეტის**, **კვარტეტის**, **ავტორის** და **ბევრი სხვა ლექსემის** შესახებ. **დუეტი** და **კვარტეტი** მუსიკალური ტერმინებია და ხშირად მათი მნიშვნელობა განზოგადებულია: **ექიმების დუეტი**, **ჩემპიონთა დუეტი...** ისინი მაშინაც გამოიყენება, როცა საუბარია ორ ან ოთხ ადამიანზე, რაც გაუმართლებელია.

**ავტორი** (ლათ. au(c)tor) არის ლიტერატურული, მხატვრული, მუსიკალური ან მეცნიერული ნაწარმოების შემქმნელი, გამომგონებელი. უმართებულოა გამოთქმები: **ბურთის, გოლის, დარტყმის ან კიდევ ტორტის ავტორი.**

საგანგებო ყურადღების ღირსია სიტყვა **პრობლემის** ფართო მნიშვნელობით გამოყენება, რომელსაც ხშირად მივყავართ სემანტიკის განზოგადებამდე და გაბუნდოვნებამდეც კი. ავთანდილ არაბული საგანგებოდ ამახვილებს ამ სიტყვაზე ყურადღე-

ბას და მის გამოყენებას ჟარგონულს უწოდებს.

აღნიშნულ სიტყვას არაერთ კონტესტში შევხვდებით: **კუჭნანლავის პრობლემები**, **ძვლის პრობლემები**, **უპრობლემოდიყიდება**; მოსვლაზე პრობლემა აქვს, ჩემთან პრობლემა არ გექნებათ, პრობლემური ბავშვია, საპრობლემო დარჩა; **ყველაფერზე პრობლემას ქმნის**; **პრობლემა მოიხსნა**; **უპრობლემოდ შევიდა** და ა.შ.

პრობლემა ბერძნული სიტყვაა და საზოგადოდ ნიშნავს რთულ თეორიულ ან პრაქტიკულ საკითხს, რომელსაც ახსნა, შესწავლა, გამოკვლევა სჭირდება. საუბარში, ცოცხალ მეტყველებაში იგი ძნელად გადასანებეტ, ძნელად განსახორციელებელ რამეს ნიშნავს. ცოცხალი მეტყველებიდან ეს ცვლილებები შექრილია პრესის, უურნალ-გაზეთების ენაში. სიტყვა **პრობლემა** არაერთი ლექსემის სემანტიკას დაუფლებია. ერთ-ერთი პუბლიკაციის სათაურია „**საყვითლოს პრობლემა ქალაქში**“. უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო საყვითლოს დაავადება. ერთ-ერთ სტატიას ჰქვია „**ცოფით დაავადების პრობლემა**“ „**აქ პრობლემა ზედმეტია. ან კიდევ- „კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი? პრობლემა აქტუალური გახდა**““. აჯობებდა თემა ან საკითხი.

განვიხილოთ სხვა მაგალითებიც: „თარგამაძის ოფისი მოსკოვშია და **ნახვა პრობლემას არ ნარმოადგენს**“ (უნდა იყოს: ძნელი არაა// ადვილია).

„მართალია, მხატვარს სიმულდროვე სჭირდება, მაგრამ მე ხმაურშიც **უპრობლემოდ მიხატია**“ (უნდა იყოს: ხმაურიც არ მიშლის ხელს // არც ხმაურში მეშლება ხელი).

„**სკეიტი ჩემთვის ერთადერთი გზა გავექცე პრობლემებს**“ (უნდა იყოს: სიძნელეებს, წინააღმდეგობებს, სირთულეებს, დაბრკოლებებს);

„**ჰოლანდიელი სპეციალისტების წყალობით ყველა პრობლემა აღმოიფხვრა**“ (სიძნელე დაიძლია);

„**როგორც კი მე შემექმნა პრობლემა**, მაშინვე აღმოჩნდა, რომ ჩემთვის არავის ეცალა“ (წავაწყდი წინააღმდეგობას; შემექმნა სირთულეები);

„პირადად მე ვაპირებ, თვეში ერთხელ ვესტუმრო და ის პრობლემები მოვუგვარო, აქ რომ ექმნებათ“. აქ საუბარია წყალმომარაგების და გზების და არა თეორიული საკითხების შესახებ.

„14 წლის მიხო ჩვეულებრივი ბიჭი იყო თავისი პრობლემებითა და სიხარულით“ (უნდა იყოს საწუხარითა და სიხარულით, ან ჭირითა და ლხინით).

„მნიშვნელოვანი პრობლემებია საქართველოს პიდროენერგეტიკულ ბაზარზე მონოპოლიზაციის თვალსაზრისით“ (საქართველოს უძნელდება პიდროენერგეტიკულ ბაზარზე მონოპოლიზაცია);

„ამჯერად ბავშვების ერთადერთი პრობლემა განათლების მიებაა“ (უნდა იყოს საზრუნავი).

თანამედროვე ქართულში სიტყვა პრობლემა ხშირად განზოგადებულ შინაარსს ატარებს: მაგ.: შავი ზღვის პრობლემები; ეკოლოგიური პრობლემები; ჯანმრთელობის პრობლემები; გლობალური პრობლემები; რელიგიური პრობლემები, წყლის პრობლემები; მხედველობის პრობლემა. ზოგჯერ თავისუფლად ხერხდება მათი შეცვლა უფრო კონკრეტული, ქართულის-თვის ბუნებრივი ფრაზებით: წყლის პრობლემის მოგვარება ნიშნავს, რომ წყლით მომარაგება არ ფერხდება; ჯანმრთელობის პრობლემები ხომ იგივე ავადმყოფობაა. აღნიშნული სიტყვა ზოგჯერ შტამპადაც ქცეულა, მისი ამოგდება თავისუფლად შეიძლება და არც აზრი ირვევა: მაგ.: გომარდულში კოტეჯების აშენება მიგრაციის პრობლემებს შეაჩერებს (უნდა იყოს: მიგრაციას შეაჩერებს).

ზემოგანხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ სიტყვა პრობლემა სემანტიკურად ავინროებს არაერთ ძირეულ ქართულ სიტყვას. ესენია: საკითხი, თემა, ნინაალმდეგობა, სატკივარი, დაბრკოლება, ხარვეზი, შეფერხება... პრობლემები მაქვს - იგულისხმება ფინანსური, ყოფითი გაჭირვება. საინტერესოა შემდეგი მაგალითი: „ვერასოდეს დავდგები იმ ადამიანთა გვერდით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ერთი კაცია პრობლემა (უნდა იყოს: ერთი კაცი ქმნის ნინაალმდეგობას, ერთი კაცია ნინაალმდეგი). ან

კიდევ: პრობლემა არაა, მაგას უპრობლემოდ გაგიკეთებ. უკანასკნელი მაგალითი კალკია და ეს მოვლენაც სხვა ენათა გავლენის შედეგია (ეს სიტყვა გაბატონებულია ინგლისურში, რუსულში, თურქულში). ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სიტყვა პრობლემა არსად არ გამოვიყენოთ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამნაირ ფორმათა პრიმატი ენის ეკონომიკურობის პრინციპს ემსახურება, მაგრამ თავისთავად აღებული ეს მოვლენა ნეგატიურია. ამ პროცესების შედეგად სიტყვების მნიშვნელობა ვიწროვდება და შეიძლება გაქრობამდეც მივიდეს, რის შედეგადაც ენა გაღრიბდება და დაკარგავს გამომსახველობას.

### სავარჯიშო №1. იპოვეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ

1. წლის ბოლოს ბევრი პრობლემა დაგვიგროვდა;
2. ეს ნამდვილად გარდატეხის ასაკის პრობლემები იქნება;
3. სამზარეულო მეტად დიდი პრობლემაა;
4. პრობლემას ის ქმნის, რომ ემერიტუსის წოდების მოსაპოვებლად პროფესორებმა ჯერ კონკურსში უნდა გაიმარჯვონ;
5. რაიმე პრობლემა ხომ არ შეგხვედრიათ იმ დღის შემდეგ?
6. რთული დროა და ზედაპირზე დევს უამრავი პრობლემა, თუმცა ჯერჯერობით ბოლო დროს შექმნილი არცერთი ფილმი ამ პრობლემას არ ასახავს;
7. გათბობის პრობლემა აქვთ კვაშტის სკოლაშიც;
8. გამათბობლებზე პრობლემა მაშინ დაინყო, როცა სკოლა გარემონტდა;
9. როცა ყველა შენს ნინაალმდეგაა, მგონი, პრობლემა შენშია;
10. მეტად პრობლემური ბავშვია გიორგი, მუდმივად ავადმყოფობს, ამიტომაც ექმნება პრობლემები სწავლაში.

### სავარჯიშო №2. იპოვეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ

1. ეკოლოგიურ პრობლემებს ჩვენ ხშირად ზერელედ ვუცქერით;

**2.** რეპეტიცია რომ დაიწყებოდა, საოცარი სევდა შეიძყრობდა (მიშვ.);

**3.** აუარამ მართლაც მოკლე, მაგრამ უცნაური სიტყვა თქვა (მიშვ.);

**4.** მშობლებს არ გაუგიათ ჩვენი ამბავი (იქვე);

**5.** მცირე იყო წუთისოფელი, მაგრამ რაოდენ სიკეთის მოთავე!

**6.** წლეულს ჩვენს სოფელში მაღალი მოსავალი მოიწიეს;

**7.** ეს კარი წრიპინით იღება, გასაკეთებელია.

**სავარჯიშო №3. შეცვალეთ არასწორად გამოყენებული სიტყვა კონტექსტისთვის ადეკვატურით:**

**1.** კიპარისებისა და ნესტიანი ტუბაროზების ბალში მკვდრული სიჩუმე სუფევდა;

**2.** ძლივს მოასწრეს ორი საუკუნის მანძილზე საგვარეულოს დაშლის და დაცემის ნარჩენების, უამრავი არაფრის მაქნისი ნიგ-თის ჩალაგება;

**3.** თუ დამავალებენ, ულაპარაკოდ დავეთანხმები (ვ. ბარა-თაშვ.);

**4.** ეგებ ინტუიციით, სმენით ან რაღაც ზებუნებრივი მკითხვე-ლური სენსორებით მაინც მიგვეხვედრებინა მკითხველი, რომ მა-გარ ტექსტებს ვკითხულობთ;

**5.** თუ სიზარმაცე რეგულარულია, უფრო მნიშვნელოვან პრობ-ლემებს წარმოშობს;

**6.** გემრიელი სიტყვა იცოდა იმ დალოცვილმა;

**7.** უცნაური ცხოველია კენგურუ, სახელიც უცნაური შეურ-ქმევიათ (ვ. ბარათაშვ.);

**8.** ცხიმები და კიბოს უჯრედები დიდი მეგობრები არიან;

**9.** რაც მობილური ტელეფონი შეიძინა, ეკა საათს აღარ ატარ-ებს;

**10.** კატები ღრიალით იკლებდნენ იქაურობას.

## შემაჯამებელი ტესტი

**1.** ვერ გავიზიარებ, - მშრალად უთხრა გამომძიებელმა;

**2.** ტებილი სტარტისთვის მაშ, რა არის საჭირო?

**3.** თქვენი სწორი არჩევანი მაღალი ცოდნის მიღებისა და ბედ-ნიერი მომავლის გარანტია;

**4.** სასმლის ამერიკული ვარიანტი ფართოდ არის ტირაჟირე-ბული ვესტერნებში;

**5.** ეს სიბრძნე მაღალ ფილოსოფიასთანაც გაახლოვებს და თან სულიერად გამხნევებს;

**6.** ჟურნალისტები ამ განცხადებას გულკეთილი ბუზღუნით გამოეხმაურნენ;

**7.** არა ხარ სწორი, საქმეს მარტო შენი მხრიდან რომ უყურებ!

**8.** საცხოვრებელი სახლის კრიზისი თანდათან გამოდის მდგო-მარეობიდან;

**9.** მისი ახალი კოსტიუმი მაგარი მომენტია!

**10.** ამის შემდეგ საზოგადოება მას ნდობას აღარ გაუწევს;

**11.** იმ დღეს მაგარი ქარი ქროდა;

**12.** დაუფასებელია მათი ღვაწლი ქართული ფილოსოფიის ის-ტორიაში;

**13.** ხუთ საათამდე დაკავებული ვარ;

**14.** ყოველი ქართველი ვალდებულია დაიცვას მშობლიური ენის სისუფთავე;

**15.** წელს მისი უმცროსი შვილი საქართველოს უნივერსიტეტ-ში მოეწყო;

**16.** ის მაღალმთიან რაიონში გაუნაწილებიათ სამუშაოდ, მისი მომავალი მეუღლეც სწორედ იქ გაიცნო;

**17.** ნელ-ნელა ვუთვალთვალოთ აქიდან, არავინ არ შეგვამჩნიოს;

**18.** ამ ფილმში უჩანეიშვილი მთავარ როლს თამაშობს;

**19.** ნათიამ მისი საქმე დროზე მოაგვარა;

**20.** სამი საათის მანძილზე უნდა მოგიტანონ საბუთები;

**21.** თუ ეს ასე გაგრძელდა, შეიძლება ქვეყნის ეკონომიკა ჩამო-იშალოს;

- 22.** სილაბუსში ყველა საკითხი ჩაშლილი უნდა იყოს;
- 23.** ლექსიკური მარაგის არქონა კი თავის მხრივ უურნალისტის განათლების დაბალ მაჩვენებელს უსვამს ხაზს;
- 24.** ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები ენის როლს მაღალ შეფასებას აძლევდნენ;
- 25.** გზა დაბალი სტატუსიდან მაღალ სტატუსამდე ძალიან რთული სავალი გზაა;
- 26.** დღეს უურნალისტების მიერ გაუღერდა ეს არასასიამოვნო ინფორმაცია;
- 27.** ქართულის პედაგოგი რომ ასე იმეტყველებს, სხვებს რაღა უნდა ვუთხრათ;
- 28.** ნამდვილი მასწავლებელი მთელ თავის ძალისმევას უნდა ახმარდეს ახალგაზრდა თაობების აღზრდას;
- 29.** საწარმოს მესვეურები დარწმუნდნენ, რომ ამ სკოლის მონაფებს შეეძლოთ მართლაც კარგი ღონისძიება ჩაეტარებინათ;
- 30.** მოქალაქეთა დაცვის საუკეთესო საშუალებაა მათი სოფლად განლაგება;
- 31.** პატარა გიორგი მანქანას ატარებს;
- 32.** ჩვენი ორგანიზაცია კვალიფიციური კადრების ნაკლებობას არ განიცდის;
- 33.** სასოწარკვეთილი ქვრივი გულს ამითლა ინუგეშებდა;
- 34.** ამ უგემრიელესი ტორტის ავტორიც ის გახლავთ;
- 35.** ქართველ ხალხს გააჩნია უდიდესი უნარი ქვას მისცეს სიცოცხლე.

### VI.3. პარონიმია

სახელწოდება პარონიმი მომდინარეობს ბერძნული უარა (ახლოს) და იომა, (სახელი) სიტყვებისგან. ამ სახელწოდებით აღინიშნება შინაარსით სხვადასხვა, მაგრამ ბერძობრივად მსგავსი სიტყვები, რომელთა გამოყენებისას ხშირია აღრევა. „პარონიმი სიტყვები ყველა განვითარებულ ენას შეიძლება ჰქონდეს. პარო-

ნიმებად უნდა ჩავთვალოთ საერთო ძირიდან მომდინარე მსგავსიც და შემთხვევით გარეგნულად დამსგავსებული სიტყვებიც, რომელთა გამოყენებისას ენაში დასტურდება აღრევა. აღრევა შეიძლება დავადასტუროთ სხვადასხვა სფეროში; წიგნის ენაში, პუბლიცისტიკაში, მოსწავლეთა და აბიტურიენტთა ნაწერებში“ (ღვინაძე 1981: 64).

პარონიმიის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამასთან, ის განსხვავებულია ცალკეული ენისთვისაც. უცხო სიტყვათა პარონიმიის საფუძველი შეიძლება იყოს მათი მნიშვნელობების სუსტი ცოდნა. ქართული, ნაწარმოები სიტყვებისთვის პარონიმიის დროს კი სემანტიკური ნიუანსების გაუთვალისწინებლობა, ანგარიშგაუწევლობა ან ისევ უცოდინრობა. პარონიმიის მიზეზი ზოგჯერ სიტყვათა შინაარსობრივი სიახლოვეც შეიძლება იყოს.

#### ა) უცხოურ სიტყვათა პარონიმია

##### ადრესატი და ადრესანტი

**ადრესატი** - [გერმ. Aadressat] 1. პირი, რომელსაც ეგზავნება წერილი, დეპეშა და მისთ.; 2. პირი, ვის სახელზეც ადრესია შედგენილი. **ადრესანტი** - [გერმ. Adressant] 1. პირი, რომელიც გზავნის წერილს, დეპეშას და ა. შ.

##### დიპლომატი და დიპლომანტი

**დიპლომატი** - [ფრანგ. diplomate] – 1. თანამდებობის პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა, რომელსაც აკისრია სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობა; 2. (საუბ. გადატ. იტყვიან ადამიანზე, რომელიც მოხერხებულად იქცევა, მოქმედებს];

**დიპლომანტი** - სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს.

##### ემიგრაცია და იმიგრაცია

**ემიგრაცია** [ლათ. emigro - გადავსახლდები] 1. იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება სხვა ქვეყანაში; 2. სხვა ქვეყანაში

**ცხოვრება. იმიგრაცია-** [ლათ. imigro - შევსახლდები] უცხოელთა შესვლა ამა თუ იმ სახელმწიფოში მუდმივ საცხოვრებლად.

### კამპანია და კომპანია

**კამპანია** [ფრანგ. campagne] - 1 (სამხ.) საერთო სტრატეგიული მიზნით გაერთიანებულ საომარ ოპერაციათა ერთობლიობა; ლაშქრობა; 2. მუშაობა, რომელიც ტარდება გარკვეულ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სამეურნეო ამოცანის შესასრულებლად. მაგ.: საარჩევნო კამპანია; 3. ტექ. აგრეგატის, მანქანის. მექანიზმის განუწყვეტელი მოქმედების დრო. მაგ.: ბრძმედის კამპანია; 4. ხომალდის განუწყვეტელი ცურვის პერიოდი.

**კომპანია** [ფრანგ. compagnie] - 1. ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც ერთად ატარებენ დროს; 2. კაპიტალისტურ ქვეყნებში სავაჭრო ან სამრეწველო ამხანაგობა.

### კონფეტი და კანფეტი

**კონფეტი** [იტალ. confetti] - ფერად-ფერადი ქაღალდის პატარა წრეები, რომელთაც გასართობად თავზე აყრიან ერთმანეთს ბალებსა და მასკარადებზე;

კანფეტი-საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილეული.

### ნოტი და ნოტა

**ნოტი** [ლათ. nota - ნიშანი]- 1. მუსიკალური ბეგრის პირობითი გრაფიკული ნიშანი. ნოტები- ასეთი ნიშნებით ჩანერილი მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი; ასეთი ტექსტების შემცველი რვეული, წიგნი. 2. თვით ბეგრა მუსიკაში, სიმღერაში.

**ნოტა** [ლათ. nota - ნიშანი, შენიშვნა] - ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

### პენალი და პენალტი

**პენალი** - (გერმ. pennal < penne-კალამი) გრძელი და ვიწრო კოლოფი ფანქრების, საშლელების, სათლელების ჩასაწყობად;

**პენალტი (ინგლ. penalty)** - თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

### ტექნიკა და ტექნოლოგია

**ტექნიკა** - მანქანების, კომპიუტერების, მექანიკური იარაღებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომლებსაც იყენებენ საზოგადოებრივ წარმოებაში; 2. პროცესიული ხერხების ერთობლიობა (ჭადრაკის თამაშის ტექნიკა); **ტექნოლოგია** - ნედლეულის, ნაკეთობათა, ნახევარფაბრიკატების დამუშავების ოსტატობა.

### მაგისტრი- მაგისტრანტი და მაგისტრატი

**მაგისტრი** - 1. სამეცნიერო ხარისხი ან ამ ხარისხის მქონე პირი; 2. ისტ. შუა საუკუნეებში ბერმონაზვნური ან რაინდული ორდენის მეთაურის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

**მაგისტრანტი** - პირი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში სწავლობს; **მაგისტრატი** - დასავლეთ ევროპაში - ქალაქის მმართველობა; ძეგლ რომში - თანამდებობა ან ამ თანამდებობაზე მყოფი პირი.

### კორექტული/ კორექტურული

**კორექტული** - სწორი, მოსანონი, ტაქტიანი (კორექტული ქცევა); **კორექტურული** - კორექტურასთან დაკავშირებული (კორექტურული შეცდომა).

### კონიექტურა და კონიუნქტურა

**კონიექტურა** (ლათ. conjectura) - მიხვედრა, ვარაუდი, ტექსტის დაზიანებული ადგილების აღდგენა;

**კონიუნქტურა** (conjunction) - შექმნილი ვითარება, გარემოება; 2. იმ ნიშან-თვის სებათა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს სასაქონლო მეურნეობას.

## **ფაქტი და ფაქტორი**

**ფაქტორი** - (ლათ. factor) - **რაიმე** მოვლენის განმსაზღვრელი ან პროცესის მამოძრავებელი ძალა;

**ფაქტი** (ლათ. factum) - მომდინარე, გაკეთებული 1. რაც სინამდვილეში მოხდა, ნამდვილი, უეჭველი; 2. ესა თუ ის მონაცემი, მასალა, რაიმე დასკვნის გამოსატანად ან მოსაზრების დასადასტურებლად.

## **გ) წარმოქმნილ სახელთა პარონიმია**

### **ხელისმონერა და ხელწერა**

**ხელისმონერა** არის რაიმე ტექსტის ბოლოს სახელისა და გვარის ერთად დაწერა. მაგ.: დაინტეს ხელმონერების შეგროვება; ახალდაქორწინებულები ხელის მონერისთანავე ქალაქიდან გაემგზავრნენ. **ხელწერა** არის წერის, ასოების გამოყვანის თავისებურება; ხელი (ლამაზი ხელწერა).

## **უებარი და უებრო**

**უებარი** - წამალი, მალამო, საშუალება; **უებრო** - შეუდარებელი (მეგობარი, ადამიანი, მოსაუბრე).

## **სტილური - სტილისტიკური - სტილისტური;**

**სტილური** ამა თუ იმ სტილისა (მაგ.: პუბლიცისტური სტილის ხარვეზი); მწერლის ენის თავისებურება, მახასიათებელი; **სტილისტიკური** - კატეგორია, შეცდომა; **სტილისტური-ალლო.**

## **სრულად და სრულიად**

**სრულად** იგივეა, რაც სრულყოფილად. ყველაფერი სრულად ჩაიბარა; **სრულიად** - სავსებით, სრულიად არ ეშინია.

## **სისტემური და სისტემატური**

**სისტემური** - სისტემისთვის დამახასიათებელი, სისტემის მიხედვით; **სისტემატური** - რეგულარული მეცადინეობა.

## **სინქრონიული და სინქრონული**

**სინქრონიული** - ლინგვ. სინქრონიასთან დაკავშირებული, სინქრონიის შემსწავლელი, ენის სტატიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი (სინქრონიული კვლევა); **სინქრონული** - სპეც. სინქრონიზმის ხასიათისა, ერთსა და იმავე დროს მიმდინარე, წარმოებული (რხევა, თარგმანი).

## **სინონიმია და სინონიმიკა**

**სინონიმია** - ლინგვ. სხვადასხვა სიტყვის მსგავსება მნიშვნელობის მიხედვით; **სინონიმიკა** - 1. ამა თუ იმ ენის სინონიმთა ერთობლიობა; 2. ლექსიკოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს სინონიმებს.

## **მასიური, მასობრივი და მასური**

**მასიური** - დიდი მოცულობის მქონე, მძიმე (მასიური ავეჯი); **მასობრივი** - მოსახლეობის ფართო ფენების მიერ განხორციელებული რამ; **მასური** - ფიზიკური მასის მიხედვით (მასური წონა).

## **ფაქტიური თუ ფაქტობრივი?**

ქეგლ-ის მიხედვით ერთადერთ სწორ ფორმად მიჩნეულია ფაქტობრივი.

## **სამწერლო და სამწერლობო**

**სამწერლო** - ასპარეზი, **სამწერლობო** ენა.

## **ეკონომიკური და ეკონომიური**

**ეკონომიკური** - ეკონომიკაზე დამყარებული, ეკონომიკასთან დაკავშირებული; **ეკონომიური** - ეკონომიკის მომცემი, მომჭირნეობითი.

## **გ) შინაარსობრივად ახლო მდგომი სიტყვების პარონიმია**

### **პირი და პიროვნება**

**პირი** - ადამიანის ამა თუ იმ ზოგადი სტატუსის მაჩვენებელი (სასულიერო ან საერო პირი);

**პიროვნება** - ადამიანის ინდივიდუალური თვისებების აღ-  
მნიშვნელი.

### **ცნება და მცნება**

**ცნება** - ერთი სიტყვის მნიშვნელობა (ტოლერანტობის ცნება);  
**მცნება** - დიდაქტიკური აზრის (ზნეობრივი ხასიათის) შემცველი  
წინადადება (უფლის ათი მცნება).

### **ახლობელი და მახლობელი**

**ახლობელი** - მოკეთე, ნათესავი; **მახლობელი** - პუნქტი, აფ-  
თიაქი.

### **დალი და დამლა**

**დალი** რისამე კვალი, ნიშანია, **დამლა** - საქონელზე დაკრული  
სასაქონლო ნიშანი ან ბეჭედი.

### **შეიქნა და შეიქმნა**

**შეიქნა** - 1. ატყდა, დაიწყო; გაიმართა 2. ცუდად გახდა.

**შეიქმნა** - გაკეთდა, აიგო, დაარსდა.

### **თარგმანი და თარგმნა**

**თარგმანა** არის მოქმედება, ერთი ენიდან მეორეზე გადალება;  
**თარგმანი** კი ამ მოქმედების შედეგი, ერთი ენიდან მეორეზე გა-  
დალებული, ნათარგმნი (მხატვრული, მდარე, თავისუფალი თარ-  
გმანი). ამრიგად, **თარგმნა არის პროცესი, თარგმანი- დარგი.**

ცალკე გამოყოფენ პარონიმიის ისეთ სიტყვებს, რომლებიც  
ისტორიულად პარონიმებს წარმოადგენდა, მაგრამ დღეს დაკა-  
ნონებულია. მაგ.: **მოვალე და მევალე, საცოლო- საცოლე, განა-  
ჩენი და განჩინება, დააჩენს და დააჩნევს.**

**გააგრძელებს თუ განაგრძობს;** ორივე ზმნა ნიშავს დაწყე-  
ბულის განახლებას, ოღონდ გაგრძელება მოქმედების პროცესის  
დროსა და სივრცეში გაჭიანურებაზე მიუთითებს, **განაგრძვა** კი-

**უწყვეტ** მოქმედებაზე [მუშაობა, ცხოვრება, შეჯიბრება განაგ-  
რძო, გზა, მოგზაურობა გააგრძელა].

### **შეიძლება და შესაძლოა, შესაძლებელია**

**შეიძლება** ნიშავს რომ ნებადართულია, **შესაძლებელია, შე-**  
**საძლოა** მიუთითებს აღპათობაზე. „შეიძლება ეს მოხდეს“ კი არა,  
„შესაძლოა ეს მოხდეს“.

### **უცხო და უცხოური**

**უცხო უცნობს ნიშავს, უცხოური იმას, რაც არაა მშობლიური.**

### **სავსებით და სრულიად**

**სავსებით** გამოიყენება დადებითი შედეგის, დათანხმების  
დროს, ხოლო **სრულიად** - უარყოფის დროს. მაგალითად: სავსე-  
ბით შესაძლებელია, სრულიად შეუძლებელია; სავსებით ვეთან-  
ხმები, სრულიად მიუღებელია; სავსებით სამართლიანად, სრუ-  
ლიად უსამართლოდ.

### **სავარჯიშო №1. გაასწორეთ შეცდომები:**

1. ზაფხულობით უამრავი ადამიანი სტუმრობს ჩვენს ქალაქს, სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია ჩვენი დაინტერესება;
2. ქართული სოფელი დღეს ფაქტიურად კულტურისა და ცი-  
ვილიზაციის თითქმის ყველა სიკეთეს მოწყვეტილია; .
3. პროფესია ფსიქოლოგია დღეს ძალიან პოპულარულია;
4. დეიდას არც ფაქტიურად სწამს „ჭრიჭრინას“ ცოლობა, არც  
იდეურად (ჯავახ.);
5. პროფესიად უურნალისტიკა ავირჩიე;
6. რომანტიკოსები წარმოაჩენენ იმას, რაც იშვიათია, რეალის-  
ტებისთვის ჭეშმარიტია ტიპური რამ;
7. მეტადონი ერთადერთი გამოსავალია იმათვის, ვისაც ნარ-  
კოტიკი ავადმყოფობად ექცა;
8. უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს განახლებული ტექ-  
ნოლოგიებით ხვდება;

9. ეს სასწავლო პროგრამა ფილოლოგიის მაგისტრებისთვისაა განკუთვნილი;
10. იოთამე შეშლილივით შეიქმნა და გავარდა (ბარნ.).

**სავარჯიშო 2. იპოვეთ, თუ არის შეცდომები და გაასწორეთ:**

1. ალექ-მიცემობა ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია (ქარჩხ.)
2. გაციებული არ არის, ანგინა არ აქვს, ხიხინი არ აქვს... (ქარჩხ.);
3. ტეხნიკური ცოდნა შეიძლება რა გაქვთ, მაგიერათ თქვენ სწორეთ სჯით (ლორთქ.);
4. „ელგუჯა“ იყო ფაქტიურად პირველი დიდი მხატვრული ტიო ლო, სადაც კონკრეტულად მეფის რუსეთის პოლიტიკის ბარბაროსული ხსაიათი;
5. შიში დავძლიერდა გზა დიდი სიფრთხილით განვაგრძე (ჯავახ.);
6. სანამ თინიკოს სხვა რაღაცას აცმევდნენ და ამზადებდნენ, ექიმი გულს უმაგრებდა (ჯავახ.);
7. ბაქტერიები სინჯარაში ფრთხილად დალუქა და საექსპერტიზოდ გაგზავნა;
8. ეს კი საკულევი საკითხის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი იყო;
9. მასში ნათლად იხატება ახალგაზრდა მწერლის მხატვრული აღთქმის ძალა;
10. პრობლემა აქტუალურია თარგმნის თეორიის თვალსაზრისითაც;
11. გავაგრძელო ახლა პირველი სიყვარულის ეს ლამაზი ამბავი? (მიშვ.);
12. სიყვარული და გამარჯვება ერთად ეწვია ბედნიერ ჭაბუქს (ვ. ბარათაშვ.);

13. ნავსადგურს არავითარი მექანიზაცია არ გააჩნია (იქვე);
14. ამით მან საფუძველი დაუდო კრიტიკულ აზროვნებას;
15. ხელებს ნუ ჩამოუშვებ და ყველაფერში გავიმართლებს;
16. ამ საქმეში დედაკაცს ლომის წილი მიუძღვის;
17. სტუმრებს მასპინძელმა ღამე ნებისა უსურვა;
18. ჩვენთან ყველაფერი დანასისხლად იყიდება, აქ კი რა იაფია!

19. დაღლილი ქვრივი სულს ძლივსღა ღაფავდა;
20. ამ ადამიანიდან ყოველთვის დადებითი ენერგეტიკა მოდის.

#### VI. 4. ფრაზეოლოგიზმთა პარონიმია

##### მადლობა მოუხადა თუ მადლობა გადაუხადა?

„ამ ორი გამოთქმის ზმნური ნაწილი (**უხდის**) ახლანდელ დროში ერთმანეთს ემთხვევა, რადგან მათ არ დაერთვით მნიშვნელობის განმასხვავებელი ელემენტები: ზმნისწინები, რომელთაც ენამ თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. ამის შედეგად მივიღეთ, ერთი მხრივ, ბოლოშის მოხდა, მეორე მხრივ კი - მადლობის გადახდა. გვაქვს ასევე მადლობის მოხსენება, მადლობის თქმა, მადლობის/ მადლის შენირვა, მაგრამ უმართებულოა მადლობის მოხდა“ (აფრიდონიძე 2009: 17).

პარონიმია სხვა ფრაზეოლოგიზმებთანაც გვხვდება, მაგ.: **წვლილი მიუძღვის** - ნილი უდევს [მცდარია: წვლილი უდევს, წილი მიუძღვის]; **ღვანლი დასდო** - წვლილი შეიტანა [შეცდომა: ღვანლი შეიტანა, წვლილი დასდო]; **პასუხისმგებლობას იხსინის- ვალდებულებას იხდის** [არასწორია: პასუხისმგებლობას იხდის; ვალდებულებას იხსინის]; **ღირსების გრძნობა- მუნდირის ღირსება**; **არ ეპუება- ვერ ეგუება** [შეცდომაა: ვერ ეპუება]; **ხელდასმა- ხელის დასმა** [არასწორია: ხელის დასხმა]; **სულს ღაფავს- სულს ძლივს ითქვამს** [შეცდომაა: სულს ძლივს ღაფავს]; **დანასისხლად გადაკიდება - მამასისხლად გაყიდვა** [არასწორია: დანასისხლად გაყიდვა; მამასისხლად გადაკიდება].

#### VI. 5. დარღვევები ფრაზეოლოგიზმთა ხმარებისას

ცოცხალ მეტყველებას და ქართული პრესის ენაში არც თუ იშვიათად ვხვდებით დარღვევებს ფრაზეოლოგიზმთა ხმარებისას, კერძოდ, მისი ერთ-ერთი კომპონენტი შეცვლილია, უწევული

კონტექსტში გამოიყენება ან გაფართოებულია მისი მნიშვნელობა (ამის შესახებ იხ. მ. ცინცაძე ... 2012).

ავტორები აჯგუფებენ შემჩნეულ უზუსტობებს:

1. **შეცვლილია გამონათქვამის ერთ-ერთი კომპონენტი:** სუსტი ადგილი// ვინრო ადგილი; სისრულეში მოიყვანა// **ძალაში მოიყვანა;** არც ღვინოა, არც მარილი// არც ღვინოა, არც წყალი; წაუვიდა საქმე// **მოექცა საქმე;** მოთმინებიდან გამოიყვანა// **მდგომარეობიდან გამოიყვანა;**

2. **ფრაზეოლოგიზმი მიღებულია სხვადასხვა მნიშვნელობის გამონათქვამთა კონტამინაციით:**

ზღვისპირა ტროტუარი ისე იყო გადატენილი, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნი არ ჩავარდებოდა; ხალხი დიდი ხანია **ნირვას გამოუტანდა;** მონოპოლიების გამოწვევას დიდი ხანია **ფეხი აუპეს;**

3. **გაფართოებულია ფრაზეოლოგიზმის გავრცელების არე:**

ვცეკვავ გაგანია ომის დროიდან; გაგანია მიტინგებს მოაწყობს.

4. **ფრაზეოლოგიზმი არაა გამოყენებული შესაბამის კონტექსტში:**

საშუალებას მისცემს გვერდი აუაროს მოსკოვის მიერ შემუშავებულ ემპარაგოს;

5. **ჩანს ავტორთა (ჟურნალისტთა) სურვილი, ცნობილი, ტრადიციული ფრაზეოლოგიზმი „მოარგონ“ თავიანთ სათქმელს:** მალე, ალბათ, ოკუპაციის სამარცხვინო მუზეუმის „ოკუპაციაში“ მოაქცევენ, თუ საერთოდ არ აღგავეს პირისაგან გორისა; არა ბიზნესმენ ჰელდა (სათაურია) (იქვე, 176: 177).

ძალიან გახშირდა ფრაზეოლოგიზმებში (თავი გაართვა, ხელი შეუშალა, თავი გაანება, მხარი დაუჭირა) ერთ-ერთი კომპონენტის გამოტოვება: მან ამ საქმეს ვერ გაართვა (თავი ვერ გაართვა); მისმა მოულოდნელმა ავადმყოფობამ ძალიან შეგვიშალა (ხელს არ ამბობენ); ჩვენ ყველამ ამას დავუჭირეთ (მხარს აღარ ამბობენ) (ბრეგაძე 2004:19).

ფრაზეოლოგიზმები მყარი ფორმულებია, ამიტომ მათი ტრანსფორმაცია დარღვევაა, იგი მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაშია დასაშვები.

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ მაგალითები, ამოიწერეთ ფრაზეოლოგიზმები და იმსჯელეთ, რომელ ფრაზეოლოგიზმთა შერწყმითაა მიღებული ისინი:**

1. ეს ოლიმპიური ჩემპიონი პარლამენტში არცერთ ჩხუბს არ მოჰკლებია;
2. ამ ქვეყანამ ერთ-ერთმა გაუნია დახმარების ხელი ჩვენს ქვეყანას;
3. მის ნათქვამს ბაიბურშიც არ აგდებს;
4. ბრძოლის ველზე სიკვდილი იქნებს ულმობელ ხელს, იღვრება ნორჩი სიცოცხლე;
5. ამ სასიკეთო ბრძანებას სასიკეთო პირი უნდა მოჰყოლოდა;
6. ცხოვრების ნირის შეშლა უარყოფითად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე;
7. ამდენი მუშაობით სადაცაა ქანცი გაძვრება;
8. ელისაბედი ზამთრისათვის მზადებას ზაფხულიდანვე იჭერს;
9. პრეტენზია ერთი ყურით მოისმინა, მეორეთი დაივიწყა;
10. ამ მიზეზებმა კვალი დაასვა ქართულ პროზას და პოეზიას.

**სავარჯიშო №2. წაიკითხეთ მაგალითები, ამოიწერეთ ფრაზეოლოგიზმები, მიუწერეთ შესაბამისი მნიშვნელობანი და დააკვირდით, ხომ არაა ისინი ტრანსფორმირებული:**

1. ექიმები ყურიდან ყურში უშვებდნენ გუბერნატორის წუნუნს (მიშვ.);
2. შევიცარულმა გამგემ თავისი კვალი ვერა და ვერ დაატყოფერმას (მიშვ.);
3. რავა გეეკადრებათ „რა უნდა ჩვენში გაფიცვასო“ - , ქვა ააგდო და თავი შეუშვირა (მიშვ.);
4. შენ ქე მიხვდებოდი, უნაგირზე და ცხენზე ჭიპი გაქვს მიჭრილი (მიშვ.);
5. რაც მეტი დროის მტვერი დაეყრება ამ ამბავს, თქვენთვისაც უკეთესია და ჩვენთვისაც (მიშვ.);
6. შევხედე თუ არა გამომძიებელს, იმედის წყალი გადამესხა (მიშვ.);

7. ახალმა ხელობამ კმაყოფილება ვერ მიანიჭა (მიშვ.);
8. საცოდავი სულს ძლივს ღაფავს;
9. ლირს კი ამისთანა უმნიშვნელო რამეზე დანასისხლად გადაკიდება?
10. ისეთ რაშებზე ისხდნენ, თვალი ზედ დაგრჩებოდა (ბარნ.);
11. ქვეყნის სიმდიდრე ჩალად მიმაჩინა უშენოდ (ბარნ.);
12. ეხლა გიჩვენებ, რომ ფეფენა ბიაბრუდ გახდას არავის შეარჩენს (იქვე);
13. ტრფობის საბელით მიაბა ის დარიკომ და მერე რა მოკლედ! (იქვე);
14. ძალას ვერვინ იხმარებს ჩემზე, რადგან სიკვდილი ხელთა მაქვს (იქვე);
15. განათლებული ადამიანი ხარ და ვერ შეგივნია, რომ მხოლოდ ეწოდობა, თავისკენ თლა, მხოლოდ თავისთვის ზრუნვა და სხვისი მინასთან გასწორება არც საკადრისია, არც სასარგებლო (ბარნ.).
16. მის ნაწერებში უამრავი სტილისტური შეცდომებია;
17. ჩენენი ყოფა ყირაზე დადგა არამარტო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად;
18. არავითარი სიმდიდრე მაგას არ აქვს;
19. თავმოყვარე კაცი ლირსების შელახვას ვერ ეპუება;
20. ამ პროგრამის ფარგლებში უცხო ენების შესწავლას ყველაზე მეტი კრედიტი ეთმობა.

## VI.6. დარღვევები სინონიმთა ხმარებისას

**ვ. თოფურიამ** საგანგებო ყურადღება მიაქცია თანამედროვე ქართულში გამოყეთილ ერთ ტენდენციას - **ნმინდასა და სუფთას** სინონიმებად გამოყენებას და ენაში მცდარი შესიტყვებების გაჩენას: „სუფთა ხმა; „სუფთა გამარჯვება“, „სუფთა გული“ და სხვა მრავალი.. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ **სუფთაა**, რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რასაც მტვერი, ტალახი, ჭუჭყი, ქო

ნი, უანგი და მსგავსი რამ არ აქვს, და თუ აქვს, ბანით, რეცხვით, ნმენდით მოსცილდება, ჰიგიენური საშუალებით მოშორდება. **ნმინდაა უცოდველი**, ფაქიზი, შეურეველი, შეურყვნელი, კამკა-მა, დარჩეული“ (თოფურია 1972).

შესაბამისად, მართებული შესიტყვებებია: ერთი მხრივ: **ნმინდა გამარჯვება**, **ნმინდა გრძნობა**, **ნმინდა გული**, **ნმინდა ენა**, **ნმინდა ქართული**, **ნმინდა მოგება**, **ნმინდა მოვალეობა**, **ნმინდა სავანე**, **ნმინდა სანთელი**, **ნმინდა ტაძარი**, **ნმინდა ფიცი**, **ნმინდა წყარო**, **ნმინდა ხმა**; მეორე მხრივ: **სუფთა ეზო**, **სუფთა ზეწარი**, **სუფთა ლოგინი**, **სუფთა ოთახი**, **სუფთა პერანგი**, **სუფთა ფეხსაცმელი**, **სუფთა ხელი**, **სუფთა ქალალდი**, **სუფთა წერა**, **სუფთა ჭურჭელი**.

ასევე უმართებულოდ ცვლის გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა **ზედაპირული ზერელეს**. ორივე სიტყვა თავიანთი ძირეული მნიშვნელობებით ახლოს დგას ერთმანეთთან და ორივეს ანტონიმია **ღრმა**, მაგრამ მათი სინონიმებად გამოყენება გაუმართლებელია, რადგან: **ზედაპირულია** (სპეც.) ის, რაც 1. რაც ზედაპირზეა, ზედაპირს ეხება; გადატანით იგივეა, რაც **ზერელე**.

**ზერელე** არის ზედა ფენებში, ზევით მყოფი, ზევითა; გადატანით: ისეთი, რაც საქმის არსებით მხარეს არ ეხება, არაარსებითი, არასერიოზული, ფუქსავატი (ამის შესახებ ვრცლად იხილეთ კობასიძე 1989: 304-308). **სწორია ზერელე ცოდნა** და არა **ზედაპირული**.

ა. არაბული მიიჩნევს, რომ სინონიმთა სწორი შერჩევით მივაღწევთ სტილისტიკურ გამომსახველობასაც და ენასაც ვიხსნით გაღარიბებისგან: „სინონიმური ერთეულების ნაკლებობა, მათი საერთო ფონდის შემცირება არა მხოლოდ სხვადასხვა ხასიათის ტექსტის „დამჭლევებას“, არამედ ენის საერთო გაღარიბებასაც იწვევს“ (არაბული 2005:221). ამრიგად, სინონიმთაგან კონტექსტის შესაფერისი სიტყვის ამორჩევა მეტად მნიშვნელოვანია.

**დავალება. იპოვეთ, არის თუ არა შეცდომები და გაასწორეთ**

1. აი, ეს არის სუფთა ქართული ხასიათი;
2. იგი მოდის სამშობლოზე თავდადებული სამსახურისთვის სისუფთავისთვის;
3. სუფთა ხელებით და სუფთა გულით მოვედი თქვენამდე;
4. სუფთა საფეხქელზე ერთი ხალი ეჯდა, საბედისწერო ხალი (ჯავახ);
5. მას ზედაპირული ცოდნა ჰქონდა, ვერცერთ საკითხში სიღრმისეულად ვერ ერკვეოდა;
6. ჩემო კარგო, პერანგი უცაბედად გამერღვა, წმინდა ძაფი აიღე და მომიკერე, გთხოვ.
7. გულგრილობა მისი უდიდესი ნაკლი იყო: ყველაფერს ზედაპირულად აკეთებდა;

8. მხოლოდ არითმეტიკას ვერ დასძლია და ჯერ-ჯერობით სუფთა ქართულსაც ვერ მოერია (ჯავახ);

9. თორმეტი წლის იგორი წყალში შევარდა და სუფთა, დამუშავებული მკლავურით გაცურა;

10. მისი აზროვნება ზედაპირულია, მას კრიტიკულს ვერ და-არქმევ.

## VI. 7. „ყურებადი“ ტიპის ფორმები

თანამედროვე ქართულში ფართოდაა გავრცელებული საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან ნაწარმოები მიმღეობები: **ცნობადი, ყურებადი, ანაზღაურებადი, კონტროლირებადი და ა.შ.** მათ აქვთ მომავალი დროისა და ერთგვარი კატეგორიულობის, აუცილებლობის გაგება: დაკლვადი არის ის, რაც უნდა დაიკლას, დაიკვლება, განხრწნადი არის ის, რაც უნდა გაიხრწნას, გაიხრწნება [ივ. იმნაიშვილი]. ასეთი ფორმები უხვად გვქონდა ძველ ქართულში **დაშლომადი** (ფასი), **დაცვივნებადი** (ყვავილი), **განხრწნადი** (ხორცი), **ცნობადი** (ხე), **ჭამადი** (საჭამადი, შეჭამადი).

ტექნიკურ ტერმინოლოგიასა და მთელ სამეცნიერო სტილში

ამ ტიპის ფორმები ძალიან პროდუქტიულია, მკვლევრები საგან-გებოდ მიუთითებენ **ად/დ** მანარმოებლის სიტყვასანარმოებელი ფუნქციის გააქტიურებაზე [ა. შანიძე, რ. ლამბაშიძე, გ. კვარაცხელია]. ასეთი ფორმები სალიტერატურო ენაშიც გამოიყენება და მას აქვს სტილისტიკური შეფერილობაც: **განსჯადი** საქმე, **ამოღებადი** თანხა, განვითარებადი ქვეყნები, მოგვარებადი პრობლემა, **შესრულებადი** მოთხოვნები, **მირთვადი** გზა, **ანაზღაურებადი** დრო, მაღალანაზღაურებადი სამუშაო, **მართვადი** ადამიანი, **შეთავსებადი** წამალი (ალკოჰოლთან) კონტროლირებადი ტერიტორია, ცნობადი სახე, ყურებადი ფილმი, **შეღწევადი** სფერო, **არაპროგნოზირებადი** სიტუაცია, **მილევადი** სპეციალობა და მრავალი სხვა...

ახალგარენილი ფორმები არაერთგვაროვნების გამო იყოფა ჯგუფებად:

I. **განხორციელებადი** (პროექტი, პროგრამა, იდეა, ჩანაფიქრი), **გაკეთებადი** (საქმე, სამუშაო, ტელეგადაცემა), **შესრულებადი** (დაპირება, გეგმა, ჩანაფიქრი), **მოგვარებადი** (ურთიერთობა, პრობლემა, კონფლიქტი), **ახსნადი** (ქმედება, მოვლენა, ნაბიჯი), **მოსწრებადი** (სამუშაო, საქმე).

II. ამ ტიპის ფორმებში ჩანს სხვა მნიშვნელობაც. **გაყიდვადია პროდუქტი**, რომელიც არა თუ შეიძლება გაიყიდოს, არამედ კარგად გაიყიდება, გასავლიანია, ბევრი მყიდველი ეყოლება; **ყურებადი** შეიძლება ითქვას არათუ კარგ ფილმზე, არამედ ისეთზე, რომელსაც ბევრი მაყურებელი ჰყავს. აქ წამყვანია მაყურებლის სიმრავლეზე მითითება. **სმენადი მუსიკა** - აქ კი მსმენელთა სიმრავლეა დომინანტური; **კითხვადიც** ისეთი **ნაწარმოებია**, რომელსაც ბევრი მკითხველის ჰყავს. აბიტურიენტებისთვის **ნერადია** ის თემა, რომელსაც ბევრი ირჩევს დასაწერად.

III. ამ ჯგუფში ერთიანდება ისეთი ფორმები, რომლებშიც მოქმედება განხორციელების პროცესშია. მაგ.: **მოხმარებადია პროდუქტი**, რომელიც უკვე მოიხმარება (და არა მომავალშია შესაძლებელი მისი შესრულება) და თან ბევრი მომხმარებელი ჰყავს. **მოთხოვნად პროდუქტშიც** ასახულია მოთხოვნის ინტენსიურობა.

ამ ტიპის ფორმები სხვადასხვა შინაარსობრივი ელფერით ფართოდა გავრცელებული თანამედროვე ქართულში. „ხშირი ხშარების გამო ზოგს ეწვევა ჩვენი სმენა, ზოგი უწვეულოდ და უცნაურად გვეჩვენება, ასეთებია: **ყურებადი, კითხვადი, მიგრირებადი, მინელებადი, მოთმენადი** და ა. შ. რომლებიც გვესმის ტელეკრანიდან, კათედრებიდან და რომლებიც თანდათან იფართოებენ გავრცელების არეს“ (ცინცაძე... 2009:16).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (28. 05. 2008 წ.) დაიბეჭდა მკითხველის წერილი, სადაც ენობრივ დარღვევათა შორის დასახელებულია ამ ტიპის ფორმებიც: „**მოთმენადი, განხორციელებადი, ნარმოდგენადი**“ და ა. შ. განსაკუთრებული კრიტიკის საგნად იქცა „**ყურებადი ფილმი**“ (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1-7. 02. 2002).

თანამედროვე ქართულში დასახელებულ ფორმათა გაჩენა უკავშირდება რამდენიმე მიზეზს:

1. შესაძლებლობის გამოხატვის სურვილს (ენაში ნარსული და მომავალი დროის მიმღებები და ზმინის პირიანი ფორმები ყოველთვის ვერ გამოხატავენ აღნიშნულ ნიუანსს, რის გამოც ამ ფორმებს პოსიტიურებს უწოდებენ);

2. გამოსახატავი შინაარსი ვრცელი კონსტრუქციებით კი გადმოიცემა, მაგრამ ეკონომიურობისაკენ სწრაფვა ერთნევრა ერთეულს ანიჭებს უპირატესობას;

3. გასათვალისწინებელია უცხო ენათა გავლენაც. ბევრ ევროპულ ენაში შესაბამისი სემანტიკის გამოსახატავად კომპაქტური მიმღებური ფორმები არსებობს“ (ომიაძე 2009: 166).

აღნიშნული საკითხისადმი არაერთგვარი დამოკიდებულება აქვთ მკვლევრებს და მკითხველებს. მეცნიერთა უმრავლესობა ამგვარ ფორმათა გავრცელებას უარყოფით ენობრივ ტენდენციად მიიჩნევს (ნ. ნათაძე; მ. ცინცაძე, ბარამიძე).

მკვლევრებს არ გამოჰქონიათ ის ფაქტიც, რომ ამგვარი ფორმები ხშირად სრულიად განსხვავებულ სემანტიკას გადმოგვცემს. მაგ.: **განვითარებადი** განვითარების პროცესში მყოფს აღნიშნავს საზოგადოდ, მაგრამ მასმედიის ენაში იგი განვითარებულის

ანტონიმადაა გამოყენებული: „საქართველოს... განვითარებად, უფრო სწორად კი განუვითარებელ ქვეყნად მიიჩნევენ“; „განვითარებად ქვეყნებში ინფორმაციაზე მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში“ (ცინცაძე ... 2009:15).

აქვე უნდა განვიხილოთ **კონტროლირებადი ტერიტორიაც. კონტროლირებადი** ნიშნავს უკვე გაკონტროლებულს ან კონტროლქვეშ მყოფს: ეს ტერიტორია რუსეთის მიერ **კონტროლირებადია..** მტრისგან კონტროლირებად ჰაერში შევაფრინეთ თვითმფრინავი (იქვე, 15). რაც შეეხება **ცნობად სახეს**, ის უკვე **ნაცნობს** ნიშნავს. მან **ნაცნობიც** ჩაანაცვლა და **ცნობილიც.**

მკვლევრები ხშირად ეძებენ გამოსავალს და გვთავაზობენ უკეთეს ვარიანტებს. ზოგი ფორმის მნიშვნელობა შეიძლება ვნებითი გვარის მომავალი დროის მიმღებით გადმოიცეს, ასე მაგალითად: **ამოღებადის ნაცვლად აჯობებს გამოვიყენოთ ამოსალები, განსჯადის ნაცვლად— განსასჯელი.**

**ამოსალები და ამოღებადი, განსასჯელი და განსჯადი** მნიშვნელობით განსხვავებულია.

პირველი ცალები მხოლოდ მომავალი დროის სემანტიკას შეიცავს, მეორენი კი – ამასაც და **შესაძლებლობასაც. გასაყიდსა და გაყიდვადს** შორის სხვაობა უფრო დიდია, ამიტომ უკანასკნელი ფორმების შეცვლა გაუმართლებლად გვეჩვენება.

ზოგ შემთხვევაში თავისუფლად შეიძლება ზმინის პირიან ფორმათა გამოყენება. მაგ.: ყველაფერი **იქნება ასრულებადი - ყველაფერი ასრულდება**; გზა **მირთვადი იქნება** სამხრეთის გზასთან... მიუერთდება სამხრეთის გზას. ეს **განხორციელებადი იქნება - ეს განხორციელდება.** მიგვაჩნია, რომ ზემოდასახელებულ მაგალითებში ამგვარ ფორმათა გამოყენების არავითარი საჭიროება არ არსებობს. მომავალ დროზე აქ **იქნება** ზმინაც მიუთითებს. თუ ენის ეკონომიურობის პრინციპით ვხელმძღვანელობთ, აქ პირიკით, უხვესიტყვაობა გამოდის.

ძველი ქართული ენის ტექსტებში ამგვარ ფორმათა სემანტიკა სავსებით ნათელია, ისინი კონტრასტს ქმნის: „დაამტკიცნის უფალმან ყოველნი დაცემადნი და აღმართნის დაცემულნი“

(ფსალმ. 144, 14); შეტყუება ჩას ანუ **ყოფილთა** საქმეთათვის ანუ **ყოფადთათვის**“ (შატბ. კრებ. 231, 4); „ანუ ვითარ ემსგავსოს **გან-სრნადი უხრწნელსა და შეცვალებადი შეუცვალებელსა?**“ (იქვე, 93, 20).

ამგვარ ფორმათა მიმართ გასათვალისწინებელია არაერთი ნიუანსი: „რეკომენდებული ალტერნატივები ყოველთვის ადეკვატური არ არის: ხან წამყვანი სემანტიკური ნიუანსია დაკარგული, ხან კიდევ მრავალკონპონენტიანი სტრუქტურაა შემოთავაზებული“ (ომიაძე 2009: 166).

ამრიგად, დღესდღეობით ესოდენ ფართოდ გავრცელებულ **ყურებადი** ტიპის ფორმებში რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი შეიძლება გამოიყოს. ზოგი მათგანი ენის ეკონომიურობისა პროცეს ემორჩილება, მაგრამ ზოგიერთის შინაარსი ერთობ გაბუნდოვნებულია, აშკარად უცხოურია, ან ხელოვნური, ქართული ენის ბუნებისთვის შეუსაბამო, თუმცადა ძალიან მოდური და პოპულარული. მათი შეცვლისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რომელიმე ნიუანსი არ გამოგვრჩეს მხედველობიდან; აღნიშნულ კონტექსტს რომელი ფორმა უკეთ მიესადაგება, ამას დიდი დაკვირვება სჭირდება. ჯერ სემანტიკაა გასათვალისწინებელი, შემდეგ კი - ეკონომიურობის პრინციპის დაცვა.

**სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ მაგალითები, იმსჯელეთ, აღნიშნულ კონტექსტში სწორად არის თუ არა გამოყენეული -ად სუფიქსიანი ფორმები; თუ საჭიროა, შეცვალეთ ისინი ზმნებით**

1. ჩემი ბრენდი ცნობადი და მოთხოვნადია;
2. ეს ცოტა რთული პროცედურაა, მაგრამ შესრულებადი;
3. დასახული ღონისძიებები უნდა იყოს პრაქტიკული, დროში განსაზღვრული და მიღწევადი;
4. ჩვენს უნივერსიტეტში უურნალისტიკის სპეციალობა მიღევადია;
5. ეს ტერიტორია რუსეთის მიერ კონტროლირებადია;
6. სიტუაცია არაპროგნოზირებადი გახდა;

**7. ალერტეკი შეთავსებადია ალკოჰოლთან, ამიტომ მეურნალობის პროცესში შეგიძლიათ დალიოთ კათხა ლუდი ან ერთი ჭიქა ღვინო;**

**8. ჩემს ძმისშვილს გიორგი ჰქვია, ქართულ ტრადიციებთან ასოცირებადი სახელი;**

**9. კ. ბუაჩიძის ნათელი ხსოვნის გამოხატვა ადვილად ახსნადია;**

**10. ჩემს თანამშრომელს ფეთქებადი ხასიათი აქვს, ამიტომ ყველა ერიდება მასთან ურთიერთობას.**

## **VI.8. დარღვევები შერწყმულსა და რთულ ნიუადადებები**

შერწყმულ წინადადებაში გასათვალისწინებელია: 1. სიტყვათა ნყობა; 2. ნევრთა ერთგვარობის დაცვა; 3. ჩამოთვლის დამთავრების გამოხატვა; 4. თანდებულის მართებულად ხმარება; 5. კავშირის სწორად გამოყენება.

რთულ თანწყობილ წინადადებაში გვხვდება შემდეგი სახის სტილისტიკური შეცდომები: 1. თანწყობილ წინადადებაში მარტივ და შერწყმულ წინადადებათა შორის თანადროულობის დარღვევა; 2. ამ წინადადებათა არასწორად დალაგება; 3. მთავარი ნევრების - ქვემდებარისა და შემასმენლის ბუნებრივი წყობის შეცვლა რთული თანწყობილი წინადადების შემადგენლ ნაწილებში.

**სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ მაგალითები და აღნიშნეთ, რა ტიპის დარღვევებია მოცემულ წინადადებებში:**

1. ჰააგაში ძალიან უყვართ და აფასებენ ყვავილებს (ვ. ბარათაშვ.);
2. არსად ჩანდა ნაპირი, ზღვა, ტალღები, ქარი და სიცხე (იქვე);
3. ორშაბათს ყველანი იქ ვიქნებით, ანუ ჩვენ, მოსამსახურე პერსონალი, რადგან ღონისძიება დავგეგმოთ;
4. მოდიოდა ლამაზად, ტანის რხევით, წელში გამართული, ტანკენარი (მიშვ.);

5. გამწარებული ნადირი ხან წყლიდან ამოხტებოდა, მერე თითქოს დაიღალაო, წყლის ზედაპირზე გაწვა (ვ. ბარათაშვი);

6. ყველა გოგონას სურს ლამაზად გამოიყურებოდეს, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადავცდეთ;

7. ეს ის ქალია, რომელიც არისტოკრატიულ თვისებებს არას-დროს დალატობდა;

8. ყველა ქალის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა გრძნობთ, რომ თქვენს თავს რაღაც ხდება;

9. ზოგიერთთან მეც დამირეკავს, მაგრამ ხმას არ ვიღებდი;

10. ამ ყველაფერს მოქალაქები ქმნიან, ანუ, ჩვენ, საზოგადოება.

### შემაჯამახელი ტესტი

1. რომელი არაა სწორი: ა. ფული აქვს ბ. ფული გააჩნია გ. ფული მოეპოვება დ. აზრი გააჩნია

1. ა, ბ 2. ა, დ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

2. რომელია არასწორი გამოთქმა ა. ახალი ამბავი გამაგები-ნა ბ. ახალი ამბავი შემატყობინა გ. ახალი ამბავი მაცნობა დ. ცუდი ამბავი გავიგე

1. ა, ბ 2. ა, დ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

3. რომელია სწორი შესიტყვება: ა. პროექტის ავტორი ბ. პი-ცის ავტორი გ. ტექსტის ავტორი დ. ხაჭაპურის ავტორი

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, დ. 5. გ 6. ბ.

4. რომელია არასწორი: ა. მიწის ათვისება; ბ. ფონდის ათვი-სება გ. ფართობის ათვისება; დ. მასალის ათვისება

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ, დ

5. კორექტურული შეიძლება იყოს ა. ქცევა ბ. შეცდომა გ. მოქმედება დ. ნაწერი

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

6. ნარმოება შეიძლება ა. ტანსაცმლის ბ. ქსლის გ. სელის დ. სურსათის

1. ა, ბ 2. ა, გ, დ 3. ა, ბ 4. ბ, გ, დ. 5. ა 6. ბ.

7. რომელია სწორი ა. ინგლისური ენის პედაგოგი ბ. ინგლი-სური ენის მასწავლებელი გ. ქართული ენის პედაგოგი დ. ინ-გლისურის მასწავლებელი

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

8. რომელ წინადადებაშია ზედმეტი ამბავი? ა. ამას არ უნდა ბევრი ამბავი ბ. ხვალ გეტყვით მის ამბავს გ. ამის გაეთება არ არის იოლი ამბავი; დ. ყველას ეწყინა მისი გარდაცვალების ამბავი

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. გ, დ 5. ა 6. გ.

9. რომელ წინადადებაშია გამოყენებული სიტყვა ატარებს არასწორად? ა. ჩვენი ბევრი ლექტორი სათვალეს ატარებს ბ. ჩვენი ორგანიზაცია საახალწლო ზეიმს ყოველწლიურად ატ-არებს გ. უნივერსიტეტი კონკურსს ატარებს დ. ელენე თავის პირმშოს სულ ხელით ატარებს

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

10. რომელია არასწორი ა. მაღალი კედელი ბ. მაღალი სტუ-მარი გ. მაღალი ფასი დ. მაღალი კიბე

1. ა, ბ 2. ა, გ, დ 3. ბ, გ 4. ბ, გ, დ. 5. ა 6. ბ.

11. რომელია სწორი: ა. შემოსავალს ზრდის ბ. შემოსავალს ამრავლებს გ. შემოსავალს ადიდებს დ. შთამომავლობას ამ-რავლებს

1. ა, ბ 2. ა, დ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

12. რა შეიძლება იყოს წმინდა? ა. წიგნი ბ. მიწა გ. ეზო დ. წყარო  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, დ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

13. რომელი არაა წმინდას მნიშვნელობა? ა. შეურეველი ბ.  
ვიწრო გ. შეურყვნელი დ. გაურეცხავი  
1. ა, გ 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. დ 6. ბ

14. ამოცანა შეიძლება იყოს ა. ადვილი ბ. იოლი გ. ძნელი დ.  
რთული  
1. ა, გ 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. დ 6. ბ.

15. მასიური შეიძლება იყოს ა. ავეჯი ბ. ოქრო გ. გამოსვლა  
დ. წიგნი  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. დ 6. ბ.

16. რომელია სწორი: ა. ზერელე ცოდნა ბ. ზერელე სვნა გ.  
ზედაპირული მსჯელობა დ. ზედაპირული ცოდნა  
1. ა, გ 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ბ.

17. რომელია არასწორი: ა. იოლი საქმე ბ. ადვილი საქმე  
გ. რთული ხასიათი . დ. ძნელი ხასიათი  
1. ა, გ 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. დ 6. ბ.

18. რომელია არასწორი? ა. სერიოზული გრანტი ბ. სერიოზ-  
ული დახმარება გ. სერიოზული კაცი დ. სერიოზული საყვედური  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, დ 4. გ, დ. 5. ა. 6. დ.

19. რომელია არასწორი? ა. უნარის ამაღლება ბ. კვალიფი-  
კაციის ამაღლება დ. ხელფასის ამაღლება დ. ჯებირის ამაღ-  
ლება  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. დ 6. ა, ბ.

20. რომელია სწორი? ა. წარუმატებლობას განიცდის ბ. უფ-  
ულობას განიცდის გ. ნაკლებობას განიცდის დ. მარცხს გა-  
ნიცდის

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, გ. 5. ა 6. ა, ბ, დ;

21. რომელია სწორი: ა. მიღწევის ავტორი ბ. ტექსტის ავტო-  
რი გ. სცენარის ავტორი დ. ტორტის ავტორი  
1. ა, ბ 2. ა, დ 3. ბ, გ, დ 4. ბ, გ. 5. დ 6. ა, ბ, გ.

22. რომელია არასწორი? ა. საოცარი გემო ბ. საუცხოო გემო  
გ. უცნაური გემო დ. მომწარო გემო

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ა, გ. 5. დ 6. ა, ბ, დ;

23. რომელია არასწორი? ა. წმინდა ადგილი ბ. წმინდა ფიცი  
გ. სუფთა გული დ. სუფთა დაფა  
1. ა, ბ 2. ა, დ 3. ბ, გ, დ 4. ბ, დ. 5. გ 6. ა, ბ, გ.

24. რომელი არაა სუფთას მნიშვნელობა? ა. განბანილი ბ.  
ჭუჭყანი გ. ფაქიზი დ. სპეტაკი  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ბ, დ 5. ბ 6. ა, ბ;

25. რომელია სწორი? ა. საშინელი მსუქანი ბ. საშინელი მხე-  
ცი გ. საშინელი ზარმაცი დ. ა. საშინელი ამპარტავანი  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ა, გ. 5. ბ 6. ა, ბ, დ;

26. როგორი არ შეიძლება იყოს ცოდნა? ა. ზერელე ბ. ზედა-  
პირული გ. საფუძვლიანი დ. მყარი  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ა, გ. 5. ბ 6. ა, ბ;

27. რომელი შეიძლება იყოს სუფთა? ა. ეზო ბ. კაბა გ. წერა  
დ. გული  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ა, გ. 5. დ 6. ა, ბ, დ;

28. რომელია სწორი: ა. ღვაწლი დასდო ბ. წვლილი შეიტანა;  
გ. ღვაწლი შეიტანა დ. წვლილი დასდო  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ა, გ. 5. ბ 6. ა, ბ;

29. რომელია არასწორი: ა. მამასისხლად გაყიდა ბ. დანა-  
სისხლად გადაეკიდა; გ. მამასისხლად გადაეკიდა დ. დანასის-  
ხლად გაყიდა

1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. გ, დ. 5. ბ 6. ა, ბ;

30. რომელია არასწორი: ა. სულს ძლივს ითქვამს ბ. სულს  
ლაფავს გ. სულს ძლივს ლაფავს დ. სულს ვერ ითქვამს  
1. ა, ბ 2. ა, გ 3. ა, ბ, გ 4. ა, გ 5. გ 6. ა, ბ.

## VI.9. პლაზმაზონი

წინადადება აზრს ზედმინევნით ზუსტად, ლაკონიურად და  
სხარტად უნდა გამოხატავდეს. მასში არ უნდა იყოს ზედმეტი  
სიტყვები.

ზედმეტია სიტყვა, რომელიც იმეორებს სხვა სიტყვის მნიშ-  
ვნელობას ისე, რომ არც აზუსტებს და არც ხსნის მას. სიტყვათა  
ასეთ უმიზნო გამოყენებას მრავალსიტყვაობას, უხვსიტყვაობას,  
ფუქსიტყვაობასაც უწოდებენ. უხვსიტყვაობის გავრცელებული  
სახეებია: **პლეონაზმი და ტავტოლოგია.**

პლეონაზმი ბერძნული სიტყვაა პლეონასმოს და ნიშნავს წი-  
ნადადებაში ერთისა და იმავე ცნების გადმოსაცემად ერთნაირი  
მნიშვნელობის, ლოგიკურად ზედმეტი სიტყვების გამოყენებას.

ამრიგად, ერთისა და იმავე საგნის დასახასიათებლად ლოგი-  
კურად ზედმეტი, ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვების გამოყენე-  
ბა სტილისტიკური ხარვეზია.

პლეონაზმის გამოყენება მიუთითებს სიტყვის მნიშვნელობის  
უცოდინრობაზე. მეტყველს არ ესმის სიტყვის მნიშვნელობა, ამ-  
იტომაც იყენებს მის გვერდიგვერდ იმავე სემანტიკის ლექსემას.

პლეონაზმებია: 1. ზევით ავიდა, ქვევით ჩავიდა, შიგნით შე-  
ვიდა. ასვლა თავისთავად ნიშნავს ქვემოდან ზემოთ მოძრაობას,  
ისევე როგორც ჩასვლა-ზემოდან ქვემოთ გადადგილებას, ანდა  
შესვლა - გარედან შიგნით სვლას. ამ ზმნებში მიმართულებას  
ზმნისწინი გამოხატავს, ამიტომ მათთან ზედმეტია ამავე სემან-  
ტიკის ზმნიზედებით გადმოცემა. ანალოგიურია: სახლს ირგვლივ  
შემოუარა. აქ ზედმეტია „ირგვლივ“, რადგან იმავე სემანტიკის  
გადმოგვცემს „შემოუარა“.

პლეონაზმებია: „ოდნავ შემწიფდა“ ან „ძალიან გადამწიფ-  
და“. შე ზმნისწინი ოდნაობას გამოხატავს“, გადა კი - გადაჭარბე-  
ბას, ამიტომ აქ ზედმეტია ზმნიზედები: **ოდნავ და ძალიან.**

2. აქვე უნდა დავასახელოთ ისეთი გამოთქმებიც, სადაც ერთი  
და იგივე სემანტიკა (რომელიმე მოქმედების მიმართულება) გად-  
მოიცემა სახელის თანდებულიანი ფორმითაც და ზმნიზედითაც:  
„შიგნით სახლში აღარავინ იყო“, „ყმანვილი ზედ ღობეზე ამ-  
ძვრალიყო“.

3. პლეონასტურია კუთვნილებითი ნაცვალსახელი შემდეგ  
მაგალითებში: მან ამ საქციელით **თავისი** თავიც გაილანდა და  
მშობლებიც შეარცხვინა“. უნდა იყოს - თავი გაილანდა. ზმნაში  
ამაზევე მიუთითებს სათავისო ქცევის ნიშანი „ი“ -ც. შეცდომაა  
ასევე: „იგი **თავისი** ფეხით წავიდა სახლში“. უნდა იყოს - ფეხით  
წავიდა ან თვითონ წავიდა.

პლეონაზმებია: „ეს წიგნი ჩემი საკუთარი ბიბლიოთეკიდან წა-  
მოვიღე“; „ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა“. სიტყვები - „ჩემი“, „პი-  
რადი“, „საკუთარი“ კუთვნილებაზე მიუთითებს და ერთი რომე-  
ლიმე უნდა დავტოვოთ.

4. პლეონასტურია **პირის ნაცვალსახელთა** გამოყენებაც,  
რადგან ზმნის ფორმა ქართულში პირებს ორგანულად გადმოგ-  
ვცემს: „შენ მე ეს საქმე მალე გამიკეთე“ ან „მე შენ ამას გამოგიგ-  
ზავნი“. აქ **შენ** და **მე** ნაცვალსახელები ზედმეტია, სუბიექტი და  
ობიექტი ზმნაში პირის ნიშნებითაა გამოხატული (გა-მ-ი-კეთე-  
შენ, **მე**, ის; გამო-გ-ი-გზავნი-მე, **შენ**, მას).

5. პლეონაზმებს ქმნის ზედსართავი სახელის უფროობითი ხა-  
რისხის ფორმების გამოყენება. მაგ.: **ძალიან ულამაზესი, უფრო**

უარესი, უფრო უკეთესად და ა.შ. აქ ზედმეტია სიტყვები: უფრო, ძალიან, რადგან ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები: ულამაზესი, უარესი ან უკეთესი ამავე სემანტიკაზე მიუთითებს.

6. პლეონაზმის ერთ-ერთ წევრად ხშირად გვხვდება კომპოზიტი: „პირველი პირმშო“; „მთავარი დედაქალაქი“. პირმშო პირველი შვილია, დედაქალაქი კი - მთავარი ქალაქი (არ არსებობს მთავარი და არამთავარი დედაქალაქი).

პლეონაზმებია: „მოხუცი დედაბერი, „ხანში შესული მხცოვანი“ ანდა „ხანდაზმული მოხუცი“.

7. პლეონასტურია გამოთქმები: „პირველი დებიუტი“, „პირველი პრემიერა“, „ადგილობრივი აბორიგენი“, „მკვიდრი აბორიგენი“, „მოულოდნელი სიურპრიზი“, „სასიამოვნო სიურპრიზი“, „ახალგაზრდა თინეიჯერი“. შეცდომას უცხო სიტყვათა სემანტიკის უცოდინრობა უდევს საფუძვლად. სტილისტიკური ხარვეზის ამ ტიპს ზოგჯერ ფარულ ტავტოლოგიასაც უწოდებენ.

**პრემიერა** (ფრანგ. premiere) თეატრალური პიესის, ოპერის, ბალეტის პირველი წარმოდგენაა, ამიტომ მასთან სიტყვა „პირველის“ გამოყენება უმართებულოა, ისევე როგორც „დებიუტთან“, რომელიც ასევე ფრანგული სიტყვაა (debut) და მისი ძირითადი მნიშვნელობა თეატრს უკავშირდება, მაგრამ სემანტიკა გაფართოებულია და ნიშნავს საზოგადოებრივ ასპარეზზე პირველ გამოსვლას.

**აბორიგენი** ლათინური წარმოშობის საერთაშორისო სიტყვაა (ab origene-დასაბამითგან, თავიდან); თავდაპირველად აბორიგენს უწოდებდნენ ლათინელებით დასახლებულ მხარეს - ლაციუმს. შემდგომ ამ სიტყვამ გაიფართოვა მნიშვნელობა და ამა თუ იმ ქვეყნის **მკვიდრი** მოსახლეობის ზოგად სახელად იქცა.

ამრიგად, ეს სიტყვა თავისთავად შეიცავს **ადგილობრივის** სემანტიკას და **მკვიდრისა** მასთან „**ადგილობრივის**“ ან „**მკვიდრის**“ გამოყენება. ზოგჯერ ეს ცნება დაშლილია და სინონიმური წყვილები - **„მკვიდრი“** და **„ადგილობრივი“** მექანიკურად შერწყმია ერთმანეთს - „**ადგილობრივი მკვიდრი**“. აქ ორივე სიტყვა ქართულია და ერთსა და იმავე შინაარსს გადმოგვცემს.

პლეონასტური შესიტყვებების ერთ-ერთ კომპონენტად ხშირად გვხვდება **აუტო-თი** შედგენილი კომპოზიტები. ბერძნული აუტოს იგივეა, რაც თვით, თავისი. მაგ.: ავტობიოგრაფია, ავტოგრაფი, ავტომანქანა, ავტოპორტრეტი.

**ავტობიოგრაფია** ვინმეს მიერ საკუთარი ცხოვრების, თავგადასავლის აღწერაა, ავტოგრაფი კი არის - 1. ნაწარმოების ხელნაწერი, ავტორის ხელით შესრულებული, ან 2. ხელმოწერა; **ავტოპორტრეტი** - მხატვრის მიერ დახატული საკუთარი პორტრეტი; **ავტომანქანა** - კერძო, საკუთარი მანქანა, ამიტომ მათთან კუთვნილების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენება ზედმეტია. **ავტობიოგრაფიასთან** ასეთი სიტყვა მაშინაა აუცილებელი, თუ იგი სხვას ეკუთვნის: მან თავისი ავტობიოგრაფია მოიტანა.

**სიურპრიზი** (ფრანგ. surprise) მოულოდნელი საჩუქარი ან სასიამოვნო ამბავია. ამ სიტყვაში შერწყმულია ორგვარი სემანტიკა: მოულოდნელი და სასიამოვნო, ამიტომ პლეონასტურია: **მოულოდნელი, კარგი ან სასიამოვნო სიურპრიზი.**

პლეონასტურია „პატარა ან ახალგაზრდა ვუნდერკინდი“.

**ვუნდერკინდი** (გერმ. Wunderkind - საოცარი ბავშვი) არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვია, ამიტომ მასთან შეცდომაა **პატარას** ან **ახალგაზრდის** გამოყენება.

## VI.10. ტავტოლოგია

**ტავტოლოგია** ერთ წინადადებაში, აბზაცსა თუ ახლო კონტექსტში ერთისა და იმავე სიტყვის ან თქმის, განმარტების თუ მსჯელობის რამდენჯერმე გამოყენება.

ტავტოლოგია მეტყველების სიღარიბის ნიშანია. იგი თითქოს აზრს არაფერს ვწებს, მაგრამ ენას ართმევს სილამაზესა და სიცხადეს. იგი ადვილად დასაძლევი სტილისტიკური ხარვეზია, მაგრამ ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ტავტოლოგიურად გამოიყენება თითქმის ყველა მეტყველების ნაწილი. მაგ.: „მას წარმატებები უსურვეს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზო-

გადობრივ ცხოვრებაში“. ამ წინადადებაში ტავტოლოგიურ-ადაა გამოყენებული სიტყვა „ცხოვრება“. უნდა იყოს: „როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

„ეს ამბავი იქცა როგორც გართობის საგნად, ისე საყოველთაო განხილვის საგნადაც. უნდა იყოს: „როგორც გართობის, ისე საყოველთაო განხილვის საგნად“, „მათ იმსჯელეს როგორც ცალკეული საენათმეცნერო საკითხების, ისე ორგანიზაციული საკითხების შესახებაც“. უნდა იყოს: ...„როგორც ცალკეული საენათმეცნიერო, ისე ორგანიზაციული საკითხების შესახებაც“.

ტავტოლოგია თავიდან რომ ავიცილოთ, სიტყვა სინონიმით ან ნაცვალსახელით უნდა შევცვალოთ.

#### სავარჯიშო №1. გაასწორეთ შეცდომები:

1. ავადმყოფ პაციენტებს ამ კლინიკაში ახალი მეთოდებით მკურნალობენ;
2. ნინო თავის თანატოლებში ყველაზე ულამაზესია;
3. გიორგი სამშენებლო ფირმის მთავარ მენეჯერად დანიშნეს;
4. ამ მოვლენების მთავარი ეპიცენტრი ატლანტიკის ოკეანეშია;
5. ეს სრულიად მოულოდნელი სიურპრიზი განგებას მივაწერე;
6. ამ პროექტით ბევრ სოციალურად გაჭირვებულ ადამიანს გაუწიეს დახმარება;
7. ქალბატონი მანანა კარგი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებში და ნაცნობ-მეგობრებში;
8. გიორგიმ თავისი საკუთარი ავტომანქანით წაგვიყვანა წვეულებაზე;
9. ამ სტილის ფუნქციური დანიშნულებაა კომუნიკაცია;
10. მეტისმეტად ეცოდებოდა დედას ამ განსაცდელისთვის თავისი პირმშო შვილი.

#### სავარჯიშო №2. იპოვეთ, არის თუ არის შეცდომები და გაასწორეთ:

1. ახალგაზრდა ყმაწვილი ცხოვრების აუხსნელმა პარადოქსებმა მთლად დააბნია;

2. ამ საქციელით მან თავისი თავიც შეირცხვინა და საკუთარი მშობლებიც შეარცხვინა;

3. სამშობლოს სიყვარული ჩვენი ყველაზე წმინდათანმინდა მოვალეობაა;

4. ეს პერანგი ჩემს პერანგზე ოდნავ მოზრდილია;

5. ახალგაზრდა თინეჯერი დღეს დებიუტანტია- პირველად გამოდის სცენაზე;

6. აბო მისაბაძი მაგალითი უნდა გამხდარიყო რწმენაშერყეული ქართველებისთვის;

7. ბილოდროინდელ ხანებში კიდობანში ობმოდებულ სულის პურს იშვიათად ჩახედავს ვინმე;

8. ბრძოლაში დაღლილს თავისი პირადი სიმართლის რწმენა დაპკარგოდა;

9. ჩემი ხასიათის ცუდ მახასიათებლად ვთვლი იმასაც, რომ მიჭირს სხვებისთვის შეცდომის პატიება;

10. ოჯახის იდილით შექმნილ გარემოში ძალიან მშვიდი ადამიანი გავიზარდე.

#### სავარჯიშო №3. გაასწორეთ შეცდომები:

1. ეს წამალი უებროა, ბევრ დაავადებას შველის;
2. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ერზრუმის ათათურქის უნივერსეტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა;
3. სხვადასხვა გემოს აღმქმელი რეცეპტორები ენაზე სხვადასხვა ადგილას არის მოთავსებული;
4. კანონი ყველასათვის უზენაესი უნდა იყოს, არავინ არ უნდა არღვევდეს კანონს და თუ ასეთი რამ მოხდა, დამნაშავე კანონის დაცვით უნდა ისჯებოდეს;
5. აქ იკვეთება მისი პოტენციური შესაძლებლობები;
6. ეს მისი სპეციფიკური თავისებურებაა;
7. პატარა ბაიები გემრიელად ილუკმებოდნენ;
8. ბოლო დროს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში განვითარებულმა საკადრო ცვლილებებმა თვითმმართველობითი ცვლილებები განაპირობა;
9. იმ დღეს მთავარი სეფე სიტყვაც თვითონ თქვა;
10. სალამოზე ბევრი სასაცილო კურიოზი გავიხსენეთ.

**სავარჯიშო №4. წაიკითხეთ მაგალითები და გაასწორეთ შეცდომები: აღნიშნეთ, რა ტიპისაა ისინი:**

1. უცხოური კაპიტალის მოზიდვა ქვეყნებს გამოიყენს მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან;
2. ზოგჯერ ასეთი მუშაობის შედეგი ეფექტიანია;
3. ავტორს განსაკუთრებით ახარებს მთიელი კაცის მყარი ტრადიცია, რომ გაუფრთხილდეს ბუნებას;
4. ადამიანი მხოლოდ მონდომებით შეიძლება გახდეს თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი;
5. ცოდნასა და ენერგიას უშუალოდ უძლვნის მომავალი ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს;
6. მისი მუშაობის სტილისათვის უცხო იყო პირადი ან კერძო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებები;
7. უურნალ-გაზრები მისი ათეულობით სამეცნიერო და პუბლიკური სტატია იბეჭდებოდა;
8. ნინო მათემატიკოსია, ხოლო ზვიადი კი - მექანიკოსი;
9. უფრო ხერხიანადა სცნეს, მოეტაცნათ ქალი სადმე სოლან-ლულიდან დაწყებული ვიდრე იაღლუჯამდის (ბარნ.);
10. აღმოსავლეთი გვიცინის, ბნელ წყვდიადს სული ხდებაო (ხალხ.).

**ტესტი №1.**

1. რომელია არასწორი: ა) ძალიან უმნიშვნელოვანესი ბ) ძალიან მნიშვნელოვანი გ) ყველაზე მნიშვნელოვანი დ) ყველაზე უმკაცრესი

1. ა 2. ა, დ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, გ

2. რომელია სწორი: ა) მომავალი წელი ბ) მომავალი ბედი გ) მომავალი სასიძო დ) მომავალი სარძლო.

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, გ.

3. რომელია პლეონაზმი: ა) რთული საკითხი; ბ) რთული დავალება; გ) რთული ლაბირინთი; დ) ძნელი დავალება

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. გ 5. ბ, გ 6. ა, გ.

4. რომელია უმართებულო: ა) ეფექტური საშუალება ბ) ეფექტური ხერხი გ) ეფექტური შედეგი დ) არცერთი პასუხი არაა სწორი.

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. ა, დ 5. ბ, გ 6. გ.

5. რომელია სწორი: ა) ყველაზე ულამაზესი ბ) ყველაზე ლამაზი გ) ყველაზე უმშვენიერესი დ) ყველაზე მაღალი.

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ბ, დ.

6. რომელია არასწორი: ა) ხელახლა დაწერა ბ) ხელახლა გადაწერა გ) ხელახლა დაიბანა დ) ხელახლა გადაიხადა

1. ბ 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, დ 6. ა, გ.

7. რომელია მართებული: ა) ოდნავ მომცრო ბ) ოდნავ მოპატარაო გ) ოდნავ პატარა დ) ოდნავ მცირე

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. გ 5. ბ, გ 6. ა, გ.

8. რომელია მართებული: ა) ოდნავ მოტკბო ბ) ოდნავ მოტკბილო გ) ოდნავ ტკბილი დ) ოდნავ მოდილო

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. გ 5. ბ, გ 6. ა, გ.

9. რომელია სწორი: ა) ყველაზე უტკბილესი ბ) ყველაზე უტკბესი გ) ყველაზე ტკბილი დ) ძალიან უტკბესი.

1. გ 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, გ.

10. რომელია მართებული: ა) მთავარი ექიმი ბ) მთავარი ცენტრი გ) მთავარი ეპიცენტრი დ) მთავარი საზრუნავი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, დ.

## ტესტი № 2

1. რომელია უმართებულო ა) ადგილობრივი მცხოვრები ბ)  
ადგილობრივი აბორიგენი გ) ადგილობრივი მოსახლეობა დ)  
ადგილობრივი მკვიდრი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, დ.

2. რომელია სწორი: ა) პირველი პრემიერა ბ) პირველი დები-  
უტი გ) პირველი რესპოდენტი დ) პირველი მერცხალი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. გ, დ.

3. რომელია უმართებულო: ა) ძირითადი კონცეფცია ბ) ძირი-  
თადი ხაზი გ) ძირითადი შემოსავალი დ) ძირითადი პრობლემა

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, დ.

4. რომელია პლეონაზმი: ა) ოდნავ გადიდდა ბ) ოდნავ შეიც-  
ვალა გ) ოდნავ მოიზარდა დ) არცერთი პასუხი არაა სწორი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. გ 5. ბ, გ 6. ა, დ

5. რომელია მართებული: ა) პირადი ავტობიოგრაფია ბ) პი-  
რადი საქმე გ) პირადი ავტოგრაფი დ) არცერთი პასუხი არაა  
სწორი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, დ

6. რომელია პლეონაზმი: ა) ყველაზე ლამაზი ბ) ყველაზე ძვე-  
ლი გ) ყველაზე საუკეთესო დ) არცერთი პასუხი არაა სწორი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, დ

7. რომელი არაა პლეონაზმი ა) პირადი ავტომანქანა ბ) პირ-  
ველი პირმშო გ) პირველი მეკვლე დ) პირველი სასწავლებელი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, დ

8. რომელია სწორი: ა) ძალიან გადაჭარბებული ბ) ძალიან გა-  
დამნიფებული გ) ძალიან გადახრილი დ) ძალიან გაშავებული

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. გ, დ

9. რომელია პლეონაზმი ა) ოდნავ მოშლილი ბ) ოდნავ მოხა-  
ლული გ) ოდნავ შემწიფებული დ) ოდნავ მოთუშული

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. გ 5. ბ, გ 6. ა, დ.

10. რომელია მართებული ა) კარგი ავტორიტეტი ბ) ცუდი  
ავტორიტეტი გ) კარგი სიურპრიზი დ) არცერთი პასუხი არაა  
სწორი

1. ა 2. ა, ბ 3. ა, ბ, გ 4. დ 5. ბ, გ 6. ა, დ

## VI.11. შტამპი

შტამპი ისეთი სიტყვაა ან სიტყვათა შენაერთია, რომელიც  
უცვლელად იხმარება ზეპირსა და წერითს მეტყველებაში. იგი  
ხშირად გამოიყენება ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში. მა-  
გალითად: ანარმოებს მიღებას, ახდენს შეფასებას, კრებამ და-  
სახა გარკვეული ლონისძიებანი; სათანადო სიმაღლეზე დგას;  
ბრძოლა გამოუცხადეს; დახმარებას უწევს; ჯეროვანი ყუ-  
რადღება ექცევა, გამოყენება აქვს, ზრუნვას არ იჩენს, ზრდა  
მიმღინარეობს, ბრძოლას ანარმოებს.

მსაზღვრებები: გარკვეული და სათანადო ხშირად უფუნ-  
ქციოა.

ძალიან ხშირად გავიგონებთ არასწორ ფრაზებს: ფიზიკურ  
ვარჯიშს ეწევა; აუტანელ შრომას ეწეოდა; სამუშაოს საჭირო სი-  
ზუსტით არ ეწევა... სწორია: ფიზიკურად არ ვარჯიშობს; აუტ-  
ანელ პირობებში შრომობდა; სამუშაოს საჭირო სიზუსტით არ  
ასრულებს...

არ არის სწორი: ეფექტიანობის // შრომის ნაყოფიერების//  
ხელფასის ამაღლება... სწორია: ეფექტიანობის ზრდა, შრომის  
ნაყოფიერების ზრდა, ხელფასის გაზრდა. ძალიან ხშირად შტამ-  
პურად ხშირად გამოიყენება ახდენს ზმნა: შემოწმება //შეტანა//  
აღზრდა მოახდინა. მაგალითად: დროულად მოახდინა წესრიგში  
მოყვანა; მოახდინეს შხამქიმიკატების შეტანა; ბავშვის აღზრდას

მოახდენენ. **სწორია:** დროულად მოაწესრიგა; **შხამ-ქიმიკატები** შეიტანეს; **ბავშვს** აღზრდიან.

შტამპურია ასევე გამოთქმები: **აწარმოებს** მიღებას; **მიმდინარეობს დარიგება;** **ახდენს შეფასებას.** **წარმოება ნიშნავს** მატერიალური საგნების დამზადებას, თუმცა უკანასკნელ ხანს მას ზოგადი მოქმედების აღსანიშნავადაც იყენებენ: **მოლაპარაკება // გამოძიება // მოსავლის ალება აწარმოა, რაც შეცდომაა.** სწორია: **სწორია: იღებს, მიღება, რიგდება, აფასებს, მოელაპარაკა, გამოიძია, მოსავალი აიღო.**

ქართული აქტიური ფორმების ენაა, ამიტომ ბუნებრივია ატკინა, დაჭრა და არა ტკივილი მიაყენა ან ჭრილობა მიაყენა. რისი გამარტივებაც საჭიროა, უნდა გავამარტივოთ: მაგალითად,

ავიღოთ „გასულ წელს“. სჯობს „შარშან“. „მომავალ წელს“ სჯობს „გაისად“. ესენი მაინც და მაინც შეცდომები არ არის, თუმცა სტილის თვალსაზრისით, „გასულ წელს“ უკეთესია დავწეროთ მხოლოდ მაშინ, როცა „შარშან“ ძალიან ხშირად გვხვდება და ტავტოლოგიაა ასაცილებელი). „მიმდინარე წელს“, ან „წელს“ სჯობს „წლეულს“. „წელს“ შეიძლება დავწეროთ თარიღის აღნიშვნისას, მაგ., 2013 წელს, მაგრამ მიმდინარე წელს სჯობს „წლეულს“. არის გამონაკლისებიც: მიმდინარე წლის ბოლოს, გასული წლის ბოლოს, მომავალი წლის ბოლოს.

შტამპები მეტყველებას მოქნილობას, სილამაზეს უკარგავს, აქვეითებს მეტყველების გამომსახველობას, ამძიმებს წინადადებას არაფრისმთქმელი სიტყვებით, ამიტომ მათ არ იყენებენ სასაუბრო სტილში. აქ დაცულია ფრაზის ბუნებრივი მდინარება.

**სავარჯიშო №1. წაიკითხეთ ქვემომოყვანილი წინადადება-ნიდა შტამპები შეცვალეთ მართებული ფორმებით:**

1. სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა მიზნით თანხების სრულად ანაზღაურებას არ ახდენენ;
2. წიგნის ავტორი წუხს, როცა ასეთი წონასწორობის დარღვევა ადამიანის ხელით ხდება;
3. იქ მხოლოდ ხმელი ტოტებისაგან ან წაქცეული ხეებისგან ხდება განმენდა;

4. ქარხანამ ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმე დროულად მოახერხა;

5. მოკლე დროში განახორციელეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების აღება;

6. უამინდობამ დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, ახლა მიმდინარეობს აღდგენა;

7. მოსახლეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელი შეუწყოდანაშაულის გახსნის საქმეში;

8. გვალვამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მოსახლეობას;

9. საკრებულოს გადაწყვეტილებით ხეების მოჭრას ახორციელებს სოფლის გამგეობა;

10. აქ უხვადაა მლაშე წყლები, საიდანაც ძველად ხელოვნურად აწარმოებდნენ მარილის მიღებას.

## VI. 12. პალკი

**კალკი** ფრანგული სიტყვაა ნიშნავს 1. საგანგებოდ დამუშავებულ გამჭვირვალე ქაღალდს ან ქსოვილს, რომლის საშუალებით-აც იღებენ ნახაზის პირს; ლივს; 2. ასეთ მასალაზე გადაღებულ ნახაზის პირს; 3. (ლინგვ.) სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც აგებულია სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის მიხედვით.

კალკი სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის სიტყვასიტყვითი თარგმანია. კალკი ჰეჭვია რაიმე დოკუმენტის ზუსტ ასლასაც. ერთი ენის კალკირებული ერთეული მეორე ენის სტრუქტურული ასლია. არ არსებობს ენა, რომელშიც კალკი არაა, იგი მისი ცვლილება-განვითარების მუდმივი და აუცილებელი თანამგზავრია. კალკი, ჩვეულებრივ, თარგმნის პროცესში შემოქრება ხოლმე. ბევრი მათგანი ქართულმა ენამ შეითვისა. ასეთებია: **ჟანგბადი** (კისლოდ), **ნყალბადი** (водород), **თვითმფრინავი** (самолет), **აირნინალი** (противогаз), **ნყალქვეშა** (подводный) **თვითკრიტიკა** (самокритика); გრამატიკული ტერმინები: **ნაცვალსახელი** (местоимение), **დამატება** (дополнение), **გარემობა** (обстоятельство), **განსაზღვრება** (определение) **ქვემდებარე**

(подлежащее) и да а.შ. Мიუხედავად ქართული სამწერლობო ენის მონოლითურობისა და მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა, სხვადასხვა ენასთან კონტაქტს და ამის შედეგად გაჩენილ კალკებს საკმაო სარბიელი ჰქონდა. მსესხებელი ენისთვის სხვა ენის კალკები შეიძლება ასე თუ ისე მისაღები და სასარგებლოც იყოს, ან კიდევ სრულიად მიუღებელი და შეუფერებელი. კალკი ზოგჯერ ენის შინაგან შესაძლებლობათა წყაროდაც შეიძლება იქცეს. ქართულში კალკირების გზითაა შემოსული ისეთი სიტყვები, როგორიცაა – **თანამზრაცველი, თანამდებობა, ზედნოდება, გარემოცვა, წინამდლვარი, წინამორბედი, წინასწარმეტყველი, პირმშვენიერი, მხოლოდშობილი** და а.შ.

კალკი მაშინაა დასამვები, როცა შემოდის ახალი ცნება, რომლის შესაბამისი მიმღებ ენაში არ იძებნება.

ქართული აქტიური ფორმების ენაა. სწორედ ამ თვისების წყალობითაა ქართული ფრაზა მოქნილი და სახოვანი. ზმნის პირიანი ფორმა აზრს სხარტად გადმოგვცემს, მაშინ როცა სხვა ენები უპირატესობას ანიჭებენ უპირო ფორმებს: საწყისა და მიმღეობას. ფართოდ გავრცელებული კალკებია: **გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია, შეტევაშია. გაყიდვა, ხმარება, შეხება, შეტევა მოქმედების აღმნიშვნელი სახელებია. მოქმედების სახელები ფორმობრივადაც და მნიშვნელობითაც უფრო ახლოს დგას ზმნებთან, ვიდრე სახელთან. დავაკვირდეთ სიტყვებს: გაყიდვა-ში, ხმარება-ში, შეხება-ში, შეტევა-ში... პირველი ნაწილი არის მოქმედების სახელი (გაყიდვა, ხარება, შეხება, შეტევა), ხოლო მეორე ნაწილი – -ში **თანდებული**. თანდებული უმეტესად არსებით სახელს დაერთვის.**

რეკლამაში ხშირად გავიგონებთ „უკვე გაყიდვაშია“ („в продаже“). ესა თუ ის ჟურნალი და გაზეთი, წამალი თუ პროდუქტი. სპორტული კომენტატორები ხშირად ამბობენ : „შეტევაშია“ ესა თუ ის ფეხბურთელი, რაც ასევე შეცდომაა. თუ სურთ ორი მსგავსი საკითხის ან მოვლენის დაკავშირება, ამბობენ: „ეს ორი საკითხი შეხებაშია“. სწორია: **„იყიდება უკვე“, „უტევს“, „ეხება“...** ამის მიზეზი არის რუსული გამოთქმის სიტყვასიტყვით გადმოტანა ქართულ ენაში.

ამგვარ კალკებს ყოველთვის მოეპოვებათ შესაბამისი შესატყვისი ქართულ ენაში: გაყიდვაშია – იყიდება ან ყიდიან; შეხებაშია – ეხება; ხმარებაშია – იხმარება; შეტევაშია – უტევს. რუსულის კალკია საკითხის დაყენება (поставить вопрос). ქართულია – საკითხის დასმა. საკითხი დასვა და არა საკითხი დააყენა ან ნამოაყენა. ასევე რუსულის კალკია „ჩათვლა“ მოსაზრების შესახებ (считать). ასე მიმაჩნია, ასე მიიჩნევს და არა ასე ვთვლი და ასე თვლის. კალკია ასევე რამე ღონისძიების ჩატარება. ყრილობა, კონცერტი თუ არჩევნები კი არ ტარდება, არამედ ეწყობა ან იმართება: მოეწყო კონცერტი, გაიმართა არჩევნები..

რუსულის კალკებია ასევე **გადარეკვა** (перезвонить), გადაბეჭდვა (перепечатать), გადაფასება (переоценить), გადაჯგუფება (перегруппировать). „გადა“ ზმნისწინი მიუთითებს მოქმედების განმეორებაზე, ხელახლა შესრულებაზე. ეს ფუნქცია ქართულისთვის ორგანული არ არის და იგი ამ ზმნისწინს რუსული ენის გავლენით განუვითარდა. გადარეკვა ფაქტობრივად ნიშნავს ხელახლა დარეკვას: **გადმომირეკე [ახლა ხომ მე გირეკავ მერე შენ დამირეკე]**.

კალკურია ასევე მთვრალ მდგომარეობაში, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა (в пьяном состоянии, в нетрезвом состоянии). ქართულისთვის ბუნებრივი ფრაზებია: **მთვრალია, არაა ფხიზელი**. კალკია „საუბარი მიდის“ (речь идет). უნდა იყოს: **საუბარი არის, საუბარი მიმდინარეობს**. აქვე უნდა დავასახელოთ „ფაქტი სახეზეა“ (факт на лицо). უნდა იყოს: **ფაქტია, თვალსაჩინოა, არის..... „რაშია საქმე“ ვ ხელი არ ავარებია**.

„ადგილი აქვს“ შესიტყვება რუსულის გზით შემოსული კალკია (**имеет место**) და ნიშნავს რაიმე ფაქტის დადასტურებას, რაიმე შემთხვევას. იგი ქართულისთვის ბუნებრივი იმიტომაც არაა, რომ საწყისს უკავშირდება: ადგილი აქვს კლებას, მატებას ხარჯვას, დაზიანებას და ა. შ. უმჯობესია: **იკლებს, იმატებს, იხარჯება, ზიანდება ...**

„გავებით ეკიდება“ რუსული с пониманием относится – ს პირდაპირი თარგმანია. მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს. ქართულისთვის

უფრო ბუნებრივია მსგავს კონტექსტში ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელის -ზმიზედის გამოყენება. უმჯობესია: **გულისხმიერად ეკიფება.**

ქართული ზმნისთვის ნიშანდობლივია უნებლიობის გამოხატვა. უკანასკნელ ხანს ძალიან გავრცელდა უხეში კალკი „**დავკარგე**“. ადამიანი განგებ კი არ კარგავს რამეს, რამედ ეკარგება უყურადღებობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, ამიტომაა, უფრო ბუნებრივი ზმნები: **დაეკარგა, დაჰკარგვია.** ანალოგიურია **დავაგვიანეც.** უნდა იყოს **დამაგვიანდა.** ამრიგად, უნებლიობის გამოხატვა ქართული ზმნის სპეციფიკა და იგი სხვა ენათა ნიშანდობლივი ფორმებით არ უნდა შევცვალოთ.

საკმაოდ გავრცელებულია გამოთქმა: „**შეცდომა დაუშვა**“ (Он допустил ошибку). მისი შესატყვისებია: **შეცდომა მოუვიდა ან შეცდომა გაეპარა.**

კალკურია ორი წლის უკან, უკანა წელი და ა. შ. წინა ვითარების გამოსახატავად ქართულში გამოიყენება სიტყვა **წინ და არა უკან,** როგორც ეს რუსულშია: **два года назад.** სწორია ორი წლის **წინ [შდრ. წინა წელი].**

სისრულეში მოიყვანა	შეასრულა, აღასრულა
წესრიგში მოიყვანა	მოაწესრიგა
შეცდომა დაუშვა	შეცდომა მოუვიდა// გაეპარა
შეცდომაში შევიდა	შეცდა
სასწავლებელში მოეწყო	სასწავლებელში ჩაირიცხა, შევიდა
ყურადღების გარეშე	უყურადღებოდ
სამუშაოდ გაანაწილეს	სამუშაოდ გააწესეს
ზიანი მიაყენა	დააზიანა
ხმარებაში შემოილეს	გამოიყენეს

სავარჯიშო № 1. მიუწერეთ კალკებს და შტამპებს ქართულისთვის ბუნებრივი შესატყვისები

ფილმის გახმოვანებაზე მუშაობდნენ	
კანონი ძალაში შევიდა	
ასპარეზობაში ხუთივე სპორტსმენი მონაწილეობდა	
ეს საკითხი ყველა სტუდენტამდე უნდა დავიყვანოთ	
დამნაშავე აყვანილია პატიმრობაში	
წელს ყველაზე მეტმა პირველკლასელმა გაიარა რეგისტრაცია	
ათი წელია ქორწინებაში იმყოფება	
ამ წელში ევროპაზე გავედით	
მას კორუფციაში ადანაშაულებენ	
დამნაშავე მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში	
ბაბუაჩემი პენსიაზე გავიდა	

**სავარჯიშო №2 მიუწერეთ კალკებს და შტამპებს ქართულისთვის ბუნებრივი შესატყვისები**

დახმარება აღმოუჩინა	
მოსახლეობაზე დაკისრებული ვალდებულება	
საქმე იმაშია, რომ	
დეპუტატი სიტყვაში გამოვიდა	
ლართან მიმართებაში დოლარი გაძვირდა	
თავი უნდა შეიკავონ თანამშრომლობაზე	
თავდებში ჩაუდგა	
მუქ ფერებში დახატა	
საუბარი მშვიდ ტონში წარიმართა	
პირდაპირ კავშირშია	
ზრუნვას არ იჩენს	

**სავარჯიშო №3. გაასწორეთ შეცდომები:**

1. აღმოჩნდა, რომ იგი სრულ წესრიგში კიდევ არ იყო (ვ. ბარათაშვ.);
2. წინ რამდენი რამე არის მოსალოდნელი (ვ. ბარათაშვ.);
3. კაცო, შეცდომაში არ შემიყვანო და უდანაშაულო ადამიანი არ დაისაჯოს (გარიყ.);

**4. წესრიგში მოიყვანეს სამუზეუმო ექსპონატები, არქივი (ვ. ბარათაშვ.);**

**5. მას უკან მხოლოდ ორჯერ ვიყავი წინწკილალელები (მიშვ.);**

**6. სამაგიეროდ, მე პოლიტიკური მოღვანე ვარ და მეტი შორსმჭვრეტელობა მაქვს (მიშვ.);**

**7. აღშფოთებაში მოჰყავს ქმრის უვიცობას (გარიყ.);**

**8. ხსოვნაში ისევ ისე დამრჩა მოელვარე შავი თვალებით (იქვე);**

**9. ექიმი საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ;**

**10. სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ (ილია).**

### VI.13. ატროფია

**ატროფია** სამედიცინო ტერმინია და ნიშნავს რომელიმე ორგანოს დასუსტებას, გადაგვარებას, გადატანით კი რისამე უნარის დაჩილუნებას, დაკარგვას. სტილისტიკაში **ატროფია** ნიშნავს სიტყვის გრძნობის დასუსტებას, მის არასწორ და უმართებულო გამოყენებას. ატროფიის ნიმუშებია: **ჩურჩულით გადასძახა, ცუდი ავტორიტეტი, უსიამოვნო სიურპრიზი, ავი ბედი, სირბილით სეირნობს...**

სიტყვა **საოცარი** განსაცვიფრებელს, საკვირველს ნიშნავს; **სასტიკი** ულმობელი, დაუნდობელი, შეუბრალებელია; **საშინელი** – შიშისმომგვრელი. სტილისტიკურად გაუმართლებელია: **საშინლად უნდა, საშინლად მოსწონს; საოცრად არ მოსწონს, საოცრად არ უხდება; სასტიკად არ მოსწონს და ა.შ. საშინლად უყვარს; საოცრად არ უხდება; სასტიკად არ მოსწონს.**

**არ არის სწორი:** აუტანლად მოსწონდა; აუტანლად მინდა მანდ ყოფნა; აუტანლად უნდოდა წასვლა...

**სწორია:** ძალიან მოსწონდა; ძლიერ მინდა მანდ ყოფნა; მეტად უნდოდა წასვლა..

**არ არის სწორი:** საოცრად არ უხდება; საოცრად აინტერესებდა; საოცრად გაუხარდა.

**სწორია:** სრულიად არ უხდებოდა; ძალიან აინტერესებდა; ძალიან გაუხარდა.

ატროფის მაგალითებია ასევე: სასტიკად ირღვევა; სასტიკად იცავენ; სასტიკი ბუჩქნარი..

**სწორია:** მეტისმეტად ირღვევა; მკაცრად იცავენ; ხშირი, გაუვალი ბუჩქნარი...

**წყალობა, შემწეობა, მეოხება** დადებითი სემანტიკის სიტყვებია. მათ ხშირად უმართებულოდ იყენებენ უარყოფითი სემანტიკის სიტყვებთან: ავადმყოფობის წყალობით; უდარდელობის წყალობით. თუ სათქმელისადმი ირონიული დამოკიდებულება არ იგულისხმება, შეცდომაა: უყურადღებობის წყალობით; დაუდევრობის წყალობით; უკონტროლობის წყალობით; უამინდობის წყალობით.

**უნდა იყოს:** უყურადღებობის გამო; დაუდევრობის გამო; უკონტროლობის გამო// შედეგად; უამინდობის გამო.

#### **სავარჯიშო №1. გაასწორეთ შეცდომები:**

1. ნინოს საშინლად მოუნდა საყვარელი ადამიანის ნახვა;
2. ერეკლემ ჩურჩულით გადასძახა მეგობარს;
3. საოცრად მომწონს ელეგანტური ჩაცმულობა;
4. ამის მეტი რაღა უნდა! კარგი ავტორიტეტი დაიმკვიდრა უცხო ქალაქში, მაღალ სტუმარად თვლიან იქ.
5. ეს ფილმი განწირულია წარმატებისთვის;
6. მისი დაუდევრობის წყალობით ყველაფერი წყალში ჩაიყარა;
7. აღმოჩნდა, რომ ამ ქალბატონმა საოცარი ხუმრობა იცოდა;
8. გამწარებული ქვრივი თავის ავ ბედს დასტიროდა;
9. რომელი უფრო ძნელია: კეთილი საჭმის ჩადენა თუ – ავისა?
10. ბარბარეს სასტიკად მოშივდა, ის საშინლად დაიღალა.

#### **სავარჯიშო №2. გაასწორეთ შეცდომები**

1. გონებაგაფანტულობის წყალობით ყველგან მოსცარვოდა ხელი;
2. იმ დროს თბილისში საშინელი გაჭირვება იყო;
3. დღემდე მოცვის დამზადება კუსტარულად ხორციელდება;

**4. მეფე ბოლომდე დარჩა ქრისტიანული ორთოდოქსალური მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგული;**

5. ნინ მრავალი ასეთი შეჯიბრება გველის;
6. სტუდენტები გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პრაქტიკას ბათუმის უნივერსიტეტში გაივლიან;
7. ანგელოზური საწყისი თავდაპირველად ყველა ადამიანშია ჩასაფრებული;
8. ისინი პასუხისმგებელნი არიან თავიანთი საქმიანობის შედეგებზე;
9. განათლების პოლიტიკა ორიენტირებულია სამართლიანობის, ეფექტურობისა და რეალურობის განხორციელების პირობებზე დაყრდნობით;
10. პროფესიის არჩევისას საჭიროა ცოდნისა და შესაძლებლობების შესაბამისობაში მოყვანა.

#### **სავარჯიშო №3. გაასწორეთ სტილისტიკური შეცდომები:**

1. ეს ფაქტი საუნივერსიტეტო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხის ფუნდამენტალური აღრევაა;
2. ჩვენმა აქტივისტებმა ჩამოაყალიბეს კლუბი „ოხუნჯების“ სახელწოდებით;
3. ესენი არიან საშინელი გლეხები (ლორთქ.);
4. ყველაფერი გაკეთდება საქონლის ხარისხის სრულყოფის მიმართულებით;
5. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ფლობის თვალსაზრისით საქართველო მართლაც მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ არამიზნობრივად ხდება მისი გამოყენება;
6. თურქულმა მხარემ თანხმობა გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერაზე;
7. ეკას პოლიტიკაში წასვლაზე ძმას საშინელი რეაქცია ჰქონდა;
8. უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს განახლებული ტექნოლოგიებით ხვდება;
9. უურნალ-გაზეთებში მისი ათულობით სამეცნიერო და პუბლიკოციური სტატია იბეჭდებოდა;
10. მაღლე ეს მოწყობილობა წარმოებაში ჩაეშვება.

## VI.14. პარაზიტი სიტყვები

**სიტყვა-პარაზიტები** ზეპირმეტყველების ნაკლია, მხოლოდ ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება. როცა მოსაუბრე ენის ლექსი-კურ ფონდში ვერ პოლობს საჭირო სიტყვას, სათქმელი უწყდება, ხარვეზის შესავსებად იმეორებს ხმოვნებს ანდა წარმოთქვამს აკვიატებულ სიტყვებს: **მაშასადამე, ესე იგი, გესმის, აა, ეე.** ასეთი სიტყვები აზრობრივად არ მიესადაგება გადმოსაცემ შინაარსს, მათ აზრობრივი კავშირი არ აქვთ სათქმელთან.

სიტყვა-პარაზიტების დაძლევა სიტყვათა მარაგის გამდიდრებითაა შესაძლებელი. ეს კი აუცილებელია მეტყველების კულტურის ასამაღლებლად.

### გაასწორეთ შეცდომები:

1. საქმეს ბოლომდე რომ დაამთავრებ, გადმომირეკე!
2. ამ კორპუსის ფუნქციური დანიშნულება იქნება გართობა და დასვენება;
3. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე დაყრდნობით ვგებულობთ, რომ წმინდა ნიშნავს შეურეველს, ხალასს, სუფთას, სპეტას, უმწიკვლოს, ითქმის ადამიანზე;
4. გახდომის მსურველთა შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ცნობიერებაში გახდომა ასოცირებულია შიმშილობასთან;
5. თ. ბუაჩიძემ ქართულ კულტურას შეუნარჩუნა ქართული ფილოსოფიისთვის დამახასიათებელი მაღალი ფილოსოფიური გემოვნება;
6. ვითხოვთ ეთერში სასაუბროდ ერთ საათ დროს;
7. დანდალოს ხიდი სოფელ დანდალოს ამშვენებს;
8. გომარდული ბათუმიდან ყველაზე უახლოესი ზამთრის კურორტი იქნება;
9. „შუშანიკის წამება“ დაწერილი იქნა შუშანიკის გარდაცვალებიდან ვარსკენის მოკვდინებამდე პერიოდში;
10. მას შემდეგ, რაც კოკაინი ევროპაში შეიტანეს, მის გავრცელებას წინ აღუდგა ეკლესია;
11. ნარკომანი პაციენტი მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს;

12. ადამიანის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ ყველა შემადგენელი კომპონენტი კავშირშია ერთმანეთთან;

13. ნარკოტიკების მომხმარებელთა სრული აღრიცხვის წარმოება შეუძლებელია;

14. ეკოლოგიური სამართალი ფართო კომპლექსური პრობლემაა;

15. აღმოჩნდა, რომ დედამიწის ბიოსფერო იმყოფება რადიაქტიური ნალექების გავლენის ქვეშ;

16. ამ პრობლემების გადაწყვეტის ეფექტურობა ბევრად განსაზღვრავს კაცობრიობის კაცობრიობის ხვალინდელი დღის ბედს;

17. გლობალური ცვლილებების შეუფერხებლობის შედეგად დედამიწამ შეიძლება არსებობა შეწყვიტოს;

18. კლიმატის ცვლილებებს ზოგჯერ ატმოსფერული ცვლილებებიც განაპირობებს;

19. გაზრდილი ტემპერატურისა და შემცირებული ნალექების პირობებში ნიადაგი გამოშრება, რაც გაართულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას;

20. ეპიდემიამ თავის პიყურ დონეს მიაღწია;

21. მცენარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ატმოსფერული ნახშირორჟანგის რაოდენობის შემცირების საქმეში;

22. მკვლევარმა თავის მონოგრაფიაში ბევრი საინტერესო საკითხის ანალიზი მოგვცა;

23. მრომისმოყვარეობა საზოგადოდ დამახასიათებელია აქაური გლეხისთვის;

24. ჩემმა კოლეგებმა თავი უნდა შეიკავონ ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობაზე;

25. აქაურ ვითარებას ავტორი მეტად მუქ ფერებში გვიხატავს;

26. ეს ორგანიზაცია ახლა მოსავლის აღდებას აწარმოებს;

27. ჩემს მეგობარს მხედველობა არ უვარგა და სათვალეს ატარებს;

28. მაინტერესებს, ჩემს მეზობელს რა კავშირი აქვს ამ საქმესთან?

29. ნინო და ნანა მასწავლებლებია, ხოლო დავითი და ლალი კი ექიმებია;

30. ყველაზე უკეთესი საჭრისი გამიტებავს თურმე;

31. ისინი პასუხისმგებელი არიან თავიანთი საქმიანობის შედეგებზე;

**32.** თავად რუსეთი ელექტროენერგიის იმპორტს ჩვენი ქვეყნიდან იღებს;

**33.** რომ გითხრათ, ფინანსურ პოლიციაში ჩემი თავია ამოვნუ-რე მეთქი, არ ვიქნები მართალი;

**34.** ნინი ქმრის გადაწყვეტილებას ყოველგვარი ყოყმანის გა-რეშე ემორჩილებოდა ხოლმე;

**35.** მან ვერ შეძლო ცოდნისა და პრაქტიკული შესაძლებლობების შესაბამისობაში მოყვანა;

**36.** სამუშაოების დასრულების შემდეგ მწყობრში შევა წყალსა-დენი სისტემა;

**37.** ხარჯვების ხარჯვასთან არავითარი შეხება არ მქონია;

**38.** ამ ნაშრომმა ბევრი კრიტიკა განიცადა;

**39.** არადა, რეგიონისთვის გარდაუვალი სამედიცინო-პროფი-ლაქტიკური ლონისძიებებია საჭირო ჯანდაცვის სისტემის მხრით;

**40.** სპორტსმენს გულის შეკუმშვის სიზშირე ნორმაში 50-55 უნდა ჰქონდეს;

**41.** გამონაყარი თითქმის მთელი სახის არეს მოიცავდა;

**42.** რეგიონისთვის გარდაუვალი სამედიცინო პროფილაქტი-კური ლონისძიებებია საჭირო;

**43.** თუ დაზარალებულმა არ იჩივლა, საქმის ალევრა არ ხდება;

**44.** ამ პროექტების დაფინანსება უნივერსიტეტის ბაზაზე ხდება ადმინისტრაციის მიერ;

**45.** მოსახლეობის პოზიცია ამ დელიკატური საკითხის ირ-გვლივ არაერთგვაროვანია;

**46.** პრეზიდენტი ბოდრუმს სასათბურე მეურნეობის გაცნობის მიზნით ეწვია;

**47.** ამის შემდეგ შავებში ჩაცმული დადის;

**48.** რომ დიდია შანსი მათი ინტერესები ერთ სქემაში ჩაჯდეს;

**49.** იმ დღიდან იგი ჩვენში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა;

**50.** სხვა პარტიებისთვის მიუღებელია მისი გადაყენების სა-კითხის დაყენება;

**51.** იგი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ინგლისში მიემ-გზავრება;

**52.** ის იმიტომ მოევლინა ადამიანებს, რომ თავისი ცხოვრების მაგალითზე ეჩვენებინა მიმტევებლური სიყვარული;

**53.** გასულ კვირას ვაჟა-ფშაველას გამზირზე მერსედესის მარ-კის ავტომობილმა შეტაკება მოახდინა ამავე მარკის ავტომო-ბილთან, პოლიციამ დევნა განახორციელა დამნაშავისადმი, მაგ-რამ იგი ამ წუთამდე მიმალვაშია;

**54.** რაც შეეხება გამომწვევ მიზეზებს, ეს იყო გაუგებრობების მთელი ჯერის შედეგი;

**55.** წყალტუბოს საავადმყოფოს მთავარი ექიმი ახდენდა ფე-მძიმე ქალების მშობიარობას და შემდგომში ჩვილ ბავშვთა გა-ყიდვას;

**56.** გოგონას თვალებში მშობლიური ნოსტალგია უბრნებინავდა;

**57.** ჯერ კიდევ ღიად რჩება ელექტროენერგიის ტარიფების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები;

**58.** ეს ჩვენს ამოცანებში არ შედის;

**59.** შეიძლება ეს პროცესები გამოვიდეს კონტროლიდან;

**60.** ფილიალის სააქციო კაპიტალი თითქმის მთლიანად მეთა-ური კომპანიის კუთვნილებაა;

**61.** ყოველი წლის დასაწყისში ინფორმაციას ვვებულობთ, თუ რამდენი სტუდენტი უნდა მივლინდეს უნივერსიტეტში;

**62.** განათლების პოლიტიკა ორიენტირებულია სამართლიან-ობის, ეფექტური და განხორციელების რეალურობის პრინ-ციპებზე დაყრდნობით;

**63.** ადამიანს დაბადებიდანვე ყოველთვის თან ახლავს სიკვდილი;

**64.** მე არასოდეს არ წავალ უურნალისტიკიდან;

**65.** ტრენაუორები და დიეტა ჩემი უანრი არაა;

**66.** ამ მაღაზიაში ყველაფერს იაფში იყიდი, სამი ცალი წინდა ლარში მოგივა;

**67.** აქამდე თქვენი იდეები საყოველთაო მხარდაჭერით არ სარგებლობდა;

**68.** ჩემს თავს ყოველთვის ხელოვნებაში ვხედავდი;

**69.** დიეტაზე დაჯდომა იმას შეუძლია, ვისაც მყარი ნებისყოფა აქვს;

**70.** მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პრობლემა ნომერ პირ-ველი საზრუნავია;

**71.** უურნალისტები საუბარში უამრავ შეცდომას უშვებენ, რო-გორც გრამატიკულს, ისე სტილურს;

**72.** ამ პროგრამის ფარგლებში არაერთი საინტერესო შეხვედრა შედგა;

**73.** ჩვენი ვიზიტი ამ კვირაში არ შედგა, მომავალი კვირისთვის გადაიდო;

**74.** მაღალმთიანი რაიონების ბევრ სოფლებში ხალხი მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდის;

**75.** დირექტორმა თავისი საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ამ სიახლის მიმართ;

**76.** საზოგადოებამ შეშფოთება გამოთქვა ამ საშინელი ინციდენტის გამო;

**77.** სასწრაფო სამსახურის მუშაკებმა დროზე გაუწიეს დახმარება დაზარალებულებს;

**78.** ახლა ამის გაკეთების საშუალება არ გვაქვს;

**79.** ახლა უკვე შემდგარი დედა და მასწავლებელი აღარაფრად თვლის იმას, რომ საქმისადმი ერთგულებას ეწირება თავისუფლება და ახალგაზრდობა;

**80.** ამ მატჩში ჩვენმა გუნდმა მარცხი განიცადა;

**81.** ჩვენს მეზობლად უდიდესი გიგანტური სასტუმრო შენდება;

**82.** პირველ რიგში უნდა მოხდეს მისი შეხვედრა საქართველოსთან;

**83.** ფაქტი სახეზეა, აქაური ადგილობრივი მკვიდრნი გაგებით ეკიდებიან კანონის მოთხოვნებს;

**84.** საქმე იმაშია, რომ ასეთი პირობები მესაერთოდ არ მანყობს;

**85.** უნივერსიტეტის პრორექტორი სიტყვაში გამოვიდა ენის სიწმინდის დაცვაზე;

**86.** წყალგაცვანილობა უკვე წესრიგში მოიყვანეს, ახლა საუბარი მიდის მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანებაზე;

**87.** ნიშანულს გამოყენება აქვს მედიცინაში და კოსმეტოლოგიაში;

**88.** ზაფხულის პერიოდში მამაპაპისეულ სახლში ვისვენებთ;

**89.** კონფერენციის ყოველი მონაწილე რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყო;

**90.** არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლი ამის შესახებ სარწმუნო ცნობებს ვერ მოგვცემს;

**91.** დამნაშავის მონათხრობს ეჭვის ქვეშ აყენებდნენ;

**92.** ამ არასასიამოვნო ინციდენტის დროს ორი დაცვის თანამ-

შრომელი დაიჯრა;

**93.** ხუთივე ჟიურის წევრმა მაღალი შეფასება მისცა ბათუმელ კონკურსანტს;

**94.** მოსწავლეების მიერ ყველაზე რთული დავალებები ამოხსნილ იქნა;

**95.** ეს დღე ძალიან არ მიყვარს;

**96.** საომარ სიტუაციას სწორი შეფასება მისცეს უცხოელმა ექსპერტებმა;

**97.** გამოსასვლელ დღეებში მშობლებთან მივემგზავრები ხოლმე;

**98.** მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პიროვნების პიროვნული თავისებურებანი;

**99.** რომ ადგება, მაშინვე ყავას დალევს ხოლმე;

**100.** ვიდრე მანქანა რემონტშია, მანამდე ვერსად ვერ წავალ;

**101.** ძალიან მშვიდი ქალია ელეონორა, ნერვები მუდამ წესრიგში აქვს;

**102.** რაც რომ მოგივიდა, შენ თვითონ ხარ ბრალში;

**103.** რომ დავბადებულვარ, ბაბუაჩემს თოფი სამჯერ გაუსროლია თურმე;

**104.** სიტყვის დალაგების სტილისტიკურ დანიშნულებასთან უშუალო კავშირშია ირიბი ან პირდაპირი წყობა;

**105.** ყველაფერს ისე დაწერდა ხოლმე, ნაბეჭდი გეგონებოდა;

**106.** ეს ქვაბი ახალია, ჯერ ხმარებაში არ მაქვს;

**107.** ორი კაბა შევიძინე, ერთი გამოსასვლელი, მეორე- ყოველ-დღიური;

**108.** ყოველდღიური რუტინა დამღლელი და მოსაბეზრებელია;

**109.** ამ დაავადების მკურნალობა ძირითადში მედიკამენტოზურია, იშვიათ შემთხვევებში - ქირურგიულიც;

**110.** სიამაყე ტუტუცია და მუდამ ზევით თავაღერილი დადის;

**111.** ცხიმების გადაჭარბებული რაოდენობით მიღება ქოლესტერინის დაგროვებას ახდენს;

**112.** ყოველივე ამან წამლეკავი ზეგავლენა იქონია ხალხის მეტყველებაზე;

**113.** ამ ამბავმა ყველა მოძრაობაში მოიყვანა, თვით ყველაზე უზარმაცესიც კი;

114. კონკურსანტმა მთავარი გრან პრი მიიღო;
115. ბანკი იძლევა 15 % მოგებას ლარში;
116. უსწორო თქმები, უცხოურ ყაიდაზე აგებული წინადადებები ამახინჯებს ენას;
117. ბოსტნეულს ბაზარზე ვყიდულობ, მხოლოდ მწვანილებს ვთესავ ბოსტანში;
118. ახლა გზაში ვარ, სახლში რომ მივალ, მოვნახავ და თუ ვნახე, გადმოგირეკავ;
119. ერთობ უდარდელი კაცია ზვიადი, არაფერზე ზრუნვას არ იჩენს;
120. ახლაა მიმდინარეობს ყველაფრის გადაყვანა ავტომატურ მართვაზე;
121. სტუდენტური ორგანიზაცია 50- ზე მეტ მოხალისეს ითვლის;
122. კეპიან ქუდს რომ ატარებს, სწორედ ისაა მისი ვაჟი;
123. დავალება მომცეს, გავიგო, სად იმალებიან პატარა ონავრები;
124. სიყვარულობა და სულისკვეთება ყველაზე უკეთესად ქართულ სუფრაზე ვამოიხატება;
125. მეორე დღეს გუდუია ცოტა შეგვიანებით, მაგრამ მაინც გავიდა სამუშაოდ (დად);
126. შემდეგში ხშირად იგონებდა ამ თავის პირველ ნაბიჯს (დად);
128. ჩვენებური მასწავლებელი ყველაზე უსაწყლესია ამქვეყნად;
129. ნელ-ნელა სხვადასხვაგვარ ქველმოქმედებასაც ეწეოდა და სტუდენტობის ხომ დიდი დამხმარე იყო (დად.);
130. კარგა ხმამაღლი ყაყანი გამოვიდა (დად.);
131. ასეთი მყარ სინტაქსურ ფორმულებს დღეს სტილისტურ შეცდომებად თვლიან;
132. ესეც ჩვევის ამბავია (მიშვ);
133. გაუნათლებელი ადამიანების ანგარიშზე ისინი კაპიკებად ყიდულობდნენ მიწებს და მერე მაღალ ფასებში ყიდდნენ (ვ. ბარათაშვ.);
134. საჭირო შეიქმნა რამდენიმე დანადგარის წარმოებაში ჩაშვება;
135. მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ გაყიდვაში ჯერ არცერთი ეკზემპლარი არაა;
136. იგი ემოციებით გამოწვეულ აღშფოთებას ვერ მაღავდა;
137. თუ ცხრათავიანმა დევმა მოგიტაცა, ნერვული სტრესი დაგემართება, მეტი არაფერი! (მიშვ.);
138. რაც უფრო ასაკში შევიდა, სულიერად უფრო დაბეჩავდა (კ. ლორთქ.);
139. ნგრევაშია ეს ჩიხი და ჩემს ძმიშვილს გადავუცვალე საბურთალოზე ერთოთახიანში (მიშვ.);
141. ისინი თავისუფალი არიან იმაში, განაგრძონ შემოქმედებითი საქმიანობა;
142. ამ საქმის კურსში უკვე უნდა იყოთ; ამაზე მე თქვენ ორიოდე წლის წინ გაუწყეთ;
143. ვახშმის უკან რად წაიცდენ? (ილია);
144. ერთ-ერთი საკითხი, რაც დაგვრჩა განსახილველი, არის შეფერხება წყალმომარაგების სიტემაში;
145. მადლობა მინდა მოგიხადოთ იმ ღვაწლისთვის, რაც თქვენ შეიტანეთ ჩვენი სასწავლებლის აღმავლობის საქმეში.
146. გასაოცარი ბედი სწვევია ამ წიგნს (გამს.2);
147. ლასლასით გარბოდნენ სივრცეში ცამდის ალანძული მთები (გამს.2);
148. მთელი ჩემი სიცოცხლე ცხენების მოვლის ამბავი მაინტერესებდა (გამს.2);
149. ყოველი ადამიანი ამ ქვეყანაზე წაწყდება საკუთარი ცხოვრების წყალობით (გამს.2);
150. შესთხოვა წყლის სულებს, მწედ ჰყოლოდა მის რძალს მშობიარობის, გარჯის, აპრეშუმის მიყვანის საქმეში (გამს.2);
151. მან გასაოცარი სინათლით დაამტკიცა თავისი სიმართლე;
152. ადგილობრივი მოსახლეობა, რასაკვირველია, სტუმართმოყვარეობას გაუწევს უცხო სტუმრებს;
153. დამნაშავეს სამუდამო პატიმრობა ერგო;
154. ნატოს პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში უცვლელია;
155. მთავარია მისი მისწრაფებები და შესაძლებლობები შესაბამისობაში მოდიოდეს;

156. ოდნავ მოგვიანებით მისი გამოსწორებაც მოხდა;
157. მათ სრული სიცხადით უჩვენეს ხალხს კომპეტენტურობა;
158. არსებული მდგომარეობა მათ დაჩქარებით უნდა შეისწავლონ;
159. იმ სოფელში ქვიანი რიყე იყო და სიარული გაგვირთულდა;
160. დახეულ კონკებში შემოსილს ეტყობოდა, ერთ დროს დარბასელი ქალი უნდა ყოფილიყო;
161. მაყარი ბედაური ცხენებით მოვიდა;
162. ამ ხელნაწერის პირველ დედანში რამდენიმე ფრაგმენტი წამლილია;
163. სინოპტიკოსთა წინასწარი პროგნოზით იანვრის ბოლომ-დე ცუდი ამინდია მოსალოდნელი;
164. ორსულმა ბუნებრივად წატურალური ტანსაცმელი უნდა ატაროს;
165. ბიძაჩემს ენამახვილი ენა აქვს;
166. ეს სუფთა სისხლისაა?- ვკითხე ჩემს გვერდით (მიშვ.);
167. ჩვენი სადგომის ფანჯრებიდან სჩანდა საკმაოდ უნმინდური ეზო (ბარნ.);
168. რატომ გიტყდები იცი? სხვა კაცი ჩანხარ, სუფთა და გემ-რიელი;
169. მაშინ მოვიხედავ, დედა-შვილის დუეტში მშფოთვარე ხმა რომ გაერევა (იქვე);
170. ის-ის იყო, მანქანაში უნდა ჩავმჯდარიყავი, რომ საოცრად ნაცნობმა მელოდიამ უკან მომახედა.

#### **სავარჯიშო № 1. წაიკითხეთ ტექსტი და იპოვეთ შეცდომები; აღნიშნეთ, რა ტიპისაა ისინი და გაასწორეთ**

- I. გამოთქმას გედის სიმღერა ასევე უკავშირებენ ეზობის სახელს. მას უკანა ფონად დაედო მტკიცება, თითქოს სიკვდილის უკან გედი მღეროდეს. გედის სიმღერა გვხდება ესქილე და ციცერონთანაც. სხვათა შორის, უამრავ ზოოლოგებს მიაჩნიათ, რომ სიკვდილის წინ გედი მართლაც გამოცემს რაღაც მუსიკალურ ხმებს.
- ადრეული შეუა საუკუნეების რაინდულ ლიტერატურაში ცნობილია რომანების ციკლი მეფე არტურზე და მრგვალი მაგიდის რაინდებზე. ამ ციკლის ერთ ერთ რომანში ჯადოქარი მერლინი

არტურის მამას დაუინებით ურჩევს ჩამოაყალიბოს მგვალი მაგიდის რაინდთა ორდერი. მისი წევრები მეფესთან წვეულების დროს მგვალ მაგიდას უნა შემოჯდომოდენ და ამრიგათ, აცილებული იქნებოდა უსიამოვნო დავა ან შური უფრო უკეთესი ადგილის გამო. მგვალი მაგიდა დიპლომატიური ეთიკეტიცაა, რაც საგანგებოთ უსმევს ხაზს მოთათბირეთა ერთნაირ თანაბარ უფლებებს. ფთიანი გამოთქმა მგვალი მაგიდა მიჩნეული იქნა აზრთა იმგვარი გაზიარების სიმბოლოთ, სადაც ყველას აქვს უფლება დაბკოლების გარეშე გამოსთქვას თავისი პირადი შეხედულება.

II. ბარამბო მრავალწლიანი მცენარეა ლიმნის დამახასიათებელი სურნელითა და დატოტვილი ფესურით. ხარობს ბუჩქნარებში, მეჩხერ ტყეებში, ბალახოვან და ქვიან ადგილებში, გზის პირას.

ნედლეულად ხდება ფოთლებისა და ლეროს კენწეროს გამოყენება. მის შემცველობაში შედის 0,3 პროცენტამდე ეთერ-ზეთი, ტანინი.

ხალხურ მედიცინაში ბარამბოს გამოყენება ხდება ისეთი დაავადებების დროს, როგორებიცაა: ნერვოზი, ნერვული გულისცემა, კლიმაქსი, დისმენორია, მელანხოლია, ბრონხული ასტმა, პირ ლებინება თრსულობის დროს. ავიცენა ბარამბოს იყენებდა თავის ტკივილის საწინააღმდეგოდ.

ბარამბო გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი, სპაზმოლიტური საშუალება. იგი არის მაღის გამაუმჯობესებელი, კუჭის წვენის სეკრეციის გამაძლიერებელი. ბარამბოს გამოყენების დროს ავადმყოფს ეხსნება ხუთვის შეგრძნება, სუსტდება, ან სულ ისპობა ტახიკარდიის მოვლენები და ტკივილები გულის არეში, კლებულობს გულის სიხშირე, დაბლა სწრეს სისხლის წნევას.

მას იყენებენ მუცლის არეში სიმძიმის შეგრძნების, პირის ლრუში ცუდი სუნისა და კბილის ტკივილის დროს, აგრეთვე ნევროზული მდგომარეობის დროსაც, რასაც თან ახლავს თავბრუს ხვევა.

ბარამბოს ნაყენის მისაღებად 2 სუფრის კოვზი ნედლეული მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 400 მლ მდუღარე წყალი, ზემოდან დაახურეთ თავსახური, გააჩერეთ, განურეთ. ერთი დღის დოზა მიიღეთ მთელი დღის მანძილზე. ნაყენი შენახულ უნდა იქნას ბწელ, გრილ ადგილას არა უმეტეს 2 დღისა.

საქართველოში დიდი მოწონებით სარგებლობს გერმანული პრეპარატი „ნოვო-პასიტი“, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბარამბი.

გარდა სამკურნალო თვისებებისა, ბარამბო განთქმულია, როგორც თაფლოვანი მცენარე. ბარამბოს ფოთლებს სასიამოვნო სურნელის გამო იყენებენ კულინარიასა და პარფიუმერიაში.

**III. ადგილობრივ** (ტერიტორიულ) დიალექტიკასა და „კლასობრივ“ დიალექტიკას ანუ ჟარგონებს შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივ დიალექტებს თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი აქვთ, ხოლო ჟარგონებს კი – არა. გრამატიკული წყობა ჟარგონებს საერთო–სახალხო ენისა აქვთ მთლიანად. კითხვა იმაშია, რა მიმართებაშია ერთი დიალექტის გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდი მეორისასთან? საერთო–სახალხო ენასთან ერთად დიალექტიზმებიც არსებობენ, მაგრამ მათ იმორჩილებს და მათზე ბატონობს საერთო–სახალხო ენა. იგი საერთო და გასაგებია ტომებისა და ხალხებისათვის. აქედან გამომდინარე, განსხვავება საერთო–სახალხო ენასა და დიალექტებს შორის არსებობს, მაგრამ ეს განსხვავება საერთონისა და გასაგების ფარგლებს არ შეძლება სცილდებოდეს, ნინააღმდეგ შემთხვევაში საერთო–სახალხო ენა გაგებინების საშუალებად გამოსადეგი აღარ იქნებოდა და დიალექტზე მოლაპარაკეთათვის.

**IV. ჯერ კიდევ ძალიან უძველეს დროში სოლომონის ტაძარის მთავარ შესასვლელთან მთლიანობაში იყო გამოსახული დღე და ღამე, ანგელოზი და დემონი, ქალი და მამა– კაცი.**

ქალი და მამაკაცის ერთობა, მისი მთლიანობაში წარმოსახვა ჰარმონიის თავისებური სიმბოლოა. ძალა ამ ერთობისა ცველაზე უდიდესია, სიმდიდრე აუნერელი, ხოლო ბრძნული არსი- ოჯახი, მისი სამება: დედა, მამა და შვილი, ადამიანის მოდგმის გამეორება ბუნებაში და დროში შენარჩუნება.

ბერძნული მითი გვამცნობს, რო ზევსმა სხვა ტომთა შორის შექმნა ანდროგინების ტომიც, რომლის ყოველი თითეული წევრი ერთ დროულად ქალიც იყო და კაციც, სულ მოკლე ხანში ეს ტო მი დაწინაურდა. იგი იმდენად გამორჩეული გახდა სილამაზითაც, ვაუკაციობითაც და გონებითაც, რომ ღმერთებიც კი შეშფოთდენ

ანდროგინებმა ჩვენც არ გვაჯობონ, აქიდან არ გაგვაძეონ და ჩვენი ადგილითოთონ არ დაიკაონო. სწორად ამიტომ, ღმერთებმა ზევსს შთაგონეს, რომ ანდროგინები მას ოლიმპოდან ჩამოგდებას უპირებდენ. გამძინვარებულმა ზევსმა ამ ტომის ყველა წევრი შუაზე გახლიჩა და მათი ნაწილები დედამიწის სხვა და სხვა მხარეებში მიმოფანტა, რათა ისინი არასდროს აღარ შეერთებულიყვნენ. იმ დროიდან ყოველი ნაწილი ექებს მის დაკარგულ ნახევარს, რათა კლავ შეუერთდეს მას და აღიდგინოს ერთიანი მთლიანობა. სწორად ეს სწრაფვა არის ლტოლვა სიყვარულისა.

აკი ყოველთვის უჭირდა ადამიანს ახსნა იმისა, თუ რატომ შეუყვარდა მაინც და მაინც ეს პირი და არა სხვა, ამდენ ადამიანში რატომ მაინც და- მაინც ერთისკენ აქვს ბუნებრივი მიზიდულობა. „ბიოლოგიური მაღნიტი“ მოქმედებას იწყებს მხოლოთ მაში, როცა ადამიანი ალლოთი ხდება, რომ სწორად ეს არის ის ერთადერთი, ვისთანაც მას შეუძლია ჰარმონიული მთლიანობის შედგენა. ეს ერთად ერთი წყვილადი რეფლექსია, რადგან მოქმედებისთვის საჭიროებს ორ არსებას – მდედრსა და მამრს, დედაკაცსა და მამა კაცს.

ადამიანთა შორის ურთიერთობა მარტო ოდენ ბუნებრივი ინსტიკტების დონეზე არ მყარდება. ინსტიქტი არის მხოლოდ მეხანიზმი, რომელიც წარმოქმნის შინაგან იმპულსს – სურვილს. ურთიერთობის პროცესში კი საბოლო სიტყვა ეკუთნის ადამიანის ფსიხიკას. ორი ადამიანი ერთმანეთს უახლოვდება სულიერადაც და ხორციელადაც. ყალიბდება ცხოვრების ახალი მოდელი, ზეობრივი ნორმები, განსაზღვრული ქცევები, ემოციური ფონი. როცა ადამიანი ქორწილდება, უნდა ფლობდეს ინფორმაციას ამ საკითხების ირგვლივ, რათა მალე შეეთვისოს მის პარტნიორს.

ფსიხოლოგიური ჰარმონიზაციის გზაზე ერთერთი სირთულეა ე. წ. „ნიღაბის“ პრობლემა. ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველთვის თამაშობს გარკვეულ როლს, რომელიც გარკვეული ნიღბის ტარებას მოითხოვს. ამ ნიღბის იქეთ ადამიანი არავის ახედებს. სატრფოს წინაშე მიჯნურის როლი დაქორწინებისთანავე სრულდება. მიჯნურის ნიღაბის ტარება ერთგვარად მოქანცველიცაა და ადამიანი მას იშორებს, რადგან დაისვენოს. იშორებს ისეთ წრეში, როგორიც იჯახია, რადგან ნიღბის ტარება სავალდებულოთ აღარ მიაჩნია.

V. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული გენიოსი ადამიანები ხშირად არაადეკვატურნი არიან. ისინი სხვაგვარად ალითევამენ ფერებს, ხმებს, გეომეტრიულ ფიგურებს და დროის დინებას. ამ მოვლენის პირველი აღმომჩენი იტალიელი სასამართლო ფსიქიატრი და კრიმინალისტი ჩარლზ ლომბროზოა. ამ საკითხთან მიმართებაში ის წერდა: „მე შევისწავლე მოგონებები მამა - ბახზე, შოპენზე, მენდელსონზე, ჩაიკოვსკიზე და დავრნმუნდი იმაში, რაზეც ადრე ვეჭვობდი – ნიჭს ფსიქიკური ჯანმრთელობა ეწირება. გამოჩენილი პირის ტვინი უიშვიათესი უნიკალურობაა. საქმე იმაშია, რომ გამოჩენილი გენიოსები წარამარა სხვა რეალობებში გადადიან, იქიდან ისრუტავენ სრულყოფილებას, რომელსაც საჩუქრად ჩვენ გვჩუქრიან. უნიჭიერეს გენიოსებთან ურთიერთობა ძალიან უმარტივესია, მაგრამ როდესაც მათ შემოქმედებითი წვა ემართებათ – ნურავინ ნუ მიეკარება. ოჯახის წევრებთან მიმართებაშიც კი გაუცხოება ეწყებათ, კონფლიქტურნი და ულმერთონი ხდებიან. ისინი შემოქმედებითი აღმაფრენისათვის თავიანთ საკუთარ თავსაც კი შესწირავენ.

### ცოდნის შესამომავალი კითხვები

1. შეადგინეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ბევრი, მრავალი, უამრავი;
2. როდის ეკარგება ექსპრესემას ძალა?
3. როდისაა სიტყვა **პრობლემის** გამოყენება კანონზომიერი და როდის შეცდომა?
4. რა შედეგი მოჰყვება სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებას?
5. რა არის სიტყვათა პლეონასტურად გამოყენების მიზეზი?
6. რომელ სტილშია შტამპების გამოყენება ნიშანდობლივი?
7. როდისაა კალკირება დასაშვები?
8. როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ტავტოლოგია?
9. რატომაა კალკები დავკარგე და დავაგვიანე?
10. როდის არ მიიჩნევა შეცდომად სიზარმაცის წყალობით ტიპის ფორმები?

**დასამუშავებელი ლიტერატურა:** № 7, 14, 18, 23, 47, 48, 51, 58, 65, 67, 73, 75, 121, 148.

### გამოყენებული ლიტერატურა და ცყაროვები

1. აბრამოვიჩი 1970: Абрамович Г. Л., Введение в литературоведение. М.;
2. არაბული 2005: ქართული მეტყველების კულტურა. თბ.;
3. არისტოტელე 1981: არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთოთ თამარ კუკავამ; რედაქტორი - აკაკი ურუშაძე, თბ.;
4. არისტოტელე 1979: არისტოტელე, პოეტიკა, პროფ. ს. დანელიას თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები II გამოცემა. თბ.;
5. არნოლდი 1973: Арнольд И. В., Стилистика современного английского языка. Л.;
6. აფრიდონიძე 1988: აფრიდონიძე შ., აბსოლუტური სინონიმები. ქსკს VIII. თბ;
7. აფრიდონიძე 2011: აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ.;
8. აფრიდონიძე 1979: აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში თანამედროვე ქართულში. ქსკს II თბ.;
9. აფრიდონიძე 1986: აფრიდონიძე შ., სიტყვათგანლაგება ას ალ ქართულში. თბ.;
10. ახლედიანი 2009: ახლედიანი დ., „ერთი ტიპის დანართის მართლწერისათვის ილიას პუბლიცისტურ წერილებში“, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, I საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათ.,
11. ახმანოვა 1966: Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов; М.;
12. ბაბუნაშვილი 1958: ბაბუნაშვილი ე., სინონიმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თსუ შრ. ტ. 71, თბ;
13. ბალი 1961: Балли III., Французская стилистика, М.;
14. ბარამიძე 2010: ბარამიძე მ., თანამედროვე ქართული პრესის ენა და სალიტერატურო ქართული, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთ.;
15. ბარბაქაძე 2009: ბარბაქაძე ც.; ენის ფასცინაციური(მაგი-

ური) ფუნქცია და ნისლის სემიოტიკა; საქართველოს სემიოტიკის საზოგადოება, სემიოტიკა, 2009-5;

16. ბარბაქაძე 2003: ბარბაქაძე ც.; რიტორიკის, პრაგმატიკისა და სტილისტიკის ურთიერთმიმართულისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ.;

17. ბარლასი 1978: Барлас Л. Г., Русский язык. Стилистика. М.;

18. ბასილაძი 1991: ბასილაძი ნ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ.;

19. ბელინსკი 1948: Белинский Б., Полн. собр., соч. III. М.;

20. ბუდაგოვი 2001: Будагов Р. А., К вопросу о языковых стилях.

Культура русской речи, М.;

21. ბუდაგოვი 1958: Будагов Р. А., Введение в науку о языке. М.;

22. ბრანდესი 1971: Брандес М. П., Стилистический анализ. М.;

23. ბრეგაძე 2004: ბრეგაძე ლ., ენა-ულმობელი მსაჯული. გელათის მეცნიერებათა აკადემიის უურნალი № 11. ნოემბერი 2004. თბ.;

24. ბუალო 1957: Буало Н., Поэтическое искусство, М.;

25. ბულახოვსკი 1953: Булаховский Л. А., Введение в языкознание, Часть II. М.;

26. გალპერინი 1958: Гальперин И. Р., Очерки по стилистике английского языка, М.;

27. გაფრინდაშვილი... 2005: გაფრინდაშვილი ნ., თვალთვაძე დ., რიტორიკის შესავალი, თბ.;

28. გაფრინდაშვილი... 2008: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი. თბ.,

29. გელენიძე 1979: გელენიძე ლ., დასამზადებელი თუ დამამზადებელი მანქანა? ქსკს II თბ.;

30. გელდიაშვილი 2011: გელდიაშვილი ნ., კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების ენისა და სტილის საკითხები, უურნალი ენა და კულტურა № 5, ქუთ.;

31. გვენცაძე 1974: გვენცაძე ალ., ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბ.;

32. გვენცაძე 1971: გვენცაძე ალ., სტილისტიკის საფუძვლები, თბ.;

33. გვოზდევი 1955: Гвоздев А. Н., Очерки по стилистике русского языка М.;

34. გოგუაძე 1960: გოგუაძე ნ., „ნაცვალსახელი „თავისა“ ქართულში, სმამ II თბ.;

35. გოჩიტაშვილი... 2009: გოჩიტაშვილი ქ., შაბაშვილი გ., შარაშენიძე ნ., აკადემიური წერა, თბ.;

36. დერიაგინი 1978: Дерягин В. Я., Беседы о русской стилистике М.;

37. ენისა და სტილის ანტიკური თეორიები 1936 - Античные теории языка и стиля, М.;

38. ელსტერი 1913: Elster. E., Prinzipien der Literaturwissenschaft (Leipzig);

39. ეფიმოვი 1969: Ефимов А. И., Стилистика русского языка. М.;

40. ვასილიევა 1976: Васильева А., Н., Курс лекции по стилистике русского языка М.;

41. ვინოგრადოვი 1963: Виноградов В. В., Стилистика. Теория поэтической речи, Поэтика М.;

42. ვინოგრადოვი 1955: Виноградов В. В., Итоги обсуждения вопросов стилистики. Журн. Вопросы языкознания. М.;

43. ვინოგრადოვი 1981: Виноградов В. В. Проблемы русской стилистики. М.;

44. ვინოკური 1959: Винокур Г. О., О. задачах истории языка. Избранные работы по русскому языку. М.;

45. ზანდუკელი 1960: ზანდუკელი მ., ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ.;

46. ზურაბიშვილი 1981: ზურაბიშვილი თ. შემასმენლის ერთი სახეობის გამოყენებისათვის თანამედროვე ქართულში. ქსკს IV. თბ.;

47. ზურაბიშვილი 1984: ზურაბიშვილი თ. სიტყვა და შესიტყვება. ქსკს VI. თბ.;

48. ზურაბიშვილი... 1980: ზურაბიშვილი თ., კალაძე ც., მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული პრესის ენაში ქსკს III. თბ.;

49. თითმერია 1979: თითმერია ჯ., დრო, ფიქრი, სიტყვა. თბ.;

- 50.** топურია 1960: როული ქეწყობილი წინადადების მარტივი წინადადებით შენაცვლებისთვის ქართულში, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებ. მე- 10- 11; თბ.;

**51.** топურია 1972: თოფურია ვ., წმინდა და სუფთა ქსკს I. თბ.;

**52.** თურქია 2009: თურქია თ., სინონიმები თუ დამოუკიდებელი ლექსები? საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბე- ლობა“ 2009 წლის ოქტომბერ- ნოემბერი (მასალები);

**53.** იაკობსონი 1975: იაკობსონი რ., ლინგვისტიკა და პოეтика, მ.;

**54.** ინჯია 2004: ინჯია თ., ქვემდებარე-შემასმენლის ინვერსია, ფიქსირებული ფორმის დარღვევის საშუალება გრ. რობაქიძის შემოქმედებაში. საენათმეცნიერო ძიებანი XVI. თბ.;

**55.** ინჯია 2004: 1. ინჯია თ., სინტაქსური ელიპსისის ერთი სახე გრ. რობაქიძის შემოქმედებაში, საენათმეცნიერო ძიებანი XVI. თბ.;

**56.** იმნაიშვილი 1987: კიდევ ერთხელ ვნებითი გვარის ზმნების თავისებურებათა შესახებ ქართულში. აკაკი შანიძე- 100. თბ.;

**57.** იმნაიშვილი 1967: მჭადისა და მწვადის ეტიმოლოგიისათ- ვის. „ორიონი“ - ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძ- ღვილი საიუბილეო კრებული. თბ.;

**58.** კავიტაძე 1986: კავიტაძე კ., -ად სუფიქსიან სახელთა ერთი ჯგუფის ისტორიისათვის ქართულში, იკე XXV. თბ.;

**59.** კვარაცხელია 1990: კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნ- ქციური სტილისტიკა თბ.;

**60.** კვარაცხელია 1987: კვარაცხელია გ., ფუნქციური სტილის ზოგადი დახასიათება, იკე XXVI თბ.;

**61.** კვაჭაძე 1950: კვაჭაძე ლ., რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, თბ.;

**62.** კვაჭაძე 1988: კვაჭაძე ლ., ქართული ენის სინტაქსი, თბ.;

**63.** კვაჭანტირაძე 1981: კვაჭანტირაძე თ., სტილი და მწერალი“ ცდა ერთი სტილისტიკური ხერხის ანალიზისა. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1981 № 3;

**64.** კიკნაძე 1957: კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხე- ბი თბ.;

**65.** კიკონიშვილი... 2010: კიკონიშვილი მ., აბალაკი, მ., კონ- ცეპტ სიკვდილის სინონიმურ მნიშვნელობათა ლინგვოკულტუ- როლოგიური ასპექტები. | საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსი- კოგრაფიაში. მასალები. ბათ.;

**66.** კობალაძე 2003: კობალაძე მ., ბრუნვის ნიშნების სადერი- ვაციო დანიშნულებისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი XIV. თბ.;

**67.** კობახიძე 1989: კობახიძე ალ., ზედაპირული, ქსკს IX. თბ.;

**68.** კოუევნიკოვა 1979: კოუევნიკოვა ნ. ა., ლინგვისტიკა და პოეтика, მ.;

**69.** კოუინა 1977: კოუინა მ. ნ., სტილისტიკა რუსული ენის. მ.;

**70.** კუხალაშვილი... 2010: კუხალაშვილი მ., ლომთაძე თ., მიქა- ძე მ., რუსაძე ი., ქაცარავა მ., ფხავაძე ნ., თანამედროვე ქართული ენა (პრატიკული სტილისტიკა), ქსკ.;

**71.** ლევინი 2001: ლევინ ბ. დ. , ი ნეკоторых вопросов стилисти- ки. Культура русской речи, М.;

**72.** ლეუჟავა 1980: ლეუჟავა ლ., სტილისტიკური შეცდომები სიტყვათგანლაგებისას ქართული პრესის ენაში. ქსკს წიგნი III თბ.;

**73.** ლეუჟავა 1980: ლეუჟავა ლ., რთულ წინადადებაში ზმნისართ- კავშირთა მართებულად გამოყენების საკითხები. ქსკს V. თბ.;

**74.** ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, მეოთხე შევსებუ- ლი გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, 1995.

**75.** ლიხაჩევ 2001: ლიხაჩევ დ. ს. Поэтика древнерусской литературы; Культура русской речи, М.;

**76.** ლომთათიძე 1988: ლომთათიძე ქ., კალკებთან დაკავშირე- ბული ზოგი საკითხი ქართულში ქსკს VIII თბ.;

**77.** მამარდაშვილი 2003: მამარდაშვილი თ., სასუბიექტო მიმ- ღეობის პარალელურ მ-ელ // მ-ელ და მ-// მ-ელ აფიქსიან ფორ- მათა შესახებ. საენათმეცნიერო ძიებანი XIV. თბ.;

**78.** მარტიროსოვი 1964: მარტიროსოვი ა., ნაცვალსახელი ქარ- თველურ ენებში, თბ.;

**79.** მაჭავარიანი 1968: მაჭავარიანი გ., სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი, უურნალი „ცისკარი“ 1968 № 12. თბ.;

**80.** Мეშჩერяков 2003: Мещеряков В. П., Козлов А. С., Кубарева Н. П., Сербул М. Н., Основы Литературоведения. Под общей редакцией В. П. Мещерякова. Учебник для вузов. М.;

**81.** Мікельадзе... 2005: Мікельадзе ნ., ფალავა მ., ქართული ენის პრაქტიკული კურსი და სტილისტიკის საკითხები. ბათ.;

**82.** Мікельадзе 2009: Мікельадзе ნ., ქართული ენის სტილისტიკა, ბათ.;

**83.** Міжнародний 2003: Міжнародний ი., რუსიციზმები ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. საენათმეცნიერო ძიებანი XIV. თბ.;

**84.** Міхайлова 1968: Михайлова М. М.; Стилистика русской речи. М.;

**85.** Морено... 1960: Морено М. К., Тетеревникова Н. Н., Стилистика современного французского языка М.;

**86.** Мурата 1957: Мурат В. П., Об основных проблемах стилистики. М.;

**87.** Надаржинский 1999: Надаржинский М., Саатчурис Маргвел-Саеборда Амуринский Президентский, тб.;

**88.** Наташев 1962: Наташев Н., Шефальдерская библиотека Мимджеана Ташвиши таанаамерикански ქართულში, იკე, XIII. თბ.;

**89.** Омидж 2009: Омидж С., Ад/დ მანარმოებლის სიტყვათწარმოქმნელი ფუნქციის გააქტიურება თანამედროვე მასმედიის ენაში, იკე XXVII თბ.;

**90.** Осадж 1956: Мимджеана Ташвиши ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), тб.;

**91.** პაპიძე 1981: პაპიძე, А., II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქსკს IV. თბ.;

**92.** პაპიძე 1989: პაპიძე ა., ზმნურ ფორმათა დროულ-კილოური მნიშვნელობისათვის ზოგიერთი ტიპის შესიტყვებებში, ქსკს IX. თბ.;

**93.** პეტერსენი 1939: Petersen J., Die Wissenschaft Von der Dichtung. system und methodenlehre der literaturwissenschaft, Том I. Berl. 1939;

**94.** პოპიაშვილი 2009: პოპიაშვილი ნ., სინონიმები პოეტური მეტყველების დისკურსში (ტბელობა, საერთაშორისო კონფე-

რენციის მასალები 2009. ოქტომბერ-ნოემბერი);

**95.** ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსი-კონი, I- II 2011 თბ.;

**96.** რამიშვილი 1966: რამიშვილი ვ., სტილისტიკის სწავლება და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, თბ.;

**97.** როზენტალი... 1976: Розентал Д. Э., Теленков М. . Практическая стилистика русского языка. М.;

**98.** რუსული მეტყველების კულტურა. Культтура русской речи, Учебник для вузов 2001. М.;

**99.** სანიკიძე 1998: სანიკიძე თ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ.;

**100.** სანიკიძე 2010: სანიკიძე ი., სიტყვის ესთეტიკური და ემოციურ-ექსპრესიული ფუნქციებისა თვის ქართულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, I. ქუთ.;

**101.** სახოკია 1979: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი, თბ.;

**102.** სალინაძე 2010: სალინაძე რ., ენობრივი ეტიკეტი და ქართული სინამდვილე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, I. ქუთ.;

**103.** სერგია 1989: სერგია ვ., ტექსტის ლინგვისტიკა, თბ.;

**104.** სიგუა 1989: სიგუა ს. კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურა. თბ.;

**105.** სულიმენკო 1966: Сулименко Н. Е. Стилистические ошибки и пути их устранения Л.;

**106.** სულხანიშვილი 1973: სულხანიშვილი ლ., ვაჟა-ფშაველას პოეტური ლექსიკის საკითხები; ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, მე- 4, თბ.;

**107.** სუხიტაშვილი 1988: სუხიტაშვილი ნ., იდიომების განმარტება მიხეილ ჯავახიშვილი რომანებში, თბ.;

**108.** ტაბიძე 2010: ტაბიძე მ., ქართული ენის ოფიციალური სტილის ჩამოყალიბების ისტორიიდან, ლინგვისტური ქართველოლოგისა და აფხაზოლოგის პრობლემები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტი, აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი, თბ.;

- 109.** Гимматеево... 1963: Тимофеев А.И., Венгеров Н., Перифраза и перифраз, М.;
- 110.** Чуябашкина 2003: Чуябашкина Да., Задачи по лингвистике и грамматике для студентов филологического факультета. Казань: Издательство КФУ, 2003. – 128 с.
- 111.** Улманн Ст. Semantics An instruction to the Science of Meaning, Oxf.;
- 112.** Чомский 1974: Чомский Д., Язык и грамматика, т. 1. М.: Наука, 1974. – 320 с.
- 113.** Чомский 1979: Чомский Д., Ребенок и его язык. М.: Наука, 1979. – 256 с.
- 114.** Яакобсон Р. Язык и его значение. М.: Наука, 2011. – 256 с.
- 115.** Яакобсон Р. Язык и его значение. М.: Наука, 1979. – 256 с.
- 116.** Якобсон Р. Язык и его значение. М.: Наука, 1980. – 256 с.
- 117.** Яакобсон Р. Язык и его значение. М.: Наука, 1981. – 256 с.
- 118.** Якобсон Р. Язык и его значение. М.: Наука, 1983. – 256 с.
- 119.** Чомский 1980: Чомский Д., Учебник по языку. М.: Наука, 1980. – 256 с.
- 120.** Чомский 1981: Чомский Д., Язык и его значение. М.: Наука, 1981. – 256 с.
- 121.** Чомский 1980: Чомский Д., Язык и его значение. М.: Наука, 1980. – 256 с.
- 122.** Чомский 1972: Чомский Д., Язык и его значение. М.: Наука, 1972. – 256 с.
- 123.** Шабашвили... 2008: Шабашвили Г., Шарашенидзе Т.С., Проблема взаимоотношения языка и речи, Тб.;
- 124.** Шадрин Н.Л., Перевод фразеологических единиц и сопоставительная стилистика. М.;
- 125.** Шадрин Н.Л., Перевод фразеологических единиц и сопоставительная стилистика. М.;
- 126.** Шамелашвили 1975: Шамелашвили Р., Ентаев Г.А., Грузинско-русский словарь. Тб.;
- 127.** Шамелашвили 1988: Шамелашвили Р., Танаев Г.А., Грузинско-русский словарь. Тб.;
- 128.** Шанисидзе 1953: Шанисидзе А., Язык и грамматика. Тб.;
- 129.** Шанисидзе 1980: Шанисидзе А., Язык и грамматика. Тб.;
- 130.** Шанисидзе 1990: Шанисидзе А., Синтаксис грузинского языка. Тб.;
- 131.** Шарашенидзе Т.С., Проблема взаимоотношения языка и речи, Тб.;
- 132.** Шеллинг Фридрих Вильгельм Йозеф фон., Философия искусства. М.;
- 133.** Шерер 1988: Sherer W. Scheerer Poetik (Berlin);
- 134.** Щепилова Л.В., Введение в литературоведение. Москва.;
- 135.** Широкова 1936: Широкова А.Н., Сакенская фольклорная литература. Тб.;
- 136.** Широкова 1952: Широкова А.Н., Ентаев Г.А., Грузинско-русский словарь. Тб.;
- 137.** Широкова 1939: Широкова А.Н., Академический словарь грузинского языка. Тб.;
- 138.** Шишомидзе 2004: Шишомидзе С., Грузинский язык. Тб.;
- 139.** Чечебекадзе 2006: Чечебекадзе Г., Модели языка в грузинской филологии. Тб.;
- 140.** Чечебекадзе ... 2011: Чечебекадзе Г., Грузинский язык в контексте грузинской культуры. Тб.;
- 141.** Чечебекадзе ... 2010: Грузинский язык в контексте грузинской культуры. Тб.;
- 142.** Чечебекадзе 2009: Чечебекадзе Г., Грузинский язык в контексте грузинской культуры. Тб.;

მები სამხრულ მეტყველებაში. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები XIII. ბათ.;

**143.** ცეცხლაძე... 2011: ცეცხლაძე ნ., კიკვაძე მ., ფარტენაძე ნ., სიკვდილის სემანტიკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში „კულტურათშორისი დიალოგები“. შრომები. თელავი;

**144.** ცეცხლაძე 2009: ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიური სინონიმები სამხრულ მეტყველებაში. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები XIII. ბათ.;

**145.** ცეცხლაძე... 2011: ცეცხლაძე ნ., კიკვაძე მ., ფარტენაძე ნ., სიკვდილის სემანტიკის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში. I საერთასორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათშორისი დიალოგები“ შრომები. თელ.;

**146.** ცინცაძე... 2009: ცინცაძე მ., ბარამიძე მ., - ად სუფიქსი-ან საწყისთა საკითხი თანამედროვე ქართულში, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, I საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათ.;

**147.** ცინცაძე ... 2012: ცინცაძე მ., ბარამიძე მ., სიტყვათა მყარი შეხამებანი ქართული პრესის ენაში. II საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში. ბათ.;

**148.** ცქიტიშვილი 1980: ცქიტიშვილი ნ., უზუსტობანი წინადაღებათა აგების თვალსაზრისით თანამედროვე ქართული პრესის ენაში ქსკს III. თბ.;

**149.** ცქიტიშვილი 1981: ცქიტიშვილი ნ., განკერძოებული განსაზღვრების ერთი სტილისტიკური ფუნქციისათვის, ქსკს IV. თბ.

**150.** ძიძიგური 1961: ძიძიგური შ., ცნება სინონიმური პარალელიზმისა, სმამ, მე-2, თბ.;

**151.** ძიძიგური 1960: ძიძიგური შ., საენათმეცნიერო საუბრები, თბ.;

**152.** ძიძიგური 1965: ძიძიგური შ., ენა და ლიტერატურა, თბ.;

**153.** ძიძიგური 1971: ძიძიგური შ., ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა. თბ.;

**154.** ჭაბაშვილი 1986: ჭაბაშვილი მ., კვლავ ზოგი ენობრივი შეუსაბამობის შესახებ პრესაში, რადიო- და ტელეგადაცემებში. ქსკს VI. თბ.;

**155.** ჭილაია ... 1984: ჭილაია ა., ჭილაია რ., ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები. თბ.,

**156.** ჭუმბურიძე 1956: ჭუმბურიძე ზ., ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ.;

**157.** ჭუმბურიძე 1962: ჭუმბურიძე ზ., სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ.;

**158.** ხიდაშელი 1988: ხიდაშელი შ., ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან თბ.;

**159.** ჯორბენაძე 1985: ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ.;

**160.** ჯორბენაძე 1988: ჯორბენაძე ბ., თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში, იკე XXVII თბ.;

**161.** ჯორბენაძე 1987: ჯორბენაძე ბ., ბალავარი მწერლობისა, თბ.;

**162.** ჯორჯანელი 1974: ჯორჯანელი კ., სინონიმთა საკითხი-სათვის, თსუ შრ. 8-9. თბ.;

**163.** ჰეგელი 1973: ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ, ესთეტიკა, ტ. I თბ.

[www.oxfordscholarship.com](http://www.oxfordscholarship.com)

<http://www.nplg.gov.ge>

[www.spekali.tsu.ge](http://www.spekali.tsu.ge)

<http://lib.ge/book>

<http://menaki.wordpress.com>

<http://www.lingua.ge/>

[www.lingua.ge/normalizacia](http://www.lingua.ge/normalizacia)

[geowomen.wordpress.com](http://geowomen.wordpress.com)

## შემოკლებათა განეართიანება

1. აკაკი: აკაკი წერეთელი, ლირიკა, თბ. 1990;
2. აკაკი 2: „აკაკის კრებული“. განც. III ტფ. 1897.;
3. 6. ბარათაშვ.: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, „ბედი ქართლისა“, ავტოგრაფები, თბ. 1968;
4. ვ. ბარათაშვ.: ვახტანგ ბარათაშვილი, „ზღვიდან დანახული მსოფლიო“. თბ. 1972;
5. ბარნ. ვასილ: ბარნოვი, თხზულებანი. ტ. I. თბ. 1961 ;
6. გამს.: კონსტანტინე გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VIII. თბ. 1968;
7. გამს.2: კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“. თბ. 1990;
8. გარიყ.: მარიამ გარიყული, „საიდუმლო“. თბ. 1963;
9. გორგ.: ზურაბ გორგილაძე, ლექსების კრებული, ბათ. 1991;
10. დად.: შალვა დადიანი, „გვირგვილიანების ოჯახი“ თბ. 1960;
11. დოჩ.: გურამ დოჩანაშვილი, „იქამდე“, თბ. 1991;
12. ვაჟა.: ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა კრებული ათ ტომად, თბ.1964;
13. ვტ.: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. საიუბილეო გამოცემა 1966 წ;
14. ილია.: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული ათ ტომად, პ. ინგოროვას რედაქტორობით; ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები 5 ტომად, ტ.V. 1955; პუბლიცისტური წერილები V. თბ. 1991;
15. იოს. ოტია: იოსელიანი, რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტ. II. თბ. 1991;
16. კოტეტ.: ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორული რვეულები, კრებული I. o. ბაიაშვილი. თბ. 1991;
17. ლორთქ.: კონსტანტინე ლორთქიფანიძე თხზულებანი 4 ტომად, ტ. II ;
18. მაჭ.: მაჭახელა. „შაპინი“, Macacheli net, dejimler;
19. მიშვ.: რევაზ მიშველაძე, ელდა. ნოველები, თბ. 1987;
20. ტერ.: ტერენტი გრანელი, ლექსები ორ ტომად, ტ. I. თბ. 1991;
21. უმიკ.: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, მე-2, თბ. 1864;

22. ხევს.: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1-ლი, ხევსუ-რული, ტფ.1931;
23. შეთ.: გ. შეთეკაური, საყოფაცხოვრებო ლირიკის მხატვრული ენის საკითხები, ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ. 1968;
24. ჩარკვ.: ჯანსულ ჩარკვიანი, ტომი I. ლექსები, პოემები, თბ. 1991;
25. ჩვენებ.: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული. ბათ. 1993;
26. ქებ.: ბელა ქებურია, მოდით გაღიმებულს მომისწარით, ბათ., 2005;
27. ხალხ.: სიბრძნე ხალხური სიბრძნე, ტ. VI. თბ.1965;
28. ჯავახ.: მიხეილ ჯავახიშვილი, მოთხრობები, თბ. 1985.

## SUMMARY

Stylistics is very important philological discipline, the branch of Linguistics, which has not lost its significance so far. It becomes more necessary in the course of time; the art of expressing one's ideas in better way is becoming more important, as stylistic mistakes can be met in the speech of people of any age and profession. Incorrectness of journalists' speech is especially vivid and regretful. We say "regretful" as special attention was paid to stylistics from antique period, but today it has become something secondary. This is the pathos of the present book which will be useful for everybody who is sure that knowledge of stylistics is very important in order to increase standard of speech; for school-leavers, students and teachers.

"Stylistics" is a multifunctional book. The questions of General Stylistics are discussed in Chapter I: short history of Stylistics, the fact that Stylistics was established as a branch of Linguistics in the second half of XX century, but there were discussions of styles even in B.C. Style was the most important means for influence and persuasion in antique period. All public problems were solved at public meetings in ancient Greece and Rome, where the orators had leading role. The solution of the problem depended on how convincing his speech was. Properness was even more important than the contents. In the Middle Ages Rhetoric continued antique traditions. It was influenced by literature in XVIII century and Poetics was influenced by antique Rhetoric. It was almost impossible to master poetry, therefore only oral speech was the subject of Rhetoric.

In the Middle Ages and in the period after it the samples of speech art were generally the subject of Stylistics. Therefore, it was considered to be the discipline studying the language of fiction. "Language of Poetry", special power of speech have gradually become the subject of research of Poetics.

Synonymy as source of stylistics, its relation to other disciplines is discussed in the same chapter. The essence of style is defined, its original and contemporary meanings, the attempt to study the nature of language style; definition of language and stylistic norms, stylistic minimum and maximum are also studied here.

Chapter II is dedicated to necessity of functional style differentiation

and such question as mixing of style boundaries; mixing of colloquial and formal styles, not keeping scientific and colloquial style boundaries is very acute problem and points to the low literacy level. Lexical, morphological, syntactic characteristics of styles are given here, and also stylistic features and problems connected to each of them. It is necessary to avoid the last ones.

Chapter III is dedicated to functions of lexical means (synonymy, antonymy, dialectisms, archaisms, etc.) and their stylistic function in the Georgian language.

The questions of grammar Stylistics are given in Chapter IV: application of parallel morphological and syntactic means for the purpose of reaching higher level of expressiveness. Particularly, the question how words with different suffixes for the purpose of giving different stylistic colouring differ from each other, prefix, voice, parallel forms of Participles are discussed.

The questions of artistic Stylistics: figures of speech (comparison, epithet, metaphor, and allegory), stylistics functions, stylistic figures, ellipse, gradation, etc. and their application are discussed in Chapter V.

Chapter VI is dedicated to analysis of typical mistakes. Separate examples of violation of lexical norms, pleonasm, tautology, calques, etc. are given here. Different questions are discussed from the viewpoint of synchrony and diachrony, their causes and ways how to avoid them are explained; actual questions of modern literary Georgian language by means of which we discuss existing state and develop our own point of view are given.

Each chapter is followed by different exercises, knowledge checking questions, tests and the list of literature to be worked on.

The illustrating material is taken from works of Georgian classics, journalists' speeches, television broadcasts and Georgian press. As for works of Georgian classics, one must take several things into consideration: first, it is not justified to evaluate works of previous century according to the norms of modern literary Georgian language; second, such forms may have specific function in the text.

საბამომცემლო უზრუნველყოფა:  
გამომცემლობა „ივერიონი“

დირექტორი: ზაურ ნაშევაძე

ტექნიკური რედაქტორი: ლეგან პოჭორიშვილი

ოპერატორი: სოფო ქილიშვილი

მისამართი: თბილისი, მმ. ზუბალაშვილების ქ. №36

ტელ: 291-14-61

E-mail: [info@iverioni.com.ge](mailto:info@iverioni.com.ge)